15

საუკეთესო

ქართული მოთხრობა

2009

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

კრებულში თავმოყრილია საუკეთესო ქართული მოთხრობები, რომლებიც 2009 წელს გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში, ინტერნეტში და კრებულებში.

„15 საუკეთესო" მეშვიდედ გამოდის და ისევე როგორც წინა კრებულებს, არც ამას აქვს პრეტენზია, რომ ეს შერჩევა ობიექტურია. ჩვენ ვეცადეთ, გამოქვეყნებულ მოთხრობებს შორის საუკეთესოები შეგვერჩია და საინტერესო და მრავალფეროვანი კრებული შეგვედგინა.

წიგნში 15 ავტორის თითო მოთხრობაა შესული და დალაგებულია ანბანურად, ავტორების გვარების მიხედვით. თითოეული მოთხრობა ამავე დროს არის ნომინანტი პრემიისა „წლის საუკეთესო მოთხრობა", რომელსაც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" წელს უკვე მეხუთედ გადასცემს საუკეთესო მოთხრობის ავტორს.

სარედაქციო კოლეგია:

ბაკურ სულაკაური

ლელა ცისკარიშვილი

15 საუკეთესო ქართული მოთხრობა 2009

თბილისი, 2010

© შესაბამისი ავტორები, 2010

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"

აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ISBN 978-9941-15-162-0

TOP 15 Georgian Short Stories 2009

Published by

Bakur Sulakauri Publishing

Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

სარჩევი

კოკა არჩვაძე
თავგასების საიდუმლო ცხოვრება 5

მიშა გახსოლიანი
მუშები 12

მარიამ გეკაური
დები 20

ლაშა გუღაძე
– საშინაო დავალება: როსტომ – ხანი 26

დათო გაგუნია
ბეჩავი 45

ნინო დარგაისელი
სამარხვო ტორტი 60

ერეკლე დეისაძე
99 67

თეა თოფურია
სახლი 82

გურამ მეგრელიშვილი
ჯვარცმობანა 101

თამთა მელაშვილი
სხვა ფერი 116

მარიანა ნანოგაშვილი
ჩემი მომავალი მკვლელი 123

რატი რატიანი
Bravo Pour Le Clown 134

ნინო ტეფნაძე
კოქტო, მინკუსი 158

გელა ჩქვანაია
ძირითადი ინსტინქტი, ანუ ტყუპთა უტყუარი პრინციპი 170

გესო ხვედელიძე
ყვითელი ზოლი 193

კოკა არჩვაძე

თავგასების საიდუმლო ცხოვრება

– მოყევით, ჯოუნს, ნუ წელავთ, – თქვა მისტერ დოუპსონმა და აგენტ ჯოუნსის მომღიმარ სახეს მიაჩერდა.

– რა გითხრათ, სერ, გატაცებული ბავშვის გარდა, კიდევ ორი ტყვე აღმოვაჩინეთ; ორი წლის წინ გაუჩინარებული მისტერ რიჩარდ ჰამფრი და შარშან ზაფხულში გამქრალი, ატლანტა ჰოუქსის თავდამსხმელი, მაკემბე ლილონგვე. სამივე ფსიქიკა შერყეული, მაგრამ ასე თუ ისე უვნებელი.

– სად მალავდა?

– ბავშვს სხვენზე, სერ, იმ ორს კი – სარდაფში. მცირე ზომის ელექტროსადგური დაუმონტაჟებია საკუთარი სამზარეულოს ქვეშ. როგორც ჩანს, თვითონ შექმნა. მისტერ ჰამფრი და კალათბურთელი ამუშავებდნენ, ორივე გამორჩეული ფიზიკური ძალის პატრონია, სერ. მგონი, კიდევ უფრო გაძლიერდნენ ამდენი შრომისგან. ასე აიხსნა ეჭვმიტანილის მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის მკვეთრი შემცირება. პრაქტიკულად არ ჭირდებოდა საკუთარის გარდა. აპრილს თუ არ ჩავთვლით. აპრილში მისტერ ჰამფრი ავადმყოფობდა, არაფერი სერიოზული, უბრალო გრიპი, მაგრამ ლილონგვე მარტო მაინც ვერ გაუმკლავდა იმავე სიმძლავრეზე დარჩენას.

– ბავშვი? როგორც მახსოვს, ბავშვი უნარშეზღუდული იყო, რა მდგომარეობაშია?

– უფრო ჭკვიანი არ გახდა, სერ, ამას თუ გულისხმობთ, – აგენტ ჯოუნსს პირის და თვალების გარდა, ყურებითაც კი გაეღიმა, – ჯანმრთელობა რიგზე აქვს, ჭამა-სმა არ აკლდა.

თავსატეხებით და კონსტრუქტორებით სავსე ოთახში აღმოვაჩინეთ, თუმცაღა აწყობილი არცერთი იყო. მხოლოდ ერთი საინტერესო დეტალი სერ – თმა საერთოდ არ ჰქონდა, წარბებიც კი მოუპარსავს ეჭვმიტანილს.

– მოკლედ, გიჟია, ჯოუნს?

– ო, სერ, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით.

ის, რომ მოკლე ვარ და თავი ტანთან შედარებით ძალიან დიდი მიჩანს, არასოდეს მავიწყდება, ანდა ვინ დამავიწყებს: სკოლაში ხან თავგასას მეძახდნენ, ხან შუბლას. იმდროინდელი მეგობრები არც ახლა მაკლებენ. გამელოტებით კი სულ ახლახან გავმელოტდი, მაგრამ გული მიგრძნობს, ამასაც მივეჩვევი, მიმაჩვევენ ჩემიანები.

ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ქრისტეს შობიდან ყველაზე სასაცილო წელი 2007, განსაკუთრებით კი შემოდგომა, ინტერნეტში ქექვაში გავატარე. მახსოვს, იმ საღამოს სტუმრები მყავდა და რომ დაიშალნენ, გადანახული „პიტაჩოკი“ ამოვიღე და კომპიუტერს მივუჯექი. მუსიკის მოსმენა მინდოდა, მგონი ოკენფოლდის, მაგრამ სადაც ვეძებდი, იმ საიტს ფორუმიც აქვს და რა ჯანდაბამ დამაწყებინა კითხვა, არ ვიცი.

თემას, რომელმაც დამაინტერესა „მართმადიდებლური vs. კათოლიკური ეკლესია“ ერქვა, უცხო მტაცებლის წინააღმდეგ, რაღა. ვიღაც აჟიტირებული ღლაპი, ბიბლიიდან ციტატებით ებრძოდა კათოლიციზმს და რეფორმაციას, თუმცა არც კათოლიკე ჩანდა სადმე და არც პროტესტანტი. მთელი თემა ინტელექტის შადრევანი იყო, როგორც ხვდებით, მაგრამ ერთ-ერთმა პოსტმა მაინც განსაკუთრებით გამართო:

„წარსულშიც და დღესაც მრავალი ბოროტი ძალა ცდილობს განხეთქილების ჩამოგდებას მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მაგრამ ეს არასდროს არ მოხდება...

რადგანაც თვით იესო ქრისტე ამბობს შემდეგს:

„...და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას!“

გაკადნიერდება ვინმე და იტყვის, რომ ეჭვი ეპარება უფლის ამ სიტყვებში?!

ჩვენთან არს ღმერთი!!!"

ამინ! „განხეთქილების ჩამოგდება მართმადიდებლურ ეკლესიაში" მართლაც რთული საქმეა; ჩვენი ჰერმეტულად დახუფული თავები, ვერც რუსული მართმადიდებლობის სიბნელემ „განხეთქა", ვერც ბერძნულის ხელმრუდობამ და ვანდალიზმმა. ჩვენთან არს ღმერთი! რა აზრი ჰქონდა გიო 87-ისთვის იმის თქმას, რომ „კლდე" პეტრე მოციქული, რომის პირველ პაპად ითვლება? ღმერთი მაინც მასთან დარჩებოდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ინტერნეტი ძირითადი წყარო გახდა ჩემი შთაგონების. არანაკლებ მხიარულ ხასიათზე, რომელიღაც ონლაინ ბიბლიოთეკას ვსტუმრობდი. თვალში მომხვდა ავტორის სახელი – ჯერი მილერი. იქნებ ჩემთვის უცნობი მოგვარეა-მეთქი ვიფიქრე, მაგრამ ნაწარმოებებს რომ გადავხედე, მივხვდი, რომ შეცდომა იყო. საიტის ადმინისტრაციისადმი რაღაც სხვა საქმეზე მიწერილ წერილს, იქ შეცდომა გაგეპარათ, ჰენრი ჰქვია მაგ კაცს-მეთქი, მივაყოლე. პასუხმა აღმაფრთოვანა – ჰენრის სხვებიც ჰყავდა გვარშიო, მოკლედ მომიჭრა ადმინმა.

გიო 87-ის საკონტაქტო ინფორმაცია მივაწოდე. სხვა რა მექნა.

2007-ის შემოდგომა, როგორც აღვნიშნე, ადამინური იდიოტიზმის კუთხით, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. რთველმაც თავისი ქნა; გამოლაგდა ათასობით გასხივოსნებული, ან მერამდენე რევოლუციის მოსახდენად, როგორც 15 წლის წინ ზუსტად ისე „ტირანი, ტირანი"-ს ყვირილით და როგორც მაშინ, ვიღაც მორიგი მელვინის დემაგოგიას აყოლილები.

მაჭარი ულიტინებდათ.

ახალი ტირანი ძველზე ჯიუტი აღმოჩნდა – გაურუმბა თავები და დაიშალნენ, ისე ჩქარა , რომ ვერც მივხვდი,ვისკენ ვიყავი...

ამ და სხვა წმინდა ქართული შედევრების გარდა, რა თქმა

უნდა, საზღვარგარეთიც მახარებდა; მუჰამედის კარიკატურების გარშემო ატეხილი სკანდალი, როგორც მოსალოდნელი იყო, აფეთქებებით დასრულდა. თავზე ბომბით გამოსახულ მუჰამედს, მაჰმადიანთაგან განსაკუთრებით ნეტარებმა ბომბებითვე უპასუხეს.

ვისთან არს ღმერთი?

აგენტი ჯოუნსი კაკუნის გარეშე შემოსეირნდა უფროსის კაბინეტში.

– მთელი ქსელია, სერ! – თქვა მან და მისტერ დოუპსონის მაგიდაზე რამდენიმე, საფოსტო მისამართებით აჭრელებული ფურცელი დადო.

– spinoza2000@yahoo.com, genius_jim@hotmail.com, brightmind@gmail... მეილებია. და როგორ გავიგოთ ეს?

– რაღაც საერთო იდეოლოგიით, იქნებ რელიგიური წარმოდგენებითაც კი გაერთიანებული ადამიანების ინტერნეტ-პორტალია. ამ პორტალის მომხმარებელთა მეილების სიაა. ჩვენი ეჭვმიტანილი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იუზერი იყო, სერ. აიპი მისამართების გამოყენებით დადგენილ იქნა კიდევ რამდენიმე მომხმარებლის ვინაობა. უკვე დავკითხეთ მასაჩუსეტში, როუდ-აილენდსა და კონეკტიკუტში მცხოვრები სამი იუზერი. ჩატარდა ჩხრეკა. ბოსტონელის სახლში დაახლოებით იგივე სურათი დაგვხვდა, რაც ჩვენი ეჭვმიტანილისაში, ოღონდ ბავშვის გარეშე. მასთანაც აღმოვაჩინეთ ტყვე, რომელიც ახალი ეჭვმიტანილის სახლში რემონტს აკეთებდა, იძულებით რაღა თქმა უნდა. ეს ეჭვმიტანილიც ჩუმადაა. ჩვენი სპეციალისტები პორტალს შეისწავლიან, კონტენტი დაბლოკილია, აიქიუ ტესტებით – მაღალ ქულას თუ ვერ დააგროვებ, შინაარს ვერ გაეცნობი – თუმცა ერთი რამ ნათელია: პორტალი ქართველმა, რუსების მონათესავე ერია ეგეთი...

– ვიცი, ჯოუნს. განაგრძეთ.

– დიახ, ქართველმა, ვინმე რატი ფერაძემ შექმნა და ჩვენი აზრით, სერ, პასუხებიც საქართველოში უნდა ვეძებოთ.

– კეთილი მგზავრობა, ჯოუნს, – თქვა მისტერ დოუპსონმა და ჯოუნსის მოტანილ საფოსტო მისამართების სიას ჩაულრმავდა. აგენტმა ჯოუნსმა უხმოდ დატოვა კაბინეტი.

თომა აქვინელი აქ ჯერ არ დაბადებულა. გარშემო ზღაპარია და ხალხიც ზღაპარში ცხოვრობს. თეთრ, თუ გნებავთ ქრისტიანულ სამყაროში, საქართველოზე ზღაპრული ქვეყანა მხოლოდ რუსეთია, თავისი მესიანისტურ-დათვური დოსტოევშინით და რა ბედი გინდა კაცს, ეს ორი ქვეყანა ერთი ქვეყანა რომ იყო და შენ მანდ და მაშინ დაიბადე.

„ჯერი მილერი", ამპარტავანი გაუნათლებლობის პირმშო. უძველესი ქრისტიანული ერის ყველაზე თვალშისაცემი თვისება – ამპარტავნება.

გონებაშეზღუდული ბრბო დროშებით და პლაკატებით ხელში, „საქართველო პრეზიდენტის გარეშე" ან რამე მსგავსი.

ერთი ლოგოკრატიული მთავრობა ცვლის მეორეს და ბრბო ინერწყვება იმედით... საინტერესოა, ჰქონდათ თუ არა პავლოვის ძაღლებს იმის იმედი რომ ხორცის მორიგი ნაჭერი წინაზე გემრიელი იქნება?

ვინ იყო სინამდვილეში ფსევდო-დიონისე არეოპაგელი? რა მნიშვნელობა აქვს? პეტრე იბერიდან მერაბ მამარდაშვილამდე, დაკარგულები ვართ დიდთავა ადამიანები, მომიტინგე მიკროცეფალთა თავებში დარღვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მსხვერპლნი.

ძაღლი უკვე სიგნალის გარეშე ინერწყვება.

ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ნათესავი ჩამოვიდა მარტვილიდან ამ გაგანია გალიაკში. ახლა კომპთან ზის და ნარდს ეთამაშება ვიღაცას ემესენით. მე საწოლზე ვგდივარ გაღიმებული სახით, საკუთარი აზრები მართობს. წინა ორი აბზაცი ხმამაღლა ამოვთქვი, ნათესავი სიცილით დაიხრჩო და სუნთქვა რომ დაიბრუნა გაკლიაო.

მე რატი ფერაძე ვარ. დღეს 2009 წლის 9 აპრილია. გუშინ აგენტი ჯოუნსი გავიცანი.

სულ თავიდან დავიწყოთ: ჩემი გარეგნობა სიტყვებით რომ აღვწერო, უცხოპლანეტელს ვგავარ ძალიან, უფრო სწორად უცხოპლანეტელებზე ჰოლივუდის წარმოდგენას. დაბალი ვარ, მინდა, მაგრამ ვერ ვარ „საშუალო სიმაღლის კაცს" რასაც ეძახიან, ის. მეტრით და სამოცდარვა სანტიმეტრით „საშუალო სიმაღლის ქალი" უფრო ვარ. მაქვს დიდი თავი, რასაც ჩემი სიმაღლე, უფრო სწორად კი – სიდაბლე, კიდევ უფრო უსვამს ხაზს და როგორც უკვე ვთქვი, გავმელოტდი, ისე, რომ გვერდებში დარჩენილი თმა არ მიხდებოდა და ისიც მოვიპარსე. ახლა კვერცხივით სლიპინა თავი მაქვს. არც ტანი მაქვს თმიანი, თითქმის ქოსა ვარ, ძალიან გამხდარი, განუვითარებელი მუსკულატურით. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ფერმკრთალი ვარ, ლამის ნაცრისფერი. უცხოპლანეტელები კი ან მწვანეები არიან ან ნაცრისფერები. მე ნაცრისფერი ვარ. რუხი.

იმას, რომ უცხოპლანეტელი ვარ, დიდხანს ვხვდებოდი, საბოლოოდ გიო 87-მა მიმახვედრა. პატარა, დიდთავა უცხოპლანეტელები თანამედროვე ადამიანთან შედარებით ევოლუციური კიბის უფრო ზედა საფეხურზე მდგომი რასაა, სუსტები, ჭკვიანები. მე და ჩემნაირები უფრო ახლოს ვდგავართ მათთან, ვიდრე დანარჩენი კაცობრიობა.

გიო 87-ს კი ევოლუციური კიბის ქვეშ სძინავს და ღმერთზე ფიქრობს.

ან არ სძინავს და ჩემი ფანჯრების ქვეშ ქუჩა აქვს გადაკეტილი თავისნაირ ნეტარებთან ერთად.

მე ვარ რატი ფერაძე, ახალი რასის წინასწარმეტყველი, წმინდა იყოს სახელი ჩემი. მე შევქმენი tavgas.ge, საიტი ჭკვიანი ადამიანებისთვის, თანამედროვე სამყაროს ყოვლისმომცველი იდიოტიზმით გადაღლილმა.

სულ ეს იყო; დიდთავა, ქოსა ადამიანები ევოლუციის მოწინავე ხაზს წარმოვადგენთ-მეთქი და ჩვენთან არს ღმერთი-თქო. ერთი-ორმა შიგნაკრავმა გულთან ახლოს მიიღო, მაგრამ მე რა დავაშავე თუ აღარც აიქიუ ტესტები გვიცავენ კრეტინებისგან?

სანამ საიტზე შეხვიდოდი 150 ქულა მაინც უნდა მიგეღო,

მე თვითონ 148 მაქვს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი დავიზღვიე. მერეც, ყველა სტატიაზე და ფორუმის თემაზე პაროლად აიქიუ ტესტი იდგა და წმიდათა წმიდა, ახალი რასის დაბადების ამბავიც, მხოლოდ რჩეულთათვის ცხადდებოდა.

აგენტ ჯოუნსს თუ დავუჯერებთ, სწორედ ჩემი პორტალი გახდა, თანმიმდევრობით: მონათმფლობელობის, კიდნეფინგის და ელექტროენერგიის მოპოვების ორიგინალური ხერხის გამოგონების მიზეზი. დიდთავა ბავშვის გატაცება მეც კი არ მომივიდოდა აზრად. ძლიერ გაერთო აგენტი ჯოუნსი.

– თვითონ უწყინარი გიჟია, უკანონო არაფერი ჩაუდენია, მარიხუანას თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ეგ უკვე ჩვენი საქმე არ არის, ხომ მართალი ვარ, სერ?

– რა თქმა უნდა. რა მარიხუანა? – გაღიზიანდა მისტერ დოუპსონი – საქმეზე ილაპარაკეთ, ჯოუნს. კიდევ ერთხელ; თავი დიდთავა უცხოპლანეტელები ჰგონიათ?

– არა, სერ, ევოლუციური ნახტომის მაგალითებად მოიაზრებენ თავს, უცხოპლანეტელებთან მიახლოებულებად. რამდენიმე თვისებას გამოყოფენ: ტანმორჩილობა, დიდი თავი, თმიანი საფარის სიმცირე...

– მაგათ უცხოპლანეტელები ქოსებად წარმოუდგენიათ?

– როგორც კინოში, სერ.

– ალფაცენტავრელები არ უნახავთ მაგათ.

– დიახ, სერ, ალფაცენტავრელებისგან კარგი ქურქები გამოვიდოდა.

– ნუ ხართ რასისტი, ჯოუნს.

– მაპატიეთ, სერ.

კრებული „თხუთმეტი-თხუთმეტი“,
გამომცემლობა „სიესტა“, 2009

მიშა ბახსოლიანი

მუშები

მუშაა.

ძირითადად თაროებს აკეთებს.

თუმცა ხანდახან კედლების გალესვა და შეთეთრებაც უწევს. ჩემთან კი რატომღაც მეტლახს აგებს.

მაღალია.

წვრილი.

კისერი წითელი აქვს.

ზურგზე თეთრად ბრეტელები ახატია.

კარების გაღება ვერაფრით ვასწავლე, ამიტომ სანამ აქ მუშაობს, აღარ ვკეტავ.

არაა ზარმაცი კაცი, მაგრამ ბევრი ლაპარაკი უყვარს. ძირითადად იმას იხსენებს, გამსახურდიას მთავრობის დროს რაღაც დაბის პრეფექტი რომ იყო, ან ექიმებს და აფხაზებს აგინებს. აფხაზებმა ორი ძმა მოუკლეს. ექიმებმა შვილი დაუყრუეს.

ნერვები არ უვარგა.

სამაგიეროდ ისე მოხერხებულად იტყუება, რომ გაბრაზებას ვერ ვახერხებ.

გუშინ დამხმარე მოიყვანა.

მუშაა ისიც.

ქერა. წვრილი თვალები აქვს. ორი ჭიქის მერე უფრო უწვრილდება. ოთხის მერე კი საერთოდ უქრება და დადის ოთახებში ჯოხის კაკუნით. ხანდახან კედლებს ხელებს უფათურებს და ლოკოკინასავით ლორწოს ტოვებს.

– ორ დღეში დავამთავრებთ, – შემპირდა მოსვლისთანავე.

ორი დღის მერე მესამე მომიყვანეს.

– ვერ ვასწრებთ, უფროსო, ეს ჩემი ძმაა მოგვეხმარება. ერთად უფრო მალე მოვრჩებით.

მგონი მუშის ძმაც მუშაა.

დაბალი. გამხდარი. რაღაცნაირად მოხრილი.

კეფაზე ერთი ბღუჯა თმა აქვს ამოგლეჯილი და შორიდან სამიზნეს გავს.

სროლა ჯერ არავის გაუბედავს.

ხანდახან ხელს თუ წამოარტყავენ და გააღვიძებენ.

ხო...

ზარმაცია.

დაჯდება თუ არა, იძინებს.

თავს დაბლა ჩახრის და ხროტინებს ხმადაბლა.

კარგი ნერვები აქვს. ხმაური არ აღვიძებს.

ერთი კვირის მერე კიდევ ორი მოვიდნენ.

ორივენი მუშები.

მაღალი დათოა

დაბალი – შოთა.

ტყუპებივით გვანან ერთმანეთს.

გაგაჯულები და მხიარულები არიან.

კონტაქტურები.

დანარჩენ მუშებს უცბად შეაყვარეს თავი.

დალევა არ უყვართ, სამაგიეროდ მოსაწევს დაათრევენ ჯიბით.

მშრომელი ბიჭები არიან, მაგრამ ყველაფერს უკუღმა აკეთებენ.

ერთი ეგაა, უნიტაზი ჭერზე არ მიუმაგრებიათ.

ზუსტად ხუთ დღეში სააბაზანო იმ კონდიციამდე მიიყვანეს, როგორც რემონტამდე იყო.

მერე კი წავიდნენ და კიდევ ერთი მოიყვანეს.

ეს ბრიგადირია.

ამათი უფროსი და ჩემი უმცროსი.

მსუქანია, მელოტი და ჯიუტი.

კარგი ხმა აქვს და ხშირადაც ყვირის.

წინა ცხოვრებაში ალბათ პირამიდების მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მათრახით ხელში იდგა და ათასობით მონას ქვის სამტეხლოებში მიერეკებოდა.

ევიწროვება ჩემი აბაზანა.

– გავზარდოთ უფროსო. ეს კედელი დავანგრიოთ. რად გინდა ამხელა სამზარეულო. აქ კიდევ პატრა აუზი გავაკეთოთ. ბევრი ფულის დამატებაც არ მოგიწევთ. შინაური ბიჭები არიან და მოვრიგდებით.

ვრიგდებით კიდეც.

მოყავს ოთხი ახალი მუშა და აგრძელებს მათრახის ტყლაშუნს.

– ხო ხედავ, ვერ ეტევით, თქვენი დედაც, მიიწ-მოიწიეთ, ერთ კვადრატულ მეტრზე ორ-ორი კაცი დადექით და საქმე გააკეთეთ... შენ კედელი დაანგრიე, შენ ახალი ააშენე, შენ უნიტაზი დაამტვრიე, შენ გამოძერწე... აუზი მრგვალი უნდა იყოს ბოთეებო, ნაშალეთ, თავიდან შემოხაზეთ...

და ასე უსასრულოდ...

უსასრულოდ გაიწელა ერთი თვე ერთ დიდ გინებად.

22 ივნისს ბრიგადირი პენსიაზე გავიდა.

სასწრაფოდ მოწვეულმა მუშათა საბჭომ არჩევნები დანიშნა და ოთხი ახალი მუშიდან ოთხივე კანდიდატებად გამოაცხადა...

I ახალი მუშა
სანრდო ზოიძე
ექვს დიპლომიანი მოხუცი ბრძენი
პიონერი შეკიდული ჭერების სამყაროში
კაფელზე კვეთის ოსტატი
აქვს თეთრი წვერი და თევზის ვალი ნანას გასტრონომში.

II ახალი მუშა
ჩვიდმეტი წლის გია გოგინავა
მხიარული ბიჭი
სერიალებზე და ვალებზე გაზრდილი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი
რვა წლის ასაკიდან მუშაობდა „პამოშნიკად".
თოთხმეტი წლისამ დამოუკიდებლად განახორციელა პირველი წარმატებული რემონტი.
აქვს ბევრი ფული და ცოტა ინტერესი.

III ახალი მუშა
გარიკ მამედოვი
ცალთვალა თათრი
დაბადებული თბილისსა და რუსთავს შორის, ტრიალ მინდორში.
შავი და მყრალი.
მეტსახელად – „გარი ოქროსხელება"
გაყვანილობის უბადლო სპეციალისტი
ყავს სამი ცოლი და ჩვიდმეტი შვილი.

IV ახალი მუშა
გელა ფოფხაძე, 34 წლის
ᲟᲣᲟᲣნა და დათო ფოფხაძეების ინცესტური კავშირის ნაყოფი.
აქვს ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნის დამამტკიცებელი სერთიფიკატები.
ხელობა შესწავლილი აქვს როტერდამისა და ქუთაისის კანალიზაციებში.
ეხერხება დენის გაყვანილობის დამონტაჟებაც.
ყავს ძმა და ოთხი გოგო.

24 ივნისს ჩემ აბაზანაში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. 240 ათასი მუშამ 8 საათში ერთ უნიტაზში ზუსტად ამ-

დენივე ფურცელი ჩატენა და ამით გააუმჯობესა წინა რეკორდი, რომელიც ქერა ნიკამ დაამყარა ზუსტად 14 საათში (იმის გამო, რომ ქერა ნიკა ჟურნალისტებს არ ეკონტაქტებოდა, ამ რეკორდის შესახებ საზოგადოებას თითქმის არაფერი გაუგია).

მეორე დილით რუსთავკანალის ხელმძღვანელობამ არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა.

ხმათა 82%-ით გია გოგინავამ გაიმარჯვა.

ახალმა ბრიგადირმა ზეიმი სწრაფად დაასრულა და ნაბახუსევი, ჩემი აბაზანის ხელახალ დაგეგმარებას შეუდგა...

ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ჯერ ნივთების სახელები მოიგონა, მერე დანიშნულება და ფერი.

იგორს კი ხელში ქაფჩა ჩაუდო და კედლები აალესინა...

იგორი ახალი მუშაა.

ცისფერთვალება და შუბლწვრილი.

თავზე ყოველთვის სხვისი თმები აყრია. ჩვევა აქვს ეგეთი – ვისაც მისწვდება, ცოტ-ცოტას აწიწკნის.

არავის უყვარს.

დილიდან საღამომდე მუშაობს და საერთოდ არ ჭამს.

არც ლაპარაკობს.

პირველსავე კასტინგზე ბრიგადირმა ის ას კაცში ამოარჩია.

წვრილ შუბლზე თითით მიუკაკუნა და უთხრა:

ქალაქში ყოფნა მოსაწყენია,

განსაკუთრებით შაბათობით,

როცა არავინ მუშაობს და ქუჩები დაღლილი ხალხით ივსება,

მე გხედავ შენ, როგორ გაბრაზებით გიელავს თვალები და აგინებ ხალხს, რომლებიც მწვანე სკამებისკენ ზომბებივით მიდიან.

გატყობ, ვერ იტან უსაქმურებს. ჩვენ კი ზუსტად შენნაირი მშრომელი გვჭირდება.

აი, ეს ჩვენი უფროსია. მას ძალიან ეჩქარება რემონტის დამთავრება. ჩვენ კი ისე ბევრნი ვართ, რომ ველარაფერს ვაკეთებთ. თუ შეგვპირდები, რომ 22 კვადრატს ორ დღეში გალესავ და კაფელის გაკვრასაც სამ დღეში დაამთავრებ, ~~ჩვენ შენ~~ აგიყვანთ.

და აიყყვანა კიდეც.

და არც არსდროს უნანია...

იგორმა კედლები გალესა.

მიწაზე ასფალტი დაასხა.

იგორმა კაფელი გააკრა.

და „პოლზე" მეტლახი დააკრა.

იგორი წავიდა.

მგონი ფული არ გადაუხადეს.

მე მეძინა.

ბრიგადირმა გადაწყვიტა, ჭერი თვითონ გაეკეთებინა.

სკამი სკამზე შედგა. ხელში პლასტმასები დაიჭირა და ცის აწყობა დაიწყო.

დანარჩენები გარშემო შეხროვდნენ.

და მღეროდნენ:

„ოტეც,

გრანდ ოტეც,

ტი სამი, სამი ოტეც.

დაი ნამ ნება,

დაი ნამ ტუჩი,

დაი ნამ კლუჩ,

სვეტ ი ლუჩი."

როდესაც ჭერი მზად იყო, მან აანთო მზე, რათა ყველას გვეხილა სასწაული და ჩვენც თვალები მოგვჭრა უცნაურმა ნათებამ. ირგვლივ ყველაფერი მშვენიერი ჩანდა. ის იყო, ჯიბიდან ფული უნდა ამომეღო, რომ სამი მინის ბურთულა ერთბაშად გასკდა და ოთახში უკუნი ჩამოწვა...

– უუუუუუუუუ, – დაიძახეს ჭინკებმა.

– უუუუუუუუ, – დავიძახე მე.

– უუუ-ტფუი, – მგონი „ზამეკანია“ მისცა. წავალ, ელექტრიკს მოვიყვან, – მახარა ბრიგადირმა.

და წავიდა.

და მიჰყვა მას სიმრავლე მუშათა... ერთიდან 100-მდე და კიდევ ორი.

და ერთს ეძინა.

და ერთი ამბობდა: ვტოვებ ქურთუკს მოგონებად ჩემდა.

და ერთი ტიროდა: სადღა განვიძღო სტომაქი და გავთბე, უკეთუ გარეთ ყველაფერი გაკეთებულია და არს არს სამუშაო.

და ერთმა მითხრა:

– უფროსო, გახსოვარ? მე ის პირველი ვარ, ვინც იპოვე, როცა შენი ბინძური წყლებით მეზობლებს აწუხებდი და ნუგეშს ეძებდი. ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმე ყველაფერი ასე კარგად დასრულდებოდა.

და ერთი იცინოდა და უთხრეს: რა გაცინებს, იქნებ გგონია, კიდევ ვნახავთ პატრონს. ის წავიდა იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

ბრიგადირი ელექტრიკისგან აღარ დაბრუნებულა. ზოგი ამბობდა, რომ მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და საცხოვრებლად სოფელში წავიდნენ, რომ ვითომ ბევრი ძროხები მოაშენეს და სიმინდსაც ბოლომად ახარებენ, მაგრამ მე არ მჯერა. უფრო მგონია, სადმე ზღვისპირა ევროპულ ქვეყანაში, რომელიმე ვილას მაქსიმალურად ნელა არემონტებენ და ვითომ ანტენის დასადგმელად სახურავებზე აპარულები, ბრეტელებიან ზაგარს იღებენ.

ჩემთან კი შუქს რეზო აკეთებს.

მუშაა ესეც.

დიდი ცხვირი აქვს და მეჩხერი კბილები.

ლაპარაკის დროს ხ-ს ვერ ამბობს.

სათვალე ყოველთვის შუბლზე უკეთია.

მხიარულია და ზარმაცი.
ალბათ მორჩება... ოდესმე...

მოთხრობა ასი ათასი მწერლის გავლენითაა დაწერილი და აქვს პრეტენზია, რომ როდესაც მის მიხედვით ფილმს გადაიღებენ, ის შემდეგი სიტყვებით დაიწყოს:

„სიუჟეტი დაფუძნებულია რეალურ ისტორიაზე, რომელიც მის სახლში მოხდა."

„ლიტერატურული პალიტრა"
N 5, 2009

მარიამ ბეძაური

დები

კენჭებით ვთამაშობთ. ისეთი თხელია დები, რომ ზოგჯერ მეშინია, ნაფოტებად არ დაიშალოს. ხმას არ ვიღებთ. კენჭებს ერთმანეთის „ტერიტორიაზე“ ვაწყობთ და ვითვლით, ვის უფრო მეტი აქვს. დედამ გამაფრთხილა, დები ავადაა და ყველაფერი დაუთმეო. ჩვენ სისხლი გავცვალეთ და საიდუმლოდ ვინახავთ, რომ ღმერთის არ გვჯერა. დები ამბობს, ღმერთი რომ არსებობდეს, მე უფრო მსუქანი ვიქნებოდიო.“ ღამღამობით, როცა დების საწოლთან დაყუდებული დედა დაბალი ხმით კითხულობს ლოცვებს, ჩვენ საბანს ვიფარებთ თავზე და ვიცინით. მერე დედა იხრება და გვკოცნის. მე – ორჯერ, დების – ოთხჯერ. შუქს აქრობს და ოთახიდან გადის. მალე შეხებას ვგრძნობ. დები მაგრად მიჭერს ხელს და ჩურჩულით მაფრთხილებს: „ტურა მოფრინავს“. შეშინებულები ერთმანეთს ვეკვრით. ტუჩებს თვალებზე ვაწებებ ჩემს დას და მიკვირს, რატომაა ასე მლაშე მისი თვალები.

დებიმ აიჩემა, ქანდაკება ვარო. შუაგულ ოთახში გაუნძრევლად დგას და არ მიყურებს. ვხმაურობ. მინდა, ყურადღება მომაქციოს. მაგრამ არ მიყურებს და სულ უფრო თეთრდება. საჩვენებელი და შუათითი მის თვალებთან მიმაქვს და ველოდები. ურეაქციოა. ვბრაზდები. „შემომხედე!“ – ვუყვირი, მაგრამ არ იმჩნევს. „შემომხედე!“ – ხმას არ იღებს. მხრებში ვეჭიდები და ვანჯღრევ. ისეთი თეთრია, ვეჭვდები, სისხლი არ აქვს– მეთქი... ყვირილზე დედა შემოდის. ფითრდება.

– შეეშვი! – მიახლოვდება.

– მაშინ შემომხედოს.

– მე რა გითხარი! – დედა სახეში მირტყამს.

ხელებს ვაშორებ ჩემი დის მხრებს და მთელი ძალით ვცდილობ ცრემლების შეკავებას. ვიცი, ახლა არ უნდა ვიტირო. ჩემსა და დედას შორის სიჩუმე დგება. დები ნელა წევს ხელებს მაღლა და ტაშს უკრავს.

– გეტკინა? – მეკითხება არაბუნებრივი ხმით.

ახლა მე აღარ ვიღებ ხმას.

– გეტკინა?! – ყვირის და სიცილი უტყდება.

– ხომ გეტკინა?!

– ქანდაკება აღარ ხარ? – სიბრაზეს ვერ ვფარავ.

– ახლა ხომ გაიგე?! აღარ მატკენ! – სიცილისგან ხმა უწყდება და ახველებს.

დედა ჩუმად მკოცნის თავზე. ისე, რომ დებიმ ვერ შენიშნოს და ვხედავ, როგორ ტირის დედაჩემი.

დები ზურგზე მაზის. მე დაოთხილი დავდივარ ოთახებში. უხარია. „ცხენი მყავსო“ – იძახის. არ მომწონს ეს თამაში. ვჩერდები და ველოდები, როდის ჩამოვა ჩემი ზურგიდან. მუხლები და ხელისგულები დასვრილი მაქვს. დების დოქით წყალი შემოაქვს. ხელებზე მასხამს და მთელი ძალით მისრესს ხელისგულებს. საოცრად ბედნიერია.

– ახლა მე ვიქნები შენი ცხენი, – მთავაზობს სიცილით და არ იცის, რომ ასე არ შეიძლება.

– არ მინდა, – მოკლედ ვუჭრი.

– მე მინდა, – იღუშება.

– არ შეიძლება, დები.

– რახან გამხდარი ვარ, მაგიტომ?

– ხო.

– მაშინ მუცელი ამილოკე, – ისევ უბრწყინდება სახე.

– ესეც არ შეიძლება.

– რატომ? – ისევ ის სითეთრე აფარია.

– გვეჩხუბებიან.

– ვერ გაიგებენ, გთხოვ.

– არა, დები, – ვტრიალდები. არ შემიძლია მისი სითეთრის ცქერა და ამ უაზრო სურვილების ასრულებითაც დავიღალე. ჩემკენ გამორბის, წინ მეტუზება და შეშინებული სახით მეკითხება:

– აღარ გიყვარვარ?

– კი.

– მაშინ რატომ არ მეთამაშები?

– დავიღალე.

ცოტა ხანს ფიქრობს, მერე თითქოს რაღაცას მიხვდაო, ერთბაშად წევს თავს და დამარცვლით ამბობს:

– არა, აღარ გიყვარვარ. ვიცი.

– სისულელეა.

– ეგრეა.

იატაკზე ჯდება. ხელებს კეფაზე იწყობს და ისე მომშტერებია, ცოტაც და ყვირილს დავიწყებ.

– ყველაზე მეტად მე უნდა გიყვარდე, გაიგე?! – ისტერიული ხმა აქვს.

– მე მიყვარხარ, დები.

– არა! მე სხვა რაღაცას ვამბობ. მე უნდა გიყვარდე, სხვები – არა.

– სხვებიც რომ მიყვარდეს?

– არ შეიძლება. სხვებმა არ იციან ჩვენი საიდუმლოები... დამპირდი!

– დები, ნუ ჯიუტობ!

– არა! დამპირდი! – ძალიან თეთრია.

გვერდზე ვუჯდები და ვცდილობ, დავაწყნარო.

– აბა, დაფიქრდი...

– არ მინდა. მარტო მე უნდა გიყვარდე! დამპირდი!

იმ წუთას ძალიან მინდება, რომ ღმერთის მწამდეს, მაგრამ აღარ მწამს. ღმერთი რომ არსებობდეს, დები უფრო მსუქანი იქნებოდა.

– დამპირდი!

დები სახეს სახეზე მაწებებს.

– ეს ჩემია. ორივე ჩემია. ჩემი კიდევ – შენია. ნუთუ ვერ ხვდები?!

მისი ტუჩები ტუჩებზე მედება და თითქოს ორივენი ვლაპარაკობთ.

ცოტაც და ისევ ვგრძნობ ნაცნობ სიმლაშეს, რომელიც დეების თვალებიდან ჩემს თვალებშიც იღვრება. თევზის სუნი გვაქვს.

დები გაღიმებული სახით დგას სარკის წინ. პერანგი კისრამდე აუწევია და ოდნავ ამოზრდილ კოკრებს ხელით ისინჯავს.

– ხედავ? – ჩემკენ ტრიალდება.

– ჩამოიწიე პერანგი, – ინსტინქტურად ვაბრუნებ თავს. რაღაცნაირად ვხვდები, რომ ეს სირცხვილია.

– არა. ლამაზებია.

– სირცხვილია, დები.

ყურადღებას არ მაქცევს. მერე თითქოს ავიწყდება ჩემი იქ ყოფნა. რაღაცას ღიღინებს. ეს სიმღერა პირველად მესმის. ალბათ, თვითონ გამოიგონა. უცებ ფითრდება. სწრაფი ნაბიჯით მიახლოვდება და მაისურს მაღლა მიწევს. ფრთხილად ვეწინააღმდეგები. მეშინია, რამე არ ვატკინო. არ მანებებს. ინტერესით მაცქერდება მკერდზე და გაოგნებული მეკითხება:

– შენ რატომ არ გაქვს?

– ეგენი მარტო გოგოებს ეზრდებათ.

თითქოს მიხვდაო.

– ااااا! – წელავს ჩაფიქრებული.

მერე კისერზე ხელებს მაჭერს.

– გტკივა?

– არა.

– უნდა გეტკინოს.

– მაშინ მტკივა.

– ღმერთი არ არის, გაიგე?! – მიცვალებულზე უფრო თეთრია.

– ვიცი.

მშორდება. ხელებს ისრესს და ღიმილით ამბობს:

– ცოტაც და თითები დამემტვრეოდა.

დედა ნებას გვრთავს, ეზოში ჩავიდეთ. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ მე პირობას დავდებ, რომ დების გვერდიდან არ მოვცილდები. დები გრძელ ნაბიჯებს დგამს. ერთდროულად კიბის ორ საფეხურს ახტება. უჩვეულოდ აღტყინებულია. „უფალო, შეიწყალე შვილი შენი დებიო“ – უაზროდ იმეორებს. წუხელ მოკრა ყური, როცა დედა ლოცულობდა. არ იცის, რომ უფალი იგივე ღმერთია, თორემ არ იტყოდა. მაღალი ალვის ქვეშ, სკამზე ვსვამ და ვაფრთხილებ, არსად წავიდეს, ჭკვიანად იყოს და დამელოდოს. მე კი იქვე, ახლოს, მოედანზე გადავდივარ, სადაც ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. მიხარია. თითქოს გავთავისუფლდი. სწრაფად დავდევ ბურთს და სახელოთი ოფლს ვიწმენდ, რომელიც წურწურით მდის საფეთქლებიდან. უცებ ყველა ჩერდება. რაღაცას უყურებენ და იცინიან. ვტრიალდები. ვხედავ: დების პატარა ლეკვი უჭირავს ხელში, მაისური ისევ კისრამდე აუწევია, თითით მკერდზე ანიშნებს ძაღლს და ეუბნება, „მოწოვეო.“ ლეკვი საცოდავად ღმუის და ცდილობს, თავი დაიხსნას. მაგრამ დები მაგრად უჭერს ხელს. მერე მასავით ღმუილს იწყებს და ვერ ამჩნევს, რა ხდება მის გარშემო. ბურთს თავს ვანებებ და ჩემს დასთან მივრბივარ. უკნიდან ხმები მომყვება: „დები, გიუო!“, „დები, ძაღლო!“ ეს ხმები მაგრად მიჭერს გულში და ვხვდები, რას ნიშნავს ტკივილი. „არ გაბედოთ!“ – ვღრიალებ და მუშტებს ვიქნევ. არაფერი ვიცი იმის გარდა, რომ ყველა მტერია, რომ ყველას უნდა დავარტყა, რათა თვითონაც ეტკინოთ და რომ ღმერთი არ არსებობს...

ხელს ვკიდებ დების და სახლისკენ მივათრევ. „არა, არ მინდა! ჯერ არ მოუწოვია!“ – ღრიალებს და ცდილობს, თავი გაითავისუფლოს. მე უთქმელად ვექაჩები და მჯერა, რომ ცხოვრებაში აღარასოდეს ამოვიღებ ხმას.

დები ლოგინზე წვება. მაისურს ისევ ზემოთ ექაჩება და სიცილით მიმანიშნებს კოკრებზე.

– გინდა, ხელი დაგადებინო? – მეკითხება ინტერესით.

მის საწოლზე ვჯდები. თავს მკერდის ქვემოთ ვადებ და თავს ვაიძულებ, ახლაც არ ვიტირო. დების შიშველი ხორცის სუნი ასდის. სიმლაშე გაშრა. ვრწმუნდები, რომ ჩემი და მართალია. არავინ შეიძლება მიყვარდეს მის გარდა. ამას ბავშვური ალლოთი ვგრძნობ და მუცელზე ჩემს ხაოიან ენას ვუსვამ. იცინის. „კიდევ, კიდევ!“ – ყვირის მთელ ხმაზე. მე კიდევ ძვლებს ვუსველებ. მინდა, გაიგოს, რომ მტკივა. რომ მიაღწია თავისას და ახლა უფრო მეტად მტკივა, ვიდრე თვითონ. და ასე, გაუჩერებლად ვლოკავ დების, სანამ არ გამოშრება მისი სითეთრე...

– რას აკეთებ?! – მესმის დედაჩემის აკანკალებული ხმა. ვბრუნდები. ვუყურებ დედაჩემს და ვიცი, ახლა უფლება მაქვს, ვიტირო, მაგრამ არ ვტირი.

სიჩუმე ობად მოსდებია ოთახებს. სახლში არავინ ლაპარაკობს, დების გარდა. თითქოს დუმილი დააკანონეს. დედა უცნაურად მაცქერდება ხოლმე და სულ ცრემლები უდგას თვალებში. მე კი დანაშაულს ვგრძნობ იმის გამო, რომ ავადმყოფი დებია და არა – მე. მაგრამ უკვე ვიცი ის მთავარი, რაც წესით უფრო გვიან უნდა გამეგო. ყველანი ვგრძნობთ, რომ რაღაც შეიცვლება და გვაშინებს ეს ცვლილებები. დები იმიტომ კი არაა თეთრი, რომ ღმერთის არ სწამს. ეს მხოლოდ მისი ავადმყოფობის ბრალია.

ფანჯარასთან ატუზული მალულად ვუცქერ, როგორ მიჰყავთ დები სხვა სახლში, სადაც მხოლოდ მისნაირები არიან. დები ტირის და განუწყვეტლივ ჩემს სახელს გაიძახის. თითქოს აქ ვგრძნობ მისი მლაშე თვალების გემოს. „ღმერთო, შეიწყალე შვილი შენი დები!“ – ვიმეორებ. პირველად ვტირი და ვიცი, რომ თევზის სუნი მაქვს.

ლიტერატურული პორტალი
2009

ლაშა ბუღაძე

საშინაო დავალება: როსტომ – ხანი

1.

2. 11. 1937.

ეს ფოტო 1937 წლის 2 ნოემბერსაა გადაღებული. ცენტრში ლავრენტი ბერია დგას. მისგან ხელმარჯვნივ უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი პეტრე დონდუა. მეორე რიგიდან პროფესორი ილია ზედგენიძე შემოგვცქერის. პროფესორს კისერი აქვს მოღერებული – შესაძლოა, ფეხისწვერებზეც იწეოდეს, რადგან წინ საკმაოდ მაღალი მამაკაცი – მათემატიკოსი იური ჯანელიძე? – უდგას. მეცნიერები ტერასულად დგანან უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეზე. არავინ იღიმება – სერიოზული და მკაცრი სახეებით შემოგვყურებენ.

ბერიას მიხაკები უჭირავს მარჯვენა ხელში.

ამ ფოტოგადაღებიდან ერთი კვირის შემდეგ ლავრენტი ბერია მეცნიერთა ნაწილს ცენტრალურ კომიტეტში დაიბარებს. გამოიძახებენ მხოლოდ ისტორიკოსებს, მათ შორის პროფესორ ილია ზედგენიძესაც.

ბერია იტყვის:

– ისტორია უნდა გადავწეროთ, ამხანაგებო.

მერე კი, რახან მცირე აღელვებას შეატყობს ისტორიკოსებს, არა საუფროსო, არა მბრძანებლური, არამედ მეგობრული, შინაურული ტონით გააგრძელებს საუბარს:

– პოეტები არა ვართ, რომ ვიფანტაზიოროთ, ეგ ჩვენ არ გვჭირდება.

მარტივად: ვინც უსამართლოდ მიჩქმალულია ისტორიაში, ზეით უნდა ამოვწიოთ და ერს ხელახლა გავაცნოთ; ვისთვისაც უსამართლოდ აქვთ ტალახი ნასროლი, უნდა განვბანოთ, გავასუფთაოთ და ნამდვილი, გაწმენდილი სახით წარვუდგინოთ ერს; ვისი კარგი საქმეც უსამართლოდ მიჩნეულა ცუდად, თავიდან უნდა შევაფასოთ და ერს კარგზე კარგი ვათქმევინოთ.

ბერია რომ გაჩუმდება, მოწვეულთა შორის ყველაზე აქტიური, პროფესორი მამია ხელაშვილი ალაპარაკდება:

– უნდა დავეთანხმო ამხანაგ ბერიას, – იტყვის იგი, – ჩვენი სირცხვილია ესა, ისტორიკოსების... ამხანაგ ბერიას კი არ უნდა დაესწრო ჩვენთვის, არამედ ჩვენ, პირველებს უნდა ამოგველო ხმა! განა არ ვიცით, რამდენი ასეთი ლაფსუსია თუნდა „ქართლის ცხოვრებაში"?! მრცხვენია და ბოდიშს ვიხდი, ლავრენტი პავლოვიჩ, – თავს დახრის პროფესორი, – ყველა ჩემი კოლეგის სახელით ვუხდი მშობელ ერსა და დიად პარტიას ბოდიშს...

მართალია, არც მამია ხელაშვილს ეცოდინება ზუსტად, რატომ დაჭირდა ლავრენტი ბერიასათვის ბოდიშის მოხდა და ვერც მისი მდუმარე და შეშინებული კოლეგები მიხვდებიან, „ქართლის ცხოვრების" რომელი „ლაფსუსები" იგულისხმა მოსაუბრემ, მაგრამ თავებს კი მაინც ააქანქარებენ უკმაყოფილოდ – აბა, აბა, როგორ აქამდე არ აღვიმაღლეთ ხმაო...

თუმცა, როგორც აღმოჩნდება, არც ბერია ყოფილა ამ მხრივ უცოდველი. ამა თუ იმ ისტორიული პერსონაჟის მიმართ გამოტანილ არასამართლიან განაჩენზე პირველს, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ცოცხალ ისტორიას – იოსებ სტალინს გაუმახვილებია ყურადღება.

სტალინს უთქვამს:

„გაესაუბრეთ მოწინავე მეცნიერებს, ჩაუკვირდნენ ზოგიერთი ჩვენი წინაპრის ცხოვრებას. გაჩნდა ეჭვი, რომ ზოგან ისტორია სცოდავს მათ შეფასებებში – ადამიანი იყო, პროგრესულად აზროვნებდა და მოხსენიებული კი აუგადაა."

ბელადის ციტირებისას ბერიას სხეული სტალინის სულით

გაიმსჭვალება და მცირე ხნით – ამას აშკარად იგრძნობენ მეცნიერები – ღვიძლ ძმასავით დაემსგავსება სტალინს. ბერია მედიუმივით დაუთმობს სტალინის სიტყვებს თავის ტანს, ბელადის მოწინებულ ციტირებას მოჰყვება და უნებლიეთ მის იმიტირებასაც კი შეეცდება.

მეცნიერები ისე, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, დარცხვენილები ჩაქინდრავენ თავებს და ხმამაღლა ამოიოხრავენ.

ამასობაში ბერია საქმეზე გადავა. მეცნიერებს თავად სტალინის მიერ გამორჩეულ ისტორიულ პირთა სიას წარუდგენს და საქმიანი კილოთი დასძენს:

– აბა, ამხანაგებო, მივუდგეთ ამ ხალხს ისე, როგორც სტალინი გვასწავლის, – გაიღიმებს იგი, – ზოგს მეორე ცხვირი მივუწებოთ, ზოგს – მესამე ხელი, ზოგს კი დაკარგული თავი დავუბრუნოთ ადგილზე!

სტალინის სია ასეთი იქნება:

1. პირველი გიორგი – ეკლესიის ამშენებელი ქ. მცხეთაში
2. მესამე გიორგი – მეფე თამარის მამა
3. ბაღვაში ლიპარიტი – დემოკრატი
4. სააკაძე გიორგი – დიდი ქვეყნის სამსახურში
5. ხანი – როსტომი – მშვიდობა
6. არჩილი – პეტრე პირველი???
7. მეორე ერეკლე – რუსეთი და საქართველო
8. მეთორმეტე გიორგი – რუსეთთან შეერთება

„გეგონება, დასახვრეტთა სიაა," – უნებურად გაეფიქრება პროფესორ ილია ზედგენიძეს და შეშინებული ახედავს ბერიას – ჩემი ფიქრები ხომ არ გამოიცნოო. ბერიაზე ამბობდნენ, რომ მას აზრების კითხვაც შეუძლია.

ბერია ისტორიის სახელმძღვანელოს რედაქტირებისკენ მოუწოდებს პროფესორებს. შეხვედრას კი ამ სიტყვებით დაასრულებს:

– როცა ამ საკითხებს ჩაუჯდებით, მუდამ გახსოვდეთ, რომ მე და ამხანაგი სტალინი ზეიდან დაგყურებთ.

სტალინის ისტორიულ პერსონაჟთა სია რვაკაციანია. ალ-

ბათ, ამიტომაც დაიბარა ბერიამ რვა მეცნიერი და არა, ვთქვათ, ათი, ან თხუთმეტი.

– როგორც ჩანს, ამხანაგ ბერიას სურვილია, რომ თითომ თითოზე ვიმუშავოთ, – დაასკვნის მეცნიერთა შორის უხუცესი, აკადემიკოსი ენვერ ჭელიძე.

მეცნიერები სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში იკრიბებიან და პროფესორ მამია ხელაშვილის შლაპაში ჰყრიან ფურცლის ნაგლეჯებს, რომლებზედაც ისტორიულ პირთა სახელებია დაწერილი.

– მაშასადამე, ვისაც რა ამოუვა, იმაზე დაწერს, – იტყვის ენვერ ჭელიძე და პირველი თავად ჩაყოფს ხელს შლაპაში.

– უი, უი, თავი მეტკინა, – გაიხუმრებს შლაპის მფლობელი მამია ხელაშვილი და სიცილით მოათვალიერებს კოლეგებს.

– სააკაძე გიორგი, – ფურცლის ნაგლეჯზე დაწერილს წაიკითხავს ბატონი ენვერი.

– ბაღვაში ლიპარიტი, – ამოუვა პროფესორ კონსტანტინე ორაგველიძეს. – ოო, – მოიქექავს კეფას, – რთულია... მაგრამ საინტერესოა, – დაამატებს იქვე და მამია ხელაშვილისკენ გაიხედავს.

„რთულიაო, არ უნდა მეთქვა, – გაიფიქრებს შეცბუნებული, – სადმე არ წამოაყრანტალოს ამ შეჩვენებულმა!"

– ხანი – როსტომი, – გაშლის დაკუჭულ ფურცლის ნაგლეჯს პროფესორი ილია ზედგენიძე და შვებით ამოისუნთქავს – „ყველაზე მარტივი შემხვდა!" – კოლეგებს თავის დაკვრით გამოემშვიდობება და კარისკენ წავა.

ჩვენც მას გავყვებით.

რატომ ამოისუნთქა შვებით პროფესორმა? რატომ არის „მარტივი" როსტომ-ხანი?

ამ შეკითხვებზე თავად სტალინის მინიშნება იძლევა პასუხს, რომელიც როსტომ-ხანის გასწვრივ არის მიწერილი: მშვიდობა.

ჭკვიან ისტორიკოსს არ უნდა გაუჭირდეს ბელადის სურვი-

ლის ამოცნობა. ქართველთა მაჰმადიანმა მეფემ კახეთს მშვიდობა მოუტანა და ამიტომაც გამოარჩია იგი ბელადმა სხვებისგან. ბელადი მიანიშნებს ისტორიკოსს: მშვიდობის დამყარება და მერე ამ მშვიდობის შენარჩუნებაა ჭეშმარიტი გმირობა.

პროფესორს უხარია: „მგონი, სწორ გზაზე ვარ."

და მართლაც, რატომ უნდა სძულდეს ქართველს როსტომ-ხანი? რაკი მუსლიმანია? რაკი ქრისტეს რჯულზე არ გადმოვიდა და მის აღმზრდელ სპარსელებს კახეთი არ მოაოხრებინა?

როსტომ-ხანი პროგრესული მეფე გახლდათ. აი, ასე შეაფასებს როსტომს პროფესორი. ის პოლიტიკოსი იყო და არა რელიგიური ფანატიკოსი. ქრისტიანული კახეთის გამაჰმადიანება კი არ უცდია, არამედ მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმშენებლობას მოახმარა.

პროფესორი დაწერს: როსტომ-ხანი ათეისტი იყო, მისი რელიგიურობა მხოლოდ თავისი ხალხის – სპარსელების? – ტრადიციების ერთგულებით იყო განპირობებული. როსტომ-ხანს, იმ ეპოქის მსოფლიო მმართველებისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, დიდად არც აღელვებდა რელიგიური საკითხი, ხალხთა რელიგიურობას ის მხოლოდ წინაპართა პატივისცემით ხსნიდა. როსტომ-ხანისთვის მიუღებელი იყო ქრისტიანული აღმსარებლობის გამო ვინმეს მოკვდინება, მას არასდროს დაუძალებია ქრისტიანი კახელებისთვის რჯულის შეცვლა, როსტომ მეფის მთავარი საზრუნავი ხალხთა კეთილდღეობა და მშვიდობა იყო.

აქ კი ჩაფიქრდება პროფესორი, რადგან მის თავს ზემოთ უხილავად მდგომი ბელადის ხმა შეაყოვნებს: ჩემი თვისებები განაბნიე მასში!

რასაკვირველია! სხვანაირად, აბა, როგორ!

რატომ თავიდანვე ვერ მიხვდა ამას? განა ყველა საამაყო გმირი და მეფე, ვისაც კი უარსებია, სტალინის თვისებებს არ უნდა ატარებდეს? განა სტალინში არ უნდა მოგროვდეს მათი ყველა სათნოება და დიდებულება?

მთავარი დავალება სწორედ ეს უნდა იყოს: საკაცობრიო ისტორია მხოლოდ სტალინით უნდა იყოს შევსებული. ოღონდ მხოლოდ ის ნაწილი ისტორიისა, რაც საამაყოა, რაც ბრწყინვალეა და რაც ამაღლებულია. მიზანი: მაკედონელზე წერდე და სტალინი ამოიცნო მასში, ბაგრატ-დავით-თამარზე ფიქრობდე და აქაც სტალინი გეცნოს, სააკაძეზე წაიკითხო და სტალინი ამოგეკითხოს, როსტომ მეფის რაციონალიზმმა კი სტალინის სიბრძნე მოგაგონოს. სტალინი, როგორც უკიდეგანო ოკეანე იერთებს ზღვებსა და მდინარეებს, ისევე შეირთებს ამ გმირთა და ბრძენთა ნიშან-თვისებებს. ქართველი ისტორიკოსი ქართველ გმირთა ორგანოებს მიაძერწავს მის მონოლითურ პორტრეტს, უკრაინელი ისტორიკოსი – უკრაინულს, რუსი – რუსულს, სომეხი – სომხურს, აზერბაიჯანელი – აზერბაიჯანულს, ბელურუსი – ბელურუსიულს, მოლდოველი – მოლდოვურს, თურქმენი – თურქმენულს, ყირგიზი – ყირგიზულს, ყაზახი – ყაზახურს, უზბეკი – უზბეკურს, ტაჯიკი – ტაჯიკურს...

სტალინით უნდა განიმსჭვალოს საბჭოური ცივილიზაციის ისტორია. მომავალში კი, ეგებ მთელი კაცობრიობისაც.

– როსტომ-ხანზე წერდე და სტალინი გამოგდიოდეს, – კმაყოფილი გაიმეორებს პროფესორი ზედგენიძე და, თავისი მიგნებით, მემატიანეთა დავთრებში დაუწყებს ძებნას კახეთის მეფეს.

იქ კი ეწერება:

რომ როსტომი ირანის შაჰის კარზე აღზრდილა;

რომ დავით-ხანის ნაბუშარი იყო, დედა კი შინდისელი გლეხის ქალი ჰყოლია;

რომ ისპაჰანის მოურავის წოდება ჰქონდა;

და რომ სამოცდაშვიდი წლის ასაკში გამომართულა ქართველების სამართავად.

არავისთვის დაუძალებია გამაჰმადიანება და ეკლესიებსაც კი აღადგენდა.

მტრების მოსყიდვა შეეძლო, მეტად ურჩებს კი უხმაუროდ ხოცავდა.

ზედგენიძე გაიფიქრებს: „პარალელები უნდა მოვძებნო სტალინთან."

წინადადება „მტრების მოსყიდვა შეეძლო, მეტად ურჩებს კი უხმაუროდ ხოცავდა", ბუნებრივია, მის ტექსტში არ შევა.

არც „როსტომ-ხანი" მოეწონება, ყველგან „როსტომ მეფედ" მოიხსენიებს.

„როსტომ მეფე ბრძენი და შორსმჭვრეტელი ხელმწიფე იყო, – ჩაიწერს, – მისი სიდინჯე და გულკეთილობა მთელ კახეთს გადმოედო."

როსტომ-ხან მეფის პიროვნული დახასიათებისას მხატვრულ ხერხებს მიმართავს და ისე აღწერს კახელების მუსლიმ მეფეს, რომ სტალინი გამოუვა:

„როსტომი უაღრესად პატიოსანი, თავმდაბალი და თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო. მემატიანის ცნობით, მეფეს მეტადრე ჰყვარებია კახეთის ველების ცქერა; დადგებოდაო, თურმე, ასე, ყალიონით(!) ხელში და ცრემლიანი მზერით გაჰყურებდაო ალაზანს..."

თავისივე შეთხზულ ამბავს რომ მიაწერს მემატიანეს, ეს ოდნავადაც არ შეაწუხებს, პირიქით, მეტი დამაჯერებლობისათვის, ძველქართული ჩუქურთმით შეალამაზებს ნაამბობს: „და დგებოდიეს კახთ მეფეთ მეფეი როსტომ ალაზანისა ველსა ზედა და ცრემლითა თვისითა ალტობდეს მიწასა ამას მადლიანსა, ხელთ ეპყრობიეს მუნ ყალიონ მამა-პაპათა და იხაროდეს გული მისი ცქერითა ველთა ამად კახეთისაითა."

ამგვარ ლიტერატურულ სითამამეს არა მხოლოდ პროფესორი ზედგენიძე, არამედ სხვა მისი კოლეგა მეცნიერებიც გამოიჩენდნენ. მეცნიერები შინაურულად „ისტორიის შელამაზებას" უწოდებდნენ ასეთ მხატვრულ გადახვევებს.

ზედგენიძის თავში ასეთნაირი ისტორიულ-ლიტერატურული ეპიზოდიც კი დაიბადება:

„როსტომ-მეფეს არაგვის ერისთავ დათუნას მცირე ამბოხის ამბავს ატყობინებენ.

– რაის ითხოვს? – კითხულობს ვითომ როსტომი.

– მაჰმადიანთა და ქრისტიანთა წაკიდება სწადიან, მეფეო, – ეუბნებიან, – ჰსურს, ქრისტიანნი გადგიმტერონ.

– ვერ წააკიდებს, – პასუხობს მაცნეს ბრძენი მეფე, – რჯული აქუთ სხვაგვარ, თუარ სამშობლო ერთი აქუთ."

პროფესორს მოეწონება თავისივე შეთხზული სცენა, თუმცა ვიდრე ტექსტში შეიტანდეს, მანამდე კიდევ ერთხელ ჩაფიქრდება, კიდევ ერთხელ ჩაუკვირდება თავის თეორიას – რადგან აქ შეცდომის დაშვება არ შეიძლება – მარტო წოდებას კი არა, სიცოცხლესაც დაკარგავ! ნამდვილად ენდომება სტალინს, რომ როსტომშიც ეგ ამოიცნონ? მეტისმეტი ხომ არ მოსდის პროფესორს?

„ენდომება! ენდომება! – თავს გაიმხნევებს პროფესორი, – მაშ, მშვიდობას რაღად მიაწერდა მისი სახელის გასწვრივ? ესე იგი, ესიმპათიურება ეს მუსლიმანი – კახელი! ასე არ არის?!"

და კმაყოფილი გაიფიქრებს:

„ეგ გორელი ტეტია მე ვერ მაჯობებს ჭკუაში, ეგონა, ვერ მივხვდებოდი, რა უნდა!"

ზედგენიძეს ყმაწვილურად აუთამაშდება გუგები, ჩაიღიმებს და დაწყებულ აბზაცს მიუბრუნდება. კალმის წვერს ფურცელს დააჭერს, ოფლიან ცხვირზე ჩამოსრიალებულ სათვალეს კი ძგიდეს მიაბჯენს.

ასოს გამოყვანასაც ვერ მოასწრებს – კარზე დაუბრახუნებენ.

პროფესორი შეხტება. არ ადგება. მოიცდის. ბრახუნი განმეორდება.

– ვინ არის? – დაიყვირებს დუმილისა და საუკუნო შიშისგან – ხმადამჯდარი.

პასუხად ისევ ბრახუნია.

პროფესორი წამოდგება, დერეფანში გავა და კარს გამოაღებს.

ზღურბლზე პირქუში სამხედრო იდგება – ტყავის მუნდირში, ხელში მაუზერით.

– ვინაა, ამხანაგო, ტეტია? – ჰკითხავს პროფესორს განრისხებული სამხედრო.

2.

27. 12. 1999.

მაია მასი თმას აღარ იღებავს. აღარც ივარცხნის. თმა რეზინით აქვს კეფაზე შეკრული. მხრებზე ქერტლის თხელი ფენა ადევს. შავ კაბაზე ლაქები ეტყობა.

აგრესიული არ არის – მკაცრია. ბავშვებს ეშინიათ მისი, მაგრამ არ სძულთ. მაია მასს თექვსმეტი წლის ბიჭი მოუკლეს შარშან, ისიც ამ სკოლის მოსწავლე. სახლის სადარბაზოსთან ჩაცხრილეს. დიდი კაცივით მოკლეს, ძალიან სერიოზულად.

მაია მასი ბავშვებს ეცოდებათ, თუმცა, შვილი რომ ცოცხალი ჰყავდეს, ისეთი მკაცრია, აუცილებლად შეზიზღდებოდათ.

მაია მასი ისტორიის მასწავლებელია. მისი გაკვეთილები მოსაწყენი და დამთრგუნველია.

ეგონათ, რომ იმ სკოლაში, სადაც მისი შვილი სწავლობდა, მუშაობას ვეღარ შეძლებდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა: ამბობდა, მეროს – ბიჭს მერაბი ერქვა – კლასელებს რომ ვხედავ, უკეთ ვხდებიო.

მაია მასს მიწამდე დათრეული, ანაფორის მსგავსი შავი კაბა აცვია, უჯიბეებო ჟილეტი და ნაცრისფერი პერანგი. დაფის წინ, ხის მაგიდასთან ზის და გაქუცული ტყავის ჩანთიდან მეთერთმეტე კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს იღებს. მოსწავლეები მდუმარედ და შიშით შეჰყურებენ.

მაია მასი წიგნს მაგიდაზე დებს და წარბებშეჭმუხნული ფურცლავს. ყოვნდება.

– ჰმმ... – გამოსცემს პირმომუწული, – როსტომ-ხანი...

წინა მერხებთან მსხდომი გოგონები მაია მასს დაკვნეტილ და ჩაყვითლებულ ფრჩხილებზე უყურებენ.

– პარაგრაფი მეთვრამეტე, – ამბობს ხმამაღლა, – როსტომ – ხანი! სამოცდამეორე გვერდი.

მოსწავლეები თავთავიანთ სახელმძღვანელოებს შლიან, სამოცდამეორე გვერდს ეძებენ.

– სამოცდამეორე? – ისმის აქა-იქ.

– პარაგრაფი მეთვრამეტე! როსტომ-ხანი! – ხმა უმკაცრდება მაია მასს.

ვინო?

მაია მასს თავისი ისტორიის მასწავლებელი, ციალა ჩაჩანიძე ახსენდება, – როგორც კი როსტომ-ხანის სახელი ახსენა, მაშინვე მოხუცი მასწავლებლის ხმა ჩაესმა ყურში...

„ როსტომ-ხანმა ჩინგიზ-ყაენზე და შაჰ-აბასზე მეტი ზიანი მოუტანა საქართველოს!"

მეთვრამეტე პარაგრაფის ჩაკითხვამდე მაია მასი ციალა ჩაჩანიძის პათოსით იწყებს მეტყველებას, მაია მასიდან მისი ძველი მასწავლებლის ხმა ისმის, იგი ციალა ჩაჩანიძით იჟღინთება – როსტომ-ხანი ჯერ კიდევ ამ ქალმა შეაძულა! თავად დიდი ხნის წინ მკვდარი ციალა ჩაჩანიძე კი ძალიან უყვარს, რადგან საქართველოს ისტორია მას ციალა მასწავლებელმა შეაყვარა. ნაწილობრივ ნამდვილი, ნაწილობრივ შეულამაზებელი, ნაწილობრივ თავისუფალი საბჭოური იდეოლოგიისაგან. როსტომ-ხანზე მას შემდეგ არ შეუცვლია აზრი. ამიტომაც ჩაესმა ხმა შორეული სამოცდათერთმეტი წლის ოქტომბრიდან – მაშინ მაია მასი მეათე კლასის მოსწავლე იყო, ცასა და დედამიწას ლეონიდე ბრეჟნევი მართავდა, პიონერ გოგონებს კი თეთრი წინდები ეცვათ :

– როსტომ-ხანმა ჩინგიზ-ყაენზე და შაჰ-აბასზე მეტი ზიანი მოუტანა საქართველოს! – თქვა და ხმამაღლა ჩაიკითხა მეთვრამეტე პარაგრაფის მშრალი ტექსტი – ციალა ჩაჩანიძისეული და საბჭოური ვერსიის უსიცოცხლო კომბინაცია .

მაია მასი წაკითხულმა არ დააკმაყოფილა.

– როსტომ-ხანი ეშმაკი მეფე იყო, – ამოხედა ბავშვებს, – ვითომ არაფერს არ ერჩოდა ქრისტიანობას, სინამდვილეში, ვინც კი მღვდელი იყო, ყველა გარყვნა, მოქრთამა და გაათახსირა!

ისეთი სიტყვები თქვა, სკამზე ჯდომა აღარაფრით გამოდიოდა, უნდა წამომდგარიყო.

– ქართველები გაირყვნენ! – წამოდგა, – გადაჯიშდნენ როსტომ-ხანის მეფობისას!.. თუკი უწინ, ვთქვათ, თუნდაც დემეტრე თავდადებულის ეპოქაში – ან კიდევ უფრო აქეთ – სამი-ოთხი ათასი ბერი თვალისდაუხამხამებლად შეეწირებოდა სარწმუნოების დაცვას, ეხლა, როსტომ-ხანის მოჩვენებითი მშვიდობიანობის დროს, ერთ წესიერ სასულიერო პირსაც კი ველარ იპოვიდი, ყველა გადაეგვარებინა მუსულმან მეფეს, ერიც, ბავშვებო, და ბერიც! სპარსული ცხოვრების წესმა მთლიანად ჩაკლა ქართველებში წესიერების გრძნობა... გახშირდა მრავალცოლიანობა, მრუშობა...

მამათმავლობაცო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიხვდა, ამ სიტყვის წარმოთქმით კიდევ უფრო დააბნევდა და შეაშინებდა მისი ტირადისგან ისედაც საკმარისად დაზაფრულ ბავშვებს.

მოსწავლეებმა იცოდნენ: მაია მასს ცხოველ სიამოვნებას ჰგვრიდა ცუდი მეფეებისა და მოღალატეების ლანძღვა. ყველა ნაძირალა ქართველში – მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს ქართველი მისი წინაპარი იყო თუ თანამედროვე – თავისი შვილის მკვლელს ხედავდა. მისი შვილის ნამდვილი მკვლელი რომ დაჭერილი ყოფილიყო, ალბათ, ბევრად უფრო ლმობიერი იქნებოდა სხვა უზნეო ქართველების მიმართ. მკვლელს – მოკლულის თანატოლს – გულმოდგინედ მალავდნენ მშობლები რუსეთში.

მაია მასის იარაღი სიტყვებია. მას შეუძლია წყევლოს შვილის მკვლელი და ლანძღოს ყველა ცუდი ქართველი. ის ასეთად აქცია დახვრეტილი ბაბუების ხსოვნამ – ტყუპები იყვნენ – ორივეს 1937 წელს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი – ციალა ჩაჩანიძის რისკიანმა პატრიოტიზმმა, გადაგდებული პრეზიდენტის სიყვარულმა და ერთადერთი შვილის მკვლელობამ.

თვითონაც დიდი სიამოვნებით შეეწირებოდა რომელიმე მტარვალს, თავის მოკვლა კი არაფრით შეეძლო – და ყველაზე მეტად სწორედ ამის გამო სძულდა საკუთარი თავი – თორემ სხვისი ხელიდან – ოკუპანტის, სატანისტის, თუნდაც თავისი

შვილის მკვლელის ხელიდან – უდრტვინველად, წმინდანივით მიიღებდა სიკვდილს.

ალბათ, რამდენი ნეტარი და წამებული შეემატებოდა ქართველ წმინდანთა ზეციურ არმიას, როსტომ-ხანს რომ არ ეეშმაკა და მოჩვენებითი ტოლერანტობა რომ არ გამოეჩინა ქართველი ქრისტიანების მიმართ?

– წარმოიდგინეთ, რამდენი სული დაღუპა ამ კაცმა! – წუხს მაია მასი.

ალბათ, როგორ ველოდით რჯულისთვის წამებას, ძუძუების დაშანთვას, მტკვარში ჩახრჩობას, ნეხვით ავსებულ კასრში ჩატენვას, თაფლით გაწებილი სხეულის მზეზე ამოშრობას, კიდურების წაწყვეტას, თავების დაჭრას, ცეცხლში დაფერფვლას!

გმირებს გმირობა არ ჩაადენინა ამ უღმერთომ, უდრეკ მორწმუნეებს ქრისტეს ერთგულების საშუალება არ მისცა, გასაწმინდანებლად, გასაგმირებლად გამზადებული ასობით, ათასობით ქართველი უპრინციპო, გულგრილ და მორჩილ მონად აქცია!

– ასეთი საშინელი მმართველი არასდროს გვყოლია! – ასკვნის მაია მასი.

წინა მერხებთან მსხდომი ბავშვები – მეტწილად, გოგონები – რვეულებში ინიშნავენ: როსტომ-ხანი. გვ. 62. დანარჩენებს, მართალია, ეშინიათ მაია მასის, მაგრამ მაინც არაფერს იწერენ. საკუთარ თავებს – და, ალბათ, მაია მასსაც – სცდიან.

მაია მასი სახლში მიდის. აგზნებულია. როსტომ-ხანის ლანძღვამ აღაგზნო. ზოგჯერ უგულოდ, უემოციოდ ატარებს ხოლმე გაკვეთილებს, მაგრამ საკმარისია, რომელიმე ამორალურ ქართველს წააწყდეს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომ მაშინვე ცოცხლდება...

მაია მასი ფიქრობს: „ეს დღეები როსტომ-ხანზე ჩავატარებ გაკვეთილებს.“ უნდა, რომ მორალზე, ზნეობაზე ესაუბროს ბავშვებს. მოძღვარივით დადგეს დაფის წინ და იქადაგოს.

მაია მასი სანთელს ანთებს მკვდარი ბიჭის დიდი შავთეთრი ფოტოს ქვეშ.

ოთახში ფოტოგამოფენაა მოწყობილი. საითაც გაიხედავ, ყველა მხრიდან ეს ბიჭი გიყურებს: ორი წლის... რვა წლის... ათი წლის... თერთმეტი წლის... თექვსმეტი წლის...

თაროებში უსწორმასწოროდ, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად შეტენილ წიგნებსაც მისი ფოტოები ფარავს. მაია მასი ფოტოებს კოცნის და გვერდით ალაგებს. დამტვერილ და სუნიან წიგნებს იღებს. ნაცრისფერი და მოყვითალო წიგნებია. ამბები როსტომ-ხანზე ამ წიგნებში უნდა მოიძიოს. უნდა, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ციალა მასწავლებლისგან ნაანდერძევ პრინციპებში; უნდა, რომ ზუსტად იცოდეს, ვინ იყო როსტომ-ხანი!

ი. ჯავახიშვილი:

მარტო ოთხი ტომი აქვს. ამ ოთხ ტომში ვერსად პოულობს როსტომ – ხანს.

ნ. ბერძენიშვილი:

მარტო ერთი აბზაცი ეძღვნება. ეცოტავება.

ი. ზედგენიძე:

„როსტომ – მეფე – მშვიდობის ბურჯი!"

„მშვიდობის ბურჯი არა ჩემი ფეხები!"

მაია მასი ილია ზედგენიძის ნარკვევს კითხულობს როსტომ-ხანის შესახებ. ეს როსტომ-ხანის აპოლოგიაა. სადღეგრძელოა.

მაია მასი ნარკვევის ავტორზე ბრაზობს. კვლავ ციალა მასწავლებლის პრინციპების ერთგული რჩება.

პროფესორი ილია ზედგენიძე 1937-ში დახვრიტეს მისი ტყუპი ბაბუებივით.

„ეგეთ კრეტინობებს თუ წერდა, დახვრეტდნენ, აბა რას უზამდნენ!" – ფიქრობს.

3.

4. 10. 2084.

– კლინიკური გიჟია, ბატონო პრეზიდენტო, ნამდვილი ავადმყოფია!

– ანუ... რა? ჩამოაყალიბეთ, ვერ ვხვდები...

– გამეორებაც მიჭირს...

– რა კარგია! მოდი, ყველამ ერთად გამოვცადოთ ჩემი მოთმინება! ვერთობით?!

– ცხოველებივით იქცევიან... ადამიანის ხორცს ჭამენ.

– ნუ ცმუკავთ, მე მიყურეთ!

– თქვენს თავს ითხოვენ, ბატონო პრეზიდენტო...

– ?

– ...ასე გვითხრეს.

– თავს... როგორ?

– პირდაპირი მნიშვნელობით. თავს... იმას, რაც კისერზე დგას... ან...

– ან – რა?

– არც მჯერა, რომ ამას ვიმეორებ...

– ვაიმე, თქვენ მე გადამრევთ!

– ან... მამონი უნდა აღიაროთ.

– ვინა?

– მამონი. მათი ღვთაება თუ რაღაც ჯანდაბა!

– გვეთამაშებიან?

– ოფიციალურ მოთხოვნათა ჩამონათვალში აქვთ შეტანილი. თან, პირველ ნომრად!

– ვან გოგი?

– ვან გოგი არა, მამონი!

– გვაშაყირებენ...

– არა. შევატყობდით.

– და ვაღიარებ, კი ბატონო!.. თუკი გაეთრევიან, ვაღიარებ! ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის!

– ვეჭვობ, მხოლოდ ვერბალური აღიარება იკმარონ... პირობებში უწერიათ, რომ აღიარების შემდეგ ათასი ახალშობილი უნდა შეწიროთ მამონს.

– გვაშინებენ, ხალხო, რა მოგივიდათ! ველარ უნდა მიხვდეთ?! პანიკას თესავენ...

– ...თუ არა და მთელ მოსახლეობას ამოგიწყვიტავთო.

– ვინ თქვა?

– განცხადება სატელიტიდან გავრცელდა.

– რამდენი კონფესიაა ჩვენთან?

– ზუსტი ციფრი არ მახსოვს. გავიგებ. მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებულები გაინტერესებთ?

– ყველა მე დამწყევლის... მეცინება.

– სამდღიანი ვადა გაქვთ.

– არა... მართლა მეცინება.

– ან უნდა შევაკვდეთ, ან...

– ან ათასი ახალშობილი შევწიროთ! ისიც ხომ არ გაგირკვევიათ, გოგონები ურჩევნიათ, თუ ბიჭები?! კარგით, ნუ... იმედია, ხვდებით მაინც, რომ მარაზმში ვართ!

– ჩვენ გენოციდის პირას ვართ, ბატონო პრეზიდენტო.

– უთხარით, რომ მამონს ვაღიარებ, ბავშვებს კი არ შევწირავ! ოცდამეერთე საუკუნეა, ბოლოს და ბოლოს!

– გადაგვთელავენ.

– გადაეცით, რაც გითხარით! დრო უნდა მოვიგოთ... მანამდე ბომბდამშენებსაც მოგვაშველებენ.

– ქალაქში შემოსასვლელ მთავარ ტრასაზე დგანან. რაც კი ძროხა უნახავთ ახლომახლო, ყველა უმად უჭამიათ.

– უმად? დარწმუნებული ხართ?

– აბა, კოცონი მაინც ხომ უნდა დაენთოთ?! მზვერავები გვიდასტურებენ, რომ მსგავსი არაფერი უქნიათ...

– მზვერავებიც არ შეგვიჭამონ!

– ...

– ვაი, ვაი... როგორც ჩანს, აქ მარტო მე ვიქცევი არასერიოზულად! მოკლედ... რაც არი – არი. შეუთვალეთ ის, რაც გითხარით.

– მხოლოდ თეორიულ აღიარებას არ შეგვარჩენენ, ბატონო პრეზიდენტო, დარწმუნებული ვარ!

– ბარემ ბავშვებიც ხომ არ გამოგატანოთ, ა?! გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებით!

8 ივნისი, 19.45. ოკუპაციის მე-2 დღე

პეტრეს თავს ითხოვენ. ლ. კ. – მ მოიტანა ინფორმაცია. უფრო დიდი იდიოტიზმი: მაგათი ღვთაება უნდა აღიაროს. სატელიტზეც ტრიალებს უკვე მოთხოვნა! პეტრე იცინის, არ იჯერებს. ველოდებით დახმარებას ნახევარკუნძულიდან. 14 ქალაქი აქვთ აღებული. წრიულად დაფრინავენ – ბზიკებივით. აბსოლუტურად სხვანაირი მფრინავი ობ. – ი აქვთ – ბომბები, ძროხები, პლასტმასის კოტეჯები, გვამებიც კი, თავიანთი მკვდრები – ამ ობ. – ზე აქვთ შებმული და დაფრინავენ. ცენტრი ჯერჯერობით უარს ამბობს ბირთვულ პასუხზე. მიზანია გაურკვეველი. გაფანტულები არიან. ჯერაც უცნობია მათი დისლოკაციის ადგილების რაოდენობა. პასუხის შემთხვევაში ჩვენც მიზანში ვხვდებით. და არა მარტო ჩვენ: მთელი სამხრეთ – აღმოსავლეთ კასპია. პეტრემ სატელიტიდან გაავრცელა თავისი განცხადება. თქვა: ჩვენ გვებრძვის ცივილიზაციის მილმიერი ტომი. ალბათ, გ. – მ დაუწერა. ჩვენები ჰაერში კიდიან უგაზოდ. არც მინდა წარმოვიდგინო, რა დღეში არიან. ჟანგბადს ველარ ვაწოდებთ. ამბობენ: ამათ ადამიანის ხორცის ჭამაც შეუძლიათ. სატელიტ-ფოკუსმა მათი მებრძოლები გადაილო: ყავისფერი კანი, წვრილი თვალები და ნაჩვრეტები ყურების მაგივრად. პეტრე ამბობს: ვაღიარებ მამონს – მაგათი ღვთაებაა – და იცინის. ბოლომდე არ ჯერა, რომ ეს კრეტინიზმი შეიძლება სიკვდილის ფასად დაუჯდეს მის ხალხს. ლ.კ. კი ჯიუტად იმეორებს, რომ პრეზიდენტის სიტყვიერ „მოქცევას“ არ იკმარებენ. კიდევ ჰქონიათ რაღაც მოთხოვნები, რომ-

ლებსაც მეც კი არ მიმხელენ. ბავშვები ნიჟარებში შევაწვინე. პეტრე ამბობს, რომ ნელისთვის არ უნდა მეთქვა კოდი. ვეჩხუბე: მეთქი, ნელის გაზრდილი ვარ, თავს შეაკლავს ჩვენ გამო. ბოდიში მომიხადა. ვსვამ სამსაათიან საძილეს. მეშინია დოზის მომატება.

9 ივნისი, 21. 00. ოკუპაციის მე-3 დღე

დილიდან დაჭრილებს ვნახულობ. პეტრემ მთხოვა. უნდა, რომ ხალხში ვტრიალებდე. მითხრა: „შენ ხომ მათი დედა ხარ!" უმეტესობას ყურები აქვს წაჭრილი. დისპანსერის დირექტორმა მითხრა: ყურებს იმიტომ ათლიან, რომ თვითონ არა აქვთ – შურთ ჩვენი. უნდათ, რომ ჩვენც მაგათნაირ მუტანტებად ვიქცეთ. პეტრე საათში ერთხელ სატელიტიდან მიმართავს ხალხს, ამხნევებს. „ოფიციალურად", ჯერჯერობით, ისევ ქრისტიანია. ნახევარკუნძული მუშტებს იქნევს, ამათ ფეხებზე კიდიათ, 14 ქალაქი აქვთ დაკავებული. ხუთთა კავშირის განცხადება გავრცელდა შუაღამისას: არ გამოვრიცხავთ ბირთვულ პასუხსო. გაუგებარი განცხადებაა. ვერ ვხვდებით, უნდა გაგვიხარდეს, თუ პირიქით, უნდა გვეწყინოს? ნამდვილად არ მინდა სიკვდილი დანარჩენი სამყაროს გადასარჩენად! ბავშვებმა ნიჟარაში ისაუზმეს. ლ.კ. – მ თქვა, რომ, თუ რამეა, პირველებს მე, ნელის და ბავშვებს გაგვიყვანენ. პეტრეს – ცალკე. ჩვენებს რვა საათში დაელევათ ჟანგბადი. მიწაზე დაჯდომას ვერ ახერხებენ. სულ – 412 ცალი შეგვრჩა. გაგვინადგურეს: 1135 ცალი. ბავშვებს გადასხმებს უკეთებენ. ერთ საათში ნიჟარაში შევაწვენ. მინდა, საქ. ისტორიის ფაილები გავხსნა და ძილის წინ წავუკითხო. საშინლად გამოვიყურები: გავხდი და თევზს დავემსგავსე. ძალიან დიდი ცხვირი მქონია. აი, ისევ პეტრეა სატელიტზე.

10 ივნისი, 21. 30. ოკუპაციის მე-4 დღე

წავიკითხე დოქ. ჟ. ლალიაშვილის სოც. ანალიზი. ციტატა: „დამაფიქრებელი და ეგებ საიმედოც – მინდა, სწორად გამიგოს მკითხველმა – ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობაში მხოლოდ ერთია: ჩვენს ეპოქაში, მატერიალიზმის ზეობისას, 21 – ე საუკუნის ბოლოს კვლავ დღის წესრიგში დადგა რწმენისათვის ბრძოლა. საერო კონსტიტუციის საფუძველზე არჩეული პრეზიდენტისგან რჯულის შეცვლას ითხოვენ! განა ეს საოცარი არ არის? ვინ წარმოიდგენდა თუნდაც ორასი-სამასი წლის წინათ, რომ ომის პირობების გაცხადებისას კვალაც გაისმებოდა თანამედროვე ცივილიზაციის მიერ ესოდენ მივიწყებული სიტყვა „ღმერთი"?! ნეტავ, ნაკლებად ტრაგიკულ ვითარებაში შეეხსენებინათ ჩვენთვის მისი არსებობა! თანამედროვე პოლიტიკოსებს, სამწუხაროდ, წარმოდგენა არა აქვთ – ანკი საიდან უნდა იცოდნენ! – როგორ, რა მეთოდიკით იცავდნენ თავს უწინ – ვგულისხმობ შუასაუკუნეებს – რჯულის წამგლეჯთაგან! ამ მხრივ, თავდაცვის არანაირი იმუნიტეტი არ გვაქვს გამომუშავებული. ყველას გვესმის: ეს კათარზისია, ოღონდ აბსურდული ელფერის მქონე. დამპყრობელთა ურდომ, უფრო სწორად, მათმა ანაქრონისტულმა მოთხოვნამ, სერიოზულად აღგვაქმევინა ჩვენივე რწმენა. არ გამკიცხოთ, მაგრამ იქნებ მადლობა გვეთქმის მათთვის ამის გამო?"

ტექსტი ნელის წავუკითხე. მითხრა, რომ ეთანხმება. მე კი ვუთხარი, რომ დოქტორი ჟ. ლალიაშვილი, ისევე, როგორც ბევრი ჩემი თანამოქალაქე, პანიკამ გააგიჟა – არ მინდოდა მეთქვა – გამოაშტერა. პეტრეს ვერ დავუკავშირდი. ს.-მ მითხრა, რომ ლურჯ ზოლზეა. აქამდე არ შემხმიანებია. ჩვენები, ალბათ, უკვე იგუდებიან ჰაერში. ნახევარკუნძულელები უფრო გააქტიურდნენ. გამოაცხადეს, მდინარეებს შევყინავთო. იმედია, უკვე სხვანაირი თამაში დაიწყება. ბავშვებს ნიჟარაში შევუცურდი. საქ. ისტ. ფაილი გავხსენით. ვილაც ზედგენიძის

ნარკვევი წავუკითხე მაჰმადიან მეფეზე. ამათგან განსხვავებით, ძალიან კეთილი ყოფილა: არავისთვის დაუძალებია თავისი ღმ. – ის აღიარება. საამაყოა, პირველი ცივილიზებული მეფე ჩვენ გვყოლია, ქართველებს! ხვალ ულტიმატუმის ბოლო დღეა. პეტრემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ჩემი აზრით, უნდა აღიაროს მამონი. ასე უფრო მეტ დროს მოვიგებთ...

„ლიტერატურა"
იანვარი, N20, 2009

დათო გაბუნია

ბეჩავი

So slowly you just slide,
So slowly loose your pride,
Another year's gone by
It's too late now to try…

Die by Tiger Lillies

შეუმჩნევლად დამეწყო. თავიდან გადაღლილობას ვაბრალებდი – რომ ბევრს ვეწევი, მთელი დღეები კომპიუტერთან ვზივარ, სუფთა ჰაერზე არ გავდივარ, რაც მანქანა ვიყიდე, ფეხით მხოლოდ სიგარეტის საყიდლად, იქვე მდებარე მაღაზიაში თუ ჩავირბენ, ძალიან დიდხანს ვიყავი მარტო, ღამ-ღამობით უფასო, მოკლე პორნოფილმების ქაჩვამ და ორ-სამჯერ ნძრევამ დამაუძლურა და ამიტომაც არ მიდგება-მეთქი. სანამ ამ ყველაფერს გავიაზრებდი, კარგა ხანი გავიდა, ვერც კი შევამჩნიე, რომ საუკუნეა, სექსი არ მქონია, ნელ-ნელა პორნოს ქაჩვასაც მოვუკელი და საბოლოოდ ერთ დიდ ხაფანგში ვირთხასავით გაბმული აღმოვჩნდი: რომ ვერც ვვდები და ვერც თავს აღწევ, გაბმული ხარ და მორჩა! აზრზე ერთმა სულელურმა ქალთა ჟურნალმა მომიყვანა, რომელსაც ჩვენი მედია-ჰოლდინგი გამოსცემს. რედაქციაში მომაჩეჩეს დაკაბადონებული ნომერი, კორექტორი ავადაა და შენ გადახედეო. სტატიას ერქვა „რამდენად ძლიერი მაჩო გიწევთ ლოგინში". გულში ავტორს შევუკურთხე, დაგიფსი სტილზე, ვინც შენ წერის ცოდნა დაგაბრალა– მეთქი. სტატიაში დეტალურად იყო აღწერილი, როგორ უნდა შეუწყოს ქალმა ხელი კაცის სექსუალური

პოტენციის ამაღლებას, ათასი და კიდევ მეტი სისულელე ეწერა. თუმცა, სისულელე უძახე შენ და, ისეთი ჩვეულებრივი ამბები გამახსენა, როგორიც დილის ჯანსაღი, უნებლიე ერექცია და შარდვისას სიამოვნების შეგრძნებაა. თვალები ამიჭრელდა, ვერც კორექტურულ შეცდომებს ვამჩნევდი და ტექსტი შინაარსისგან სრულებით დაცლილად მეჩვენებოდა. ირგვლივ დიდი ალიაქოთი იდგა, რედაქცია სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, ფოტოგრაფი ბიჭი ჟურნალისტ გოგოს კერავდა, რეპორტაჟის წერას რომ მორჩები, ყავაზე დაგპატიჟებო; სარეკლამო სამსახურის უფროსი ტელეფონით ლანძღავდა თამბაქოს მწარმოებელ მსხვილ კომპანიას, რა უსინდისობაა, ერთი კვირით დააგვიანეთ თანხის გადმორიცხვაო; მძღოლი უაზროდ დადიოდა ოთახიდან ოთახში და ყველას ეკითხებოდა, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვთ, ცოლის დაბადების დღეა და სამსახურიდან დროზე ადრე მინდა წასვლაო. სტატიას კიდევ ერთხელ მივუბრუნდი, ფილოლოგის დიპლომი მავალდებულებდა, რიგიანად ჩამესწორებინა; თუმცა, რაღა ფილოლოგი, ხელი უნებლიეთ მაგიდის ქვეშ ჩავაცურე და მომჩვარული მოვისინჯე. ერთადერთი სიტყვა ამომიტივტივდა თავში: დავიღუპე! გაშტერებული მივაჩერდი მონიტორს.

ოთახში რედაქტორი შემოვარდა, სტატიის სწორებას თუ მორჩიო. გაღიზიანებულმა მივუგდე, მერე რა, რომ ეს იდიოტური ჟურნალი ჩვენი ჰოლდინგისაა, სულაც არა ვარ ვალდებული, ვიღაც სულელი ქალის ნაჯღაბნი ვასწორო, მით უმეტეს, რომ კორექტურა საქმეს ვერ უშველის, ხელახლა დასაწერია-მეთქი. რედაქტორმა თვალები აატრიალა, გაბრაზებულმა რაღაც ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავარდა.

თავს ძალა დავატანე, ტექსტი კიდევ ერთხელ გადავიკითხე. ამჯერად ყველაფერი დალაგდა, სულაც არ ყოფილა სულელური და ცუდად დაწერილი, ტყუილად გავლანძღე ავტორი, სტატია საქმის ცოდნით და საკმაოდ სხარტად დაეწერა. ნეტავ რას ვერჩოდი? ავტორი ქალი იყო და ალბათ, ამან გამაღიზიანა. აბა, როგორია, დღისით-მზისით ვიღაც ქალი რომ

აღმოგაჩენინებს, ფაფუ, დამთავრდა შენი კაცობა, დღეიდან იმპოტენტი გქვია და კარგად მეყოლე! რედაქტორის ოთახში შევედი, სტატია გავასწორე, ბევრი არაფერი სჭირდა და ახლა ის მითხარი, ავტორი ვინ არის-მეთქი. გავარკვიე, თურმე სექსოპათოლოგი ყოფილა და ქალთა ჟურნალისთვის შეკვეთით წერდა სტატიებს. ტელეფონის ნომერიც მინდოდა მეკითხა, მაგრამ რედაქტორისა მომერიდა. რაღაც უაზრობა მოვიმიზეზე და რედაქციიდან კისრისტეხით გამოვვარდი, ჯიბეში მანქანის გასაღები მოვისინჯე. ნეტავ იმ ბედნიერ დროს, როცა სკოლაში ბიჭები ერთმანეთს „ჯიბის ბილიარდის" თამაშის გამო დავცინოდით. მანქანა ავტოსადგომზევე დავტოვე და ფალიაშვილს ფეხით ჩამოვუყევი. მე-9 საავადმყოფო აქვეა, იქნებ შემევლო, სექსოპათოლოგი როგორ არ ეყოლებათ? არა, ჯობია რომელიმე კერძო კლინიკას მივაკითხო, გვარიან ფულს ამახევენ, მაგრამ სამაგიეროდ ანონიმურობა გარანტირებული მექნება. ის სულელური რეკლამა გამახსენდა, მატლი გაჭირვებით რომ მოღოღავს და უცებ, ჯეიმს ბრაუნის სიმღერის ფონზე, მხნედ არიკინებული და თვითკმაყოფილი გამოსრიალდება. თურმე რა ტყუილად დავცინოდი იმ საცოდავს, ხომ გადამხდა თავს, ნამდვილი მატლ ვარ და არა – კაც. თუმცა, რეკლამის მატლი კი გამოძვრა გასაჭირიდან, აი, მე რა მეშველება? რა დროს ჩემი იმპოტენციაა, 32 წლის ვარ, ახლა უნდა ვიწყებდე ცხოვრებას, ცოლი მომყავდეს, შვილებს ვაკეთებდე. სადღაც შორს, ტვინის კუნჭულებში დავინახე გაკრიალებული პატარა ფინური კეტეჯი, ფანჯრებში თეთრი, წითელკოპლებიანი ფარდებია გამოკიდებული, მზიანი დილაა, მწვანე მდელოზე, სახლის წინ, ჩემი ცოლი ფუსფუსებს, თეთრი სარაფანი აცვია, მუცელი გამობერვია, მალე იმშობიარებს. უფროსი ბიჭი 4 წლისაა, ესმის, რომ დედა პატარა დაიკოს ელოდება და ცდილობს, დაეხმაროს. თეთრად შეღებილ უბრალო ხის მაგიდაზე საუზმეს შლიან, ფორთოხლის წვენით სავსე გრაფინი, მაღალი, გამჭვირვალე ჭიქები, ახლადმოხარშული, ქაფქაფა ყავა, თეთრი ფაიფურის სარძევე, ტოსტერში დაბრანული პუ-

რის ნაჭრები, ნატურალური თაფლი, კარაქი – პატარა, ბლაგ-ვპირიანი დანით... კმაყოფილი და გამოძინებული გამოვდივარ ვერანდაზე, ცოლი მიღიმის და ჰაეროვან კოცნას მიგზავნის, ჩემი ბიჭი მორბის „მამიკო, მამიკოს“ ძახილით.

დავიღუპე! ეს ყველაფერი სულელურ სარეკლამო რგოლად დამრჩება, მსგავსი არაფერი მეღირსება ცხოვრებაში. თუმცა, ჩემი სპერმით იქნებ ხელოვნურად გაანაყოფიერონ ჩემი მომავალი ცოლი, ბავშვები მეყოლება, მაგრამ სად გინდა იშოვო ქალი, რომელიც იმპოტენტს გაჰყვება ცოლად? ხომ ვამბობდი, დავიღუპე-

ამასობაში უნივერსიტეტამდე ჩამოვაღწიე. ქურთუკის ჯიბეში სიგარეტის კოლოფი მოვისინჯე. ამან დამღუპა, ამის ბრალია ყველაფერი, მორჩა, აღარ მოვწევ! რას წერდა ის ჭკვიანი ქალი? თუ შეატყვეთ, რომ თქვენს პარტნიორს ერექცია შეუსუსტდა, შეეცადეთ, მოწევა მიატოვებინოთო. ჰოდა, შეეცდები კი არა, აუცილებლად მივატოვებ. ოღონდ – ხვალიდან. ერთი ღერი ამოვიღე და მოვუკიდე. უკუღმა ჩამიდია სიგარეტი. აღარ მინდა.

– უკაცრავად, ხომ ვერ მომიკიდებთ? – სიმპატიური გოგოა, დაახლოებით 20-22 წლის, უბრალო, მამაკაცური პერანგი აცვია, მესამე ღილამდე შეუხსნია და დაახლოებით მეორე ზომის ძუძუები მოუჩანს. თხელი, შუაზე გადაყოფილი თმა მხრებამდე სცემს. ჯიბიდან სანთებელას ვიღებ, ჩხაკ, ერთხელ ჩამოვკარი, არ აინთო. მეორედაც – ისევ ვერა. ვწითლდები, გოგოს სიგარეტის ღერი პირში უდევს, ოდნავ წინ გადმოხრილა და მოთმინებით მელოდება. კიდევ ერთხელ ვცადე, ისევ უშედეგოდ. გოგო ხელს ხელზე მკიდებს და მოულოდნელად თამამად მართმევს სანთებელას, მერე ზურგს მაქცევს და ჩხაკა-ჩხუკს აყენებს. უშედეგო მცდელობებით გადაღლილი ჯინსებში ჩატენილი უკანალით ტკბობას აღარ მაცლის და გაბრაზებული მიბრუნებს სანთებელას.

– უკაცრავად, არ ვიცი, რა დაემართა, ალბათ, გაფუჭებულია. – მორცხვად ვუბოდიშებ. გოგო გამგმირავი მზერით მა-

ჯილდოებს, მეოთხე ღილიც ჩახსნია, ძუძუები ლამის გადმოყაროს, აშკარაა, ლიფი არ აცვია. წელში გამართული ამაყად მშორდება.

კარგა ხანს დაბნეული ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მშორდება ჩემი სირცხვილის მოშხნრა. მინდა დავეწიო და ავუხსნა, რომ სულაც არ მინდოდა მისი გაბრაზება, რომ მზად ვარ ვემსახურო, იქვე ჯიხურში ვიყიდო ახალი სანთებელა და მოვუკიდო, მეტიც – მთელი კოლოფი სიგარეტი ვაჩუქო. მაგრამ გოგო უკვე შორსაა და ვიცი, არც არასოდეს გამოვედევნები, უბრალოდ, ეს ჩემი მორცხვად გამბედავი ფანტაზიებია და მეტი არაფერი.

ვარაზის ხევს ჩავუყევი. იმ ქალმა ხომ ურჩია თანასქესელებს, თქვენი მობერებულ-დაუძლურებული მაჩოები ფეხით ატარეთ, სისხლის მიმოქცევა გაუუმჯობესდებათ და ლოგინში ვულკანებს ამოგიფრქვევენო. ჰოდა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია ჩემს მანქანას, ამ კვირაშივე გავყიდი, სულ ფეხით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვივლი და იქნებ მეც მეშველოს. ნეტავ იმ დროს, ჩემზე უფროს, მანქანიან ბიჭებს რომ შევნატროდი, მაგათ რა უჭირთ, ნაშებს კუს ტბაზე საკუთარი მანქანით აიყვანენ და... ახლა მანქანაც მაქვს და საკუთარი ბინაც, მაგრამ რად გინდა!

ზოოპარკთან მძაფრი, უსიამოვნო სუნი მეცა. ეგზოტიკური ცხოველების განავალი გაზაფხულობით განსაკუთრებით ყარს. შესასვლელში ბუშტები, ნიღბები და სათამაშოები იყიდება. ქალები ბავშვებს ასეირნებენ. აქა-იქ კაცებიც გამოერევიან, შვილები ხელში აუტატებიათ და წარბშეკრულები იხდიან მამის მოვალეობას. ნეტავ რა არ მოსწონთ, აი, ჩემს დღეში რომ იყვნენ, წარბის შეკვრა და მოშხამული გუნება მერე ენახათ! უნებლიეთ ჩემს თეთრსარაფანიან ცოლს დავუწყე ძებნა. გაშტერებული კარგა ხანს ვიდექი, სანამ ტალახიანმა BMW-მ არ მომაჩერა ცხვირწინ და საყვირს გაბრაზებული „მოგიტყან ცოლ-შვილი" არ მოაყოლა. სახეზე სისხლი მომაწვა, თუმცა, სანამ რაიმე საპასუხოს მოვიფიქრებდი, მძღოლმა აქსელერა-

ტორს მიაჭირა და გმირთა მოედნის ქვეშ, გვირაბში შეაქროლა მანქანა. მოიცა, იარე მაგ მანქანით, პირიდან სიგარეტი არ გააგდო და თუ ჩემს ჭკვიან სექსოპათოლოგ ავტორს დავუჯერებთ, ჩემს ცოლს კი არა, მალე საკუთარსაც კი ველარ მოტყნავ წესიერად! კმაყოფილი ავუყევი აღმართს.

***

მეორე დღეს სამსახურთან, მანქანების გაჩერებაზე გაბრაზებული დარაჯი დამხვდა, შემახსენა, სადღეღამისოდ არ ვმუშაობთ და მეორედ თქვენი მანქანა აქ არ დატოვოთ, თორემ პასუხს არ ვაგებო. ბოდიში მოვუხადე, რა უნდა მექნა.

მთავარი რედაქტორის კაბინეტში შევედი, კარი გამოვიხურე და რატომღაც ხმადაბლა დავუწყე ლაპარაკი, თითქოს ვიღაც გვისმენდა. ვთხოვე, დამატებითი ფული მჭირდება და იმ ქალთა ჟურნალის კორექტურა მე ჩამაბარეთ, სანამ კორექტორი გამოჯანმრთელდება-მეთქი. რედაქტორმა ინტერესით სავსე მზერა მომაპყრო, კალმით თავი მოიქექა და კეთილიო, დამთანხმდა. გამოსვლისას შევატყვე, რაღაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა. დავაცადე, ნახევრად მოვუტრიალდი და იმანაც გაბედა:

– ფული რაში გჭირდება, ცოლი ხომ არ მოგყავს?

– სხვა დროს გეტყვი, ძალიან სერიოზული ამბავია. – სასწრაფოდ გამოვვარდი ოთახიდან, რომ არ დაენახა, როგორ გავწითლდი.

დერეფანში მძღოლმა მეგობრულად ჩამკიდა ხელი მაჯაში და სამზარეულოსკენ გამიტაცა. სიწითლემ გადამიარა.

– შენა, მანქანას ვყიდი და შემთხვევით ხომ არ გეგულება ვინმე? არაა ცუდ მდგომარეობაში, 1998 წლის გამოშვებაა...

– არა, არ მეგულება. მადლობა. – ხელი გამოვგლიჯე და ჟურნალისტების ოთახში დავბრუნდი. ფოტოგრაფი ბიჭი და ჟურნალისტი გოგო ერთ სკამზე ისხდნენ, თუმცა, გვერდზე კიდევ სამი ცარიელი სკამი იდგა. რაღაც ფოტოებს ათვალიერებდნენ მონიტორზე, ბიჭს ხელი გოგოს ზურგსუკან გაეტა-

რებინა და მაუსს გაჭირვებით სწვდებოდა. გოგო სულ არ ცდილობდა, წინ გადახრილიყო, ან თვითონ დაეჭირა მაუსი. ჩემი შესვლა არ შეიმჩნიეს.

კომპიუტერი ჩავრთე და გუშინდელ სტატიას დავუბრუნდი. თათია ჭედია. ავტორის სახელს მხოლოდ ახლა დავაკვირდი. რამდენი წლის უნდა იყოს? ალბათ, ახალგაზრდაა – თუმცა, ძალიან ახალგაზრდა ვერ იქნება, სამედიცინო უნივერსიტეტებში ხომ სასწაულად დიდხანს სწავლობენ, მერე სანამ ლიცენზიას აიღებენ, წლები გადის. ეს კიდევ უკვე პრაქტიკოსი ექიმი ყოფილა. ესე იგი, ძალიან ახალგაზრდა ვერაფრით ვერ იქნება. სახელიც რაღაც ისეთი ქვია, ცუდად მოფიქრებულ ფსევდონიმს გავს – თათია ჭედია. გათხოვილია ნეტავ? სტატიას ეტყობა, მხოლოდ თეორიული ცოდნით რომ არ შემოიფარგლება ავტორის განსწავლულობა. პრაქტიკა ...

ფოტოგრაფმა ბიჭმა და ჟურნალისტმა გოგომ ვერც ჩემი შემოსვლა შეამჩნიეს და ახლა ისე გადაირივნენ, რომ ჩემი კლავიატურის კაკუნიც აღარ აფრთხობდათ. ბიჭმა მაუსს ხელი აუშვა, გოგოს მაისურის ქვეშ შეუცურა და ზურგზე, ლიფის შესაკრავის არეში დაუწყო ფერება.

ჰო, პრაქტიკა ნამდვილად აქვს, ალბათ, თავისი საქმის ექსპერტია. ბედნიერი ამისი ქმარი, არც თავს მოაბეზრებს და არც თვითონ მობეზრდება. რჩევა, იცოცხლე, სხვისთვის თუ ბევრი აქვს, სათავისოდ კიდევ უფრო მეტი ეცოდინება. ტელეფონი ავიღე და მთავარი რედაქტორის კაბინეტის ნომერი ავკრიფე.

– ჰო, მე ვარ ისევ! – ხმამაღლა მომივიდა. ფოტოგრაფმა ბიჭმა ჟურნალისტ გოგოს მაისურის ქვეშიდან ხელი გამოუცურა და ისე შემომხედა, თითქოს აპარატი გავუხსენი და გაუმჟღავნებელი ფირი გავუფუჭე, – იცი, რა მითხარი, ამ თათია, მოიცა, რა გვარია, ხო, თათია ჭედიას კონტაქტები გაქვთ? რაღაც დასაზუსტებელია სტატიაში, ტერმინოლოგიაა სპეციფიკური და არ მინდა. ძეცდომა გაიპაროს. ა, უკვე გაუშვით? როდის? გუ-

შინ? მერე მე რატომ არ მკითხეთ? ა, ხო, მართალია... კი, ადრე წავედი... ხო, ვერ ვიყავი კარგად... კაი, არა უშავს, ისეთი სერიოზული არაფერია... მოიტა, აბა ნომერი, დავაზუსტებ მაინც, მომავალში გამოგვადგება... კი, ვიწერ... აჰა, აჰა... სამოცდაშვიდი თუ ორმოცდაშვიდი? ა, გასაგებია... კაი, მადლობა.

ფოტოგრაფი ბიჭი ამასობაში ოთახიდან გასულიყო. გოგო ისევ იმ სურათებს ათვალიერებდა. უცებ შემომიტრიალდა:

– გამარჯობა, როგორ ხარ?

ყველაზე რთული კითხვა. ჩემთვის. გავუღიმე.

– თუ გცალია ერთი წუთით, მომეხმარე რა, ფოტოები უნდა ავარჩიო.

ჰმ, კეთილი. გვერდით დავუჯექი. ერთ-ერთ ცარიელ სკამზე. იმ ბიჭის გადაღებული ფოტოები იყო. არც მთლად გადასარევი ხარისხის.

– გელასებია? ეგეთი გადაღაბნილები არ გამოდგება. რა დაემართა ამ ბიჭს, სულ აუშვა.

– ეჭვიანობ? – მიწა გამისკდეს, თუ ვხვდებოდე, იმ წუთას ეს რატომ მკითხა.

– ბატონო?

– შენ გგონია, ვერ ვხვდები, რომ მოგწონვარ? და ახლა გელაზე ეჭვიანობ!

– საიდან მოიტანე? – როგორი მწირი ლექსიკური მარაგი მაქვს, სასწაულია პირდაპირ.

– ჰო, კაი, მომეჩვენა.

– არა, მთლად არ მოგჩვენებია, – გავუღიმე. იმ გახეთქილმა მიწამ თან ჩამიტანოს, თუ ვიცოდე, რატომ.

საღამოს ჩემს მანქანაში რომ ვსხდებოდით, ერთი პირობა გავიფიქრე, ფეხით ხომ არ გაგვესერინა-მეთქი, მაგრამ სადგომის დარაჯი გამახსენდა.

სოფომ მანქანაში სიგარეტს მოუკიდა და კოლოფი გამომიწოდა. მეც ავიღე ერთი ღერი. ანუ, კიდევ ერთი დღით გადავდე ყველაფერი, რისთვისაც აქამდე უნდა დამენებებინა თავი ან სხვანაირად მიმეხედა.

***

ჩემს სასტუმრო ოთახში, ტახტზე ზის. ნახევრად წევს, უფრო სწორედ, მზადაა. ვუნდივარ. შხაპი მჭირდება, დილით არ მიბანავია. სოფო ცოტა მთვრალია. თურმე მარტინიც ათრობს. მაგიდის მეტისმეტად გალაქულ ზედაპირზე თავის თავს ათვალიერებს. ადგომა ეზარება, თორემ სარკე იქვე კიდია, მოპირდაპირე კედელზე. სასაცილოდ, სადღაც ნასწავლი ჟესტებით, სექსუალურად ისწორებს თმას, მერე ისევ იჩეჩავს და ისევ ისწორებს

– სოფო, შხაპში რომ შევიდე, ხომ არ გეწყინება? – სხვა გზა არ მაქვს.

სოფო თანხმობის ნიშნად რაღაცას კრუტუნებს და თმის სწორებას აგრძელებს.

სააბაზანოს კარს შიგნიდან ვკეტავ. უფრო რეფლექსია, თორემ სოფო რომ არ შემომივარდება, ვიცი. თუმცა, ყველაფერია მოსალოდნელი. სასწრაფოდ ვიხდი ტანსაცმელს და პირდაპირ მეტლახიან იატაკზე ვყრი. სასწრაფოდ, ტემპში, სოფო მელოდება. თავის დაბანა აუცილებელი არაა, მხოლოდ ტანი. ესე იგი, ზემოდან ქვემოთ. ყელი, კისერი, მხრები, იღლიები, გულმკერდი, ზურგი, მუცელი. მომეჩვენა თუ უბრალოდ, ცხელი წყალი მესიამოვნა? ამაზე ფიქრის დრო არა მაქვს, სოფოს მობეზრდება ლოდინი და აღარ მოვუნდები. იქნებ აქვე მეცადა? ცხელი წყალი აშკარად მეხმარება. აბა, ჰე, მიდი! სააბაზანოს კართან ვილაც დგას, ვგრძნობ. არა, ნაბიჯების ხმა არ გამიგონია, მაგრამ ვგრძნობ, რომ სოფო კარებთან დგას და მეტიც – სადაცაა სახელურს მოქაჩავს. პირსახოცი სასწრაფოდ წელზე შემოვიხვიე, წყალი არ გადამიკეტავს, ისე გამოვედი კაბინიდან და კარებს ყური მივადე.

– შემოვიდე? – სოფოა. აბა, ვინ უნდა იყოს.

უკან ვიხევ. ვითომ არ მესმის. სოფო კარის სახელურს აწვალებს.

– რა იყო, ჩაიკეტე? – ეცინება. ესეც ნასწავლ სიცილს გავს. მეჩვენება, რომ სოფო სინამდვილეში სულაც არაა მთვრალი.

სასწრაფოდ გავიმშრალე ტანი, ნიფხავი ამოვიცვი, ისევ ის, რომელიც მეცვა და საკეტი გადავწიე. სოფო დგას. თითქმის შიშველი. მხოლოდ ლიფი აცვია. მეტი არაფერი. შემოდის. არა, კი არ შემოდის, პირდაპირ მახტება. კიდევ კარგი, უკან მიხედვას და მანძილის მოზომვას ვასწრებ. უნიტაზზე ვეხეთქები, სოფო კალთაში მიზის და გამეტებით მკოცნის მხარზე, რაც არ უნდა უცნაური იყოს. ხელებს ზურგზე ვხვევ და რასაც გელა დღისით ცდილობდა, მე ვასრულებ – ზურგზე ლიფის შესაკრავს ვუხსნი. სოფო მხრებით იკავებს ლიფს, ეტყობა, არ უნდა, რომ გაიძროს. ერთი წამით ჩერდება, ამღვრეული თვალებით მიყურებს და ახლა მეორე მხარზე მებრდღვნება გამეტებით. ჩემი ტანსაცმელი ისევ იატაკზე ყრია. შარვალი ნახევრად დგას, რკინისბალთიანი ქამარი ცალ მხარეს ექაჩება; ცალი ფეხსაცმელი ამოტრიალებულია, მეორეში ორივე წინდაა ჩაჩურთული; პერანგის სახელოები ისეა მოგრეხილი, კიდევ კარგი, შიგ ხელები არ მაქვს გაყრილი, თორემ უეჭველად მომტყდებოდა. სოფო ჩერდება. ხო, ახლა ჩემი ჯერია. ტუჩებში ვკოცნი. მენთოლის გემო აქვს. ხელს მუცელზე მადებს და ქვემოთ მიაცურებს. მიაცუროს, კი ბატონო. ისევ ვკოცნი და ახლა გამოცდილი დეგუსტატორივით გემოების მთელ ბუკეტს ვარჩევ: მარტინი, სიგარეტი, მენთოლიანი კევი და შუადღეს ნაჭამი რაღაც კერძი. ვერ ვხვდები, რა. ცოტა ხახვიანი, უეჭველად. სოფო ცდილობს, ნიფხავი გამხადოს. უნიტაზზე ოდნავ წამოვიწიე, ცალი ხელით სოფო მიჭირავს, მეორეთი ვეხმარები და ნიფხავი მალე ცალ ფეხზე მაცვია, მუხლს ქვემოთ. ფრთხილად, სოფო რომ არ შევაწუხო ისე ვიქნევ ამ ფეხს, ნიფხავი არ მცილდება, ფეხის თითებზე გამომედო. სოფო ცალე ფეხს მაღლა წევს და შესაშურად იოლად მადებს მხარზე. მოქნილია. ვერაფერს იტყვი. ხო, ჩემი ჯერია. სოფო ცალი ხელით მარჯვენა ბარზაყზე მეყრდნობა, წონასწორობა რომ არ დაკარგოს, მეორე ხელს კი თავზე მკიდებს და თავისკენ მიზიდავს. თუმცა, სანამ ამ თამამ ნაბიჯს გადავდგამდე, სოფო მოულოდნელად დაბლა სწევს იმ ერთ ფეხს და მეტიც – საერთოდ იატაკზე ჯდება. თავი ჩემს მუხლებსშუა

მოუქცევია, და ნელ-ნელა მიახლოვდება, თან ქვემოდან ზემოთ მიყურებს. ლამაზი ფორმის წარბები აქვს. საერთოდ, ლამაზი გოგოა. სოფო მუცლიდან ნელა ჩადის ბოქვენამდე ენით და ჩემი ასოს ნიშვას იწყებს. სად წავიდა ცხელი წყლის ეფექტი. ვცდილობ, ლიფის ბრეტელები გადავუწიო, მაგრამ სოფო არ მანებებს. ცოცხალი თავით არ უნდა ამ ლიფის გახდა, ეტყობა. ახლაღა ვამჩნევ, რომ თავსახურახდილ უნიტაზზე ვზივარ. ცივია ცოტა. სოფო გაჩეჩილ თმას ცალ მხარეს იწევს და ქვემოდან გვერდულად მიყურებს. რა ქვია ამ რაკურსს, არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რომ სოფოს ცხვირიც ლამაზი ფორმისა აქვს. ხო, ნამდვილად ლამაზი გოგოა. კიდევ ერთხელ ვასკვნი. ფეხი დამიბუჟდა. ფრთხილად ვდგები, სოფოს რომ არ შევაწყვეტინო. სოფო მომყვება, ჯერ ისევ მუხლებზე დგას, მერე ფეხზე დგება და ორად მოხრილი აგრძელებს წადგას 45 გრადუსიანი კუთხით ვუყურებ სოფოს უკანალს. ხელს ვიწვდენ და ვცდილობ, მოვეფერო, მაგრამ სოფო მოულოდნელად სწორდება, ჩემკენ ზურგით ტრიალდება და ჩემს ხელებს მუცელზე იხვევს. სახეზე მისი აჩეჩილი თმა მედება, რაღაც ტკბილი სუნი ასდის. სოფო იატაკზე წამომჯდარ შარვალში დგამს ფეხებს და წინ იხრება, სარეცხ მანქანას ეყრდნობა ხელებით. დგას ასე ცოტა ხანს.

– ახლავე! – მეუბნება უცებ და საშხაპეში შედის. სანამ კაბინის კარს დახურავს, რაღაცნაირად მიყურებს.

იატაკზე დაყრილ ტანსაცმელს ვკრეფ და თანმიმდევრობით ვიცვამ – ქვემოდან ზემოთ. ჯერ წინდებს, მერე შარვალს, მერე მაისურს და ბოლოს პერანგს. ფეხსაცმელები ხელში მიჭირავს. სააბაზანოდან გავდივარ.

***

კართან პატარა, გაპრიალებული აბრაა მიკრული წარწერით:

თათია ჭედია. სექსოპათოლოგი.

– მობრძანდით, – კაკუნზე მიპასუხა. კარი გამოვაღე და ოთახში თამამად შევაბიჯე.

– დაბრძანდით, გისმენთ. – არ შევმცდარვარ, ძალიან ახალგაზრდა არ ყოფილა ჩემი ხნისა და ალბათ ოცდაათ-ოცდაექვსი.

– თქვენ ხართ ქალბატონი თათია?

– დიახ, – ოდნავ ეღიმება. ხვდება ეს დამპალი, რომ მის ხელში ვარ, თორემ ასეთ კითხვას არ დავუსვამდი, კიდევ კარგი, თავხედურად არ მომახალა, აბრაზე სახელი ვერ წაიკითხეო.

– ესე იგი, სწორად მოვსულვარ. – ეს იმიტომ, რომ რაღაც ვთქვა.

– გისმენთ, რა გაწუხებთ?

– არაფერი.

– ანუ?

– არაფერი. სექსუალური პრობლემები არ მაქვს.

– ჰოო...

– მართლა არ მაქვს. 32 წლის ვარ, მყავს მეგობარი ქალი, რეგულარულად გვაქვს სექსი... დილის ერექციაც მაქვს, დროზე ადრე არ ვათავებ, პარტნიორს ვაკმაყოფილებ, არ მაქვს არცერთი ვენერიული დაავადება, არც პროსტატიტი... ცოლის მოყვანას ვაპირებ, შვილებიც მინდა. ნუ, ამ საქმეს მალევე მივხედავ, ჯერ ცოტა ფულს დავაგროვებ.

– ჩემთან რატომ მოხვედით? – ისევ ეღიმება. ცოტა სხვანაირად.

– თქვენ თათია ჭედია ხართ?

– დიახ! – ცოტა გამკაცრდა.

– ქალთა ჟურნალისთვის წერთ ხომ სტატიებს?

– დიახ! – ისევ მკაცრია, ცოტა დაიბნა.

– ჰოდა, აქ იმისთვის მოვედი, რომ გითხრათ, თქვენ წერაკითხვა არ იცით, საშინლად წერთ, სტილის გრძნობა არა გაქვთ.

– ბატონო?

– ჰო, მე ჟურნალის კორექტორი ვარ. მართალია, დროებით, იმიტომ რომ ნამდვილი კორექტორი ავადაა და დროებით ვასრულებ ამ მოვალეობას, მაგრამ მე ამასწინათ თქვენი სტატია გავასწორე, და არ შემიძლია არ გითხრათ, რომ საშინლად წერთ. მეტიც – უგემოვნოდ.

– რატომ მლანძღავთ?

ეღიმება ამ დამპალს!

– არ გლანძღავთ, უბრალოდ, სიმართლე მწარეა და თვალებში უნდა ჩახედოთ. პატარა არ ხართ, ზრდასრული ადამიანი ხართ და რაც არ გეხერხებათ ან არ გამოგდით, აუცილებლად თავი უნდა დაანებოთ. ნუ გგონიათ, რომ რახან თქვენი სფეროს სპეციალისტი ხართ, თუმცა ეს კიდევ საკითხავია, რამდენად კარგი სპეციალისტი ხართ, ამიტომ ძალიან ადვილად შეგიძლიათ ჟურნალისთვის წეროთ. ეს მთელი ხელოვნებაა და თავს ნუ მოიტყუებთ, თქვენ ამ ხელოვნების არაფერი გაგეგებათ!

– დამშვიდდით.

აშკარად მოვბეზრდი. ვერ ვაბრაზებ.

– ვერ დავმშვიდდები! ამ ჟურნალს ქალები კითხულობენ... ჩვეულებრივი, რიგითი ქალები და მე არ მინდა, თქვენ მათ უნიჭოდ დაწერილი სისულელეებით გამოუტენოთ თავი. ვერ ხვდებით, რომ თქვენი ნაჯღაბნებით მკითხველებს გემოვნებას უქვეითებთ?

– ჰოო?

ახლა ალბათ სიგარეტს ამოიღებს და მშვიდად გააბოლებს. გადამრევს!

– დიახ!

– დიდი ხანია?

– რა არის დიდი ხანი?

– დიდი ხანია გაწუხებთ ეს პრობლემა?

– რაც თქვენი სტატია წავიკითხე, გუშინწინ, მას მერე გავიაზრე...

– სცადეთ?

– ვცადე, მაგრამ არ გამოვიდა... თქვენი სტატია არ მავიწყდება, რამდენჯერაც გამახსენდება..

– საერთოდ არ გამოგივიდათ?

– არა.

– ბევრს მუშაობთ?

– თქვენისთანა ავტორების წყალობით ჟურნალში საქმე ყოველთვის თავზესაყრელად გვაქვს.

– კეთილი, მოდით, მე რაღაცას დაგიწერთ ფურცელზე. თქვენ ეს ფურცელი თან წაიღეთ, სახლში მშვიდად წაიკითხეთ, წითელი კალმით ჩაასწორეთ და მოგვიანებით დამიბრუნეთ.

– ვითომ ეს მიშველის?

– თქვენ თუ არა, მე ნამდვილად მიშველის. წერას ვისწავლი, შეცდომებს აღარ დავუშვებ და ბოლოს და ბოლოს, აღარ შეგაწუხებთ ჩემი სტატიების სწორებით.

– თქვენ გგონიათ, ამ პრობლემას ასე ადვილად მოევლება?

– დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ თუ ერთმა ფურცელმა არ გაჭრა, ისევ მოხვალთ ჩემთან და ყველაფერს გავიმეორებთ. – რეცეპტების ფურცელზე გამალებით შეუდგა წერას.

– გათხოვილი ხართ?

– რაში გაინტერესებთ? – წამით შეწყვიტა წერა და გაკვირვებულმა ამომხედა.

– არა, ისე...

ზუსტად 3 წუთი წერდა. ბოლოს კალამს თავსახური ჩამოაცვა, ფურცელი მოხია და ღიმილით გამომიწოდა.

– არა ვარ გათხოვილი.

– ყოფილხართ?

– კი.

– თქვენს ქმარს მანქანა ჰყავდა?

– არა.

– მე მყავს...

– კარგი გამახსენეთ, შემთხვევით ხომ არ გეგულებათ, რომ ვინმე მანქანას ყიდდეს? ძველი იყოს, ბევრი ფული არა მაქვს.

– არ ვიცი, მაგრამ გავიკითხავ, სამსახურში.

– წინასწარ დიდი მადლობა.

– არაფერს. ნახვამდის.

***

პირველივე აფთიაქში შევედი. ხომ ვამბობდი, კერძო კლინი-

კა ძვირი დამიჯდება-მეთქი, ჯობდა რომელიმე სახელმწიფო საავადმყოფოში მივსულიყავი, მანდ ძველებურ და იაფ წამ-ლებს გამომიწერდნენ. არა, ფული ნამდვილად მჭირდება. ჯერ მკურნალობა, მერე – ცოლი, შვილები... ეხუმრები შენ?

კრებული „თხუთმეტი-თხუთმეტი“
გამომცემლობა „სიესტა“, 2009

ნინო დარბაისელი

სამარხვო ტორტი

არა, რა!

ეს მარხვა, აღსარება,ზიარება ამისი საქმე არ იყო.

ღმერთისა როგორ არა სწამდა, სახარებასაც კითხულობდა ხანდახან, სანთლებსაც ანთებდა. არც მაინცადამაინც ცუდი საქმეების ჩადენაზე იყო დაგეშილი, მაგრამ, რაღაცნაირად, თან ეღიმებოდა, თან სული ეხუთებოდა, თავსაფრიანი ნამეტანი მორწმუნეები ყველა „ძნელ" კითხვაზე ერთნაირად რომ პასუხობდნენ, ჩემს მოძღვარს შევეკითხები და მერე გეტყვიო.

ეკლესიაში „შეტყუება" ბევრჯერ დაუპირეს დაქალებმა. ეშმაკი გიბორკავს ფეხებს, რომ შადლს გარიდოს, უნდა სძლიოო. ამ ერთხელ წაჰყვა. ჯერ წირვას დავესწროთ, მერე კარგ სამარხვო მარწყვის ტორტზე ვართ დაპატიჟებულიო.

– ეს სამარხვო ტორტი რაღა უბედურებაა, თუ მარხულობ – იმარხულე, თუ არა და... ალბათ, კრემი მცენარეულ მარგარინზეა, მაგრამ ბისკვიტი ხომ კვერცხი, ფქვილი და შაქარია, იქნებ ქათმებმაც სამარხვო კვერცხების დადება დაიწყეს... იცით, რა, წავიდეთ ეკლესიაში, მერე იქაც გაგიყვანთ, მაგრამ ვერ ამოვალ, ჩემი საქმე მაქვს.

შეთანხმდნენ.

იდგა, იდგა ეკლესიაში. აღარ დამთავრდა წირვა. მერე: ამდენი დგომით დავიღალე, ბეჭებში ჩხვლეტა დამეწყო, არ შეიძლება, უკვე წავიდეთო? – შეაპარა.

– არა უშავს, თავიდან ყველა ეგრეა. მერე მიეჩვევი, – ჩასჩურჩულა ერთმა.

– აი, ხომ გითხარი, ეშმაკი არ გასვენებს-მეთქი, ბეჭებზე გაზის, კლანჭით გჩხვლეტს, რომ აქაური მადლი ვერ მიიღო, – მეორემ სასწრაფოდ პირჯვარი გადაიწერა.

იმდენი ჩხვლიტა ამ ეშმაკმა, ვიდრე არ ათქმევინა, თქვენ რაც გინდათ, ქენით, მე წავედი, მანქანა ცუდად მიყენია, რომ მორჩება, ზარი გამოუშვითო და იქვე „ჰაინეკენის“ ბარში არ შეიყვანა.ჯერ გრეიფრუტის წვენი ააღებინა, მერე „ცეზარის სალათი“, ბოლოს – ყინულებიანი „ბეილიზიც“, ყავიან-სიგარეტიანად.

აქ უფრო ადვილი იყო ღმერთზე ფიქრი. ღმერთთან თავისი „კერძო გარიგება“ ჰქონდა:

ადამიანს რაც სხვისი გაუხარდება, ის მოუვა.

კარგი გამიხარდება? – კარგს ვემთხვევი, ცუდი გამიხარდება?– ცუდი არ ამცდება!

ვინც მე უსამართლოდ მაწყენინოს, რაც მე დარდი მაქვს, სულ იმას!

თუ მე ვინმეს უსამართლოდ ვაწყენინო, იმის დარდი – მე!

ძილის წინ, ვიდრე უცნობ-ნაცნობი ადამიანები და ხმები ნელ-ნელა მოგროვდებოდნენ და აირეოდნენ, რომ სიზმარი დაეწყოთ, „მამაო ჩვენოს“ სამჯერ ზეპირად იტყოდა, თავის ამინ-ამინ-ამინებიანად. ეს ჩვევა ბავშვობიდანვე დასჩემდა ლოცვას აზრს კი არ ატანდა, ჩქარ-ჩქარა, ერთი ამოსუნთქვით მოიშორებდა. ხანდახან სიტყვებს არც ამბობდა, გულიდან მთელ სხეულში, თავიდან ფეხებამდე აიტარ-ჩაიტარებდა და გაუშვებდა.

საიქიოზე ბევრი ფიქრითაც არ იტანჯავდა თავს. სამოთხე სხვებისთვის იყო. იქ რა უნდოდა, სადაც ყველა ერთნაირი და ერთნაირად ბედნიერია! ერთნაირობას აქაც ვერ იტანდა. ქალი კი არა, ცოდვების ბუკეტი იყო. რაც უნდა ეწვალა, ჯოჯოხეთი მაინც არ ასცდებოდა, მაგრამ სჯეროდა, სათავისო საქმე იქაც არ მოაკლდებოდა, ან საპატრონო იქნებოდა ვინმე, ან დასალაგებელი იქნებოდა იქაურობა, ან დასახვეტი. კუპრის ქვაბს მაინც მისცემდნენ გამოსახეხად ან.. რა ვიცი, კიდევ რა აქვთ იქ...

მერე, მაგ ქვაბში შენ თვითონ რომ ჩაგაგდონო? რა ვუყოთ, მარტო მაინც არ ვიქნები, სადაც ყველა, იქაც მეო – პასუხობდა.

ეს მორწმუნე დაქალები მაინც არ შორდებოდნენ, ურწმუნოებიც ხომ ბევრი ჰყავდა. თუმცა ვინ იცის, სინამდვილეში, ვინ მორწმუნეა, ვინ – ურწმუნო.

გუშინ კი მაგრად იცინა.

– უი, იცი, რა გავიგე? – ეუბნება ერთი – ვინც აქ ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარია, საიქიოშიც ერთად იქნებიანო.

– და, უი – რატომ?

– რატომ და, ოცდასამი წელია, ჩემს ქმარს აქ ძლივს ვუძლებ, მეგონა, იქ მაინც დავისვენებდი. რა აიტანს მაგას სამარადისოდ! ან შარშანწინ ის ჯვრისწერა რას ავიტეხე!

სამი შვილი ჰყავთ. მე – არც ერთი და რომ მყოლოდა, – რა!

გააჩინე, გააჩინე! თავის გაჩენილს ღმერთი არ დაკარგავს, საარსებოსაც მოაყოლებსო.

ასეა, ჯერ გააჩენენ და მერე პამპერსის ყიდვის თავი არა აქვთ. წელებზე ფეხს იდგამენ, ვალებს იღებენ... წინასწარ ხომ უნდა იცოდე, ბავშვის შენახვა რა ღირს, მკურნალობა რა ღირს, სწავლა რა ღირს? ჩაცმა? დასვენება აღარ უნდა?

აი, რომ გამეჩინა... ახლა რამდენისა იქნებოდა? ჰო, თორმეტისა. რამდენი რამე ენდომებოდა! მერე მაგ ასაკში უკვე ისეთი კითხვების დასმა იციან, დამიწყებდა: მამაჩემი ვინ არის, სად არის, რატომ არ მოდის... მერე, ნაბიჭვარს რომ დაუძახებდნენ ისინი, ნაგავი მამები რომ უყრიათ შინ და მაინც მამიანები ~~რომ~~ ჰქვიათ, ან უნდა ჩაეყლაპა, ან უნდა ეჩხუბა. არ იჩხუბებდა? – ვისაც არ დაეზარებოდა, ყველა თავში წამოარტყამდა; იჩხუბებდა? – ხან დაიჭერდნენ, ხან გამოუშვებდნენ და ბოლოს, ვინ იცის, რა გამოვიდოდა, იქნებ წამალზეც შემჯდარიყო. ეგ კი არა, კაი ოჯახის შვილები ხდებიან ნარკომანები...

არა მგონია, გოგო ყოფილიყო. რომ ყოფილიყო? მოიჩიტებოდა თუ არა. ყველა ბგელს გასაგლეჯად მოუნდებოდა, დასწრებაზე იქნებოდნენ. ბით უბეტეს, თუ მამამისს დაემგვანებოდა, სულ კუდში ყოფა შეეკვნა, ვიოლა დეიენერა ბი გამიუ-

ბედურებდა, მერე მეორე დეგენერატი გამოჩნდებოდა, უპატრონოა, შემრჩებაო; მერე კიდევ მესამე... დეგენერატებს რა გამოლევს!

როგორ დავფეხმძიმდი?!

რა ვიცი, თავს ვიცავდი. თებერვალი ხან მოკლეა, ხან გრძელი. ეტყობა, რაღაც ამერია. რომ გადამიცდა, ჯერ ციკლის დარღვევა მეგონა, მერე ტესტერმა ორსულობა აჩვენა.

რა! არ ვუთხარი იმ ბედოვლათს, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი თუ რა? და, რა გააკეთა? ჯერ რაღაც მომენტში სახეზე კმაყოფილებამ გადაურბინა, მერე – ჩემი არ იქნება, მე რა ვიცი, ვისიაო. თანაც, ჩემები არ ვიცი, სად გადავყაროო, ვითომ ხუმრობით. ძალიანაც კარგად იცოდა, მაგის მეტი არავინ მყავდა, მაგრამ კაცი ოხერია. შენ ჭკვიანი ქალი ხარ, რამეს მოიფიქრებო. ჰო, როცა უნდოდა, ჭკვიანი ვიყავი, როცა უნდოდა – სულელი. მერე ვითომ ქალაქგარეთ საქმეები ჰქონდა, ერთი კვირა არც მოსულა, არც დაურეკავს. რამდენი ხანი მეცადა!

აბორტი კერძოდ გავიკეთე. მარტო წავედი. არ მქონდა ამ კლინიკების თავი. ვითომ ანალიზებს გიკეთებენ, რეაქტივები მაგათ არა აქვთ და არაფერი. ტყუილად სხვადასხვა კაბინეტებში დაგარბენინებენ, რომ რაც შეიძლება, მეტი შეგაწერონ, ტყუილ დიაგნოზებს გისვამენ, მერე ძვირიან წამლებს გაყიდინებენ, მაინცადამაინც იმ აფთიაქში მიდი, სხვის წამალს არ ვენდობითო, აფთიაქებს წილში უსხედან... მოკლედ, რა!

– პირველია?– მეკითხება გინეკოლოგი – შვილები გყავთ?

მერე ჰაერის ჩაუსუნთქავად უბერავს:

– დედობა ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. დედობის უფლება აქვს ყველა ქალს და თუ მცირეოდენი საშუალება მაინც არსებობს, ქალმა ნაყოფი უნდა შეინარჩუნოს. გარდა ამისა, ფეხმძიმობა დადებითად მოქმედებს ქალის ფიზიოლოგიაზე და სიმსივნური წარმონაქმნების ბლოკირებას, შემთხვევათა უმრავლესობაში კი. საერთოდ გაქრობას უწყობს ხელს, ხოლო შეწყვეტილი ფეხმძიმობა. მითუმეტეს ქირურგიული ჩარევით... ბლა, ბლა, ცლა...

უცხოურ ფილმებში დამნაშავეს რომ ბორკილის დადებამდე უფლებებს აცნობენ, ისეა, მაგრამ აქ ტონი ვითომალერსიანია და სადღაც, სიტყვებს იქიდან გრძნობ, ეშინია, ნათქვამი მართლა ჭკუაში არ დაგიჯდეს და კარზე შენი ფეხით მოსული კლიენტი არ დაეკარგო.

ადგილობრივი ანესთეზიის პირველი ნემსი მწარედ ვიგრძენი, სარკის ჩადგმაც, ყელის გახსნაც, ვითომ ძალიან არ უნდა მტკენოდა, მაგრამ მეტკინა.

– დედიკო, გეხვეწები, ეს გამისინჯე, რა! –კარი იღება. ჯამიანი გოგო შემოდის, ასე თორმეტი წლისა, ცოტა მობიჭო, ეტყობა, მამას ჰგავს.

– რამდენჯერ გითხარი, როცა ვმუშაობ, ხელს ნუ მიშლი... კარგი, შემოდი – თან წითელპომადიან პირს უფჩენს.

ტყაპ!– და გაწვდილი კოვზიდან ვარდისფერი კრემის ნახევარი თეთრი ხალათის გულისპირზე ეცემა.

– ოოხ, ფეთხუმო, მომშორდი, მომშორდი! – რეზინის ხელთათმანიანი ხელი აუქნია – მარწყვი შიგ ჩაათქვიფე? უხდება სიმუავე, მაგრამ მეტი აღარ უყო, ძალიან გაგითხელდება და ბისკვიტს ვერ დაიჭერს, ცოტა ხანს მაცივარში შედგი, უფრო კარგად წაესმება... და მათემატიკას მიხედე, ხვალ გაგიძახებს, იცოდე ! – მიაწია კარში გასულს.

– აი, ბედნიერი! – ვფიქრობ მე – გაიზრდება, რამდენი დაფეხმძიმდება, მოვა სახლში, დედამისი აქვე, მუქთად გაუკეთებს აბორტს, ალბათ, ამხანაგებსაც დაპატიჟებს საღამოობით აბორტზე, როგორც ტორტზე...

ო...ო, რა შვებაა ასეთი სულელური ფიქრი გამოუვალ მომენტებში!

იმის მერე მარწყვის ტორტს ხომ დასანახავად ვერ ვიტანდ, მგონია, ზედ მარწყვები კი არა, კოლტებია.

აღარ დამთავრდა და აღარ დამთავრდა ეს ფხეკა. კი ამბობდა, ხუთ წუთში მოვრჩებიო, მაგრამ გეგონება, ოპერაციას კი არ ატარებს, სადგურის მოსაცდელში ზის და ლაპარაკით ერთობა:

– ნოემბრიდან მოყოლებული, ზამთარი მკვდარი სეზონია, ნამშობიარევი ყელი ნაკლებად სპაზმურია და უფრო ადვილია, ნუ იძაბები, ღრმად ისუნთქე, გენაცვალე! ყველაზე მეტი სამუშაო მარტ-აპრილში მომაწყდება ხოლმე, ვერ ავუდივარ, ცოტაც და, მოვრჩებით, კაცი ხომ სულ ძაღლია და ძაღლია, მაგრამ ამ დროს ქალი და კატა ერთია...

მე კი კბილები და ღრძილები ერთიანად მეტკინა. მაგრად დაჭერისაგან ყბა მიკანკალებს, მომუშტულ ხელისგულებში ფრჩხილების ჩანარჭობები მტკივა, არათითზე ფრჩხილიც მომტეხია.

ერთი ჭიქა მინერალური დამალევინა, კარის შუშაში ჩავიხედე, ჭიქაში ცხვირსახოცის წვერი ჩავასველე და ყბამდე ჩამოსული ტუშის შავი ნიაღვარი მოვიწმინდე. ცხვირიც ზედ მივაყოლე.

– კარგი გოგო ხარ, – მეუბნება – დღეს, ხვალ, ზეგ ათი აბი ანტიბიოტიკი დალიე! რომელი?! რა ვიცი, რომელიც უფრო გიხდება. თუ პრობლემა გექნა, რა დროც იქნება, დამირეკე!

– შემდეგი, მობრძანდით! – მომაყოლა ხმა, ბინის ჰოლში მომლოდინე ქალებიდან ერთი წამოდგა, ღრმად ჩაისუნთქა და საქმიანი სახით ჩამიარა. ეტყობოდა, ახალი არ იყო იქ.

წვიმდა. მუცელში სიმჩატეს და სიფუღუროვეს ვგრძნობდი. აფთიაქთან გავაჩერე. უცებ იქვე ცარიელი, ღია საპარიკმახერო დავინახე, შევედი, თმა პირდაპირ ბიჭურად შევაჭრევინე. იმის მერე აღარც გამიზრდია.

შუაღამემდე მთელ გულ-მუცელში დაუსრულებლად მიმეორდებოდა გადატანილი. დროდადრო მუხლი მიხტოდა, სახსრები და ბარკლის უკანა მყესებიც ყრუდ მტკიოდა. მერე როდის-როდის ჩამეძინა. შუა ძილში რაღაც წარმოუდგენელი სიამოვნება, არა, ნეტარება ვიგრძენი, სითბო შემომეხვია თავიდან-ფეხებამდე. მერე თითქოს ვიღაცამ უკმეხად ხელი მკრა. გამელვიძა და კისრამდე სისხლში ვწოლილვარ!

ორი კვირა ლოგინში ვეგდე. გადასხმებს სახლში მიკეთებ-

დნენ. ამასობაში გარეთ ნამდვილი გაზაფხულიც დადგა...

მობილურმა დარეკა. უპასუხოდ გათიშა.

არა უშავს, ცოტა დაუცადონ! „ბეილიზის“ განიერ ჭიქაში ჩარჩენილი ყინულები ერთი აკვრით პირში შეიყარა, გააკნატუნა, ბოლო სიგარეტს მოუკიდა და ღრმად ჩაისუნთქა.

ის ჩემი კაცი?! გამოჩნდა. გამოჩნდა და მოუნდა ისევ ძველი ამბები. სცენებიც მომიწყო, ხან შემაშინა, ხან იტირა, ერთი შანსი კიდევ მომეცი, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთო.

ცხოვრებაში სუფთა ფურცელი არ არსებობს. ყველაფერი თავიდანვე ერთგან იწერება, მერე გინდა გადახაზე, გინდა ჩაასწორე, გინდა იქვე გადაათეთრე, წაშლით კი არაფერი იშლება...

ჰო, ის მერე სულ გაფუჭდა. საქმეებიც უკან-უკან წაუვიდა. მიხვდა, რომ კარგი ტოტი ჩამოუტყდა, მაგრამ მორჩა!

ღმერთი?!

სულ ასეა. თუ ღმერთზე ფიქრს გაჰყვები, როგორც არ უნდა იარო, ბოლოს მაინც ადამიანამდე მიხვალ; თუ ადამიანზე ფიქრს – ღმერთამდე.

ან იქნებ ეს სულაც ერთი და იგივეა?

„ლიტერატურული პორტალი“
2009

ერეკლე დეისაძე

99

1.

ისინი ქალაქის ერთ-ერთ პროვინციულ კლუბში გავიცანი. მათი სახელებიც კი მახსოვს: ნუცა, თაკო და ნატა. პირველად ამ უკანასკნელს გამოველაპარაკე. საოცარი წვიები ჰქონდა. დავინახე თუ არა, სხეულის ყოველი უჯრედით ერექციაში ჩავიძირე. ეს არც გადამეტებული სიმთვრალის ბრალი იყო და არც იმ ექსტაზისა, რომელმაც იმ დღეს ბოლო მომიღო.

ხშირად მიფიქრია, ის სამი ალქაჯი რომ არა, როგორ წარიმართებოდა ჩემი ერთფეროვანი ცხოვრება. არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, როცა სხვისი მოწყენილობა შენი მხიარულების მიზეზია. თითოეულ ჩვენგანს აქვს უფლება, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ჩაიდინოს რაიმე ამორალური, რათა საკუთარ ძალებში დარწმუნდეს.

ჩემს შემთხვევაში ყველაფერი სწრაფად მოხდა. არ ვიცი, რა კრიტერიუმებით შემარჩიეს მილიარდობით მამაკაციდან მაინცდამაინც მე. მე ხომ ერთი ჩვეულებრივი ტიპი ვარ, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ბიურგერი, რომელიც ემის გაჟიმვაზე ოცნებობს. ემი ჩემი დის სახელია და იგი ბავშვობაში განგებამ ქვედა კიდურების ამპუტაციით დაასაჩუქრა. ემი ბალიშს ჰგავს, ინვალიდის ეტლზე დაგდებულ ბალიშს, ოღონდ ხელებიანს. მის ადგილას თავს უბედნიერეს ადამიანად ვიგრძნობდი, ვინაიდან იგი არ დგას ისეთი ყოველდღიური საფრთხის წინაშე, როგორიცაა ქუჩის გადაკვეთა. მას არ სჭირდება ფრჩხილების დაჭრა, ფეხსაცმლის მაღაზიებში წანწალი

და სხვა უამრავი რამ, რაშიც ბევრი დრო და ფული იხარჯება. ემის არასოდეს გააყოლებენ თვალს ანანისტი ბიჭები და არასოდეს ინატრებენ მასთან ჟიმაობას. მისდამი ჩემი დამოკიდებულება კი თანაგრძნობაა, ყველაზე დიდი და გონივრული თანაგრძნობა. რაოდენ ამორალურიც არ უნდა გეჩვენებოდეთ ეს ჩანაფიქრი, მასში მაინც არსებობს სიკეთისა და ბედნიერების მარცვლები.

ის ახლა სახლშია, ინვალიდის ეტლზე დევს და, შესაძლოა, თვითმკვლელობაზეც ფიქრობს.

სამაგიეროდ, არ ვიცი, რას ფიქრობს ნატა, თვალებში ჩაციებით რომ მიყურებს და თავის ორ მეგობართან ერთად ელის ჩემს პასუხს კითხვაზე:

– მაქვს თუ არა სპერმა?

– რაში გჭირდებათ?

– საინტერესო შეკითხვაა, – ამბობს ნუცა და თაკოს თვალს უკრავს.

– მე ავუხსნი, – ჩურჩულებს ნატა.

მსგავს სიტუაციებში ყოველთვის თავშეუკავებელი ვხდები. ამჯერად კი ცნობისმოყვარეობა ყველაფერზე წინ დგას. ადამიანებს ეს თვისება რომ არ ჰქონდეთ, სამყარო, ალბათ, სხვანაირი იქნებოდა.

– მოკლედ, ჩვენ უშვილო დედების არშემდგარი სექტა ვართ.

როგორც ჩანს, ისეთ სიფათს ვკერავ, რომ თვითონვე ხვდება – თხრობის ფორმა უნდა გაამარტივოს და უფრო გასაგებ ენაზე ამიხსნას, რა უნდათ ჩემგან.

თაკო დახმარებას ცდილობს და სიტყვას ართმევს:

– რელიგია არაფერ შუაშია, სექტას პირობითად ვამბობთ. საუბარია იმ არც თუ ისე სასიამოვნო ფაქტზე, რის გამოც ვერასოდეს დავფეხმძიმდებით და ვერც შვილს გავაჩენთ.

მინდა გული ამიჩუყდეს, თუმცა არ გამომდის. ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დგება ტრაგიკული მომენტი. ასეთ დროს მარტოობა ორმაგად ამძაფრებს ტკივილს, მაგრამ როცა სხვა ადამიანს ხვდები, რომელსაც იგივე პრობლემა აწუხებს, ერთიანდებით და ტრაგედიის კომედიად ქცევის ალბათობა უფრო მეტია, ვიდრე თვითმკვლელობისა.

კარგი იქნებოდა, ინვალიდთა კავშირი რომ არსებობდეს, მაშინ ემი აღარ მოიწყენდა. წარმოიდგინეთ ათეულობით ინვალიდის ეტლი და მათზე დადებული ცოცხალი ბალიშები, რომლებსაც ხელები აქვთ და მეტყველება შეუძლიათ.

დღესდღეობით მსოფლიოს მთავარი პრობლემა უნდობლობაა. გაერთიანება ნებისმიერ საკითხშია აუცილებელი, რათა ადამიანს ფიქრისთვის დრო არ ჰქონდეს, სწორედ ფიქრია თითოეული ჩვენგანის უბედურების მიზეზი.

ჩემს შემთხვევაში კი, ჯობია, ინსტიქტს მივყვე.

– მე რაში გჭირდებით?

ნუცა ჩუმად ზის. მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. გარემოს აკვირდება და შემდგომ აანალიზებს. აცვია შავი ელასტიკი, რომელიც ორმაგად მიმზიდველს ხდის, ჭკუას კარგავს ტინტო ბრასის ფილმებზე... მისი ცხოვრების დევიზია – დაიმონე მამაკაცი!

– ჩვენ შენი სპერმა გვჭირდება, – ამბობს ნატა, – ერთი კვირის წინ, თაკოს უცნაური ხილვა ჰქონდა, უშვილო ქალების მფარველი ქალღმერთი გამოეცხადა. ეს არ იყო მოჩვენება ან სიზმარი, ეს იყო ხილვა და მან დავალება მიიღო.

– რა დავალება?

– სამივემ ერთი და იმავე მამაკაცის სპერმით უნდა გამოვიხეხოთ კბილები.

გული არ მერევა. პირიქით, ყოველთვის მიზიდავდა მსგავსი რიტუალები, ამჯერადაც დაუოკებელი ინტერესი მკლავს და ნელ-ნელა ვხურდები.

– და შედეგი?

– არ ვიცით, რა შედეგს მოიტანს, მაგრამ ვიცით, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდება და ჩვენს ცხოვრებასაც მიეცემა აზრი.

– მე რატომ ამირჩიეთ?

– ეს ჩვენი გადასაწყვეტი იყო. როცა დაგინახეთ, მაშინვე მივხვდით, რომ შენ შეგიძლო, დავალების შესრულებაში დაგვეხმარებოდი.

– გამოდის, რომ ინტუიციას ეყრდნობით?

– ინტუიციას არა, უფრო – რწმენას, – ჩურჩულებს ნუცა.

2.

როცა თინეიჯერი ხდები, შეუძლებელია, შურისძიების აუცილებლობაზე არ დაფიქრდე. სამყაროსათვის ომის მოგება იოლი არაა, მაგრამ შანსი გეძლევა, გამარჯვების კვარცხლბეკზე ერთხელ და სამუდამოდ ახვიდე და შუა თითი აწიო. ეს უფრო მეტია, ვიდრე გამარჯვება. მთავარია, გჯეროდეს, რომ ყველა ანდაზა მცდარია, ყველა მითი სიცრუეა, ყველა ზღაპარი, რომელსაც მშობლები ძილის წინ გვიკითხავდნენ, ნეხვის ჭამაა და სხვა არაფერი. ესაა მცდელობა, შევურიგდეთ სამყაროს, რომელსაც ისტორიისა და რელიგიის ბინძური ნიღაბი აქვს აფარებული, რათა მისი ნამდვილი სახე არ დავინახოთ. როცა ეჩვევი გვირაბს, რომელშიც მხოლოდ სიბნელეა, მოულოდნელი მზის შუქი თვალებს გტკენს და ასეთ დროს სახეზე ხელს იფარებ, ძილის წინ წაკითხული ყოველი ზღაპარი ბნელი გვირაბის გაგრძელების მცდელობაა, ეს კი საკმარისზე მეტი მიზეზია, რომ შურისძიება მშობლებისაგან დავიწყოთ...

არაერთხელ მიფიქრია მშობლების ჩაძაღლებაზე. მე ვწოვდი ძუძუს, რომელიც, შესაძლოა, სექსუალური აქტის დროს მამაჩემს ედო პირში... აბაზანაში ბანაობისას, იმავე საპნით, რომლითაც, შესაძლოა, დედაჩემმა გაუპარსავი ფანჩარი გაიქაფა, მე საკუთარ პენისს ვეალერსები. ეს სექსის ახალი ვარიაციაა. საპონი ინცესტია. და მაინც, ამ ყველაფერს მივესალმე-

ბი, ისევე, როგორც დაიკოს ფარულ მასტურბაციებს, რომელთა წარმოდგენისას სიცილისგან შარვალში გამდის.

ალქაჯებს მომდევნო შეხვედრის დეტალებზე ვუთანხმდები, სანაცვლოდ სამივე მათგანი ჰაეროვან კოცნას მჩუქნის. შინ გამთენიისას ვბრუნდები. ემი ტელევიზორს უყურებს. ჩემს დანახვაზე ყვითელ კბილებს შუქნიშანივით ანთებს და ქრისტეს პოზას იღებს. ორჯერ მკოცნის. მე – არცერთხელ. ძალით ვუღიმი, რადგან ღიმილის მიზეზი არ მაქვს: წინ სამი არც თუ ისე მარტივი მისიის შესრულება მელის, სამი ონანიზმი, სამი ორგაზმი და სამი ალქაჯის ანთებული გული. ეს უკვე არ არის ხუმრობა.

3.

„ჯობდა, რამე სხვა ვყოფილიყავი, რამე ისეთი, რასაც ინსტინქტები არ აქვს, თუნდაც მსხვრევადი. ყველას სამაგიეროს მიღებისა და სიამოვნების სურვილი ამოძრავებს. ძალიან ზედაპირული და ბუტაფორიულია ეს ყველაფერი, თითოეული ნაბიჯი", – ეს თაკოს სიტყვებია, ესემესით მონაწერი. დაზუსტებით ვერ გეტყვით, რისი თქმა სურდა, თუმცა რა აუცილებელია, ყველაფერი დაზუსტებით ვიცოდეთ, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება.

თაკო: დაბადების ადგილი – ევრაზია. აღმსარებლობა – გაურკვეველი. სიმაღლე – საშუალო. წონა – 50-ზე მეტი და 100 კგ.-ზე ნაკლები. აქვს მოკლედ შეჭრილი კარე, უყვარს სიგარეტი, ტომ იორკი და მშობლები, უსმენს PJ harvey-ს. უცნაური თვისება: ყოველ დილით იხეხავს კბილებს.

პირველი მისია მზის ამოსვლამდე შევასრულე, ზუსტად ერთი საათით ადრე საგულდაგულოდ ჩაკეტილ სააბაზანოში, ოცი წუთის განმავლობაში ვაწვალებდი საკუთარ სირს, რომელიც ~~გენერალივით~~, გაიმართა წელში და ამაყი იერით ჩახედა

მინის პატარა ქილას. შემდეგ უზრდელი ბავშვივით ჩააფურთხა შიგნით და ისევ მოითენთა.

პროცესს თან ახლდა ძლიერი შთაგონება, ნატას წვივების სახით.

ეს საუკეთესო ონანიზმი იყო ჩემს ცხოვრებაში.

4.

რეალობა მხოლოდ თვალებიდან აღიქმება, შინაგანი სამყარო ხშირად ამისთვის მზად არ არის. ეს ავარიაა ინდივიდსა და გარე სამყაროს შორის. აი, რატომ აქვთ ადამიანებს გახრილი წამწამები. ჩვენ ხშირად ვქოლავთ საკუთარ სურვილებს და ინსტინქტებით ვებრძვით თვალებიდან აღქმულ რეალობას.

მე ჩემი რეალობა მაქვს, რომლიდან გამომდინარეც დღეს ნატას უნდა შევხვდე და ძღვენი მივართვა. შეხვედრის ადგილი დიდი ქართველი მწერლის ძეგლია.

ტრანსპორტი გაჭედილია. ახლა დაიწყება რხევები და სექსის უხეში იმიტაციები. ასეთ დროს საჭესთან მჯდომ ღმერთზე ვფიქრობ, რომელიც დიდი ხნის დაუბანელი და მოუწესრიგებელია. ღმერთს პირობითად ვამბობ, რადგან ათეულობით სუბიექტის სიცოცხლე მოცემულ მომენტში ერთ ადამიანზეა დამოკიდებული და ყოველი მგზავრისათვის უცნობია მისი სულიერი თუ ფსიქიკური მდგომარეობა. მას შეუძლია ერთი არასწორი მოძრაობით ყველანი ჩაგვაძაღლოს. ამ ფაქტს კი უმალ ტერორისტულ აქტად ან მსგავს სისულელედ მონათლავენ მავანი თანადედამიწელები.

ღმერთმა შემიწყალა, უფრო მეტიც, იგი იმდენად კეთილი და გულისხმიერი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მგზავრობის საფასურს დასჯერდა.

რაც შეეხება ნატას, ის უხეშად ლამაზად გამოიყურებოდა. დარწმუნებული ვარ, ნიუტონი ცოცხალი რომ ყოფილიყო, მიზიდულობის ახალ კანონს აღმოაჩენდა, ვინაიდან იმ მომენტში ნატას დედამიწაზე მეტი მიზიდულობის ძალა ჰქონდა.

5.

ძღვენი მივართვი...

დიდხანს არ გვისაუბრია. შეხვედრა, ძირითადად, რამდენიმე კითხვა-პასუხით შემოიფარგლა. ამ მცირე დროის განმავლობაში ოთხჯერ გამეპარა მზერა მისი ძუძუებისკენ და ოთხივეჯერ ამიდგა. ნატამ სამჯერ შეამჩნია უბეგამობურცული შარვალი და სამივეჯერ ხუთი კბილი გამოაჩინა.

ორივე ბედნიერი ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბედნიერების ათვლის წერტილი ის ადგილია, საიდანაც სხვების უბედურება იწყება.

წასვლამდე ძეგლს უყურებს და მეკითხება, მომწონს თუ არა ჩვენ ზემოთ აღმართული მწერლის მოთხრობები. მე ვპასუხობ, რომ „99“ ჩემი უსაყვარლესი მოთხრობაა.

ნატა თვალს მიკრავს და ტაქსს აჩერებს.

ღმერთთან პირისპირ, – ვეუბნები საკუთარ თავს და სიგარეტს ვუკიდებ.

6.

(მცირე ლირიული გადახვევა)

ეს არის ომი. ორ ტირანს შორის. ერთს იმდენად მოსწონს მეორის სამყარო, რომ ყველა გზით ცდილობს თავის სამყაროს შეუერთოს და ორივეზე გაბატონდეს – აი, რას ეძახიან სიყვარულს ინტელექტუალი სირები, რომელთა უმრავლესობა დღეს შავი სამოსითა და გამჭვირვალე ფერადი სათვალეებით დადის ელიტურ „ტუსოვკებზე“, კითხულობს ბესტსელერად ქცეულ წიგნებს, გადაჭარბებული დოზით ღებულობს ყავასა და სიგარეტს, თესავს ჭორებს, იმკის სტატუსს, ყოველდღიურად იბეჭდება ბულვარულ ჟურნალებში. სამყაროს კიდევ ერთხელ რომ შეახსენოს საკუთარი არსებობა, საუბრობს სოციალურ პრობლემებზე, ცხოვრების უსამართლობასა და ღმერთზე. იხსენებს მძღნერში გათქვეფილ ვითომდა უმწიკვლო წარსულს, მონაწილეობს სატელევიზიო შოუ-გადაცემებ-

ში, წარბშეუხრელად გიკითხავს მორალს პირდაპირი ეთერით, გაძლევს რჩევებს, როგორ უნდა იცხოვრო და, თუ მეხსიერებამ არ უღალატა, ორიოდე სიტყვას უცხო სიტყვათა ლექსიკონიდანაც მოიხმარს...

შეიძინეთ ყვითელი პრესა! უთხარით „არა" ტუალეტის ქაღალდს! დაიცავით ბუნება!

7.

ნუცა კოკაინთან მეგობრობს. მე – ქრისტესთან. ქრისტე ცაში ცხოვრობს, ნუცა – დედამიწაზე. ქრისტემ სისხლი ჩვენი ცოდვებისთვის დაღვარა. ნუცამაც დაღვარა სისხლი, ოღონდ ასაკის გამო. ნუცას სხვისი ცოდვები არ აინტერესებს. სამაგიეროდ, აინტერესებს ახალი გზები ერთადერთი მიზნის მისაღწევად: რაც შეიძლება მეტი მამაკაცი ოცნებობდეს მის გაყიმვაზე. ნუცას შემთხვევაში ეს არც ისე რთულია, რადგან როცა ძუძუები ასაკს წინ უსწრებს, ყველაფერი თავისით ხდება.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ ღამით (მხედველობაში მაქვს მეორე მისიის შესრულება) რამდენიმე საათით მეც დავუმეგობრდი კოკაინს. ეს ნახევრადჩაბნელებულ ოთახში მოხდა, სადაც ჩვენ გარდა არავინ იყო, თუ არ ჩავთვლით ჩართულ ტელევიზორს, რომელიც კუთხეში იდგა და ტექნოკრატიის ეპოქაში სულ ადვილად ასრულებდა ახალი ადამიანის როლს.

სანამ მაგიდიდან თეთრ ფხვნილს ნესტოების საშუალებით ვითვისებდი, ნუცას შეუიარაღებელი თვალი ამაოდ ცდილობდა მაგიური სპერმის ანალიზი ტელევიზორის შუქზე განეხორციელებინა...

რამდენიმე წუთის შემდეგ სხეულში ცვლილებები დაგვეწყო. ნუცას ხელი საცვალში ჩაეყო და თითებით ბოქვენის კანს ისრესდა. ქვედა ტუჩი კბილებს შორის მოექცია და კა-

ტის კნუტივით კრუტუნებდა. მისი ყოველი ამოსუნთქვა ჩემში მიძინებულ ცხოველს აღვიძებდა. თითები თმებში შევუცურე და მთელი ტანით მოვზიდე. ნერწყვით შესველებული სირი თავისუფლად მოძრაობდა მის ღრძილებს შორის. გადავწყვიტე, კლიტორი მომეწუწნა. ფეხები გავაშლევინე და თმის ხვეულებზე ენა ავუსვი. ეს ნუცასთვის ახალი განზომილება იყო. იგი მთელი სხეულით თრთოდა, როცა ენის წვერი ფართოდ შევუყვანე ვარდისფერ ჭრილში. ენის შემდეგ კი, მისივე ნერწყვით შემაგრებული ჩემი სირი გზასაცდენილი მატარებელივით მიემართებოდა ნუცას გვირაბში. ყოველი ბიძგის დროს მხურვალე ჰაერს სახეში მაორთქლებდა. დროდადრო პირის ღრუში ვეჭრებოდი და საკუთარი პენისის გემოს ვგრძნობდი.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთი და ერთდროულად გავათავეთ...

8.

ბოლო დროს კოვზებსა და ჩანგლებს ტარზე შარდის სუნი ასდით. ეს ხდება იმ დროს, როცა შინ არ ვარ და ჩემი დაიკოს ფანტაზია ისევე უსაზღვროდ ფართოვდება, როგორც მისი სწორი ნაწლავი და მიმდებარე ორგანოები. ამ დილით ერთ-ერთი ჩანგლის ტარზე სისხლის კვალიც კი აღმოვაჩინე. შინ ვეღარ ვსადილობ. ყველა ნივთს ეჭვის თვალით ვუყურებ. ყველაფერს, რასაც მოგრძო ფორმა აქვს, ჯერ დეტალურად ვსწავლობ და შემდეგ დანიშნულებისამებრ ვიყენებ: ტელევიზორის პულტს, ტელეფონის ყურმილს, სახატავ მარკერს... საკვები პროდუქტებიდან: ძეხვს, კიტრს, სტაფილოს და ა.შ. და ა.შ. მეტროთი მგზავრობის დროსაც კი მხოლოდ ზემოხსენებულ პროცესზე ვფიქრობ. შეუძლებელია ამაზე არ იფიქრო. უფრო მეტიც, მომენტალურად სურვილიც კი მიჩნდება, ფეხზე გიჟივით წამოვხტე და თანამგზავრებს ვაუწყო: „მავანო თანაქალაქელნო, ეს გვირაბი სინამდვილეში ჩემი დის სწორი ნაწლავია, ხოლო ჩვენ მეტროს ვაგონში კი არა, ტელევიზორის

პულტში, ტელეფონის ყურმილში ან სახატავ მარკერში ვიმყოფებით-მეთქი...

აი, როგორ მიდის თანამედროვე ადამიანი ფსიქიკურ აშლილობამდე...

9.

დილის ათი საათია. მაღვიძარა ყურში ჩამწუის. საბნისგან ხელის ერთი მოქნევით ვთავისუფლდები. ჩაცმას არ ვჩქარობ. ფანჯარას ვაღებ. ოთახში ცივი ჰაერი შემოდის. როგორც ჩანს, ემიმ გაიღვიძა. მისი ოთახიდან შოპენი ისმის, სამზარეულოს იატაკი ნესტიანია. იძულებული ვხდები, ჩავიცვა..

ყავა მზადაა...

დღის გეგმაც მზადაა...

მინის ცარიელი ქილაც და, რა თქმა უნდა, მეც.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შოპენის ფონზე ოდესმე დაგინძრევიათ? ალბათ ამაზე ამბობენ– მაქსიმალური შედეგი, მინიმალურ დროში.

დღეს ჩემი მისია იწურება, თაკოს „მაკდონალდსში" ვხვდები...

„მაკდონალდსი" არის დაწესებულება, სადაც ყველანაირი ჯურის ხალხს შეხვდებით. შესაძლოა არ გიყვარდეს ამერიკა, მაგრამ გიყვარდეს „მაკდონალდსი". ამ დაწესებულებაში უმეტესად სქელტრაკა სუბიექტები იკვებებიან, კოხტაპრუნა გურუები, მეშჩანი მანდილოზავრები და შვილები მათი...

10.

ცა ვარსკვლავებით არის სავსე, მე და თაკო – იარაღის მჭიდებით. ორივეს გრძელი პალტოები გვაცვია და შავ სათვალეებში ტელევიზორიდან გადმოსულ „მატრიცას" გმირებს ვგავართ. ეს ვიზუალური თვალსაზრისით, თორემ თბილისური ღამისათვის – ჰოლივუდიდან გამოქცეული მისტერ და მისის სმიტები უფრო გვეთქმის.

– როგორ ფიქრობ, შოუს სრულყოფილებისთვის ოცდაოთხი მჭიდი საკმარისია? – მეკითხება თაკო.

– სავსებით, – სრული თავდაჯერებულობით ვპასუხობ.

– მაშინ, მოემზადე, სამ წუთში შევდივართ.

ეს არ იყო ძარცვა. ეს იყო ხოცვა-ჟლეტა, რომლის დროსაც ბოროტებამ სიკეთის ნიღაბი მოიხსნა და გვამებს შორის გამარჯვების ცეკვა წამოიწყო. ჩვენ არავის ვინდობდით. მნიშვნელობა არ ჰქონდა სქესსა და ასაკს. გართობის მიზნით, მომსახურე პერსონალიდან რამდენიმე ცოცხლად დავტოვეთ და შემდეგ ვაიძულეთ, გვამებით ახალი მენიუ მოეფიქრებიათ. თამაშს „მკვდრების მენიუ“ დავარქვით. გარდაცვლილთა უმრავლესობას ტყვია თვალში ვესროლეთ, კედლები და იატაკი ერთმანეთში ათქვეფილი ტვინებითა და სისხლით შევღებეთ. უსარგებლო ნივთებივით ეყარა მკვდრები და მათ საყლაპავ მილებში გაჩხერილი ლუკმები... ჩვენ დიდხანს ვნატრობდით, მსგავსი სანახაობა რეალურ ცხოვრებაში გვენახა.

პოლიცია და მასმედია ერთდროულად მოვიდა. შენობა ალყაში მოაქციეს და გვიბრძანეს, მორგად ქცეული სამოთხე თავზეხელებდაწყობილებს დაგვეტოვებინა. ასობით იარაღის ლულა და ტელეკამერა იყო ჩვენკენ მომართული. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს იმ მომენტში ღმერთსაც ვინტოვკა ეჭირა და ღრუბლის მიღმა ანგელოზებთან ერთად ჩასაფრებულიყო...

მეგონა დედამიწაც შეწყვიტა ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო და გადამწყვეტ მომენტს ელოდა. მდინარეებმა დინება შეწყვიტეს, ვულკანებმა – ამოფრქვევა. სამყარო ერთ წერტილში გაიყინა. ხომ გახსოვთ, ბეთლემის ცაზე მანათობელი კაშკაშა ვარსკვლავი, ქრისტეს დაბადებას რომ იუწყებოდა. დაახლოებით მსგავსი ნათება გაჩერდა „მაკდონალდსის“ თავზე.

განტვირთვის მიზნით ამ ყველაფრის პარალელურად, მე და თაკომ შენობის საპირფარეშოში ვიჟიმავეთ ყველა მოკლულის სახელზე; ყველა იმ ჟურნალისტისა და პოლიციელის სახელზე, რომლებიც გარეთ გველოდნენ. ვიჟიმავეთ ერთმანეთის სახელზე და ა.შ. და ა.შ.

სექსის შემდეგ უკანასკნელად ვაკოცეთ ერთმანეთს და დანაღმული ჟილეტები მოქმედებაში მოვიყვანეთ... (ალილუია! 3-ჯერ)

მკლავზე ვიღაც მჩქმეტს, უაზრო ტკივილს ვგრძნობ და თვალებს ვახელ.

ბალიში ილრიჯება...

– გაიღვიძე, ვიღაც გოგო გესტუმრა, მოკლედ შეჭრილი კარე აქვს და ძალიან უხდება.

11.

მამა გვიან გარდაიცვალა. შესაბამისად, დედაც გვიან დაქვრივდა. მე თოთხმეტი წლის ვიყავი, ემი – ერთის, გარდაცვლილი – ოცდათხუთმეტის. მიუხედავად ამისა, მისთვის ოცდათხუთმეტი წელიც ძალიან ბევრი იყო. თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ჩემგან განსხვავებით კი, ემი უმამობას განიცდიდა. როცა წამოიზარდა, საფლავზე სიარული დაიწყო. მე ერთადერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც გასვენების დღეს. რატომღაც მეტჯერ მისვლის სურვილი არ გამჩენია.

დედამ სამოც წელს რომ მიაღწია, უმაქნის ხორცის მასად იქცა. სამსახურიდან გამოაგდეს და დაბალი პენსია დაუნიშნეს. მისი ყოველთვიურად შენახვა კი გაცლიებით ძვირი მიჯდებოდა. გადავწყვიტე, მოხუცებულთა თავშესაფარში ჩამებარებინა. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე და იმ დღის შემდეგ, რაც ჩანაფიქრი განვახორციელე, ერთხელაც არ მიგრძვნია სინდისის ქენჯნა. პანსიონატში მისამართიც არასწორად მივუთითე, რომ დედის გარდაცვალებას (ადრე თუ გვიან) პრობლემები არ შეექმნა. ემი ამ საქციელს არ მპატიობდა, მაგრამ დედის შენახვა დამოუკიდებლად არც მას შეეძლო, მე კი არ ვაპირებდი, ჩემი შემოსავლების ნახევარი წყალში გადამეყარა. მშობლები მანამ უნდა დააფასო, სანამ შენზე ზრუნავენ და სურვილებს შეძლებისდაგვარად გისრულებენ, ხოლო როცა ისინი ამ შესაძლებლობას კარგავენ, თავიდან უნ-

და მოიშორო. დედამ არაფერი იცის იმ ვითომდა უბედურების შესახებ, რომელიც თავის ქალიშვილს შეემთხვა. არც ჩვენ ვიცით მოხუცი დედის ბედი. შესაძლოა, მოკვდა კიდეც. ბოლო დროს მივხვდი, რომ ჩემთვის დაიკოც ტვირთია, მაგრამ მას ერთი კარგი თვისება აქვს: როცა თავს ცუდად ვგრძნობ და დეპრესია მერევა, საკმარისია გავაშიშვლო და ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ემის ღირსება ამპუტირებული ქვედა კიდურებია. ის ჩემი ანტიდეპრესანტია.

თაკოს გუშინდელი სტუმრობა მოულოდნელი იყო. მოსალოდნელი იყო სტუმრობის მიზეზი, რაც პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა მესამე მისიასთან.

ონანიზმმა რამდენიმე წუთით დამაბრუნა ღრმა ბავშვობაში და უამრავი მივიწყებული დეტალი ამოქექა არაცნობიერი ფოლდერიდან. მაგრამ ეს ახლა არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ მისია პირწმინდად შევასრულე და მოუთმენლად ველოდები რიტუალის ფინალს.

ღამით ცუდად მეძინა, თვალწინ „მაკდონალდსის" კადრები მედგა ნაცნობი სიზმრიდან. რაღაც დაჟინებული სურვილიც კი გამიჩნდა, ყოველივე რეალობად ვაქციო. ემი ამბობს, რომ თვალები შემიშუპდა, ღამით კი უცნაურ რამეებს ვბოდავ. ყველაზე მეტად რისიც მეშინოდა, ის მოხდა. მე ფიქრი დავიწყე.

12.

რამდენიმე დღეში ნატას კბილების ცვენა დაეწყო. იგივე სიმპტომი ჰქონდათ ნუცას და თაკოს. ცოტა ხანში სამივე მათგანს დასცვივდა კბილები, ღრძილები კი უსაშველოდ დაუგრძელდათ და კვერცხისებური მოგრძო ფორმის უცხო სხეულები ჩამოეზარდათ. ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ყველაფერი ერთ თვეში დასრულდა. პირველად ნატამ იმშობიარა, შემდეგ ნუცამ, სულ ბოლოს კი – თაკომ.

ამ პროცესს მშობიარობა მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგან ეს იყო ახალი ქართული რასის დაბადება.

ათი სანტიმეტრის სიგრძის ლორწოვან სხეულებს, რომლებიც ღრძილებიდან იშვნენ, ჰქონდათ ადამიანის აღნაგობა, მაგრამ არ ჰქონდათ სქესი.

ჩვენ ამჟამად ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და სამაგალითოდ ჰარმონიული ოჯახი ვართ დედამიწის ზურგზე. მათ შესახებ არავინ არაფერი იცის, ისინი იზრდებიან ყველასგან მივიწყებულ გეტოში, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ დატოვებენ და ამ საზიზღარი ქალაქის ცხოვრებაში დადგება ყველასთვის არასასურველი და სისხლიანი დღე...

ისინი მეორე ბრძანებას ელიან.

პირველი ბრძანება პირწმინდად ზუსტად შეასრულეს. როცა ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი დადგა, მე, ახალ სამყაროში მყოფი, მივხვდი, რომ აქ ემის ადგილი არ იქნებოდა. ამიტომ როგორმე თავიდან უნდა მომეშორებინა. ჩვენი ახალშობილები მშობლების განავლით იკვებებოდნენ, თუმცა მშივრებმა ინვალიდ გოგონაზეც არ თქვეს უარი.

ეს ყველაფერი საგანგებოდ ჩაკეტილ საკუჭნაოში მოხდა, სადაც ჩემს დაიკოს გამოვემშვიდობე და პირზეალიკაპაკრული დავტოვე ახალი ქართული რასის პირისპირ...

13.

შუადღის სამი საათი არის დრო, როდესაც ახალი რასა თვლემს, ტელევიზორი კი ის ნივთია, რომელსაც ამ დროს ვიყენებთ. მე და ჩემი სამი ალქაჯი გვერდიგვერდ ვსხედვართ. ჩვენ ჩუმად ვართ, ტელევიზორი – არა. ეკრანზე ანაფორაში გამოწყობილი თეთრწვერა მოხუცი (მას ყველა „უწმინდესს" უწოდებს) დინჯი იერით გვამცნობს აპოკალიფსის დადგომას და ანტიქრისტეს გარეგნობის სკრუპულოზურად აღწერით არის დაკავებული.

კარზე ზარია...

ერთმანეთს დაძაბული ვუყურებთ. რა თქმა უნდა, არცერთი ჩვენგანი არ ელოდება ვინმეს. ჩვენი გაოცების მიზეზიც ეს არის. როცა არავინ არაფერი იცის. ასეთ დროს სიჩუმე ყველა-

ზე აუტანელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიცი, რომ კარები უნდა გავაღო და ასეც ვიქცევი.

იქ თეთრწვერიანის მიერ აღწერილი პიროვნება დგას. ერთი ნაბიჯით უკან ვიხევ.

– შეიძლება? – მეკითხება.

– სტუმარი ღვთისაა, – ვპასუხობ.

„ლიტერატურა"
ივლისი, N26, 2009

თეა თოფურია

სახლი

„მკვდრები დაბრუნდნენ“

რეზო გეთიაშვილი

ჯეკა ეზოს ბოლოს, თავშესაფარში იჯდა და ელოდა, სახლში როდის დაიძინებდნენ. გარეთ უკვე სიბნელე იყო და არ უნდოდა, დედას პურის საყიდლად გაეშვა. ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ღამღამობით სიარული, რადგან პურის მაღაზიამდე ჯერ კაფე-მოჩვენება უნდა გაევლო, სოხუმის ერთ-ერთი ცნობილი კაფე. ადრე მთელი ქალაქი იქ იჯდა, ქვიშაზე მოდუღებული ყავის დასალევად, მაგრამ ომის დროს ყუმბარა მოხვდა და მისგან არმატურის ნაჭერიც აღარ დარჩა. ამბობდნენ, რომ მოსაღამოებულზე, როდესაც მზე გადადის, ბევრი ისევ ხედავს იმ ცნობილ კაფეს, სადაც ხალხი ჩვეულებრივ ზის, მასლაათობს და ოფიციანტებსაც ყავის ფინჯნებით გატენილი სინები დააქვთ.

ჯეკას არ ახსოვდა, პირველად ვისგან გაიგო ეს ამბავი, მაგრამ მოსაღამოვებულზე კაფეს სიახლოვეს გავლას ერჩია, იმ ორმოში ჩაკეტილიყო, მამამისმა თავშესაფრისთვის რომ გათხარა.

სახლში კარგა გვიან დაბრუნდა. ჩუმად შეწვა ლოგინში. ჯეკას შიშს ოჯახში ანგარიშს არავინ უწევდა, მხოლოდ დასცინოდნენ. ჯეკაც ყოველთვის მარტო იყო თავის შიშთან, იქნებოდა ეს კაფე-მოჩვენება თუ ბასკერვილების ძაღლი, რომლითაც ძმა აფეთებდა მაშინ, როდესაც კიდევ უფრო პატარა

იყო. ბავშვობიდან ეშინოდა, მაგრამ არა იმისთანა რაღაცეების, რისაც ბავშვებს ეშინიათ ხოლმე, მაგალითად,ობობის ან ბნელი ოთახის, არამედ იმ საგნების, რომელიც გარშემო ერტყა. ჯეკას არ ახსოვდა, მაგრამ უყვებოდნენ, რომ როდესაც სოხუმში ჩამოვიდნენ და ამ სახლში დასახლდნენ, ჯეკა ყველაფერზე ისტერიულად კიოდა და ყვიროდა, შეეძლო, ერთი სკამის დანახვაზეც ჩაბჟირებულიყო. სასტიკად ეშინოდა ამ სახლის, მისი ავეჯის, კარებების, ფარდების... დილით თვალის გახელისთანავე იწყებდა კივილს. ღამე ხშირად გამორბოდა ეზოში და იქ სადმე იძინებდა. რამდენჯერ უძებნიათ ნახევრად შიშვლებს ხის ქვეშ თუ ფარდულში მიწოლილი ბავშვი. სწორედ მაშინ იყო დიმამ ბასკერვილების ძაღლის ამბავი რომ მოიგონა. ექვსი წლის ჯეკა ღამე გარეთ გამოიყვანა, დიდი დათვის თანავარსკვლავედი დაანახა და უთხრა, რომ ეს ბასკერვილების ძაღლია, რომელიც ღამღამობით მიწაზე ჩამოდის და ყველაფერს გლეჯს. მას შემდეგ ჯეკა ხშირად შემორბოდა სახლში ყვირილით, ბასკერვილების ძაღლი მომსდევსო. „ზუსტად იმხელაა, რამხელაც ცაზე", ამბობდა და თან ბარიკადებს აგებდა კარებთან. ეს ბარიკადებიც წინასწარ ჰქონდა გამზადებული და თუკი ოჯახში რამე ნივთი დაიკარგებოდა, იქ უნდა გეძებნა. იქ ეძებდნენ ოჯახის ყველაზე პატარა წევრს, სიმონიკასაც, რომელიც სულ ბარიკადებში თამაშობდა. ჯეკას ბუნდოვნად ახსოვდა უმცროსი ძმა, ის მალევე დაიღუპა.

აგრბების ოჯახი სოხუმში ომის შემდეგ ჩამოვიდა და მაშინვე ამ ვეებერთელა სახლში დასახლდა. სახლი დანგრეული ქალაქის ცენტრში იდგა, ორსართულიანი და მიტოვებული. განუკითხაობა იყო, ქართველებმა მაშინ ყველაფერი დატოვეს და აფხაზებს სადაც უნდოდათ, თავისუფლად შედიოდნენ. აგრბები აქ შემოვიდნენ და როგორც აღმოჩნდა, ძალიან იღბლიანადაც. ეს ერთ-ერთი საუკეთესო სახლი იყო სოხუმში. გასაკვირიც კი ჩანდა, მათ ჩამოსვლამდე რომ არ დაიკავეს. შერე გაირკვა, რომ ეზოში შესვლის ეშინოდათ, რადგან ბევრმა ქართველმა წასვლისას წინკარში ნაღმები ჩაფლა.

ჯეკას ჩამოსვლა არ ახსოვდა, დიმა ეუბნებოდა, რომ დიდხანს იარეს. დიმა უფროსი იყო, ბევრად უფროსი და ჯეკას ყოველთვის ჩურჩულით ელაპარაკებოდა. ჯეკა ძმას ძალიან იყო შეჩვეული, რადგან მთელმა მათმა ბავშვობამ ბრილიანტების ერთობლივ ძიებაში გაიარა. ამ ბრილიანტებზე სოხუმში ლეგენდები დადიოდა. როდესაც აგრბებმა სახლი დაიკავეს, აღმოჩნდა, რომ მის პატრონს იქიდან ვერაფრის წაღება ვერ მოესწრო. ის კი არა, სუფრაზე საჭმელიც აულაგებელი ეწყო, ზედ ბუზებით. მეზობელი ყვებოდა, რომ ისინი უცებ წამოცვივდნენ დაბომბვისას, გარეთ გავიდნენ და მერე ვეღარ მოტრიალდნენ, რადგან გაირკვა, რომ ქალაქი უკვე ეცემოდა. თან არაფერი ჰქონდათ პურის საჭრელი დანის მეტი. ეტყობოდა კიდეც სახლს, იქ აგრბებს ყველაფერი ხელუხლებელი დახვდათ, არ იყო მხოლოდ დიასახლისის სამკაულები, რომლებზეც, მთელი სოხუმი ლაპარაკობდა, განსაკუთრებით, უზარმაზარ ბრილიანტზე. ამბობდნენ, რომ მას ერთი გემის ფასი ჰქონდა. ეს ბეჭედი ყველას ახსოვდა, მიუხედავად იმისა, რომ მას პატრონი ძალიან იშვიათად იკეთებდა.

აგრბებმა ორივე სართული ყირაზე დააყენეს. ეზოშიც ეძებდნენ, ჭერშიც. ბრილიანტები არსად იყო. უფროსები შეეშვნენ, მაგრამ დიმას ბოლომდე სჯეროდა, რომ სახლის პატრონებს სამკაულები არ წაუღიათ და ისევ ეძებდა. მთელი ბავშვობა დიმას და ჯეკას სხვა არაფერი უკეთებიათ. სკოლიდან მობრუნებულები მაშინვე შეიკეტებოდნენ და ნახაზებს ჩაჰყურებდნენ. დახაზული ჰქონდათ შენობა, ეზო, ფარდულები. ყველგან ეძებდნენ, სადაც კი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი შეიძლება შეტეულიყო. შემდეგ საღამოობით ქანცგაწყვეტილები მიეყრებოდნენ და ოცნებობდნენ:

– გემს ვიყიდი და წავალ ამ დანგრეული ქალაქიდან. აქ რა უნდა გავაკეთოთ. აქაურობას მომავალი არა აქვს. იცი, როგორ ცხოვრობენ მოსკოვში? იქ ქვეყანაა, ჩვენ სადა ვართ, ფრონტზე, მერე რა, რომ აღარ ისვრიან... როგორც კი ვიპოვით, ერთი გემი და ჰაიდა. კაბის ყიდვაზეც არ ღირს გაჩერება,

იტალიაში ჩავალთ, იქ კაბების მეტი რა არის. იცი, იქ რამდენ გოგოს ჰქვია ჯეკა?!

დიმას ოცნება გემი იყო, ჯეკასი – კაბა. კაბა იმიტომ, რომ მუდმივად შარვლები ეცვა. როგორც ჩანდა, მათ მოსვლამდე ამ სახლში ბიჭი იზრდებოდა და დედასაც ჯეკასთვის ახალი ტანსაცმელი არასდროს უყიდია. იმას აცმევდა, რაც ოთახებში და კარადებში იპოვა. სულ ასე ეცვა, ბიჭის შარვალი, ბიჭის პერანგი, ბიჭის ფეხსაცმელი...

სოხუმიდან წასვლა დიმამ მას შემდეგ აიკვიატა, რაც მათ ეზოში ხუთასკილოგრამიანი ბომბი ჩამოვარდა. დედა იხსენებდა, ისეთი ხმა ჰქონდა, გეგონებოდა, ბომბი ჩამოვარდაო. სასაცილო იყო. მართალია, არ აფეთქებულა, მაგრამ იმხელა ღრმული დატოვა, რომ შემდეგ უფროსმა აგრბამ სწორედ ამ ღრმულში მოაწყო თავშესაფარი, რკინის ოთახი საჭმლისა და წყლის მარაგით. თუ რამე, მთელი ოჯახი იქ უნდა დამალულიყო. მანამდე კი, სანამ საგანგებო კომისია იმას შეისწავლიდა, ეს ძღვენი ჩვეულებრივ ბოსტანში საიდან აღმოჩნდა, მთელი ოჯახი გარეთ გამოყარეს და ერთი თვე საკუთარი სახლის წინ კარავში ცხოვრობდნენ. ეზო წითელი ლენტებით იყო შემოღობილი. ბომბი დაშალეს და ნაწილ-ნაწილ გაიტანეს. თუმცა მოგვიანებით ჯეკამ მაინც იპოვა რამდენიმე ნამსხვრევი, ერთ მათგანს ყელზე ჩამოკიდებულსაც ატარებდა. დიმამ ყველაფერი შეინახა, რაც ბომბისგან დარჩა, ამბობდა, თუ როდესმე საზღვარგარეთ მოვხვდი, სუვენირებად გავყიდიო.

– ვის რად უნდა დაჭმუჭნული რკინა? – იცინოდა უფროსი აგრბა.

– როგორ თუ რად უნდათ, ყველას ეზოში კი არ ცვივა ბომბები.

* * *

დილაუთენია ჯეკა მაინც გაუშვეს პურზე. დღე არ ეშინოდა, შარვალი ამოიცვა და გავარდა. კაფესთან დედაბერს ჩვე-

ულებრივ ეძინა. ეს ქალი ყოველ ღამე აქ ათენებდა. შვილი ჰყავდა მკვდარი და იმედი ჰქონდა, იქნებ კაფეში მაინც დავინახოო. ჯეკა ხუთი პურით დაბრუნდა უკან. სახლში მდგმურები ჰყავდათ, ვიღაც ბერძენი დამსვენებლები და დედა ყველასთვის ერთად აკეთებდა საჭმელს.

– სხვენზე ადი და კომპოტები ჩამომიტანე, – დაავალა სახლში მისულს.

ჯეკა აიმრიზა.

– ვერ ავალ.

– ვის ვეუბნები!

– ვერ ავალ, მეშინია.

დედა მკაცრად შემოტრიალდა:

– იცოდე, შენი სისულელეები არ გამაგონო. გინდა, სტუმრები დაფრთხნენ და წავიდნენ?! მერე რითი იცხოვრებ. ახლავე ადი!

ჯეკა სლუკუნით დაიძრა, თან სიმღერა წამოიწყო. ასე იმხნევებდა თავს. სხვენების, სარდაფების, მსგავსი მიყრუებული ადგილების ყოველთვის ეშინოდა. ახლა მით უმეტეს, როცა სახლი საგიჟეთს დაემგვანა. რა დროს დამსვენებლები იყო?! ჯეკამ ხელის კანკალით ჩამოიტანა კომპოტის ქილა სამზარეულომდე.

თავიდან ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აგრბების ოჯახის ყველა წევრს შეგრძნება გაუჩნდა, სახლში ჩვენს გარდა კიდევ ვიღაცაა. დიმა ირწმუნებოდა კიდეც, ღამღამობით ნაბიჯების ხმა მესმისო. დედას მაშინ ცრემლები მოადგა თვალზე, ეგონა, რომ მისი პატარა სიმონიკის სული წრიალებდა ასე, შინაურებს მონატრებული. სიმონიკი წლების წინ ზღვაში დაიხრჩო. ჯეკას არც ახსოვდა, მხოლოდ ის დღე აგონდებოდა, როდესაც გაგუდული და სველი ბავშვი ოთახში შემოიტანეს და დედამ ისტერიულად იკივლა.

თუმცა ნაბიჯების ხმა ბავშვისას არ ჰგავდა, ხოლო ერთ დღეს აგრბებს საერთოდ თავზარი დაეცათ. სარეცხის თოკზე, რომელიც ეზოში იყო გაჭიმული, დედამ სრულიად უცხო

ქალის კაბები იპოვა. სველი ტანსაცმელი არხეინად შრებოდა გაოგნებული ოჯახის წინ.

მერე და მერე აგრბებმა რა აღარ ქნეს. ვის აღარ გამოალოცინეს სახლი, ვინ აღარ მოიყვანეს, მაგრამ შედეგი არავითარი იყო. ღამღამობით ნაბიჯების ხმა ისევ ჯიუტად ისმოდა, ხოლო ორ კვირაში ერთხელ თოკზე მოხუცი ქალის კაბა, თავშალი და ქვედა საცვალი ხვდებოდათ გაფენილი.

ჯეკამ მაშინ ერთი სიცოცხლე გაათავა. მარტოკა დაძინება კი არა, სააბაზანოშიც ველარ შედიოდა მარტო. ყოველ ბანაობაზე მეზობელი გოგო შეყავდა თან.

* * *

შუადღე გადასული იყო, როცა დიმამ მოულოდნელად შემოაღო თავშესაფრის კარები. ჯეკას საშინლად შეეშინდა.

– მე კიდევ შეშინება მინდა?

– ჩაიწიე, დამაჯინე.

ჯეკა გვერდით მიჩოჩდა.

– მისმინე, მოჩვენებები ასე უმიზეზოდ არ ჩნდებიან. როგორც ჩანს, რაღაც აწუხებს.

– რა ვქნათ?

– როგორმე თვითონ უნდა ვნახოთ.

– ვინ?

– ის ქალი.

– დიმა!

– იქნებ, რამე გვითხრას, ვკითხავ და მეტყვის. შენ თუ გინდა, არ წამოხვიდე.

– დიმა!!

– უნდა გავაჩეროთ, სხვა გზა არ არის, იცი სხვა გზა?

– სად ნახავ?

დიმამ ცოტა ხანი იფიქრა.

– ტანსაცმელი ჩამოვუხსნათ. ჩემს ოთახში დავაწყობ, როდისმე მოაკითხავს.

ჯეკამ ამოიოხრა.

მოხუცი ქალის თავშალი და კაბა თოკზე რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა. დიმამ მაშინვე ჩამოგლიჯა ორივე.

– აი, ნახავ, თუ არ მოვა.

სველი ტანსაცმელი დიმას ოთახში, მაგიდაზე დააწყვეს და სკამებზე დასხდნენ.

– მარტო დავხვდები, შენ თუ გინდა წადი, – უთხრა ჯეკას, მაგრამ მერე უცებ დაამატა, – არ წახვიდე.

უკვე კარგად ბნელოდა. ჯეკას მანამდე არასოდეს შეშინებია ასე. სკამიდან ადგა და ზურგს უკან სიცარიელე რომ არ ეგრძნო, კედელს აეკრა.

– სინათლე მაინც ავანთოთ, მეშინია, – უჩურჩულა დიმას.

– მერე მას რომ შეეშინდეს?!

რამდენიმე საათი ასე იყვნენ გაუნძრევლად. უცებ დიმა დაიძაგრა.

– ნაბიჯების ხმა არ გესმის?

– არა, – უთხრა ჯეკამ, – აშკარად ესმოდა, მაგრამ თავის გასამხნევებლად თქვა.

– ახლა მოვა, – დიმაც ადგა და კედელს აეტუზა.

ხმა თანდათან ახლოვდებოდა, მერე უეცრად შეწყდა.

– კარებთან უნდა იყოს.

დიმას ხმა ადამიანისას აღარ გავდა და ჯეკამ რატომღაც გაიფიქრა: „შვილი აღარ გაგვიჩნდება“.

– რა გინდა, ჯეკა? – დაიძახა უცებ ვილაცამ გვერდითა ოთახიდან.

დიმამ და ჯეკამ ერთმანეთს შეხედეს.

მეორე ოთახიდან კივილი მოისმა.

* * *

თავჩაქინდრულები ისხდნენ სუფრასთან და მოხარშულ კარტოფილს ჩაჰყურებდნენ. დედა უკვე მეექვსეჯერ ყვებოდა:

– მეძინა, უცებ კარი გაიღო. მეგონა, ალბათ, ჯეკა დადის-

მეთქი, ჯეკა ხომ დადის ხოლმე ღამით. თავი ავწიე და შიშველი ქალი, მოხუცი, შიშველი ქალი დგას...

საღამოს ისევ თავშესაფარში ისხდნენ.

– მისმინე, ჯეკა.

– გისმენ.

– ვიცი, რატომაც არ შემოვიდა ჩვენთან.

– ...

– შიშველი იყო და ჩემი შერცხვა.

– ...

– მარტო რომ ყოფილიყავი, შემოვიდოდა.

– ...

– ხომ ხვდები?

– არა!

– რას დაგიშავებს, ერთი ბებერი ქალია, თან მკვდარი.

– შემეშვი!

– აბა, რას ფიქრობ?

– ვფიქრობ, რომ შვილები აღარ გაგვიჩნდება.

– რაო?

– შიშისაგან! არ გაგვიჩნდება!

– ...

– არც შენ და არც მე.

* * *

ერთი თვის შემდეგ დიმა ახალი ათონის მონასტერში წავიდა და აღარ დაბრუნებულა, მორჩილად დარჩა. უფროს აგრბაზე შვილის გაქცევამ საშინლად იმოქმედა. მას აფხაზეთის მთავრობაში კარგი ადგილი ეჭირა და სწავლის დამთავრების შემდეგ დიმასაც თავისთან უპირებდა წაყვანას. აფხაზეთში კარგი პატრონი ყველაფერს ნიშნავდა, ფულსაც, მდგომარეობასაც. დიმას ეს ყველაფერი თავისთავად ექნებოდა ლანგარზე მორთმეული, შეიძლება მოსკოვშიც გაეშვათ. მან კი რა ქნა, მონასტერში გაიქცა, მოჩვენების შეეშინდა ამხელა ბიჭს. მოხუცი ქალის ნიფხავმა დააფრთხო. უფროსი აგრბა მთელი ორი კვი-

რა ყვიროდა და ილანძღებოდა, უმეტესად თავის ენაზე. დედა ამბობდა, რომ ეს ენა მან და მამამ მაშინ გამოიგონეს, როდესაც შეყვარებულები იყვნენ. მშობლებს მათი ურთიერთობა არ ნდომებიათ და ამიტომ ასე ჩუმად, თავიანთ გამოგონილ ენაზე წერდნენ წერილებს და ლაპარაკობდნენ. ჯეკას ბევრჯერ შეუსწრია მშობლებისთვის, როდესაც ისინი ამ თავიანთ ენაზე საუბარში იყვნენ გართულნი. ბავშვის დანახვაზე ორივე ჩუმდებოდა და მაშინვე რუსულად აგრძელებდა ლაპარაკს.

ჯეკამ დაინახა, როგორ გამოიტანა მამამ რკინის პალო და როგორ ჩაარჭო ჭიშკრის წინ, ეგ ჩემი შვილი აღარ არის და ამის აქეთ გადმოსული არ დავინახოო. ეს აფხაზურად თქვა, თან ძალიან ხმამაღლა და მეზობლების გასაგონად. ჯეკა მაშინ დღე და ღამე გადაბმულად ტიროდა, მანამდე, სანამ ძილ-ღვიძილი ერთმანეთში არ აერია და რამდენიმე დღე საერთოდ არ ამოუვარდა მეხსიერებიდან.

* * *

ტურისტებს არაფერი გაუგიათ. გარუჯული წყვილი ბედნიერად კისკისებდა აივანზე. ჯეკა ოთახში იყო ჩაკეტილი და წიგნების კარადაში ფიზიკის რვეულებს ათვალიერებდა. ეს რვეულები იმ ბიჭის იყო, ვინც ამ ოთახში ომამდე ცხოვრობდა. სოხუმის სკოლაში ძველი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ და ჯეკა ხშირად პირდაპირ ამ რვეულებიდან იწერდა გამოყვანილ ამოცანებს. თავად გაკვეთილებს არასოდეს ამზადებდა, ამის გამო ერთი და იგივე კლასში რამდენჯერმე ზედიზედ იყო ჩარჩენილი.

– დღევანდელი საშინაო დავალებაა „ერთი დღე ზღვის ნაპირას", – გამოაცხადა დილით ინგლისურის მასწავლებელმა და რკინის ჯოხით დერეფანში გავიდა, რათა სანაგვე ურნაზე მიებრახუნებინა. ნახევარი წლის წინ სკოლაში ელექტროგაყვანილობა გადაიწვა და ახლა ზარს ასე რეკავდნენ.

ჯეკა ფიზიკის რვეულებს მორჩა და ინგლისურზე გადავიდა. „ერთი დღე ზღვის ნაპირას" ეწერა 20 წლის წინანდელ ფურ-

ცლებზე. „ნუთუ, მასაც იგივე მასწავლებელი ასწავლიდა“, – გაიფიქრა ჯეკამ და გადმოწერას შეუდგა. „და თოლიები, რომლებიც მთლიანად იმ ფერის არიან, რა ფერისაც სხვა ჩიტებს მხოლოდ მუცელი აქვთ, სანაპიროზე დასხდნენ და ადამიანებივით თვალი აგვარიდეს“... ამ წინადადებაზე წერა შეწყვიტა და აივანზე ტურისტებს გააკითხა.

– არ გინდათ, ახალი ათონი დაათვალიეროთ? იქ დიდი მღვიმეა, ყველაზე დიდი მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

– შორსაა? – წყვილი მართლაც დაინტერესდა, ჯეკა დაჰპირდა, რომ წაყვებოდა. დედამაც გაუშვა, რას დააკავებდა, ოღონდ ტურისტებისგან რამე სარგებელი ენახა.

საღამოს ძლივს ჩააღწიეს მონასტრამდე, ტურისტები მღვიმეში დაბორიალობდნენ. ჯეკა ძმასთან იჯდა და რკინის პალოს ამბავს უყვებოდა.

– ეგ ვიცი.

– ...

– იმ ქალს ისევ ხედავთ?

– ქალი არც ჩანს, ტანსაცმელი გვხვდება ხანდახან.

– რამდენ ხანში ერთხელ?

– აი, რამდენი ხანიც ტანსაცმლის გაჭუჭყიანებას უნდა.

დიმას გააჟრჟოლა.

– აქაც კი მეშინია.

– მე – იქ.

***

შემდეგი კვირები ჯეკა გაფანტული იჯდა გაკვეთილებზე. უფრო ფანჯარაში იყურებოდა. სკოლის მერე ბიჭებთან თამაშობდა კალათბურთს, სახლში გვიან რომ მისულიყო.

იმ დღეს დედა ჭიშკრის გარეთ დახვდა, პალოსავით.

– როგორ ხარ? – ჰკითხა მიახლოვებისას.

– მოხდა რამე?

– არა, არაფერი.

ღამით ხმაურმა გააღვიძა, აშკარად მიწას ბარავდა ვიღაც.

გადაიხედა. მოხუცი კაცი იყო. სიგარეტს მოუკიდა და დასასვენებლად ჩამოჯდა. ჯეკა გაშტერებული უყურებდა. უცებ ხელი სტაცეს. დედამ მოატრიალა და ფანჯარას მოაშორა.

– არ უყურო!

– ვინ არის, დედა, ეს კაცი?

დედა ხმას არ იღებდა.

ჯეკა დასაძინებლად ისეთ ოთახში გადაბარგდა, რომლის ფანჯრები წინკარისკენ არ გადიოდა. ღამღამობით შორიდან ესმოდა ბარის ჭრიალი, დილით ეზოში ჩასულებს ახალ-ახალი მიწის ნაკვეთები ხვდებოდათ დამუშავებული. ბარიანი კაცის გამოჩენის შემდეგ თოკზე კაბასთან ერთად შარვალ-ხალათიც გაიფინა.

ბარვას, როგორც წესი, შუაღამისას იწყებდა. ჯეკას ესმოდა ბარის ჭრიალი და ბელტების ერთმანეთზე გადაგორების ხმა. ეს ხმა თანდათან მის ფანჯრებსაც მოუახლოვდა და იძულებული გახდა, ახლა სხვა ოთახში გადაბარგებულიყო. ერთი თვის თავზე ოთახებს შორის გამავალ დერეფანში ეძინა. ამ დროისთვის უკვე მთელი ეზო იყო გადაბარული.

***

– დიმა!

ტურისტების მორიგი წყვილი მონასტრის გადასაღებად ბორცვზე აძვრა. ჯეკა და დიმა სტოაში, სახურავის შესარემონტებლად დაწყობილ ქვის ფილებზე ისხდნენ.

– სთხოვე წინამძღვარს, კვეთებულის ლოცვა წაიკითხოს. რამე მოიფიქრე. უკვე ორნი არიან.

– რას შვრება ხოლმე?

– ბარავს.

– მეტი?

– მეტი არაფერი, ბარავს.

დიმამ ამოიოხრა.

– ჩვენი გაგიჟება უნდათ, შურს იძიებენ.

– ვის, დიმა?

– შენ არ გახსოვს, შენ არაფერი იცი, – დიმამ თავი ბრაზით გააქნია და მერე რამდენიმე სიტყვა მშობლების გამოგონილ ენაზე უთხრა, – გაიგე?

– კი, ხომ არ მოგშივდაო, მეუბნები.

– როგორ მიხვდი?

– დედა და მამა ერთმანეში ასე არ ლაპარაკობენ?!

– ჰო, – თქვა დიმამ მწარე ღიმილით და მერე დააყოლა, – დედა, მამა და მთელი დაღესტანი მაგ ენაზე ლაპარაკობს.

***

თვალები დახუჭული ჰქონდა. წყალი გადაივლო. ცოტა ხნით გაახილა, მაგრამ მაინც დაეწვა და ასე ბრმად გააგრძელა მეორე პირი საპნის წასმა.

– დღეს ბიოლოგიაში უჯრედის აგებულება მოგვცეს, – მოესმა მეზობელი გოგოს ხმა, – წყალი მოგაწოდო?

– დამასხი.

– დასაწერიცაა რაღაც, კითხვებზე პასუხი. ცივია?

– კარგია.

– აჰა, პირსახოცი.

ჯეკამ ტანი გაიმშრალა, ფრთხილად გადმოვიდა აბაზანიდან. თვალები გაახილა.

მეზობელი გოგო უყურებდა.

– მშვენიერი ტანი გაქვს, სულ შარვლები რატომ გაცვია?!

ჯეკამ თვალებზე შეისხა ცივი წყალი.

– რა ზომა ლიფს ხმარობ?

ვერ თქვა, ლიფი საერთოდ რომ არ ჰქონდა. პასუხის გაცემამდე ძუძუებზე დაიხედა.

– ორ ზომას, ზოგჯერ – სამს.

მეზობელმა გოგომ თავი დაუქნია.

– არადა აფხაზ ქალებს პატარა მკერდი და წვრილი ტუჩები აქვთ.

– ნუ მიყურებ!

***

– დაღესტანში ვცხოვრობდით. მამას მტერი ჰყავდა, მეზობელი სოფლიდან. მახსოვს ის კაცი, მაღალი იყო და სულ მოხარშული ჭინჭრის სუნი ასდიოდა. მამამ ის და მისი ოჯახი საკუთარ სახლში ამობუგა. მერე ჩვენ გამოვიქეცით. ტყე-ტყე ვიარეთ. მამას მეგობარმა ბოევიკებმა გამოგვიყვანეს სოხუმამდე. შენ პატარა იყავი.

– დედას მოვყავდი?

– მე. დედას სიმონიკი მოჰყავდა. მთელი გზა ჩხაოდი. ტყეში ციყვი დაგიჭირე. გუდაში ჩასმული გეჭირა. გახსოვს ციყვი?

– არ მახსოვს.

– მოგვდევდნენ. მამას ძალიან ეშინოდა. ამ სახლში არავინ შემოდიოდა, მარტო ჩვენ შემოვედით. მამამ თქვა, სულ ერთია, თუ მოგვძებნეს, მაინც დაგვხოცავენო. ყველგან უნდა ვთქვათ, რომ აქაურები ვართო, აფხაზებიო.

– აფხაზები არა ვართ?

დიმამ გაიცინა.

– გვარი შევიცვალეთ?

– სახელებიც. მეც, მამამაც, დედამაც, შენც.

– მე?

– ჩვენი სახლის წინ მიტოვებული კოოპერატივი იყო, ოდესღაც ბიჟუტერიას ყიდდნენ. აბრაზე „ჯეკა“ ეწერა. მამას ეგონა, რომ ჯეკა აფხაზური სახელია.

– ვერ მოგვძებნეს?

– ვერა. თუმცა არ ვიცი, შეიძლება მოგვძებნეს კიდეც, მამა მალევე მოხვდა მთვრობაში. ალბათ უფრო თავი დაგვანებეს, ყოველ შემთხვევაში, ცოცხლებმა მაინც.

– მკვდრებმა?

– როგორც ჩანს, არა.

ჯეკა კარგა ხანს იჯდა გაშტერებული. საღამო იყო. მერე უფრო დაღამდა. ძთვარე რაბდენჯერმე გაქრა და გამოჩნდა.

– დიმა, – თქვა ბოლოს.

– ჰო.

– რამდენი ადამიანი დაიწვა იმ სახლში? კიდევ რამდენი გამოჩნდება?

დიმა შეიშმუშნა.

– ზუსტად არ ვიცი. ღამე მოხდა. ყველა სახლში იყო.

***

სკოლაში ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები მოიტანეს. დირექტორმა თვითონ დაურიგა ბავშვებს. უკულმა იწყებოდა, უახლოესი წარსულიდან: „2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა". ახლადდაბეჭდილ წიგნს მოსკოვიდან ჩამოყოლოდა სტამბის სუნი. ჯეკამ დაყნოსა და სკამის ზურგს მიეყრდნო. თვალები დახუჭა, როგორც სააბაზანოში.

– თქვენ ბედნიერები ხართ, დამოუკიდებელ, თავისუფალ აფხაზეთში გაიზარდეთ. უამრავი რამე გაკლდათ, არ გქონდათ ბავშვობა, არ გქონდათ არაფერი, მხოლოდ იმის გამო, რომ ოდესმე დამდგარიყო დღე, როცა მსოფლიო ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. და ახლა თქვენ თავისუფალ რესპუბლიკაში ცხოვრობთ, – დირექტორის ხმა მეზობელი გოგოს ხმასავით ჩაესმოდა შორიახლოს.

ჯეკამ თვალები გაახილა და მერე ისევ დახუჭა.

„ნეტავ, რა მქვია", გაიფიქრა, სანამ ბოლომდე დაბნელდებოდა.

***

– დაიკიდე, – დიმამ სახელი არ უთხრა, – რა აზრი აქვს?! ჩვენ ახლა აფხაზები ვართ.

– რომ არა.

– რატომ არა?! ყველა აფხაზია, ვისაც საკუთარი სახლი არ ახსოვს. გაიხედე, ვარდანიანი აფხაზი არაა?! აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, ერევანი თვალით არ უნახავს. ცურვა იცის. როდის იყო, სომეხმა ცურვა იცოდა?!

– კი, მაგრამ...

– დაიკიდე!

***

თოვლს წვრილ ზოლად აჩნდა დაბარული მიწის ერთი მწკრივი. მეორე დღისთვის ზოლი გაიზარდა, მერე – უფრო. თანდათან შავდებოდა ეზო. ისევ მოთოვა. მომდევნო დღეს ისევ დაეტყო ყავისფერი ზოლი...

ეზოში ძაღლები აყეფდნენ, ჯეკა ფანჯარას ეცა. ეგონა, რომ დიმა მოიყვანეს. უფროსმა აგრბამ მოულოდნელად გადაწყვიტა, შვილი მოეძებნა. აფხაზეთის მთავრობა ჯარს კრებდა და დიმასაც მოუწევდა წასვლა. აგრბამ კი თქვა, ეგ ჩემი შვილი არ არისო, მაგრამ არავის სჯეროდა. ეგონათ, თვითოვე გადამალა მონასტერში.

უხუცესებმა გადაწყვიტეს, თუ ომი დაიწყებოდა, აგრბებიდანაც წასულიყო ვინმე ჯარში. უხუცესების გადამტერება კარგს არაფერს ნიშნავდა. უფროსმა აგრბამ რამდენიმე ბიჭს დაავალა, დიმა მოეყვანათ, სულ ერთი იყო, დათანხმდებოდა ის ამაზე თუ არა.

ბიჭები მართლაც შემოვიდნენ ეზოში, დიმა არ ჩანდა. მონასტერში არ დახვედრიათ. ჯეკა იატაკზე დაწვა, რომ გაეგო, ქვედა სართულზე რას ლაპარაკობდნენ.

მამამ იმ ახლობლების სახელები ჩამოთვალა, ვისთანაც დიმა შეიძლებოდა დამალულიყო. ბიჭები წავიდნენ. ორი დღის მერე ისევ აყეფდა ძაღლი. ჯეკამ ახლაც ამაოდ დაათვალიერა სიბნელე. დიმა ისევ არ მოუყვანიათ. ამჯერად აღარ დასჭირვებია ჯეკას დაწოლა, მამის ყვირილი ისედაც კარგად ატანდა კედლებში. უფროსი აგრბა გაცეცხლებული იყო, შეიძლებოდა ადგილი დაეკარგა.

დილით დედამ გააღვიძა ფრთხილად.

– შენ ხომ არ იცი, სად შეიძლება იყოს?

ჯეკამ მართლა არ იცოდა.

– შეიძლება თვითონ მოგძებნოს და აუცილებლად გვითხარი. დიმა თუ ჯარში არ წავიდა, მამას სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ყველაფერს დავკარგავთ, თან ყველა დაგვცი-

ნებს. სად გაგონილა, აფხაზი ომს ემალებოდეს, მით უმეტეს ასეთი კაცის შვილი. ხალხში თავს ველარ გამოყოფს, ვერც – ჩვენ.

ჯეკამ თავი დაუქნია.

ქალაქში ყველა მოსალოდნელ ომზე ლაპარაკობდა. ბევრი მოხალისედ ჩაეწერა ჯარში. ჯეკამ რამდენჯერმე მოკრა ყური, როგორ ქირქილებდნენ ზურგს უკან, რამდენჯერმე პირდაპირ მიახალეს.

– დიმას ხომ არაფერი მოუწერია?

– მამაშენი შენს დამალვასაც ხომ არ აპირებს?

– კიდევ აქა ხარ?..

და ერთხელაც სკოლიდან გამოიქცა და სახლში მივარდა: შენი ბრალია ყველაფერი, შენ ამოწყვიტე ის ოჯახი დალესტანში, შენ გამო დადიან სახლში მკვდრები. ხალხს ჰგონია, რომ დიმას ომის ეშინია. დიმას მოჩვენებების ეშინია, ყველას ეშინია მოჩვენებების. შენი ბრალია, ხალხი კიდევ დიმას დასცინის... უყვიროდა მამამისს.

უფროსი აგრბა გახევებული იჯდა დივანზე. სანამ აზრზე მოვიდოდა, დედამ ჯეკას ხელი მოჰკიდა და გარეთ გააგდო.

– წადი, გაიქეცი სადმე!

ჯეკა ზლუქუნით გაიქცა თავშესაფრისკენ. რკინის კარი შეაღო და პირველი, რაც დაინახა, დიმა იყო. ფქვილის ტომრებზე დაძენძილი ტილო გაეშალა და ეძინა.

კარგა ხანს იჯდა თავშესაფარში, რამდენიმე საათი. დიმას არ გაუღვიძია, არც თვითონ აღვიძებდა. ჩანდა, დიდი ხანია აქ იყო. მანდარინის მურაბებიც კი მთლიანად გაეთავებინა. თავიდან, როცა სოხუმში ჩამოვიდნენ, დედამ მანდარინისგან მურაბა გააკეთა. არ იცოდა, რომ ეს სამურაბე ხილი არ არის. საშინელება გამოვიდა, მაგრამ გადაყრაც დაენანათ და თავშესაფარში ჩამოიტანეს.

ახლა ყველა ქილა ცარიელი იყო.

– დიმა!

დიმა შეიშმუშნა, მერე ჯეკა დაინახა და გაულიმა.

– დიმა, რატომ ხარ აქ?

– მამას ხალხს ვემალები.

– შენ ხომ გეშინია მოჩვენებების?

– კი, მაგათიც მეშინია.

– ხალხი ამბობს, ომს დაემალაო.

– რომელ ომს, ჯეკა, არ იქნება ომი.

– ეგ ვინ იცის.

– ჯარში თუ წავედი, მონასტერში აღარ მიმიშვებენ.

– ახლა აქ ხარ საჭირო.

– სად?

– აქ, აფხაზეთის მიწა უნდა დავიცვათო, მამა ამბობდა გუშინ სტუმრებთან.

– გულუხვი კაცია მამაჩემი, ერთი შვილი ზღვას მისცა, მეორეს მიწას აძლევს, – დიმა წამოდგა და გაიზმორა, – საჭმელი ხომ არ გაქვს რამე?

ჯეკას სკოლიდან წამოყოლილი ფუნთუშა ედო ჩანთაში, ამოიღო. დიმა კარებში ჩადგა და სახლს გახედა.

– რაც აქ ვარ, იცი, რა შევამჩნიე?! ამ სახლს ხანდახან ცისფერი სინათლე გადაუვლის ხოლმე. სადღაცას წამიკითხავს, ეს იმ სახლებს ახასიათებთ, სადაც განძია ჩამარხულიო.

– მერე ხომ არის ბრილიანტის ბეჭედი, – ნაღვლიანად თქვა ჯეკამ.

– მაინც როგორ ვერ ვიპოვეთ!

დიმა ჭამას მორჩა. ხელები დაიფერთხა და არხეინად თქვა:

– მე ომს არ ვაპირებ, ჯეკა. ეს არ არის ჩემი ქვეყანა.

– შენ არ თქვი, ახლა ჩვენც აფხაზები ვართო?

– მაინც არ არის.

– გახსოვს დაღესტანი?

– ისე რა.

– იცხოვრებ, იქ რომ წახვიდე?

– ვერ ვიცხოვრებ.

– აბა, რა გინდა?! ესე იგი, აფხაზი ხარ.

– არ შეიძლება სამშობლო თხუთმეტი წლის იყოს.

ჯეკამ იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი მოხვეტა და კარებისკენ წავიდა.

– გაგირეცხავ. ხვალ ვეტყვი დედას და მამას, რომ აქ ხარ.

– როგორც გინდა.

ჯეკა პირდაპირ სააბაზანოში შევიდა. ტანსაცმელი გარეცხა, თოკზე გაფინა და იქვე ჩამოჯდა.

დედამ გააღვიძა დილით.

– აქ იყავი?

– ჰო.

– კიდევ კარგი, მამაშენმა არ დაგინახა.

– მე სიმართლე ვუთხარი.

– არ იყო ეგ სიმართლე. მამაშენს არ გადაუწვავს ეგ ოჯახი. ხანძარი გაჩნდა ღამე და თავისით დაიწვნენ. ჩვენ გამოვიქეცით, ვის დავაჯერებდით, რომ არაფერი დაგვიშავებია.

– არ ამბობ სიმართლეს.

– ვამბობ. ეგაა სიმართლე.

– მაშინ ეს მკვდრები ვინ არიან? რატომ მოდიან, ეზოს ბარავენ, ოთახებში დახეტიალობენ.

– ეს სხვა მკვდრებია. ვიცნობ სურათებიდან, ის ქალიც ვიცანი, მაშინ ჩემთან რომ შემოვიდა.

ჯეკა გაისუსა.

– ვინ სხვა მკვდრები, დედა?

– ქართველები, ამ სახლის პატრონები.

– ...

– ეტყობა, სადაც იყვნენ, იქ დაიხოცნენ და დაბრუნდნენ.

ჯეკა დაბნეული უყურებდა, ბოლომდე ვერ აღიქვა, რა უთხრეს, მერე ისევ ის შეკითხვა დასვა.

– ბევრნი ცხოვრობდნენ აქ?

– ალბათ, დიდი სახლია. ხომ ხედავ?

ჯეკამ ტკივილი იგრძნო შუბლთან. თვალები დაუმძიმდა და იქნებ გამიაროსო, თავი დახარა.

– ეს ვისია? – მოესმა უცებ. დედა თოკზე გაკიდულ ტანსაცმელს უყურებდა გაოცებული.

ჯეკამ თავი ასწია, მერე დახარა. ასე რამდენჯერმე ასწია, დახარა და ბოლოს თქვა:

– არ ვიცი, აქ იყო... ალბათ, ქართველებში კიდევ ვინმე მოკვდა.

„ლიტერატურა“
იანვარი, N20, 2009

გურამ მეგრელიშვილი

ჯვარცმობანა

დუმახი

მათი ჯვრები ჯორებმა ამოიტანეს, ღმერთისა კი – ვიღაც ადგილობრივმა. ისე აღმოჩნდა, ერთი ძელი ზედმეტი იყო, რადგან ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, რომ დამნაშავე შეიწყალეს და დრტვინავდნენ, რაკიღა ჯვარი ისევ უკან უნდა ჩაეთრიათ და გამწარებულებმა ცემა დაუწყეს სიკვდილმისჯილებს. სხვა დროს, იქნებ პასუხი გაეცა დუმახს, მაგრამ ახლა იმედი ჰქონდა, ღმერთი, რომელიც მის გვერდით იდგა, პასუხს გასცემდა მათ. ამიტომ მდუმარედ იტანდა შოლტებს.

ხალხი ბევრი არ იყო – რამდენიმე ცენტურიონი, სამი-ოთხიოდე უსაქმური, რომლებიც ყველა სიკვდილით დასჯას ესწრებოდნენ, ერთი ადგილობრივი ლოთი, ღმერთის დედა, დეიდა, დები და მისი ორიოდე მოწაფე. უკან კიდევ ჩანდნენ ვიღაცები, მაგრამ დუმახმა თვალი ვერ მოკრა მათ, რადგან მოშორებით იდგნენ.

ღმერთი პირველი აცვეს ჯვარს. ყრუდ ისმოდა ხეში ჩაჭედებული სამსჭვალის ხმა და გიშიეს კვნესა.

„მარჯვნივ თუ მარცხნივ?“ – ჰკითხეს დუმახს, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონდა, სად მოკვდებოდა.

დასცინოდნენ და სიმწრით გაიფიქრა: – „ცოტაც, ცოტაც და ამათგან მტვერს აღარ დასტოვებს!“ – „მარჯვნივ“ – უპასუხა ზიზღით და ფეხებთან დაუფურთხა ცენტურიონს.

წამდაუწუმ ცისკენ იყურებოდა, თითქოს იქ უნდა გამოჩენილიყო ნიშანი. „ამათ სუყველას დახოცავს და გაანადგურებს,

მაგრამ რაღას ელის?“

მეორე ის ჯვარი აღმართეს, რომელზეც, წესით, ტიმი უნდა ყოფილიყო გაკრული, მერე თვითონ დააწვინეს მარცხნივ.

მთელი ბავშვობა სამივენი ასე თამაშობდნენ – ვითომ ჯვარზე აკრავენ. ეს გიშიეს გამოგონილი თამაში იყო – ჯვარცმობანა. ტიმს არ მოსწონდა, ეშინოდა; დუმახს – ართობდა, მაგრამ ყველაზე კარგად, მაინც გიშიეს გამოსდიოდა – დაწვებოდა ხოლმე წარმოსახულ ჯვარზე და სხვები ხელისგულებში არარსებულ სამსჭვალებს აჭედებდნენ.

ნამდვილი ლურსმანი კი გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე დუმახს წარმოედგინა და როცა რკინამ ხელისგული ატკინა, პირველად მაშინ შეეშინდა.

„ის ღმერთი არ არის. გაგვაცურეს!“ გაიფიქრა და მისი ჯვარიც აღმართეს. ზემოდან უფრო ცოტა ჩანდა ხალხი და პირველი, ვინც თვალში მოხვდა, მშვიდი სახით მდგარი გიშიეს დედა, მარიამი იყო და ისევ იმედი მიეცა – „აი, ახლა ჩამოვა ჯვრიდან, მასაც იხსნის და შურსაც იძიებს ამათზე.“

მთელი ბავშვობა დედას ეძახდა მარიამს, რომელიც მას გიშიესთან ერთად ზრდიდა, მაგრამ დუმახს არასოდეს ჰყვარებია იგი. შურდა, რომ ასეთი სუფთა და მშვიდი ქალი იყო, მუდამ მდუმარე და მლოცველი და რივკას, დედამისს არ ჰგავდა, იერუსალიმის ცენტრში რომ მეძაობდა საღამოობით. დუმახს ყოველთვის სძულდა დედა, რადგან მეძაობას ვერ პატიობდა. ზოგჯერ ისიც კი ეგონა, რომ არც დედას უყვარდა. დილით მიაკითხავდა ხოლმე ტყუპებს ნასვამი და ნათრევი, ხელშიც არ აიყვანდა არც ერთს, გააღვიძებდა და სახლში მიყავდა. მარიამი კალათში საჭმელს და ახალ ტანსაცმელს ულაგებდა ბიჭებისთვის და უხმოდ აწვდიდა. დედა არასოდეს ეუბნებოდა მადლობას და ასეთ დროს, დუმახს ორივე სძულდა – გიშიეს დედა სიკეთისთვის, ხოლო საკუთარი – გულგრილობისა და უმადურობის გამო.

მარიამი და რივკა პირველად უდაბნოში შეხვდნენ ერთმანეთს. დუმახის მამა, ლებეია იმ მხარეში განთქმული ყაჩაღი

და ბანდის მეთაური იყო. მისი ხალხი ეგვიპტისკენ მიმავალ მარიამსა და ჩვილ გიშიეს დაესხა თავს. ლებეიასაც ახალშობილი ტყუპები ჰყავდა და შეეცოდა უქონელი გოგო, არაფერი წაურთმევია, მოსასხამი აჩუქა და თავისთან მიიწვია. როგორც მერე დუმახსა და მის ძმას უყვებოდნენ, ლებეიასთან მისულებს, ერთ-ერთი ტყუპისცალი მომაკვდავი დახვედრიათ. რივკა ტიროდა, ვერაფრით შველოდა შვილს. მარიამს რამდენიმე წვეთი რძე დაუწვეთებია ჩვილის ტუჩებზე და ბავშვიც გამოჯანმრთელებულა. არც ერთმა ძმამ არ იცოდა, რომელი მათგანი იყო ღმერთის ძუძუმტე, მაგრამ დუმახს ყოველთვის მიაჩნდა, რომ ეს თვითონაა, მითუმეტეს, ტყუპისცალს არასოდეს უწამია გიშიეს ღმერთობა, თვითონ კი...

იქნებ ტიმია სწორედ ის, ვინც ბავშვობაში იხსნეს და ახლაც მისი ჯვარია ცარიელი!

მარიამი დუმახს უყურებდა. თითქოს ასაკი არც დაეტყო, ისევ ოცი წლის გოგოს ჰგავს, ოდნავ ნაოჭები აქვს თვალებთან და აქაც, ჯვარზე გაკრულს, ალბათ, საკუთარი შვილისგან ვერ არჩევს მას. დარწმუნებულია, მისთვის ლოცულობს მარიამი და მის თავს ავედრებს გიშიეს, რომელიც ახლა დუმახისგან ორ მეტრში იტანჯება.

„არაფერიც არ მოხდება! როგორც ჩანს, სიკვდილი გარდაუვალია. ერთი დიდი თამაშია ეს ყველაფერი და ყველანი გაგვაცურეს!“ – დუმახი სასოწარკვეთამ შეიპყრო. „ყველაფერი სიცრუეა და ყველა ცრუ.“ მისი საყვარელი ქალიც მოსულა და ოდნავ მოშორებით დგას ტიმთან ერთად, რომელიც ახლა მის გვერდით, მესამე ჯვარზე უნდა იყოს გაკრული. ეჩვენება თუ ზედმეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან? ყოველთვის ეჭვობდა, რომ ტიმსაც უყვარდ ჰაია და ვერ ბედავდა ამის თქმას. ალბათ, ერთმანეთის სუნთქვაც ესმით. საღამოს განმარტოვდებიან და მასსა და გიშიეზე ილაპარაკებენ, როდესაც ისინი სამარხში იქნებიან და ნესტის სუნი არ შეაწუხებთ?

„თუ მართლა ღმერთი ხარ, იღონე რამე!“ – უნდოდა ეღრიალა, მაგრამ მარიამისა მოერიდა. იმ წუთების გამო მოერიდა,

როდესაც იგი ძველ ფიცრულში ჩამწკრივებულ დუმახს, ტიმს, გიშიესა და სამრას ერთი ჯამიდან აჭმევდა. ბავშვობიდანვე ყველამ იცოდა, რომ გიშიე ღმერთია, მაგრამ მარიამს არასოდეს განურჩევია ისინი ერთმანეთისგან, არასოდეს მიუცია ლუკმით მეტი შვილისთვის და ეს აბრაზებდა დუმახს. გამორჩეული სითბოთი მხოლოდ, პატარა სამრას ეპყრობოდა.

ახლა ისიც აქ დგას. მარიამი დაირქვა, როცა დუმახის დედამ იერუსალიმში წაიყვანა და მეძაობა დააწყებინა. დუმახისთვის მუდამ სამრად დარჩება, ერთ საწოლში რომ ეძინათ და ერთი თეფშიდან ჭამდნენ. ორი წლის წინათ, როცა მაგდალაში მეძავების უბანში გაიარა, ერთ-ერთ სახლში სამრას გადააწყდა. რაღაცნაირად გული დასწყდა გოგოზე, ან იქნებ გაუხარდა კიდეც?! ყოველთვის უხაროდა მეძავი ქალის დანახვა. სამრა შინაურულად შეხვდა, სუფრა გაუშალა და ამბები გამოჰკითხა. დუმახმა მშრალად და მოკლედ გასცა პასუხი და გახდა დაიწყო, რამაც სამრა გააოცა.

„რას აკეთებ, დუმახ?“ – ჰკითხა ქალმა და თვალი აარიდა, თითქოს შიშველი კაცი არასოდეს ენახა.

„რას ვაკეთებ და რაშიც გადავიხადე, ის მინდა მივიღო.“ – უპასუხა დუმახმა და გააუპატიურა. მერე გაიგო, რომ სამრას ჩაქოლვას უპირებდნენ და გიშიეს გადაურჩენია. მაშ, თუკი მეძავი იხსნა, საკუთარ ძუძუმტეს არ გადაარჩენს?!

ნამით თითქოს გონება დაკარგა. ტუჩზე წყლიანი ღრუბლის მიდებამ გამოაფხიზლა. დრო აღარ იცდის. ცოტაც და ტკივილს ვეღარ გაუძლებენ, ორივე სისხლისგან დაიცლება და მოკვდება.

ტიმი და ჰაია ისევ გვერდიგვერდ დგანან. ქალი თავდახრილია და დროგამოშვებით თუ ახედავს მას, ახლა ზიზღით რომ უყურებს ორივეს.

ამ ქალის სახლში დაიჭირეს. თვითონ და ტიმი საჭმელს ჭამდნენ ლამპის შუქზე, როცა ოთხი შეიარაღებული კაცი მიადგა და ხელები გადაუგრიხა. ის ფულიანი ქისა, რომელიც მოკლულს წაართვეს, ცოტა ხნით ადრე ქალაქგარეთ გადამალეს

და მხოლოდ ორმა იცოდა ამისი შესახებ. ახლა ტიმი გახსნის სამალავს, ოქროც მას დარჩება და ქალიც. ის ეგვიპტელი ვაჭარი კი მოსაკლავი იყო, ფული არაფერ შუაშია, მერე გაიგეს რომ ფული ჰქონდა, მაგრამ ის, ვის გამოც კაცის კვლის ცოდვა დაიდო, ახლა მის ტყუპისცალთან ერთად დგას და, ალბათ, საღამოს, წითელი ღვინით გაბრუებულები ერთმანეთში აიზილებიან.

„უსამართლობაა ყველაფერი, ღმერთო! და შენც უსამართლო ხარ!"

„რაღა მაინცდამაინც ტიმი გაათავისუფლეს? მოწმემ თქვა, ერთი კაცი იყო მკვლელობის ადგილზეო და ჩათვალეს, რომ ის ერთი კაცი დუმახია და არა ტიმი, ან იქნებ არც ჩათვალეს, უბრალოდ, ერთ-ერთს დაადეს ხელი და გაათავისუფლეს, ეს ერთი კი თვითონ არ აღმოჩნდა?"

როდესაც გიშიესთან ერთად გაუყენეს ჩრდილო-აღმოსავლეთის გზას, იმედი მოეცა. მანამდეც იცოდა, ვიღაც წინასწარმეტყველთან ერთად რომ უნდა გაეკრათ ჯვარზე და სხვა ვინ იქნებოდა ეს წინასწარმეტყველი, თუ არა გიშიე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ყველაზე ცნობილი ადამიანი იყო მთელ იუდეაში.

დუმახს, ბავშვობაში წარმოსახულ ჯვარზე გაკრული ღმერთი გაახსენდა და ძლივს მიატრიალა თავი მისკენ, გახედა. გიშიე რაღაცას ბუტბუტებდა. შეკრებილთაგან ის ოთხი სეირის მაყურებელი ხმამაღლა ეძახდა „მეფეო, იხსენი შენი თავიო" და დუმახს თვალწინ დაუდგა, როგორ დასცინოდნენ მეზობლის ბავშვები მათ თამაშს. სადაა აბა ჯვარი, სადაა ჯვარიო, ხითხითებდნენ და მაშინ დუმახს რცხვენოდა გიშიესთან და ტიმთან ერთად რომ თამაშობდა და არა მათთან, მაგრამ ღმერთს რაღაცა ძალა ჰქონდა; უსიტყვოდ მიუახლოვდებოდა ხოლმე ბავშვებს და ერთს შეხედავდა, – ისინი კი ჩუმდებოდნენ. რატომ ახლა არ შეხედავს ამ ოთხ საზიზღარ ადამიანს და რატომ არ ჩაუგდებს ენას, ათას საზიზღრობას რომ უყვირიან ქვევიდან.

დუმახმა ერთიც დაიღრიალა. ხმა გაიკმინდეთო, – დაუყვირა იმ ოთხეულს და ამან ჯარისკაცები ძალიან გაამხიარულა. ერთადერთი, ვინც ჯერაც ჩუმად იდგა, ის ლოთი კაცი იყო. უცხო ხალხში მოხვედრილი ბავშვივით გაკვირვებული უყურებდა ყველას და ერთი ადგილიდან მოირისკენ ინაცვლებდა.

ჯარისკაცები ხორხოცებდნენ. ერთ-ერთმა ღრუბელი ჯერ წყალში, შემდეგ კი ძმარში ჩაანო და ტუჩებთან მიუტანა გიშიეს. ამ უკანასკნელმა პირი აარიდა ღრუბელს და ამან კიდევ უფრო გაამხიარულა ყველა.

დუმახმა ვეღარ მოითმინა. უძლურებისგან ლამის თავის ქალა გასკდომოდა. ცალი ხელი რომ გაეთავისუფლებინათ მისთვის და დანა მიეცათ, გულში ჩაიცემდა. თავი მიაბრუნა გიშიესკენ და დაუღრიალა: „რაღას ელოდები, ხომ მართლა ღმერთი ხარ და გააკეთე რამე, იხსენი თავიც და მეც მიხსენი. ანახე მათ შენი ძალა, მოსპე და გააქრე ყველანი. გიშიე! გიშიე!“

ოთხეულმა სიცილი დაიწყო. ეს, ალბათ, იუდეველთა მეფის ვეზირია, ან მთავარსარდალიო და დუმახმა სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, სიმწრისაგან გინება დაუწყო გვერდით ჯვარცმულს. ეს, ალბათ, ერთადერთი და უკანასკნელი იმედი იყო იმისა, რომ ღმერთს გააბრაზებდა, მაგრამ გიშიე დუმდა. თავი ჩაექინდრა და წამით, ყველას შეეპარა ეჭვი, ხომ არ მოკვდაო. ერთ-ერთი ჯარისკაცი მიუახლოვდა და შუბით აუწია შუბლი.

„კვდება ეს!“ – თქვა და ფერდში აძგერა.

„მამაო, მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან, რას იქმან!“ – ამოიგმინა გიშიემ და ყველა გაჩუმდა. მხოლოდ დუმახი აგრძელებდა მის ლანძღვას. თითქოს სიტყვები მიწაზე ეწერა და ისიც უბრალოდ კითხულობდა.

ოთხეული ისევ აყვირდა. „როგორ მართლა ღმერთივით ლაპარაკობს, შეხედეთ!“ და ბელტების სროლა დაუწყეს ორივეს. ლოთმა იქვე დაგდებული ხის ტოტი მოათრია და ღრიალით დაერია ოთხივეს. „რას ერჩით, რას ერჩით ამ კაცს, რას ერჩით?“ – გაჰკიოდა გამწარებული და სანამ თავში წერაქვის ტარი არ ჩაარტყა ერთმა ჯარისკაცმა, ვერაფრით გააჩერეს.

სამრა ტიროდა.

ჰაიაც ტიროდა.

ყველა ქალი ტიროდა მარიამის გარდა.

ტიმი მუხლებზე დავარდნილი ლოცულობდა. ოთხეული ხმას აღარ იღებდა, ჯარისკაცებიც გაჩუმდნენ. ერთადერთი, ვინც ჯერაც იგინებოდა და იფურთხებოდა, დუმახი იყო.

„განა ასეთი რა დავაშავე, ასე რომ ვისჯები?! ღმერთო, თუ-კი სადმე მართლა არსებობ, რატომ მექცევი ასე? განა ერთი ეგვიპტელი ვაჭრის მოკვლა იმხელა დანაშაულია, რომ ასე სამარცხვინოდ გამაკრან ჯვარზე? განა ცოტა სიკეთე მაქვს სიცოცხლეში გაკეთებული? განა არ ვიმსახურებდი სხვანაირ სიკვდილს?“ დუმახს გაახსენდა, როგორ შეხვდა უკანასკნელად გიშიეს. მაშინ ის მოწაფეებთან ერთად ერთ მებაღეს სტუმრობდა ქორაზინში. ორმა მათგანმა მასწავლებელს სთხოვა, შენს მარჯვნივ და მარცხნივ დაგვსვი ცათა სასუფეველშიო, მაშინ გიშიემ ჰკითხა, შესძლებთ იმავე ჯვარზე გაეკრათ, რომელზეც მეო? შევძლებთო, – უპასუხეს. – ეგ შეიძლება შესძლოთ, მაგრამ სასუფევლის მოცემა ჩემგან არ არისო.

„ეგ იყო რა. აკი პირდაპირ თქვა, მე არ ვარ ღმერთი, შემეშვითო. როგორ ვერ მივხვდი მაშინვე?!“

ხსნას ელოდა ჯვარზე. ალბათ, მართლა ჰქონდა იმედი, რაკი ძმის დანაშაულიც თავის თავზე აიღო და რისთვის?! ასე მწარედ რომ მოტყუებულიყო?!

„რომ შემეძლოს, ჩემი ხელით მოგკლავდი, გიშიე, მთელი ჩემი ცხოვრებისთვის!“ – გასძახოდა გვერდით ჯვარცმულს და მერე მარიამსაც გახედა. რაღა იყო მოსარიდებელი და სასირცხვილო? ერთი საათიც და მოკვდებოდა. ვიღასი უნდა მორიდებოდა.

ან რატომ?

„მძულხარ, მძულხარ. მძულხარ, ასე რომ მჯეროდა შენი და მომატყუე!“ – დაუყვირა დუმახმა გიშიეს და ტირილი დაიწყო.

არსაიდან ხსნა არ ჩანდა, არც იმედი. მის გვერდით ერთი ჩვეულებრივი ადამიანი აცვეს ჯვარს, მთელი ბავშვობა ღმერ-

თი რომ ეგონა.

ცა თაფლისფერი გახდა და წვიმა დაიწყო. გიშიე კარგა ხნის მკვდარი იყო, უკვე ჩამოეხსნათ კიდეც. დუმახიც მკვდარი იყო, მაგრამ ჯერ არ იცოდა. ტკივილი გაქრა თითქოს. სიცარიელემ დაისადგურა მის სხეულში, მაგრამ სხეულსაც ვეღარ გრძნობდა. უმწეობისგან დაღლილი ადამიანის სახე ჰქონდა ჯვარზე გაკრულს, ძმისა და საყვარელი ქალისკენ იყურებოდა და ერთადერთი კითხვა მოჩანდა მისი ფართოდგახელილი თვალებიდან: რატომ?

ტუჩები ოდნავ მობრეცოდა ტიმს, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა სიკვდილამდე, სინამდვილეში, სხეულის ყველა ასო, ყველა წერტილი ერთბაშად მოწყვეტილი ჰქონდა და ასეთი ფორმით ეკიდა. გიშიე კარგა ხნის მკვდარი ეგონათ, მაგრამ შეინძრა, თავი თაფლისფერი ცისკენ აღმართა და რაღაც დაიყვირა.

სანამ სულს განუტევებდა ტიმი, მისუსტებული ხმით ევედრებოდა მის გვერდით ჯვარცმულს, გამიხსენე სიკვდილის მერე და მაპატიე ჩემი ცოდვებიო, რამაც იქ მდგომებში გაკვირვება და სინანული გამოიწვია. ასისთავმა თავისთვის ჩაილაპარაკა, იქნებ მართლა წინასწარმეტყველია ეს კაცი და არ ვიცითო და გამხიარულებულ ცენტურიონებს დაუღრიალა, ხმა გაკმინდეთო.

ტიმმა სიყვარულით შეხედა გიშიეს და გული მოუკვდა, მთელი ბავშვობა და მერეც, როცა ყველა ღმერთად მიიჩნევდა მას, თვითონ ერთი ჩვეულებრივი ხურო ეგონა. მგონი, გიშიემაც იცოდა ეს და მარიამმაც, რომლისკენ გახედვასაც კი ვერ ბედავდა ახლა.

სანამ ჯვარზე გააკრავდნენ, არაფრის იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა გიშიემ მასზე მომასხარავე ხალხისთვის ლოცვა დაიწყო და წარმოთქვა მამაო, მიუტევე, რამეთუ არ იციან, რას სჩადიანო, გული სითბოთი და სიყვარულით აევსო. რომ შეს-

ძლებოდა, თავისი ჯვრიდან ჩამოვიდოდა და გვერდით ჯვარ-ცმულს გადაეხვეოდა. ეტყოდა, – მომიტევე ყველაფერი, ძმაო. შენ მართლა ღმერთი ხარ, მე ვგრძნობ, რომ შენში ღმერთია და მომიტევე ჩემი ეჭვებიცო და დაუჩოქებდა. განა მართლა შეიძლება ასეთი ადამიანის მოკვლა?! თავად, ეგვიპტელი ვაჭ-რის მკვლელი, იმსახურებს და იქნებ ეს მცირედი სასჯელიცაა, მაგრამ გიშიე?! ვისაც ერთი ადამიანიც კი არასოდეს გაუნაწყ-ენებია და ახლა, კიდევ უფრო რომ დაემცირებინათ, ავაზაკ-თან და კაცისმკვლელთან ერთად აცვეს ჯვარს?!

რა უცნაურია, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ტიმი, შემთხვე-ვითაა ჯვარცმული, სწორედაც რომ ეკუთვნის. მოწმეები ამ-ბობდნენ, მხოლოდ ერთი შევნიშნეთ მკვლელობის ადგილზეო და მოსამართლემაც ვერაფრით დაადგინა, რომელი ძმა იყო ეს ერთი – ტიმი თუ დუმახი. თავიდან აიძულებდნენ, რომ ორივეს ეღიარებინა დანაშაული, მაგრამ დუმახი უარზე იდგა. „ის ღა-მე იერუსალიმელ მეძავთან გავატარე და ჩემმა ტყუპისცალმა თუ ვინმე მოკლა, პასუხი მე რისთვის ვაგოო?!“ მერე დუმახი გაამართლეს და მეორეს ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს. როცა სა-კანში შეაბრუნეს, ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. ტიმი ნაწყე-ნი იყო ძმაზე, ასე რომ გაწირა, არადა ხომ ორივემ იცოდა, ის ეგვიპტელი ვაჭარი ერთად მოკლეს და სინამდვილეში, არა იმ ქალის, არამედ სწორედ ფულის გამო, ფულის, რომელიც ახლა ქალაქის გარეუბანში ხის ქვეშ იყო ჩაფლული.

ბევრი ცუდი იფიქრა მაშინ ტყუპისცალზე, მაგრამ როცა მცველები გაიკრიფნენ, დუმახი მიუტრიალდა და უთხრა:

– მისმინე, ვიცი, ახლა ნაწყენი ხარ, მაგრამ ასე სჯობდა. ერ-თ-ერთს მაინც დაგვდებდნენ ბრალს. ჩემს თავზე რომ ამეღო, შენ უარს იტყოდი და უსასრულოდ გაიწელებოდა ყველაფერი ან ორივეს დაგვსჯიდნენ. ჩვენთვის არავის სცალია გიშიეს ამ-ბების ფონზე. შენ დაგაბრალე, მაგრამ მე წავალ ჯვარზე. ახლა ჯარისკაცი რომ შემოვა, უთხარი, რომ ხარ დუმახი და მორ-ჩა, თავისუფალი იქნები. შენ არ გწამს, რომ გიშიე ღმერთია, მე მწამს! ჯვარს გვაცვამენ და გაიხსნება ცა, ყველა იქ მყოფს

გაანადგურებს. გახსოვს, რა თქვა ქორაზანში გიშიემ, ზაქეს სახლში რომ ვიყავით? ხოდა, ასე ვქნათ. ორი საათი, სულ რაღაც ორი საათი და ისევ ერთად ვიქნებით. ავიღოთ ის ფული და გავიქცეთ ამ ქვეყნიდან. ეს ორი საათი კი შენ იყავი დუმახი, თუკი აიტანან ამ სახელს.

დუმახმა გადაიხარხარა. ტიმს ბავშვობიდან ტანში ზარავდა ძმის სიცილზე. ახლაც პირი აარიდა.

– გაიგე? – ჰკითხა ტყუპისცალმა.

– არა, დარჩეს როგორცაა ისე. თუ ის მართლა ღმერთია, შენც გიშველის და მეც. არ მინდა.

– შენ ვერ გაუძლებ ტკივილს, ტიმ.

– გავუძლებ.

დუმახი გაბრაზდა. გაბრაზებისას სახე უწითლდებოდა და, როგორც წესი, რაღაცებს ამტვრევდა. ახლა დასამტვრევი არაფერი ჰქონდა და მშვიდად უთხრა:

„ნუ ხარ ჯიუტი. შენ ფული ამოთხარე და ჰაიასთან დამელოდე."

ტიმს, ჰაიას გაგონებაზე, საშინლად მოუნდა გაელწია საპყრობილედან. წამით ფეხებზე დაიკიდა ძმაც და ისიც, იხსნიდა მას გიშიე თუ არა. დავთანხმდები და ფულიც და ჰაიაც მე დამრჩებაო, გაიფიქრა, მაგრამ შერცხვა. დუმახს გულით სწამდა გიშიეს ღმერთობა, თვითონ კი იცოდა, რომ ეს ტყუილია. გამოდიოდა, რომ ძმას სიკვდილისთვის სწირავდა საყვარელი ქალის გამო და თანაც, რაკი ძმის სახელით უნდა ეცხოვრა აქედან გასულს, მაინც დუმახს რჩებოდა ჰაია. რადგან ეს უკანასკნელი ვერასოდეს არჩევდა ტყუპებს ერთმანეთისგან.

„არა!" – მტკიცედ თქვა ტიმმა. – „შენ დამელოდე ჰაიასთან. ის თავსაც იხსნის და მეც გადამარჩენს. ორ საათში შევხვდებით."

მერე ჯვარცმასთან სეირის მაყურებლებთან ერთად დუმახმაც დაუწყო ლანძღვა გიშიეს. მიხვდა, რომ ხსნის არავითარი იმედი არ იყო. არც ცა გაიხსნებოდა და არც ცეცხლოვანი ლაშქარი გამოჩნდებოდა ჯარისკაცების დასასჯელად. ჰაია

გაფითრებული სახით იდგა და ხმას არ იღებდა. დუმახი დამ-ხობილ სამრასა და სხვა ქალებს მივარდა ლანძღვით. უნდოდა, მარიამისთვისაც ეთქვა რაიმე ცუდი, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ჯვარცმულ გიშიეს მიუბრუნდა. ტალახსა და ქვებს ეს-როდა, ტყუილსა და კაცის კვლაში ადანაშაულებდა. თავიდან ტიმიც ზიზღით უყურებდა გიშიეს, თითქოს მას მიუძღვოდა ბრალი ეგვიპტელი ვაჭარი ფულის გამო რომ მოკლეს ძმებმა. მაგრამ, როდესაც ხუროს ძემ მათთვის ლოცვა დაიწყო, გული გაუთბა.

„მამაო, მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქ-მან.“ – ლოცულობდა გიშიე. ტიმს სულ უკვირდა, ბავშვობიდან უკვირდა, როგორ შინაურივით მიმართავდა ღმერთს მათი ძუ-ძუმტე. „არათუ გთხოვ ან გევედრები, არამედ უბრალოდ მიუ-ტევე. ასე ელაპარაკებოდა. იქნებ მართლა ღმერთია?!

„კვდება ეს“ – თქვა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, შუბი ფერდში აძგერა გიშიეს და ცა უფრო ადრე გაიხსნა თუ სისხლმა უფრო მალე იფეთქა, ვერ გაარჩია ტიმმა.

წვიმამ ყველა გამოაფხიზლა. ლოთმა საიდანღაც დიდი ხის ტოტი მოათრია და იმ ოთხეულს დაერია, მთელი ამ ხნის მან-ძილზე რომ დასცინოდნენ გიშიეს. მერე იმ ჯარისკაცს მიუბ-რუნდა, წელან მურნარევ ძმარში რომ დაასველა ღრუბელი და ტუჩთან მიუტანა ჯვარცმულს. სხვა ჯარისკაცებმა დროუ-ლად შენიშნეს ლოთი და თავში კეტი ჩასცხეს.

ჯვრებთან ქალებიღა დარჩნენ. ტიმი აკვირდებოდა მათ. ყველა ტიროდა მარიამის გარდა. მოერიდა მისკენ გახედვა. მთელი ბავშვობა დედას ეძახდნენ დუმახიც, თვითონაც და სამრაც, პირქვედამხობილი რომ ქვითინებდა. მარიამს არა-სოდეს გაურჩევია ერთმანეთისგან ბავშვები, ერთი ჯამიდან აჭმევდა ოთხივეს. ტიმს ხშირად უნატრია, ნეტა ასეთი დედა მყავდესო. ადრე მასაც რცხვენოდა საკუთარი მეძავი დედის გამო, დილაადრიან იერუსალიმის ცენტრში რომ მიდიოდა და გვიან ღამით ბრუნდებოდა დაღლილი. აიყვანდა ხოლმე ტყუპებს ერთს მარჯვნივ, მეორეს – მარცხნივ და გადაჰყავ-

და სახლში. როცა წამოიზარდა, საკუთარი თავის რცხვენოდა, კბილებჩაცვენილ, ნაადრევად დაბერებულ დედას რომ უყურებდა, რომელიც შვილების გამო ასეთ საქმეს აკეთებდა. მეზობლის ბავშვები ყოველთვის დასცინოდნენ ძმებს. ტიმი იმალებოდა, დუმახი კი ან ქვებით დაედევნებოდა მათ, ან სიმწრისგან ტიროდა.

ერთადერთი, ვინც მთელი ბავშვობა მათთან ერთად თამაშობდა, გიშიე იყო. მისი ეშინოდათ სხვა ბავშვებს, როდესაც მათთან მიდიოდა, თავს ხრიდნენ, ან გარბოდნენ და ძმებიც დაცულად იყვნენ მის გვერდით. ჯვარზე გაკვრობანას თამაშობდნენ ხოლმე და წარმოსახულ ჯვარზე მილურსმულები ზეცას აჰყურებდნენ.

„აქ ჩემი მამაა!" – ამბობდა ხოლმე გიშიე და ტიმის გარდა მგონი, ყველას სჯეროდა, რომ ის ნამდვილი ღმერთი იყო. გიშიემაც იცოდა, რომ ტიმს არ სწამდა მისი ღმერთობის, მაგრამ არასოდეს უსაყვედურია. მერე, მოზრდილობაშიც, როცა უკვე ათასობით მიმდევარი გამოუჩნდა უბრალო ხუროს ძეს და ქორაზინში, მებაჟე ზაქეს სახლში შეხვდნენ ერთმანეთს, გიშიემ სიყვარულით ჩაიხუტა ძმები და ასე უთხრა: – ჯვარზე რომ გაეკრათ ნებით, თუ სიყვარული და სინანული არ გექნათ, სასუფეველს ვერ ეღირსებით, რადგან სასუფეველი ჩემგან კი არა, ჩემი მამისგანაა.

თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო დაწერილი – წარმოსახული ჯვარცმა სინამდვილედ იქცა – გვერდიგვერდ არიან გაკრულები და სხვა ბავშვების მაგივრად, ეს ხალხი უყურებს მათ ტანჯვას. დუმახი ჰაიასთან ერთად ცოტა მოშორებით დგას და დაბღვერილი ათვალიერებს იმ ოთხს, აქ ამოსვლის მერე ენა რომ არ გაუჩერებიათ. ტიმმა იცის, დუმახს უყვარს ჰაია, მაგრამ ქალს ის უყვარს, ვინც ახლა ჯვარზეა გაკრული.

მის სახლში დაიჭირეს. ძმები საჭმელს ჭამდნენ ლამპის შუქზე, როცა შეიარაღებული კაცები მიადგნენ და ხელები გადაუგრიხეს. საპყრობილეში უთხრეს, ჰაიამ გაგცათო, მაგრამ ტიმს არ სჯეროდა და რომ დაეჯერებინა, ძმას მაინც არასო-

დეს ეტყოდა ამას. ასე რომც იყოს, გოგოს მთელი ცხოვრება სინანულად გაჰყვება ჩადენილი და, ალბათ, უკეთესი ცოლიც იქნება დუმახისთვის.

პირველად წარმოიდგინა ცხოვრებაში, რომ ჰაია სხვისი, მისი ტყუპისცალის ცოლია და გული შეეკუმშა. თვალი აარიდა ორივეს და ისევ ქალებს გახედა. სამრა დაჩოქილი ლოცულობდა. გაახსენდა, ერთხელ დუმახი რომ მობრუნდა სახლში და თქვა: – „დღეს სამრა ვნახე მაგდალაში, მარიამი დაურქმევია და მეძაობს." ეს „მეძაობს" ისეთი ზიზღით წარმოთქვა, ტიმს შეზარა. ერთად იზრდებოდნენ, ერთად ეძინათ და ერთად ჭამდნენ. სამრა მათზე უმცროსი იყო და სულ გაკვირვებული სახით უყურებდა უფროს ბიჭებს. დედინაცვალი ზრდიდა და მანვე გაატანა თოთხმეტი წლის გოგო ტიმის დედას იერუსალიმში სამეძაოდ, სამრა იქიდან აღარც დაბრუნებულა, წავიდა და დაიკარგა. ამბობდნენ, შურიანი მეძავები და გაბრაზებული ცოლები სილამაზის გამო ჩაქოლვას უპირებდნენ და გიშიემ გადაარჩინაო. მას მერე აღარც მოშორებია ამ უკანასკნელს და ახლა აქ დგას.

„უსიყვარულოდ და უსინანულოდ" – ჩაესმოდა ყურში ძუძუმტეს სიტყვები და დროდადრო თვალს აპარებდა მისკენ.

„არაფერი არ მოხდება, არანაირი ცეცხლოვანი ჯარი არ გადმოვა" – ფიქრობდა ტიმი და ღმერთს მადლობას სწირავდა, ამ ჯვარზე, რომელზეც თვითონ იყო მილურსმული, დუმახი რომ არ ეკიდა. თავად ხსნის იმედი მაინც არ ჰქონდა, ეს სასჯელიც ეკუთვნოდა და დაისვენებდა იმ ეგვიპტელი ვაჭრის თვალებისგან, დანის ჩარტყმის წინ რომ გაახილა მძინარემ.

ნამდვილი ლურსმანი გაცილებით მტკივნეული იყო, ვიდრე ბავშვობის წარმოსახვითი სამსჭვალი. რკინამ ხელისგულები გაუგლიჯა და როცა ჯვარი აღმართეს, სხეულის მთელი სიმძიმე ოთხ წერტილს დაეკიდა.

პირველად გიშიე აცვეს ჯვარს. ტიმს ყრუდ ჩაესმოდა ხეში ჩაჭედებული ლურსმნის ხმა და ძუძუმტეს კვნესა.

ყველაფერი რაღაცისთვის ხდება. დამთხვევაა ერთ დღეს

გვერდიგვერდ რომ ისჯებიან ძმებივით შეზრდილები?! ტიმმა იცოდა, რომ ოცდაცამეტი წლის წინ, როცა მათ სახლში ღამის გასათევად გაჩერდნენ ყრმა გიშიე და მისი დედა, მარიამმა ჩვილი ტყუპებიდან ერთ-ერთს რძე მისცა და სიკვდილისგან იხსნა. დედა ეტყოდა ხოლმე, შენ იყავი ის ბავშვიო, მაგრამ არ სჯეროდა ტიმს, ალბათ, დუმახია ნამდვილი ძუძუმტე გიშიესი და ამიტომაც სწამს ასე მისი ღმერთობის, თვითონ სად აქვს მაგდენი რწმენა და თავმდაბლობა, გვერდით გაზრდილს ღმერთი უწოდოს? მაგრამ მთელი ბავშვობა მაინც დედას ეძახდა მარიამს და ყველაზე მეტად მისი ერიდებოდა. მაშინ სად გაქრა ყველაფერი ეს? გიშიეს და ტიმს ერთად აცვამენ ჯვარს, ერთი შვილია, მეორე – შვილივით გაზრდილი, ქალს შიში და სასოწარკვეთა კი არა, უმადურობაც არ ეტყობა. „იქნებ მართლა ღმერთია გიშიე? იქნება მე ვცდებოდი სულ?“ – პირველად აქ გაუელვა ტიმს ამ აზრმა და შეკრებილებს გადახედა.

ხალხი ბევრი არ იყო. რამდენიმე ცენტურიონი, ოთხი უსაქმური, რომლებიც ყველა სიკვდილით დასჯას ესწრებოდნენ, ერთი ადგილობრივი ლოთი, მარიამი, სამრა და გიშიეს ორი მოწაფე. უკან კიდევ ჩანდნენ ვიღაცეები, მაგრამ ვერ გაარჩია. მისი ძმა და ჰაია იქნებოდნენ, წელან, აღმართზე ამოსვლისას თვალი მოჰკრა ორივეს.

მარჯვნივ თუ მარცხნივო, ჰკითხეს ტიმს, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონოდა, სად მოკვდებოდა. დასცინოდნენ, ან ესეც განგების ამბავი იყო.

გაელიმა.

„სულ ერთია, თქვენ გადაწყვიტეთ!“ – უთხრა და მონეტა ააგდეს ჯარისკაცებმა.

მეორე ის ჯვარი აღმართეს, რომელზეც, წესით, დუმახი უნდა ყოფილიყო გაკრული და ტიმს ჯერ გული დასწყდა თითქოს, შემდეგ თავს ძალა დაატანა და მადლობა ღმერთსო, გაიფიქრა.

მარჯვენა ძელზე მიალურსმნეს.

ტიმისა და დუმახის ჯვრები ჯორებმა ამოიტანეს, გიშიესი კი ვიღაცა ადგილობრივმა გამვლელმა კაცმა ამოათრია. ასე გამოვიდა – ერთი ძელით ზედმეტი იყო, რადგან ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, მესამე დამნაშავე რომ შეიწყალეს და გამწარებულებმა ცემა დაუწყეს სიკვდილმისჯილებს.

ტიმი უყვიროდა მათ, ნუ მირტყამთო, აგინებდა. გიშიე მორჩილად იტანდა დამცირებას.

„ესაა ღმერთი? ამისი სჯეროდა ამდენ ხალხს?“ – გაიფიქრა ტიმმა და გვერდით ჩაჩოქილ გიშიეს გადახედა. ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც ბავშვობაში – მშვიდი და უდანაშაულო. და ტიმს შერცხვა, თვითონ, ეგვიპტელი ვაჭრის მკვლელიც და ესეც, ვიღაცის ახირების გამო ერთნაირად რომ უნდა დასჯილიყვნენ ახლა.

„ღმერთო, უშველე გიშიეს!“ – გაიფიქრა და ჯარისკაცის მოღერებულ შოლტს სახე შეუშვირა.

„ლიტერატურული პალიტრა“
აგვისტო, N8. 2009

თამთა მელაშვილი

სხვა ფერი

ახლაც კი, ის წუთები რომ მახსენდება, როცა პირველად დავინახე, ისეთ სიმძიმეს ვგრძნობ მკერდთან, სუნთქვა მიძნელდება. ნინა მეუბნება, რომ ეს სიმპტომია, რომელიც თავისთავად გამივლის. ნინა ჩემი საუკეთესო მეგობარია. ზოგჯერ მჯერა მისი, ზოგჯერ იძულებული ვარ, მჯეროდეს. ნინა ამბობს, რომ მე დრო, სულიერი სიმშვიდე და წყნარი გარემო მჭირდება და რომ ორმოების ჩიჩქნა ველური ქრიზანთემების დასარგავად ჩემი დის ბაღჩაში, დიდი შვებაა. სადღაც შორიდან მესმის ნინას ხმა მობილურ ტელეფონში. ის ერთსა და იმავეს ისე მიმეორებს, თითქოს მლოცავს. და მე ვამბობ: – ჰო, ნინა. ჰო, დრო მჭირდება. ჰო, სიმშვიდე მჭირდება. ჰო, რაღა თქმა უნდა, წყნარი გარემოც მჭირდება და ორმოებს ვჩიჩქნი.

სევდაა მისი გახსენება. სახლში მივდიოდი, ცარიელი თავითა და პროექტის ფურცლებით დატვირთული ხელებით. იგი კი ჰოლში, სარკის წინ მდგარი, ამაოდ ცდილობდა თავისი ცისფერი შარფის გათავისუფლებას, ზურგზე დიაგონალურად გადაკიდებული ჩანთის სახელურისგან. ალბათ, მისი მსუბუქი მოძრაობები იყო, რამაც გამაჩერა, ან შეიძლება, მისი თეთრი ნაზი ხელები, ან იქნებ უხერხული, მაგრამ მაინც გრაციოზული მოძრაობები, რომლებიც ასე მომეწონა. ცალი ხელით მივეხმარე შარფის გათავისუფლებაში. რა თქმა უნდა, მადლობა გადამიხადა და გამიღიმა. რა თქმა უნდა, მეც ზრდილობიანად დავუბრუნე ღიმილი. მახსოვს ის შეგრძნება, რომელიც გამყვა.

ვფიქრობდი, რომ უბედური ვარ, რადგან არსებობენ ასეთი მშვენიერი ქალები, მე კი მათ სადღაც, როგორღაც, რატომ-ღაც იშვიათად ვხვდები და როცა ვხვდები, მათი ახლოს გაცნობის შანსიც კი არ მეძლევა.

მეორე დღეს ყელში ბურთი გამეჩხირა, როდესაც კოორდინატორმა იგი პროექტის ახალ მენეჯერად წარგვიდგინა. მივხვდი, რომ ხანდახან ჩემს ცხოვრებაშიც ჩნდება შანსები ოღონდ, ყელში გაჩხერილი ბურთების სახით. ვერ მიცნო.

– ო, ღმერთო, ვინ ჯანდაბა იმახსოვრებს ყველა გამვლელს, ვინც ოდესმე ჩანთის სახელურის გამოხსნაში მიხმარებია?

– ჩანთის არა, შარფის გამოხსნაში.

– არა აქვს მნიშვნელობა, – ნინა გაბრაზებული ჩანდა.

– მინდოდა, უბრალოდ დავმახსოვრებოდი. ისე, როგორც მე დამამახსოვრდა. მაგრამ მართალი ხარ, არა უშავს, ყველაფერი კარგადაა, – ფარხმალი დავყარე, როცა ნინას სახეს შევხედე.

„ეჰ!“ – მივაწერე იმ დღეს კედლის კალენდრის უკანა მხარეს.

წარმოშობით ბელგიელს, როგორც გავიგე, ერთ ადგილას არასოდეს უცხოვრია. არ ვიცი, რა დარჩა ამ ღვთისგან მივიწყებულ ქვეყანაში, თუმცა ერთ-ერთი იმ უცხოელთაგანი იყო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც, როგორც წესი, ღვთისგან მივიწყებულ ქვეყნებს არ ივიწყებენ.

კვირაში ორჯერ ვხვდებოდი ჯგუფის კრებებზე. ხანდახან უფრო ხშირად, თუკი საპირფარეშოში ან ჰოლში შემთხვევით გადავაწყდებოდი. ეს ის დრო იყო, როდესაც საბოლოოდ დავშორდი ქალს, რომელიც მიყვარდა. ან იქნებ, არც მიყვარდა. ბოლოს, იმდენად გადავიღალეთ ჩვენი ფარული ურთიერთობითა და ერთმანეთით, რომ მისი მოულოდნელი გადაწყვეტი-

ლება – ცოლად გაყოლოდა ვიღაც იდიოტს, – არც კი გამკვირვებია. გამომშვიდობებისას მითხრა, რომ ამ ქვეყანაში ლესბოსელობა ძალიან ძნელია.

– ყელში მაქვს უკვე... ნორმალური ცხოვრება მინდა, – ჩამჩურჩულა გასასვლელში და ლოყაზე მაკოცა. მისი წასვლის მერე სახლი სულ დაცარიელდა, მაგრამ თავი დავარწმუნე, რომ ყველაფერი კარგადაა, ცხოვრება გრძელდება და მეც მზად ვარ, რომ რაღაც ახალი მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, რაღაც დაუვიწყარი და განუმეორებელი, რისი ახსნაც არასდროს შემეძლო, სამაგიეროდ, ყოველთვის მზად ვიყავი, შემეგრძნო.

გაზაფხული უცებ მოვიდა. კრებაზე პროექტის ბიუჯეტს ვიხილავდით. უცაბედად მოვარდნილი წვიმა ქუჩებს რეცხავდა. მეხის ხმაც ისმოდა საიდანღაც, შორიდან. ყველანი თავს იმტვრევდნენ ბიუჯეტზე, რაღა თქმა უნდა, ჩემ გარდა. თოჯინასავით გაუნძრევლად ვიჯექი და სახურავზე წვიმის წვეთების ხმას ვუსმენდი. ის კი გულმოდგინედ იქექებოდა ფურცლებში, სახეზე ჩამოშლილი თმა ნახევრად უფარავდა პროფილს, თავისი ულამაზესი თეთრი ხელებით აქტიურად ფურცლავდა ქაღალდებს. უცებ, ისეთი აღუწერლად ძლიერი მიზიდულობის გრძნობა გამიჩნდა მის მიმართ, რომ ცუდად გავხდი. როგორც იქნა, გამოვუტყდი საკუთარ თავს, რომ მიყვარდა. ეს ქალი იყო ჩემი აჩქარებული პულსის, ღამით სასტიკი და უმიზეზო ოფლიანობისა და უცნაური სიზმრების მიზეზი. მივხვდი, რომ დიდი ხანია მიყვარს, დავინახე თუ არა, იმ დროიდან მიყვარს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი გრძნობების დათრგუნვა იწვევდა სწორედ აჩქარებულ პულსს, ღამეულ არანორმალურ ოფლიანობასაც და უცნაურ სიზმრებსაც, გაღვიძებისათანავე ერთიც რომ აღარ მახსოვდა.

– არ ვიცი, რა გირჩიო, – მითხრა ნინამ. სახეზე გალიაში გამომწყვდეული ჩიტის გამომეტყველება ედო.

სრულიად არარეალურად მეჩვენებოდა საკუთარ გრძნობებში გამოვტყდომოდი. რაც ჩვენი ჯგუფის უფროსი გახდა, იქედან მოყოლებული ისეთ მკაცრ სუბორდინაციას იცავდა, რომ არავის აზრადაც არ მოსვლია შეწინააღმდეგებოდა ან თუნდაც კითხვის ნიშნის ქვეშ დაესვა ასეთი იერარქიულობა. მისი ჩვენდამი დამოკიდებულება უფრო პროფესორისა და სტუდენტების ურთიერთობას წააგავდა. არანორმალური ტემპებით ვმუშაობდით, ყოველთვის ვითვალისწინებდით მის რეკომენდაციებს. ხანდახან მომწონდა კიდეც ასეთი დიქტატორული რეჟიმი, მაგრამ მისი სიმკაცრე და ოფიციალური დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრისადმი უფრო აღრმავებდა ჩემს ჭრილობას. არანაირი შანსი არ მქონდა დავახლოვებოდი. მისი ცხოვრებიდან რაღაც დეტალებიც გავიგე: ჰყავდა ქმარი, ორი მოზრდილი ვაჟი და კატა. სამივე მათგანი დროგამოშვებით ეწვეოდა ხოლმე, რა თქმა უნდა, კატის გარდა, რომელიც ადგილობრივი წარმომავლობისა გახლდათ. ალბათ, რიგითი, საშუალო ასაკს მიღწეული ქალის ცხოვრება ჰქონდა, რომელიც უცხო ქვეყანაშია და მუშაობს, მონოტონურ შაბათ-კვირას ატარებს თავის უცხოელ კოლეგებთან, ვინ იცის... საშინლად ვგრძნობდი თავს. ჯანმრთელობა უფრო და უფრო მიუარესდებოდა და რაც მაგიჟებდა, ეს იყო სრული სასონარკვეთა. უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი! მუშაობაც თანდათან უფრო გაუსაძლისი გახდა. უფრო მეტად გაუსაძლისი კი, მის გვერდით ლიფტში დგომა აღმოჩნდა, როცა მისი სუნამოსგან წამოსულმა სიტკბომ თავბრუ დამახვია. ვეღარ გავძელი და შევეხე. გული იმდენად ხმამაღლა მიცემდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ ორ მელოტ კაცს, რომელიც ჩვენ წინ, ლიფტში იდგა, დავაყრუებდი. ისევ მისმა ფართოდ გახელილმა თვალებმა მომიყვანა აზრზე, სადაც წამებში ერთდროულად ამოვიკითხე განცვიფრება, მოულოდნელობა, დაბნეულობა და გაღიზიანება.

– ო, ღმერთო , ნუთუ ჰომოფობია? მეგონა, ეს ევროპელები უფრო გონებაგახსნილები იყვნენ. მოკლედ, ფრთხილად უნდა იყო. ფრთხილად უნდა იყო მასთან, ყველასთან. თუ შენი ორიენტაციის შესახებ გაიგებენ, ზედმეტი თავის ტკივილი გექნება, მეტი არაფერი.

ნინას მკლავებში ბოლო ხმაზე მოვთქვამდი. ნინა კი ცდილობდა, ჩემში სინათლე და წესრიგი შემოეტანა.

ზედმეტი თავის ტკივილი მეორე დღესვე გაჩნდა. ლანჩის შემდეგ შეხვედრა დამინიშნა. სამჯერ გავათავე სიცოცხლე, ვიდრე მისი კაბინეტის კარს შევაღებდი. იმის უნარიც არ მქონდა, ნინასთვის დამერეკა. გამამხნევებდა მაინც. ისეთი მშვიდი იყო, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მაშინ კი ვიფიქრე, რომ ჩემს შეხებაზე მისი რეაქცია შეიძლება სულაც ჩემი არაჯანსაღი წარმოდგენის ნაყოფი იყო, ან შეიძლება სულაც მე ვაზვიადებდი ყველაფერს. მითხრა, რომ არ მოსწონდა ჩემი მუშაობის დონე, განსაკუთრებით, ბოლო კვირების განმავლობაში. მითხრა, რომ ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდი და ამ ქვეყანაში ჩემი შეცდომების კორექტირების მაღალი მისიით არ ჩამოსულა. ისტერიკამდე ერთი ნაბიჯიღა მაკლდა. მე მგონი, ჩემს წაშლილ სახეზე ყველაფერი წაიკითხა, მიუხედავად იმისა, რომ საუბრისას რაღაცნაირად თვალს მარიდებდა. შემდეგ კი ტონი ოდნავ შეარბილა და თქვა, რომ მეგობრულად მირჩევს, უფრო მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოვეკიდო საქმეს. თავი დავუქნიე, ლაპარაკი არ შემეძლო. მერე კი ერთი საათი მოვთქვამდი საპირფარეშოში. იქვე მივიღე გადაწყვეტილება – ერთკვირიანი შვებულება ამელო, მაგრამ მალევე მომიხდა გადაფიქრება. მთელი ჯგუფი კვირის ბოლოს საკუთარ დაბადების დღეზე მიგვიწვია.

გარდერობის წინ მთელი ერთი საათი გაუნძრევლად ვიდექი და ვფიქრობდი, რა ჩამეცვა. ბოლოს არჩევანი ღია ნაცრისფერ კაბაზე შევაჩერე. როცა მის ქმარს თვალებში შევხედე,

რომელიც პირადად გამაცნო, მივხვდი, რომ ჩემი კაბისა და ამ კაცის თვალების ფერი არნახული სიზუსტით ემთხვეოდა ერთმანეთს. ორივე რაღაცნაირად მქრქალი, უფერო, მონოტონიური იყო. ის კი ძალიან ბედნიერი ჩანდა, უფრო მეტად ლამაზი იყო, ვიდრე ოდესმე. ვუყურებდი, როგორ ეხვეოდა მეუღლეს და უფრო მეტად ვგრძნობდი, რა შორს იყო ჩემგან. გავიფიქრე, რომ დასასრული მოვიდა. მეორე დღეს დილით განცხადება შევიტანე სამსახურიდან წასვლის თაობაზე. ყველა ფართოდ გაღებული თვალებით შეხვდა ჩემს გადაწყვეტილებას.

შუადღისას კორპორაციულ მეილზე წერილი გავუგზავნე. ვუთხარი, რომ არასოდეს ჰქონდა აზრი, გამომეხატა ჩემი გრძნობები მის მიმართ, ვუთხარი, რომ არც არასდროს მქონია ძალა, ეს გამებედა, ვუთხარი, რომ ჩემი წასვლა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო და რადგან მივდიოდი, ვუთხარი, რომ მიყვარს.

ეძ

ჩანთაში ჩავყარე ~~ყველა~~ ჩემი ნივთი და წასვლამდე კიდევ ერთხელ შევამოწმე ფოსტა. საფოსტო ყუთში სხვა დანარჩენ უშინაარსო და მოსაწყენ წერილთან ერთად მისი პასუხიც იყო. რაღაც მაზოხისტური სიამოვნებით ვუყურე გაუხსნელ წერილს რამდენიმე წუთის განმავლობაში

და გაუხსნელადვე წავშალე.

გადავწყვიტე, ცოტა ხნით დასავლეთში, ჩემს დასთან წავსულიყავი, ზღვის სანაპიროზე; ჩემი პატარა დისშვილისთვის მომევლო, ბაღში მემუშავა, საღამოობით კი წიგნები მეკითხა. რამდენიმე კვირის წინ უცხოური უნივერსიტეტის სტიპენდია მოვიგე. სექტემბერში წავალ.

„სექტემბერი მალე მოვა. ხომ მალე მოვა?" – ერთი ხელით

მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ვკრეფ, ხოლო მეორეთი ქრიზანთემებს ვრწყავ.

„მალე მოვა, აბა რა...“ – ნახევარი საათის მერე მპასუხობს ნინა, – „ბოდიში, უცებ ვერ გიპასუხე, დაკრძალვაზე ვიყავი.“

კრებული „თხუთმეტი-თხუთმეტი“
გამომცემლობა „სიესტა“, 2009

მარიანა ნანობაშვილი

ჩემი მომავალი მკვლელი

– უკაცრავად, აქ შეიძლება სიკვდილი?

სავარძლიანად შემობრუნდა. თვალმოჭუტვით მიღიმის. მერლინ მონროს მარკისა ჩანს, მეოცედან. ოღონდ თმა გაუზრდია წელამდე.

– მობრძანდით.

მის წინ სავარძელში ვჯდები.

ერთხანს ვდუმვართ.

„მაონა", – მეცნობა მერე.

„იან", – ვპასუხობ და ერთმანეთს თითის წვერებით ვეხებით.

– თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა და გადაფიქრებას არ ექვემდებარება? – მაშინვე დამისვა დებულებით გათვალისწინებული შეკითხვა.

– დიახ.

– მოსაფიქრებლად 24 საათი გეძლევათ. თუკი გადაწყვეტილებას არ შეიცვლით, მობრძანდით და სიამოვნებით მოგემსახურებით. ანგარიში დაბრუნებამდე უნდა გადმორიცხოთ.

– დიახ, ვიცი.

ყურადღებით მიცქერს.

– ხომ არ ღელავთ?

– ოდნავ.

– თქვენ შეგიძლიათ გადაიფიქროთ!

– არა...

– მაშინ, ხვალამდე.

კარი ნაზი ჟღრიალით უჩინარდება და გავდივარ.

სახლში წასვლა არ მინდა. არც ეს 24 საათი მჭირდება მოსაფიქრებლად... ბოლო ორი საუკუნეა, მეფიქრება ამაზე, და როგორც იქნა, „მომაფიქრდა“.

სწრაფმავალი ლიფტით ჩემს საყვარელ ზაფხულის სართულზე ავდივარ. ხალხმრავლობაა. რა არის მაინც გენეტიკური მეხსიერება... მიწაზე ფეხს, პროფესიულად თუ არ სჭირდება, ათწლეულებია, აღარავინ დგამს, არც წვიმის ქვეშ სველდება, არც ქარში ითოშება, მაგრამ როგორც კი ნოემბერი ახლოვდება, აქ მთელი კორპუსიდან იყრის ხალხი თავს – კორპუსის პრეზიდენტით დაწყებული, დამლაგებელი კომპიუსონების უბრალო ოპერატორებით დამთავრებული. ეფიცხებიან ჭერიდან მოკაშკაშე ულტრაიისფერ სხივებს, ისუნთქავენ რეზერვუარებიდან მუდმივად განახლებად ზღვის ჰაერს, ისმენენ უხილავი დინამიკებიდან ზღვის ხმაურს, თვალუწვდენელ აუზში ცურავენ, ირუჯებიან. ყველა სხეული იდეალურია. რა ხანია, თვალი აღარ ეძებს „ჩემს“ ქალს. ყველა წამლეკავად ლამაზია და წამლეკავად ერთნაირი... ადრე, გენურ რევოლუციამდე, მახსოვს, სულ სხვა იყო...

რატომღაც, გადავიფიქრე პლაჟზე წამოწოლა, ჩამწკრივებულ პალმებთან მკვეთრად მოვუხვიე და პარკში გავედი. საქანელებთან, სილაში, ბავშვები თამაშობენ, იქვე, სალათისფერ სავარძლებში, დედები გატაცებით ჭორაობენ. აქ არაფერია ჩემთვის ახლობელი – რადგანაც კანონით მხოლოდ ერთი ბავშვის გაჩენაა ნებადართული, ყოველ ცოლს ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, ღირდა თუ არა მისგან შვილის ყოლა, და დავრჩი ბოლოს უშვილო. ცხადია, შეიძლებოდა, კოლბაშიც გამომეზარდა. ამას თავისი დადებითიც კი აქვს, მაგალითად, ჩანასახშივე გაუკეთდებოდა გენური „პლასტიკა“, აუცილებლად ინდივიდუალური – ცნობილი მარკები მოდიდან გადადის და არც მომწონს, მეც ინდივიდუალური „პლასტიკა“ მაქვს. 20 წლისა ვიყავი, ოპერაციაზე რომ წავედი... აღარც კი მახსოვს ჩემი ნამდვილი სახე. გენური ჩარევები ჩემი დაბადებისას ჯერ არ იყო და არც პოპულარულ მარკებს უშვებდნენ...

ჰო, ჩემს შვილს დიდი შავი თვალები ექნებოდა აუცილებლად, დანარჩენ ნაკვთებს კატალოგიდან შევარჩევდი. სეროტონინსაც არ შევაყვანინებდი დიდი დოზით, ასე მგონია, „ბედნიერების გენი“ ემოციებს აჩლუნგებს. თუმცა, როცა საფეთქელში ჩიპი გაქვს ჩადგმული და მუდამ გაკონტროლებს სამედიცინო, პოლიციის, დაზღვევისა და დაცვის სამსახურები, ძნელია, დიდი ემოციებით იცხოვრო. ხოდა, ზედმეტი იქნებოდა ჩემი ბავშვი.

ჩემსავით.

ჰმ, აი, დაუშვა კიდეც კოკისპირულმა... სინამდვილეში ეს წვიმის წკაპა–წკუპი ჩიპიდან ჩამესმის, ეს ხმა ნონიზე მაქვს დაყენებული. ნონი ჩემი მესამე ცოლი და კარგი მეგობარია.

– გისმენ, – ვამბობ ხმადაბლა. ნონი ჩემ წინ ინისლება. დივანზე ნახევრად წამოგორებული ფრჩხილებს იპრიალებს.

– სად ხარ? – ამომხედა.

– ვსეირნობ, – შევჩერდი, თორემ ნონის ჩემ წინ და ჩემთან ერთად მოძრავი გამოსახულება თავბრუს მხვევს.

– რატომლაც შენთან ლაპარაკი მომინდა...

– ნახევარ საათში სახლში მივალ და დაგირეკავ.

კარგა მანძილით გავცილებივარ ცენტრს. უახლოეს ლიფტამდე მისვლას ხუთიოდე წუთს ვუნდები. ვჩქარობ. ნონისთვის არაფერი მითქვამს და სინდისი მქენჯნის – სეროტონინის ნაკლებობა მაქვს და იმიტომ. ნონი სულ მეჩხუბება, ჩაიტარე ეგ პროცედურა, შენც დაისვენებ და გარშემომყოფნიცო, მაგრამ არ მინდა. არც კი ვიცი, რატომ. ახლა, მე რომ სასიკვდილოდ წავალ, ნონის ძალიან, ძალიან დასწყდება გული, ალბათ, იტირებს კიდეც, შეიძლება, ზოგჯერ მოვენატრო, მაგრამ მაინც დავავიწყდები შემდეგ ნოემბრამდე.

ლიფტმა ჩემს სართულზე შეუხვია და მალევე გაჩერდა. იქვე, სუპერმარკეტში სოიოს ტკბილეულს ვყიდულობ და ჩემი ბინისაკენ მივდივარ. კარს ხელისგულს ვადებ და ისიც ნაზი ულრიალით მიჭრის კონუსის ფორმის შესასვლელს.

როგორც კი ფეხს ბინაში ვდგამ, თეთრი შუქი ინთება. სატე-

ლეფონოში შევდივარ და ნონის ვიძახებ. აციმციმებული კედელი დაკავებას მიჩვენებს. ჭორიკანა ნონი.

როგორც იქნა, კედელი გაქრა და ნონის ვხედავ. ჩვენი ოთახები ერთ დიდ ოთახად ერთიანდება. მომენატრე, – კივის ნონი და ეკრანის უხილავ ბარიერზე ერთმანეთს თითის წვერებით ვეხებით. ამ დროს უნებურად მეფიქრება, რომ ეს უკანასკნელად ხდება, მაგრამ ნონიმ ეს არ იცის, უცებვე მცილდება, ეჩქარება, ახალი ამბები მომიყვეს.

– ყავა გინდა? – დაფაცურდა.

მაინცდამაინც არ მინდა, მაგრამ თავს ვუქნევ და მორჩილად ვირგებ თავზე გემოსადინარს. ნონი ყავას ადუღებს, გემოგადამცემ ჭიქაში ასხამს და მოლოდინით მიცქერს. იქვე, თაროზე შემოდებული ბოთლიდან ნადგამ წყალს ყავის ჭიქაში ვისხამ და ფრთხილად ვწრუპავ.

– ჯერ ძალიან ცხელია, პირი არ დაგეწვას, – მახსენებს ნონი.

ჰო, ცხელია. თითქოს არ მინდოდა, მაგრამ მესიამოვნა ყავის მძაფრი არომატი. ნონი კმაყოფილია. ცოტაც ჰყოფნის კმაყოფილებისათვის. და იგი ლაპარაკს იწყებს.

ათიოდე წუთში უკვე ვიცი, რომ ნონის ახალი ოქროს საწვივე აქვს, რომ საძინებელში ჰაერის სატუმბი გაუფუჭდა, ხელოსანი იგვიანებს და იძულებულია, ორი ღამე რადიაცია ისუნთქოს, რომ მესამე კონტინენტზე რომელიღაც ოკეანისპირა ქალაქში ცუნამია მოსალოდნელი და რამდენიმე ასეული კორპუსის ლითონის დარაბებით ჩარაზვა მიმდინარეობს...

ნონის საუკუნეა ვიცნობ. ვიდეოჩატით გავიცანი, ჭადრაკს ვთამაშობდით ხოლმე და სულ ვუგებდი. მაგრამ ნონის სეროტონინი აქვს ჭარბად და ამის გამო გული არ სწყდებოდა. როგორღაც მალევე დავმეგობრდით. ნონის ეგზოტიკური გარეგნობა აქვს, ეგვიპტელი ნეფერტიტის მარკისაა. ორმოცდაათიოდე წლით იქნება ჩემზე უმცროსი. ახლა ჩვენს კონტინენტზე ცხოვრობს. სადღაც სამხრეთით... ზუსტი კოორდინატები ჩამაწერინა, მაგრამ როგორღაც ვერ მოვაბით თავი ერთმანეთთან სტუმრობას მას შემდეგ, რაც 37 წლის თანაცხოვრების

შემდეგ დავცილდით ზედმეტი მეგობრობის გამო...

ჩემთან გაყრის შემდეგ ნონი ისევ გათხოვდა, სამი წელი ვირტუალური ოჯახი და სექსი ჰქონდა, მერე ქმართან ჩავიდა და კიდეც დაცილდნენ ერთ კვირაში. ეტყობა, ის კაცი თეორიასა და სექსპროგრამას უკეთ ფლობდა, ნონი კი ყოველთვის საუკეთესო ხარისხის გადამცემ ინტიმ-აპარატებს ყიდულობდა...

– იან, – მეკითხება მოულოდნელად ნონი, – ხომ არ იცი, ახალგაზრდობის ელექსირი რა ნივთიერების საფუძველზე გამოიგონეს?

რაში აინტერესებს? სულაც არ ვიცით, მაგალითად, როგორ ფუნქციონირებს გემოსადინარები ან კომპიუსონები, თუმცა მათ გარეშე წარმოუდგენელია დღევანდელ დღეს ცხოვრება...

– პრინციპი, როგორც სკოლიდან მახსოვს, უჯრედების განახლებაშია... ბუნებრივად სისხლისა და ორგანოების უჯრედების განახლება 3-4 წელინადში ერთხელ ხდებოდა, მაგრამ მომდევნო ნიმუში ყოველი წინა განახლებიდან წარმოქმნილი უჯრედები იყო და ორგანიზმი ბერდებოდა... წარმოიდგინე, ფოტოს ასლიდან რომ კიდევ ასლი გადაიღო და ასე შემდეგ... ბოლოს რას მიიღებ, ისიც წარმოიდგინე... მერე, გენური ინჟინერიის ოქროს საუკუნეში, აღმოაჩინეს, როგორ უნდა განეახლებინათ უჯრედები უშუალოდ ახალგაზრდა უჯრედებიდან...

– ანატომიას მეც ვსწავლობდი, – ტუჩი გადმობურცა ნონიმ, – თვითონ ამ პროცესის დასახელება მჭირდება, კროსვორდს ვავსებ...

ხელი ჩავიქნიე.

– კარგი, წავედი, – ამბობს ნონი, – დღეს მძიმე დღე მქონდა. ხუთი საათი ჩავატარე, სულ მაღალ კლასებში. ბავშვებიც რა რთულები წამოვიდნენ... დღეს სამი მოსწავლის მონიტორი გავთიშე გაკვეთილიდან. მათი მშობლები საოფისე ოთახებში შეიკეტებიან და სულ არ აინტერესებთ შვილები. ჩვენ დროს სულ სხვა იყო...

– ხო, ჩვენ დროს სულ სხვა იყო, – ექოსავით ვიმეორებ.

ნეტა როგორია ნამდვილი ექო, ნამდვილ მთებში. უფრო მეტჯერ მეორდება, ალბათ და ზრიალით...

ნონი ქრება.

ვფიქრობ ექოზე და დარჩენილ ოციოდე საათზე. ჩემი წასვლის შემდეგ რამდენჯერ გამოვცემ ექოს ამ სამყაროში ან და, გამოვცემ კი საერთოდ?..

საინტერესოა, რა პროცედურებია გასავლელი. ალბათ, ფსიქოტესტს ჩამიტარებენ... ან ფსიქოსეანსს... გადარწმუნებას მაიცდამაინც არ შეცდებიან ამ გადატვირთულ დემოკრატიულ დედამიწაზე, მხოლოდ ვალს მოიხდიან და კიდევ ერთხელ აგიხსნიან, რომ შენი გადაწყვეტილება სერიოზული და შეუქცევადია. რომ გადიხარ ერთადერთ სფეროზე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებენ, სადაც ვერ დაგიცავენ და საიდანაც არავინ დაბრუნებულა. მკითხავენ – რატომ გადავწყვიტე სიკვდილი? და თუ მკითხეს, რა ვუპასუხო? არ ვიცი? ასე მინდა? სეროტონინის ნაკლებობა მაქვს? ყველაფერი მომბეზრდა?

***

ლიფტის ბოლო გაჩერებამდე ხუთნიღა დავრჩით. ერთმანეთს შეთქმულებივით გადავხედეთ. უცებ ისეთი სიახლოვე ვიგრძენი ამ ხალხთან, როგორიც კარგა ხანია, არავის მიმართ მიგრძვნია. მგონი, პირველ ცოლთან მქონდა რაღაც ამდაგვარი განცდა, წესიერად აღარც მახსოვს. როცა სადღაც შიგნიდან გრძნობ შენნაირს. თავის ქალის ჩიპიდან კი არა, სხეულიდან.

უხმოდ გავიარეთ თეთრი დერეფანი, აქ დახურული სივრცეა, არანაირი გაშენებული ფლორა და ფაუნა – მხოლოდ თეთრი კედლები, შემინული დერეფნები და უამრავი პატარა კარი. ზურგზე სიცივე ვიგრძენი, დიაფრაგმასთან – სპაზმები. უცებვე ავიყვანე თავი ხელში. დერეფანში ყველანი ერთმანეთისგან განცალკევებით მივდივართ და ჩვენ შორის ისევ ქრება სიახლოვე...

ნაცნობი კარი ნაზი ჟღრიალით გადნა სივრცეში და ისევ მერლინის მიბნედილი ღიმილი მეფეთება. ცხადია, არ უკვირს, ამ 24 საათში არაფერი რომ არ შეცვლილა.

მაონა სავარძლებზე გვითითებს, ჩვენ ვსხდებით. ალბათ, ყველას ჩემსავითა აქვს პულსი აჩქარებული და გონება არეული. შეიძლება, არც...

მაონა მერლინის ღიმილით მაინც გვიხსნის იმას, რაც ყველამ მშვენივრად ვიცით, მაგრამ ასეა საჭირო, პროცედურული ნიუანსია. დიდხანს საუბრობს, მოკლედ ახასიათებს ეპოქებს და ასარჩევად გვთავაზობს – რომელი მათგანის გამოვლა გვსურს... უფრო სწორად, რომელი მათგანის გამოვლის ნიადაგზე გვსურს სიკვდილი. პრაქტიკულად, მომსახურეობის წინ შეკვეთის შერჩევაში გვეხმარება და უფლებებსაც გვახსენებს.

– ...თქვენ მიერ ამორჩეულ ვირტუალურ სამყაროში იცოცხლებთ კიდევ რამდენიმე ათწლეულს, ამ პერიოდის განმავლობაში განიცდით ბუნებრივ დაბერებას და შესაბამის გარდაცვალებას... – აქ მაონამ შიშნარევი თანაგრძნობით გადაგვხედა, – ამ ეტაპის შემდეგ გეკარგებათ ჩიპის გარანტირებული დაზღვევა და იმ სფეროში გადაინაცვლებთ, რომელზეც, ჩვენი ცივილიზაციის განვითარების დონის მიუხედავად, ჯერაც არა გვაქვს ინფორმაცია და შესაბამისად, რომელიც ვერ კონტროლდება.

მაონამ პაუზა დაიჭირა, კიდევ ერთხელ გადაგვხედა და განაგრძო:

– თქვენ გაქვთ უფლება, დააპროგრამოთ თქვენი წინამდებარე ცხოვრების საკვანძო ეტაპები, თქვენი წარმატებები და უბედურებები; გაქვთ უფლება, გამოიყენოთ პროგრამული იმპროვიზაცია, ანუ დუმილის უფლება – რადგან თქვენი ყოველი სურვილი შეიძლება გამოყენებულ იქნას თქვენს საწინააღმდეგოდ; გაქვთ უფლება, მოიწვიოთ ნდობით აღჭურვილი თქვენი მფარველი ვირტადვოკატი, რომელსაც შესწავლილი აქვს ეპოქები და თქვენი ემოციური კოეფიციენტი. თუ არა გყავთ კანდიდატურა, შეგვიძლია შემოგთავაზოთ სახაზინო თანამშრომელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაკავებული იქნება თქვენი ცხოვრების კორექტირებით...

მორჩა. ახლა ჩვენ-ჩვენ კამერებში დაგვაწვენენ.

– უნდა იცოდეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნების-

მიერი ეპოქა და ადგილი, ჩვენი აპარატი გამოთვლის შესაბამის რხევებსა და სიხშირეებს და გადაიყვანს თქვენ გონებას თქვენ მიერ არჩეულ დროში. თქვენ იმდროინდელ ხალხსა და მოვლენებს შორის დაიბადებით და იცხოვრებთ, იმ ადგილსა და დროს სივრცეში დაფიქსირებულ ყველა სიტყვასა და ბგერას გაიგონებთ, ყოველ გამოსახულებას დაინახავთ. ამასთან, ცხადია, ცნობიერად არ გეხსომებათ, ვინა ხართ და საიდან, აგრეთვე არ გეცოდინებათ თქვენი სამყაროს ვირტუალურობის შესახებ. თქვენ ემოციურად სინთეზირდებით იმ გარემოში, შესაბამისად, შეიტანთ ახალ ვერსიას უკვე არსებულ ისტორიაში. მაგრამ ეს მხოლოდ თქვენს სამყაროს ეხება. ანუ ცვლილებებს განიცდის არა არსებული რეალური წარსული, არამედ თქვენ შექმნით ახალ სამყაროს წარსულის გამოყენებით, რომელიც თქვენთან ერთად მოკვდება, და ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენნაირი მილიონზე მეტია გაბნეული ეპოქებში... თქვენ ერთმანეთს შეიძლება შეხვდეთ კიდეც, თუმცა ვერ იცნობთ. თუ, ვთქვათ, ვინმე ისტორიაში დარჩება მე-17 საუკუნეში, მე-20-ში დაბადებულს მის შესახებ ინფორმაცია ექნება... ერთმანეთის სამყაროებთან კონტაქტი გექნებათ... გასაგებია?

თავებს ვუქნევთ. ეს ყველაფერი ნებისმიერმა იცის, ვინც ერთხელ მაინც დაფიქრებულა სიკვდილით მომსახურების ბიუროზე.

– ჩვენ არ გვაქვს უფლება, დაგიშალოთ სიკვდილი, მით უმეტეს, დედამიწის დღევანდელი დატვირთულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით... მიუხედავად ამისა, ჩემი ფირმის სახელით წუხილს გამოვთქვამ, რომ გვტოვებთ, – მერლინმა წარბები სინანულით შეყარა, თუმცა მეორე წამში ისევ ღიმილად დაიღვარა: საინტერესო დროსტარებას გისურვებთ, ადამიანებო.

ქალად ვგეგმავ დაბადებას... ქალის სხეულშიც მინდა ცხოვრება გამოვცადო... როგორია, როცა დომინანტი არა ხარ ამ სამყაროში... როგორია, იყო სუსტი, ნეტა მართლა თუ აქვს სიძლიერე ამ სისუსტეს...

– მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ თან დაგყვებათ თქვენი ბუნებრივი გენეტიკიდან გამომდინარე ყველა ძირითადი თვისება, აგრეთვე ავადმყოფობები, პათოლოგიები და ნიჭი. ასე რომ, გაცილებით უფრო ნაკლებ პრობლემებს შეიქმნით, თუკი ამას გაითვალისწინებთ ცხოვრების გზის დაკომპლექტებისას. თქვენი დნმ-ის ისტორიები გამოტანილია თქვენს კომპიუტერებზე, შეგიძლიათ შეკვეთის წინ გაეცნოთ კოდირებულ ავადმყოფობათა და მიდრეკილებათა ნუსხას.

მონიტორზე პუნქტობრივად ჩამოიწერა ჩემი დნმ-ის მთელი ისტორია. სიას გადავხედე. ოჰო! რამდენ ავადმყოფობას ვარ აცდენილი თანამედროვე მედიცინის წყალობით... და რამდენი ნიჭი მქონია არარეალიზებული... ამდენი ხნის განმავლობაში ვერაფერს მივაღწიე... როგორ ახერხებდნენ ამას ადამიანები ერთი ცხოვრების მანძილზე? აი, დღეს, აი, ხვალ... ხვალინდელი დღე მოსწრებაზე აღარ არის... გლობალური ინდიფერენტულობა გიპყრობს... მონოტონური კმაყოფილება... იქნებ, აუცილებელია დროის საზღვრებს ტყავით გრძნობდე, ცხოვრებას კბილებით ებღაუჭებოდე, რომ მას ფასი ჰქონდეს სეროტონინის გარეშეც? როგორია, ნეტა, როცა დაბადებიდან იცი, რომ მოკვდები? ვითომ, უფრო საშინელი გრძნობაა, ვიდრე როცა არა ხარ დარწმუნებული, მოკვდები თუ არა საერთოდ?

ერთი პატარა ქვეყანა მაქვს არჩეული... იმ დროში, როცა უკვე არსებობდა კბილის პასტა და ჰიგიენური პაკეტები, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გენური ინჟინერია და ტექნიკური მეგაპროგრესი; როცა ცუნამისგან ევაკუაცია ლითონების დარაბებით კი არა, ტრანსპორტით ხდებოდა; როცა თავისუფლად გადაადგილდებოდნენ მთელს დედამიწაზე, და მიწაზე ცხოვრობდნენ მაშინაც, პროფესიულად თუ არ სჭირდებდათ; როცა წვიმის ქვეშ სველდებოდნენ და ქარი თოშავდათ; როცა ექო კლდეებში ზრიალებდა და არა ცათამბჯენების კედლებში; როცა არსებობდა საზღვრები, ნაციები და ომები; როცა სიცოცხლე მიწის ქვაბიდან გადმოდუღდა; როცა ისახებოდა მიზნები და მიუწვდომელი მწვერვალები; როცა ადამიანებს

ერთმანეთი სილამაზის გამოც უყვარდათ; როცა თითის წვერების შეხების ნაცვლად ხელისგულებს უჭერდნენ ან მკლავებს ხვევდნენ; როცა ვირტუალობა ჯერ კიდევ არ იყო რეალობა...

პარადოქსია, მაგრამ ეს ვირტუალობა მაგდებს ახლა რეალობაში...

...ნახევარ საათში მაონას იზოლირებულ, ახლა უკვე „ჩემს" კამერაში შევყავარ. გამჭვირვალე კუბოს დანახვაზე ტანში მცრის, მაგრამ უხმოდ ვწვები მოხერხებულ ბალიშებზე. აქ მოკვდება ჩემი სხეული, როცა სადღაც ჩემი სული დაიღაფება. შეკვეთა მიცემულია. ახლა დავიძინებ და მომდევნო წუთიდან სადღაც ჩავისახები.

მაშ ასე.

მინდა ვიყო ქალი. არაა აუცილებელი, მერლინის უზადო ნაკვთები მქონდეს, სრულიად საკმარისია ისეთი, კაცებს ცოტაოდენ ტვინს ვუმღვრევდე...

მინდა ქარიშხლებგამოვლილი დიდი სიყვარული. გვერდით ნამდვილი მამაკაცი, ისეთი, როგორიც ახლა მე ვარ. შვილები მინდა მყავდეს... მე თვითონ გავაჩინო, კოლბაში კი არ გამოვზარდო... ტკივილიც მქონდეს, განცდების ფართო ამპლიტუდა რომ გამოვცადო... წინაღობები და ცდუნებები... მწერალი მინდა ვიყო... დავიჯერო, იმ მილიონზე მეტი რეალური ადამიანიდან, ერთი მაინც არ მოხვდება ჩემს ეპოქაში და ქვეყანაში? იმ ერთისთვის დავწერ მეც. მიქცევ-მოქცევა მინდა მქონდეს ჩემს სამყაროსთან...

...ამას ყველაფერს კიდევ ერთხელ ვუმეორებ მაონას და კომპიუტერს. წესია ასეთი, რამე შეცდომა რომ არ გაიპაროს. ერთხელ ორი შეკვეთა ერთმანეთზე დასვეს ერთ ადამიანში და კაცმა შიზოფრენიკად იცხოვრა. მეზობელ კონტინენტზე კი ვინმე ნოსტრადამუსისათვის მეხსიერების წაშლა დაავიწყდათ, საშინელი სკანდალი იყო... ლიცენზია ჩამოართვეს ამ შეცდომების გამო ფირმებს. იმის შემდეგ კონტროლი გაამკაცრეს..

– კეთილი მგზავრობა მოკვდავობაში, – მიღიმის მაონა, – თქვენ მომდევნო წუთიდან ცნობიერი მეხსიერება წაგეშლებათ, ქვეცნობიერის ნაწილიც – მთლიანად წაშლა არ შეიძლება... ამიტომ გონების დაფარულ კუნჭულს სულ „ემახსოვრება“ თქვენი შეკვეთის დეტალები, მეტად ან ნაკლებად, ეს ინდივიდუალურია... წინათგრძნობა ერქმევა ამ მოვლენას... რადგან ქალად დაბადება ისურვეთ, საჭირო ფლუიდებს ნეკნიდან დაგიმატებთ, – ამბობს და ნეკნზე საინექციო ჩიპს მიმაგრებს, – თუმცა მამაკაცისგან რაღაც მაინც ჩაგრჩებათ ხასიათსა და მენტალობაში.

ოდნავ მჩხვლეტს, სულ ოდნავ, გულის ფარში.

– მაშ ასე, თქვენი მომავალი სამშობლო, იან?

– საქართველო...

– დაბადების საუკუნე?

– მეოცე...

– თქვენი სახელი?

– მარიანა...

– გვარი?

– ნანობაშვილი...

– თქვენი მომავალი მკვლელი?

კომპიუტერზე სიამ ჩამოირბინა – ადამიანი... სიბერე... ავადმყოფობა... კატაკლიზმები... უბედური შემთხვევა...

ვირჩევ. ამორჩეულში ახალ დეტალებს მიგდებს. ისევ ვირჩევ.

...და მოვდივააარ!..

კრებული „თხუთმეტი-თხუთმეტი“
გამომცემლობა „სიესტა“, 2009

რატი რატიანი

Bravo Pour Le Clown

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფილმის გადაღების დაუოკებელი სურვილით შეპყრობილმა ძველმა მეგობარმა, რეჟისორმა, რომელსაც პატარა, ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, სადაც ორი თვის შემდეგ ახალი წევრის შემომატებას ელოდნენ, დამირეკა და თავისი ჩანაფიქრი გამანდო. მგონია, უარესს ვერ მოიფიქრებდა, ჩემისთანა ადამიანს რომ მიანდო სცენარის დაწერა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ სიტუაციის მთელი ტრაგიკომიკულობის გაცნობიერებას, თუ საკუთარ თავს ორიოდე სიტყვით აღვწერ. ზედმეტი შრომისთვის თავი რომ ამერიდებინა, რაც ზარმაცი ადამიანისთვის პირდაპირ მისწრება იქნებოდა, „გამოუსწორებელი იდიოტი" თავისუფლად შეცვლიდა მოსწრებული და არცთუ საქებარი გამოთქმების ხროვას, რომელსაც, როგორც წესი, ამ „ორიოდ სიტყვაში" ატევენ ხოლმე. მაგრამ ეტყობა სინდისი მაწუხებს, რომ მკითხველს ამგვარი თავსატეხი არ გავუჩინო და „გამოუსწორებელი იდიოტების" მრავალფეროვან სპექტრში ჩემი თავი არ ვაძებნინო.

თავის შეცოდება არც მიფიქრია, არა. რამდენიმე უხეირო მოთხრობის ავტორს, წერის ჭია მხოლოდ მაშინ აწუხებს, როდესაც საყვარელმა მიატოვა, ყველა მეგობარს წაეჩხუბა, შუქი გადაუხდელობის გამო ჩაუჭრეს, გაზსაც მალე გაუთიშავენ, მაღაზიაში გამყიდველს მოთმინება ეწურება, სიგარეტის ვალი კი ელვის სისწრაფით იზრდება. თითქოს აქამდე ურმის

გადაბრუნებას ელოდა, არაყს სვამდა, ჩხუბობდა, ტიროდა, წუწუნებდა, ზამთარს უჩიოდა, ტვინს რომ უყინავდა, ბარომეტრი „სასოწარკვეთილებასა და უმოქმედობას“ უჩვენებდა, ცხოვრებას მხოლოდ წვრილმანი სიამოვნებები უხალისებდა. საპნის ბუშტებივით ჩნდებონენ და ქრებოდნენ ადამიანები და ილუზიები. ზამთარი, ზამთარია ყველაფერში დამნაშავე, უკვე მეორე ზამთარი. დიახ, გეუბნებით თქვენ, ვინც სინანულით სავსე მზერას მაყოლებთ და სასარგებლო რჩევებსაც კი აღარ მაძლევთ, ვისაც გაწუხებთ ჩემი ბედი, მე თქვენ მიყვარხართ. მერე რა, რომ ხელი ჩაიქნიეთ ჩემზე და საკუთარი თავის ანაბარა დამტოვეთ – ეს საუკეთესო სამსახურია, რაც გამიწიეთ!

ფილმი არა, მაგრამ პატარა ნიკოლოზი დაიბადა, უკვე ორი წელი გავიდა, მეორედ დადგა გაზაფხული და მე წერა დავიწყე – Bravo pour le clown!

ერთი მეგობარი მყავს, რაც თავი მახსოვს, ბარმენად მუშაობს „ნოეს კიდობანში“. მიყვარს მასთან ლაპარაკი, უფრო მეტად კი – მოსმენა. მოვა და გადმოაფრქვევს ხოლმე ჩემს უღიმღამო ცხოვრებას, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი, ბრჭყვიალა, აბსურდული ისტორიების ნაკადს. სიგარეტის კვამლისა და გაზისგან გამურულ სამზარეულოში ახალი წელი დგება, პეტარდები ფეთქდება, მუსიკა მხიარულ, გაურკვეველ ბგერებად გრიალებს და ფერადი ქაღალდების წვიმა მოდის. ვზივარ და სიგარეტის ნაცრისფერი, ნახევრად გამჭვირვალე ბოლის ფარდის მიღმა რიალებენ მხიარული, აბეზარი, მთვრალი, ჭკუიდან შეშლილი ლანდები „ნოეს კიდობნიდან“ და თუმცა ვიცი, რომ მათ ჩემი მეგობრის ფანტაზიის ფილტრშიც გაიარეს, ამით მხოლოდ მომხიბვლელობა ემატებათ. ვერასოდეს გამოაცოცხლებდა ასე მწერლის სამყაროს ბანკებსა და კრიალა ოფისებში გამოჩეკილი, ცისფერ ან ნარინჯისფერ ჰალსტუხიანი მუმია, პრიალა ლამინატზე სიარულს მიჩვეული, ფეხს წამოკრავდა ნახევრადაგლეჯილ ლინოლეუმს ჩემს სამზარეულოში, თვალები აუჭრელდებოდა მახინჯი

კედლების დასამალად გაკრული პლაკატების, ნახატებისა და გულუბრყვილო თვითნაკეთი სამშვენისების შემხედვარეს, მერე ერთს ჩაიფრუტუნებდა, თავქუდმოგლეჯილი გავარდებოდა სუფთა ჰაერზე და პირდაპირ თავის წინა დღეს გარეცხილ მანქანაში დურთავდა თავს.

სად გეჩქარებათ? არსად არ გადამიხვევია და სათქმელიც არ დამვიწყებია. მე ხომ ახლა დავიწყე წერა, მაშ, მისმინეთ. აქამდე ხომ ისე ვჩქარობდი, რომ ვერაფრის თქმას ვერ ვასწრებდი, სული ყელში მებჯინებოდა და, შედეგად, არაფერიც არ მითქვამს. სცენარის წერა უკვე დაგვიანებულია. მე არ მეჩქარება.

ცხონებული პოლ ბრეგი ამტკიცებდა, შიმშილი გონებას ხსნისო. თუ შიმშილი დიდი მოაზროვნეების საუკეთესო თანაშემწე ყოფილა, მაშინ გაჭირვება, დაცემა, სასოწარკვეთა და სხვა მრავალი უბედურებაც გვერდით უნდა ამოვუყენოთ, რადგან უამისოდ ცხოვრება მეტად მოსაწყენი იქნებოდა, იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებიც თოკის გარეშე არასოდეს ეშვებიან ხიდიდან. ვთქვათ, ამ საიმედო ბაგირის ერთი ძაფია წიგნები, მეორე – კინო, მესამე – თეატრი და ასე შემდეგ. მერე რა, რომ თოკს სწორედ თავიანთი წინდაუხედაობის წყალობით ფსკერზე მოკალათებული სულები წნავენ.

„ნოეს კიდობანი" ტყუილად არ მიხსენებია. მოხუცთა სახლი, სადაც ქალბატონმა ეკამ თავისი ცხოვრების ბოლო და ალბათ ყველაზე ბობოქარი წლები გაატარა, სწორედ ისეთივე თავშესაფარია ღატაკი მოხუცებისთვის, როგორც ნოეს კიდობანი – ყველა სულდგმულისათვის, „ნოეს კიდობანი" – რუტინას თავდაღწეული ალკოჰოლიკებისთვის. ცხოვრება აქ აწყობს თავის პატარ-პატარა ფეიერვერკებს, გიჟურ გამოხდომებს, მე კი ვზივარ ფსკერზე მყუდროდ მოკალათებული, სიგარეტის კვამლში გახვეული და ექოდ მომდის ზალპის ხმა.

როდესაც თავისი ჩანაფიქრი გამანდო, ჭონემ მოხუცთა სახლში მომხდარი ორიოდე სხვა ამბავიც მოაყოლა. ეს ისე, ჩა-

ფიქრებული სცენარისგან დამოუკიდებლად. ამურის ისრებს იქ ეკას გარდა ბევრი სხვა სულიც დაუჭრია. ეჭვი მაქვს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით სერიალის გულისამაჩუყებელ გმირებს.

მოხუცთა სახლის ნახევრადბნელ ფოიეს ტელევიზორის დარბაზი ესაზღვრება – მომცრო ოთახი, პარტერის მსგავსად ჩადგმული სკამების რიგებით, სადაც განსაზღვრული გრაფიკით იკავებენ ადგილს სერიალის, საინფორმაციო გამოშვებისა და თოქშოუების ერთგული მაყურებლები. სადარბაზო კარის პირდაპირ, ფოიეს მეორე ბოლოში სასადილო ოთახია, სადაც მუდამ ვერმიშელის სუპის სუნი დგას. მეორე სართულზე დირექციის ოთახებია, მესამეზე კი იმ მოხუცების, რომლებიც აქ ცხოვრობენ, ყველა კი არ ცხოვრობს მოხუცთა სახლში, მხოლოდ ისინი, ვინც უმადურმა შვილებმა, რძლებმა, ცოლებმა და ქმრებმა სახლებიდან გამოაგდეს. დანარჩენები სადილის საჭმელად, ტელევიზორის საყურებლად, საჭორაოდ, სულიშემხუთავი მარტოობისა და უკიდურესი სიღატაკისგან თავდასაღწევად დადიან. საერთოდაც, ეს არის ადგილი, სადაც ხალხი ჯერ მთლად არ შეშლილა ჭკუიდან, სადაც არ შემოულწევია ახალი დროის დაუნდობლობასა და ბარბაროსობას, სადაც ჯერ კიდევ ესმით შენი ენა – ელემენტარულ ჭეშმარიტებათა ენა. მშია – ამბობ. არავის აზრად არ მოუვა, რომ შინ მაცივარი სავსე გაქვს – სადილამდე ორი საათი დარჩა. – მცივა – ამბობ და უძლურ სხეულს გამათბობელს მიაფიცხებ. მთავარია, აქ ყველას გადასარევად ესმის შენი, რადგან თავადაც შიათ და სცივათ.

ფოიეში გამოდის კიდევ ერთი კარი – სამოთხის კარი, თვითშემოქმედების კლუბის, მათი საკონცერტო დარბაზის კარი. მოხუცთა სახლის პატარა პლანეტაზეც აქვთ თავიანთი კასტები; იყოფიან გაცილებით ახალგაზრდებად, ენერგიულებად, მორცხვებად, ურცხვებად, ფეთხუმებად, პენენიკებად, დავრდომილებად, იყოფიან სასოწარკვეთილების ხარისხების მიხედვით, თუმცა ორი ძირითადი – სუსტებისა და ძლიერების

კლასი აქაც ისევეა შენარჩუნებული, როგორც დანარჩენ შეშლილ სამყაროში. ყველაზე ყოჩაღები მაღალ კასტას ქმნიან – ისინი მომღერალთა გუნდში მღერიან, ცეკვავენ და უკრავენ, სათანადო ნიჭის უქონლობის შემთხვევაშიც კი. აი, მოხუცები სკოლის მერხის დროს უბრუნდებიან, ბავშვებივით უხარიათ და სწყინთ თავიანთი ღმერთის – მასწავლებლის – თვითშემოქმედების გუნდის ხელმძღვანელის ყოველი შენიშვნა თუ შექება.

საკონცერტო დარბაზი სასადილოს შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია.

აქაური ექიმი მზეთუნახავია, თუმცა, საცაა, 50-ს მიუკაკუნებს, გადაბმული წარბები, წითელი თმის ბულული და მობილური ტელეფონი აქვს. შეგიძლია, მის კაბინეტში ნებისმიერი წვრილმანი ჩივილით, წნევის ან პულსის გასაზომად შეხვიდე. ვერ შეამჩნიო, როგორ ემანჭება სახე ზიზღისგან, როდესაც შენ, ოთხმოცი წლის ბაბუას დორბლი მოგდის აღგზნებისგან, მისი თითები რომ გეხება და თეთრი ხალათიდან მისი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სხეულის სითბოს გრძნობ. ბევრს ის სძულს და უყვარს ერთნაირად, რადგან უკვე ველარასოდეს იქნებიან თანასწორნი.

მხოლოდ აქ შეგიძლია ვინმე შეიყვარო, ვინმემ შეგიყვაროს უიმედო, ცალმხრივი, ორმხრივი სიყვარულით! აშენო ოცნების კოშკები და ქალაქები და შეყვარებულს დაბადების დღეზე, ისეთი რამ აჩუქო, რაც ადრე თვალითაც არ უნახავს...

რა გეჩქარებათ? როგორ იქნა, განკიცხული, მხდალი სულების ქუჩაზეც დადგა გაზაფხული. მაშ, მისმინეთ.

ეს კაცი უდიდესი არქიტექტორი იყო. მერე რა, რომ არც ერთი ჩანაფიქრი, არც ერთი პროექტი არ განუხორციელებია. სად მოვიდოდა ზაჰა ჰადიდი და დუბაის მოცეკვავე კოშკები მის „ხეებზე გაშენებულ ქალაქთან“? დიახ, ათასნლოვან ტყეში, ბებერი ხეების ფართო ტოტებზე მოკალათებულ აპარ-

ტამენტებთან, რომლებსაც ერთმანეთთან თოკის კიბეები და ხიდები აკავშირებს. ტოტებზევეა შემოსკუპებული მუზეუმები და სასამართლოს შენობა, თეატრები და ცირკი, რაც მთავარია, ყველაზე დიდი, ლამაზი, ნათელი და ფართო მოხუცთა სახლი. მერე რა, რომ ეს კაცი მხოლოდ ხანდახან, ვერმიშელის სუპის საჭმელად თუ მოსწყდებოდა მუშაობას და მერე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სასადილოდან ახალი ნაგებობის დასაპროექტებლად. მხოლოდ მისი გაქანებისა და ფანტაზიის მქონე ადამიანს შეეძლო მიერთმია დაბადების დღეზე არნახული საჩუქარი საყვარელი ქალისთვის. შინაბერა იუბილარმა, რომელსაც იმ დღეს (რა დღე იყო, არ ვიცი) 67 წელი შეუსრულდა, ჯერ გაზეთის ფურცლებში შეახვია სასადილოს მაგიდიდან აღებული პური, მერე საგულდაგულოდ გამოკრა პარკში, ჩანთაში საიმედოდ შეინახა და სადარბაზო კარს მიაშურა. მისი დაბადების დღე არავის გახსენებია, მგონი თვითონაც არ ახსოვდა. მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე თვის წინ იმ აბეზარმა გიჟმა გამოსტყუა ეს თარიღი, ხეზე რომ აპირებდა სახლების აშენებას, მაგრამ შინაბერას არც ეს შემთხვევა ახსოვდა. უეცრად სადარბაზო კარი გარედან გაიღო. გაზაფხულის მშვენიერი, თბილი საღამო იყო, როგორც ახლა. ზღურბლზე არქიტექტორი იდგა, უჩვეულოდ დიდი, კინკრიხოზე გამელოტებული თავი წითელი, საწვიმარი ლაბადის საყელოდან ამაყად ამოეყო, ფეხზე მხოლოდ წინდები და ფეხსაცმელი ეცვა. „გიჟი თავისუფალიაო" – იფიქრა იუბილარმა და ლაპარაკი რომ არ გაება, გასვლა დააპირა, მაგრამ არქიტექტორი მთელი ტანით ჩამდგარიყო კარში და უცნაურად იღიმებოდა. ვიდრე ქალი რამის თქმას მოასწრებდა, ლაბადა შეიხსნა. მერე რა, რომ კნაჭა ფეხები ჰქონდა, დახეული მაისური ეცვა, შარვალი და ნიფხავი კი – არა. სამაგიეროდ, მომჩვარულ სარცხვინელზე წითელი ბაფთა ეკეთა და მორცხვად მიულოცა დაბადების დღე თავის რჩეულს.

სად მოვიდოდა დუბაის მოცეკვავე კოშკები ან თვით ვენეცია მის „ხეების ქალაქთან"?

ორი დღის წინ მტკიცედ გადავწყვიტე ხელი მომეკიდა დეტექტივის ან სასიყვარულო ისტორიის წერისათვის, ფარატინა ჟურნალებში დასაბეჭდად, მილიონიანი ტირაჟით რომ გამოდის და ხელიდან ხელში გადადის. მშვენიერი, ამაღელვებელი ამბებისათვის აპპყ ნდ-ით. ფულს ვიშოვნიდი და სახელს მოვიხვეჭდი. მაგრამ რა ჯანდაბად მინდა ან ერთი და ან მეორე, თუკი დიდი ხნის წინ ცურვის უცოდინარმა თოკის გარეშე ვისკუპე ხიდიდან? მაგრამ ჭონემ ეს არ იცის, არ მითქვამს, არავისთვის არ მითქვამს.

ჭონემ სცენარის მონახაზი მომცა, ნახევარი გვერდი:

„ქალბატონი ეკა მოხუცთა სახლში 19... წელს მივიდა. თავიდან მარტოხელა, ხელმოკლე მოხუცი მოკრძალებისა და სიმშვიდის განსახიერება იყო, ვიდრე სიყვარული არ ეწვია. ეკას წარმოსადეგი, სიმპათიური და სხვებთან შედარებით ახალგაზრდა მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი შეუყვარდა. გუნდის ლოტბარს მანამდეც ეკეკლუცებოდა სახლის ბევრი ბებია, მაგრამ ეკას გრძნობა გაცილებით ღრმა აღმოჩნდა. ის მომღერალთა გუნდშიც ჩაეწერა და ცეკვის შესწავლაც მოინდომა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დირექცია დაიყაბულა ერთ-ერთ ქორეოგრაფიულ სტუდიაში მისთვის რეკომენდაცია გაეწიათ. მოხუცს უჩვეულოდ მოემატა სასიცოცხლო ძალები. ცეკვა ახალგაზრდებზე უკეთ ისწავლა. ერთ დღესაც, როდესაც ჩათვალა, რომ ამის დრო უკვე დადგა, თავის რჩეულს სიყვარულში გამოუტყდა. საუბედუროდ, კაცს უკვე ჰყავდა მეგობარი ქალი მოხუცთა სახლში, თანაც სულაც არ მოსწონდა თავისზე 20 წლით უფროსი ეკა. უარყოფილი მოხუცი საკუთარ თავში ჩაიკეტა და გაავდა. უმიზეზო სკანდალებს აწყობდა და დირექტორს სთხოვდა, ლოტბარი სახლიდან გაეგდოთ.

ერთ მშვენიერ დღეს, მომღერალთა გუნდმა საჩვენებელი კონცერტი მოაწყო. ეს მნიშვნელოვანი დღე იყო. დირექციამ

რამდენიმე მაღალჩინოსანიც მოიწვია, ვისზეც მოხუცთა სახლის დაფინანსების ბედი ეკიდა. კონცერტმა საუცხოოდ ჩაიარა, მომღერლებმა, თუ რამდენიმე დეტონაციას არ ჩავთვლით, თავი არ შეირცხვინეს. ის იყო, დარბაზში ხალხი აიშალა, რომ სცენაზე ქალბატონი ეკა გამოჩნდა, მაყურებელს თავი დაუკრა, პიანინოსთან მდგარ ლოტბარს მიუბრუნდა და განაცხადა, რომ ცეკვას, რომლის შესრულებასაც აპირებდა, საყვარელ კაცს უძღვნიდა. ქალი მომაკვდავი გედივით აფარფატდა, შუა ცეკვის დროს კი გაოგნებული მაყურებლების წინაშე სცენაზე დაეცა და სული განუტევა" (ამ აბზაცზე საავტორო უფლებები ჭონეს ეკუთვნის).

– გულისამაჩუყებელი ისტორიაა, – ვიმანჭები მე – კარგი იქნებოდა, რომანტიკის საბურველი ჩამოგვეცილებინა და უფრო მრავალფეროვანი გაგვეხადა.

– მე სწორედ ასეთი მომწონს – გაუზიარებელი სიყვარული სამოცდაათი წლის ასაკში და ეფექტური სიკვდილი, – აუღელვებლად ამბობს ჭონე – არც ბევრი პერსონაჟი მინდა, ქალი და კაცი საკმარისია. სად არის აქ ტუალეტი? – შვიდი თვის ორსულია და წარამარა ეფსმება.

– არ გეთანხმები! თუნდაც არქიტექტორი რად ღირს! დეერეფნის ბოლოში.

გადაწყდა, რომ ყოველდღე რამდენიმე საათს გავატარებთ მოხუცთა სახლში – გვინდა იქაურობას კარგად გავეცნოთ, როგორც იტყვიან, სამუშაო მასალა შევისწავლოთ.

ჭონესა და გოგისთან ერთად მოხუცთა სახლში სიარული დავიწყე. უნდა გენახათ, თქვენი მონა-მორჩილის ყალბად საქმიანი სიფათი, ხელში დიქტოფონს რომ ატრიალებდა და საჭირო დროს ჩართვა ავიწყდებოდა. აზრიც არ ჰქონდა – კასეტა გაფუჭებული იყო, ელემენტები – დამჯდარი. პირველ დღეს ფოიეში იქაური ექიმი დაგვხვდა და თავისი კაბინეტისკენ გაგვიძღვა.

– არ ვიცი, რატომ დაგაინტერესათ ამ ისტორიამ. ჩვეულებ-

რივი ბებია იყო, ბოლოს ჭკუაზე შეირყა, ხო, მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი შეუყვარდა, ამის ნიადაგზეპ რამდენი რამეა გაცილებით საინტერესო, ცოტა ხნის წინ წიგნი გამოვიდა კაცზე, ჯურღმულში ცხოვრების ნახევარი რომ გაატარა, აი, ამაზე მართლაც შეიძლება ფილმის გადაღება. სასწაულებს წერს!... ბიჭს ელოდებით თუ გოგოს? მართლაც, შვილი – შვილიაპ ხო, ეკას რაც შეეხებაპ ბევრი არაფერი ვიცი. აქ რომ მოვიდა სრულიად ნორმალური ადამიანი იყო, მათემატიკის მასწავლებელი. გათხოვილი? გათხოვილი არასოდეს ყოფილა, თუმცა ვინ იცის... კიდევ რა ხო, ყოველთვის მოწესრიგებული, მის ტანსაცმელზე ვერასოდეს ერთ ლაქასაც ვერ ნახავდით. თავიდან მხოლოდ სასადილოდ მოდიოდა, მერე საკონცერტო დარბაზში სიარულსაც მოუხშირა. ბოლოს, სიმღერა დაიწყო, თუმცა ხმა არ ჰქონდა. მაშინ ცეკვის შესწავლა მოინდომა. ვიდრე ცეკვის სტუდიაში არ მივაღებინეთ, არ მოგვეშვა. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი მონდომებული იყო, რომ გამოუვიდა! ცოტა ხანში შესანიშნავად დაიწყო ცეკვა! და ყველაფერი იმ კაცის გამოპ ალბათ იცით, რომ მას აქ ქალი ჰყავს ხო ისინი უკვე წლებია ერთად არიან. აქ ეს ყველამ იცის დიახ, ეკამაც იცოდა. ნელიკო ძალიან აქტიური ქალია, თუმცა დიდი ხნის წინ, როდესაც აქ მოვიდა, ერთი საცოდავი, დათრგუნული არსება იყო, ინვალიდი ქმარი, ჭკუასუსტი შვილი და სიღატაკე ბოლოს უღებდა – ძონძების გროვას ჰგავდა. უცნაურია, მაგრამ სწორედ ამ დროს შენიშნა ის გუნდის ხელმძღვანელმა და თითქმის ძალით ჩააბა გუნდის საქმიანობაში. ამის შემდეგ ქალი გარეგნულადაც ძალიან შეიცვალა, წელში გაიმართა და უზარმაზარი ამბიციები გაუჩნდა. მათი სურათები ჰოლში გვერდიგვერდ ჰკიდია. ვინმემ რომ გაბედოს და სხვა ადგილას დაკიდოს, ნელიკო ალბათ სახეს ჩამოკაწრავსპ

ჭონე წიგნაკში იხედება:

– გუნდის ხელმძღვანელი? ახლაც აქ მუშაობს?

– ის ახლა ჩვენი ერთ-ერთი მოხუცია, გუნდის ხელმძღვანელი სხვაა. როდესაც ეს ამბავი მოხდა, მაშინ ნახევარ განაკ-

ვეთზე მუშაობდა და ხელფასს იღებდა, თუმცა სხვებივით აქ სადილობდა. ძალიან წარმოსადეგი, სიმპათიური კაცია – ექიმი რატომღაც საკუთარი ფრჩხილების თვალიერებას იწყებს – თანაც აქაურებზე ბევრად ახალგაზრდა. ყველა ბებია ეპრანჭებოდა, მაშინ ხომ თანამდებობის პირი იყო – ქვედა ტუჩი დამცინავად ჩამოწია თუ მეჩვენება? – მაგრამ ეკასავით არავინ გაგიჟებულა. ყოველდღე შემოდიოდა ჩემთან, შეუძლოდ ყოფნას იმიზეზებდა, სინამდვილეში იმ კაცისა და მისი ქალების ლანძღვით გულის მოფხანა უნდოდა. დიახ, დიახ! ქალების – ერთის კი არა, ყველასი! ჩემზეც კი ეჭვიანობდა... იცით, რა ძნელია... რა ძნელია ეს ყველაფერი! – ექიმი ადგა, გაოცებულებს ზურგი მოგვაქცია და ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილების მორწყვას შეუდგა.

სად გეჩქარებათ? ძველი სახლის კედლები მობრეცილა და ქარის ყოველ დაბერვაზე სახიფათოდ იზნიქება, მაგრამ რა მესაქმება, გაზაფხულია, ვწერ.

მომღერალთა გუნდის რეპეტიციას დავესწარით. მოხუცები გვათვალიერებენ, როგორც რაღაც უცხო ხილს, იმ შეშლილი, მაინც სასურველი სამყაროდან მოსულებს, ზოგი ხელსაც გვავლებს, აინტერესებთ, ნამდვილი ადამიანები ვართ თუ არა. ჭონემ არხეინი მასლაათი გაუბა ერთ-ერთს, გოგი ცნობისმოყვარეობით აკვირდება ყველაფერს, ალბათ უკვე ოპერატორის თვალით აფასებს. რას ვაკეთებდი მაშინ? გითხარით მაშინ, რომ მეც იმ დიდი სამყაროს გერი ვარ? თქვენსავით გავურბივარ მას, საკუთარ პლანეტაზე. მაგრამ, თქვენგან გასხვავებით, პატარა პრინცივით მარტო ვიყავი და მხოლოდ ერთი პატარა ყვავილი მქონდა, რომელსაც წყალსაც არ ვუსხამდი და უმოწყალოდ ვაჭკნობდი. აი, უნდა ვწერო თქვენზე და ყველაზე ცოტა ადგილს გითმობთ, მაგრამ განსხვავებაც ცოტაა.

გუნდის ხელმძღვანელი, ძველი ქართული ფილმებიდან გადმოსული პერსონაჟი თავზე ტალღოვანი თმის ბულულით,

სცენაზე დგას და ნახევარწრედ მდგარ მომღერლებს მოძღვრავს:

– სუნთქვა მანდ კი არა გაფრინდი შავო მერცხალოოოოოპ აი, აქ უნდა, – მერე სადილის მოლოდინში დროის გასაყვანად ჩამოსკუპებულ მოხუცებს უბრუნდება:

– შენ ხომ გინდოდა გუნდში სიმღერა? აი, შენ, შენ... სახელი დამავიწყდა, – შუა რიგებში მჯდარი, გაქუცულ და ძლიერ შელახულ ბეწვის ქურქში გამოწყობილი მოხუცი მორცხვად ხითხითებს და თეთრი ბერეტის ქვეშიდან უყურებს მამაღმერთს:

– ემა რა ვიციპ

– სადილი! სადილის დროა! – დარბაზის კართან აჩქარებული მოხუცების რიგი დგება. ერთმანეთს გასვლას არ აცდიან.

– ნუ ჩქარობთ, სუპი არ გაიქცევა, – მშიერი სიცილით ამბობს ვიღაც.

სასადილოში ხარბად იხვრიპება წვნიანი. თითოეულ მაგიდაზე მოზრდილი საპურეები პურის დიდრონი ნაჭრებითაა სავსე . მოტრაპეზეები ხშირ-ხშირად იწვდიან ხელს საპურისკენ. ზოგი წვნიანში იყრის, ვისაც კბილები შერჩენია, ისე ჭამს. მორჩენილი პური მარდად უჩინარდება ჩანთებში, პარკებსა და ჯიბეებში.

წვნიანს ჩვენც გვთავაზობენ, მაგრამ ვუარობთ. მე არ მშია, თუმცა უარს არ ვიტყოდი ენის სალათზე, დუქან „რაჭაში“ ყველაზე გემრიელად რომ ამზადებენ და შოკოლადის ტორტის ნაჭერზე ლიტერატურულში, ჭონემ ცოტა ხნის წინ ორ მოზრდილ ხორციან ღვეზელს მოუთავა ხელი და კიდევ იმდენივესთვის თავის გასაწირადაა მზად, გოგის წვნიანი არ უყვარს.

სად გეჩქარებათ? წვნიანი არ გაიქცევა. მაშ, მისმინეთ.

– როგორ არ მახსოვს! ისეთი ამბები ტრიალებდა, რა დამავიწყებს... – შალის პალტოში ჩაფუთნული დაბალი, ჯმუხი ქალი ჭრელ ქათამს მაგონებს. დიდ, მომწვანო-ჭროღა თვალებ-

ში, ეშმაკურად რომ შემოგვცქერის, შავით თეთრზე წერია – იმაზე მეტს ვერ დამტყუებთ, რის თქმასაც თვითონ ჩავთვლი საჭიროდ.

– კარგი, კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ ძალიან უცნაური. კრიჭაში ჩადგომა იცოდა. თუ ვინმეს აითვალწუნებდა, არ გაახარებდა. იცით ალბათ ხომ, მაშინდელი გუნდის ხელმძღვანელი რომ შეუყვარდა? ხოდა, საწყალ კაცს მოსვენებას არ აძლევდა, სულ კუდში დასდევდა. რა გასაკვირია, წარმოსადეგი კაცი იყო, ძალიან სიმპათიური, აქაურებს კი არ ჰგავდა, – ტუჩს იბზეკს ნელიკო. არც ერთი გადაკრული სიტყვა მათ სასიყვარულო კავშირზე. ჩვენც დელიკატურად ვუვლით გვერდს ამ თემას – ადრე სამხედრო აკადემიის ორკესტრის დირიჟორი იყო, „მაღალ სართულებშიც“ ბევრს მოწონდა, – ჩვენკენ იხრება და გასაიდუმლოებული სახით დერეფნისკენ იცქირება. მეორე სართულზე, დიდ ჰოლში, დივანზე ვსხედვართ, დერეფანში კი ექიმის, დირექტორისა და კოსტიუმების შესანახი ოთახების კარები გამოდის. – მერე სიყვარული სიძულვილით შეეცვალა და კაცს სიცოცხლე გაუმწარა. დღე არ გავიდოდა, რამე საბაბით ჩხუბი არ აეტეხა. მგონი მაგ დროს უკვე გაფრენილი ჰქონდა. ხო, იმ დღეს მეც იქ ვიყავი. სცენაზე გამოსვლა ვერ მოასწრო საწყალმა, რომ ხალიჩას ფეხი წამოკრა და დაეცა. აღარც ამდგარა... მართლა ფილმს იღებთ?

ჯერ არა, მაგრამ იმედი გვაქვს... მწვანე შალის ჩამოშლილ ფოჩს კეკლუცად იგდებს მხარზე და ქუდს ისწორებს:

– ვინ უნდა ათამაშოთ?

შუა შემოდგომის თბილი, გარინდული, გამჭვირვალე, მატყუარა ამინდი დგას, როდესაც გგონია, ზამთარმა თვენახევრით მაინც დაიხია უკან. გამვლელებიც უჩვეულოდ უწყინარნი არიან, თითქოს თავიანთი ყოველდღიური ბოღმა სადღაც კუნჭულში მიუჩქმალავთ და ღიმილის უნარი დაბრუნებიათ. ღიმილის, და არა ისტერიული ჟესტების, ჩვეულებისამებრ, სიცილ-

სა და სიხარულს რომ ცვლის. ასეთ დღეებში ადამიანს თვალიდან ლიბრი შორდება, ყველაფერს ძალიან მკაფიოდ აღიქვამს. ასფალტიც აღარ არის უფსკრულივით სახიფათო – ზედ უსაფრთხოდ სიარული შეიძლება.

მავანი ნ. უკვე სამი წელია, სტანდარტ ბანკის ერთ-ერთ ფილიალში მუშაობს, თეთრ პერანგზე წითელი ჰალსტუხი უკეთია და მოსწონს, შესვენებაზე ამ ჰალსტუხით რომ გამოდის ქუჩაში. ამ ფერის ჰალსტუხები მხოლოდ სტანდარტ ბანკის თანამშრომლებს უკეთიათ, მაგრამ ეჭვი რომ არავის შეეპაროს, არც სამკერდე ნიშანს იხსნის. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სხვა მრავალივით, ამ ფინანსური კრიზისის დროს, ის შემცირებაში არ მოუყოლებიათ და ასფალტის მხვნელ-მთესველ უმუშევართა არმიასთან არაფერი ესაქმება, მაღალი ხელფასი და კოხტა ბინა აქვს. მართალია, დროდადრო კრედიტს აჭარბებს, მაგრამ ეს დიდი უბედურება არ არის. თუ ჯერ არ ჰყავს მზეთუნახავი მეუღლე და ცისფერთვალება, პატარა ბიჭი, მალე ეყოლება – წუნს ვერავინ დასდებს.

აი, მავანი ნ. შესვენებიდან ბრუნდება. მის წინ მომცრო ტანის, მოხდენილი ქალიშვილი სწრაფი ნაბიჯით მიდის. უჯრულა მანტო აცვია და მწვანე ბერეტი ახურავს. თმა არ უჩანს, ფუმფულა წაბლისფერი ან სწორი, ყავისფერი თმა ექნება, შეიძლება – ქერაც. მერე რა, რომ მხარზე ცოტა უცნაური ჩანთა აქვს გადაგდებული – ახლანდელ გოგონებს ხომ მოსწონთ ბებიების ნაქონი ნივთები. დაბალყელიან, ყავისფერ ფეხსაცმელს ქუსლები აქვს მოცვეთილი – მერე რა მოხდა. რამდენია ქვეყანაზე ასეთი მოკრძალებული მზეთუნახავი, ჩაცმულობის თავისებური, განუმეორებელი მანერით. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ურჩევნია ბუტიკებში გამოპრანჭულ ქედმაღალ ლამაზმანებს. ქალიშვილი სწორედ მისი ბანკისაკენ მიემართება, ალბათ ტელეფონის ფული უნდა გადაიხადოს, ან სტიპენდია აიღოს, ასეთები ხომ თავს აკლავენ სწავლას. ნ. გალანტურად ეწევა და კარს უღებს:

– მიბრძანდით, ქალიშვილო! – მინის კარი უხმაუროდ, ზან-

ტად ტრიალებს ანჯამებზე და ნ. ქალიშვილის რქისჩარჩოიან სათვალესა და პიგმენტურ ლაქებს მისჩერებია მის ბებრულ ხელებზე.

ბანკში დიდხანს ემახსოვრებათ ეს ამბავი და უამრავ არცთუ უწყინარ ხუმრობას დაატეხენ თავს მავან ნ.-ს, რომელსაც ამიერიდან ქალიშვილების წინაშე დაუძლეველი შიში შეიპყრობს და ვინრო ჯინსში გამოკრულ, ათსანტიმეტრიან ქუსლებზე შემდგარ მდედრს მხოლოდ წინიდან მისი კარგად შეთვალიერების შემდეგ ირწმუნებს.

რა ბრალი მიუძღოდა წითელჰალსტუხიან მოხელეს, თუ იმ დროს მოხუცთა სახლში ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი, წარმოსადეგი, სიმპათიური და სხვებზე ახალაზრდა მამაკაცი, რომელმაც უკლებლივ ყველა ბებიის, უფრო მეტად კი ერთის გული დაიპყრო. თუკი იმ ერთმა ბანკიდან ორი კვარტლის მოშორებით, იტალიური ეზოს მესამე სართულზე, მასზე საუკუნით უფროს ჭრიალა სასტუმრო ოთახში სწორედ წინა საღამოს გადმოშალა მაგიდაზე ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოები და შუაღამემდე ათვალიერა, დილით კი საგულდაგულოდ გამოეწყო საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი რეპეტიციისათვის. თუ გზადაგზა სრულიად უწყინარი ეჩვენებოდა ეს მტრული, შეშლილი სამყარო და ელექტროობის ბოძზე გაკრულ განცხადებას, ნებისმიერი ასაკის მსურველებს რომ იწვევდა ქორეოგრაფიულ სტუდიაში ხალხური და სამეჯლისო ცეკვების შესასწავლად, ტელეფონის ნომერი მოახია. ის ხომ ბრძოლის ჟინით იყო შეპყრობილი და ფერხულში მეტოქის ჩამოტოვებას აპირებდა.

რა ესაქმებოდა ქალიშვილს ბანკში? მხოლოდ თვეში ერთხელ, პენსიის ასაღებად თუ მივიდოდა.

სად გეჩქარებათ? ხვალ წვიმა და ქარია გამოცხადებული, დღეს კი შუა შემოდგომის თბილი, გარინდული, გამჭვირვალე, მატყუარა ამინდი დგას, როდესაც ბგონია, ზამთარმა თვენახევრით მაინც დაიხია უკან. გამვლელების ნაცვლად საყვარე-

ლი სახეები მივლიან გვერდს და ზურგს უკან უჩინარდებიან. არ ვიხედები, არც ვეწევი, გზას განვაგრძობ, რადგან ყველა კრედიტი ამომეწურა. მაშ, მისმინეთ.

– არ ვიცი, ვისზე მეუბნებით... – გაკერპდა ყოფილი თანამდებობის პირი და საკუთარ ფეხსაცმელს ათვალიერებს.

ვუყვებით, რაც ვიცით. წლებსა და სახელებს ვახსენებთ.

– არ ვიცი, არა, არაფერი არ მახსოვს. მოიცადეთ, მგონი მივხვდი. კი, იყო ასეთი, გუნდში მღეროდა, შესანიშნავი ხმა ჰქონდა. ჩემგან რა გაინტერესებთ? – ნიშნისმოგებით მოგვჩერებია. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია. ასეთებს არწივივით ცხვირი და ძველმოდური ულვაში უხდებათ. ცხვირი ბუნებამ შესაბამისი დაანათლა, ულვაშზე თვითონ იზრუნა. ოდნავ შემელოტებულ თავზე სვანური ქუდი ახურავს და შლაქსები აცვია. მოტეხილი ჩანს, მაგრამ ეტყობა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ქალების კერპი იქნებოდა.

თუ შეიძლება, იმ დღეზე რომ მოგვიყვეს, როდესაც ტრაგედია მოხდა.

იმ დღეს ის აქ არ ყოფილა, ავად იყო და არაფერი იცის, საერთოდ არაფერი. მხოლოდ მერე გაიგო, რომ სცენაზე ქალი მოკვდა. სიტყვა მომღერალთა გუნდის ახლანდელ ხელმძღვანელზე გადააქვს. კი, შესანიშნავი ადამიანია, თავისი საქმე იცის, რა თქმა უნდა, ისე არა, როგორც ზოგიერთმა უსამართლოდ ჩამოქვეითებულმა, მაგრამ...

კი, მაგრამ...

საინტერესოს ვერაფერს გვეტყვის, თანაც სადილზე აგვიანდება.

რაც მართალია, მართალია – არაფერი იცის და არ უნდა იცოდეს კუდიან დედაბერზე, რომელმაც, ნახევარ განაკვეთს ვინ ჩივის, სიცოცხლე გაუმწარა! ჩია, ინტრიგან და მატყუარა ავსულზე! რა იცის ამ სამმა ცხვირმოუხოცავმა, ტრაგედია რომ დაუჩემებიათ და სხვის წარსულში იქექებიან? ტრაგედია

კი არა, კომედია იყო, სამარცხვინო ფარსი. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. არადა, რა უწყინარად დაიწყო ყველაფერი.

რამდენიმე წლის წინ დიდების ზენიტში იყო – „მაღალ სართულებთან" დაახლოებული პერსონა, თითქმის ადმინისტრაციის წევრი. ის თუ იციან ამ ლაწირაკებმა, რომ თავის დროზე კაპელაში უკრავდა, მერე კი ტრამვაის მძღოლთა გაერთიანების ვოკალურ-ინსტრუმენტული გუნდის ხელმძღვანელი იყო? მერე რა, რომ ტრამვაი აღარ დადის და ქალაქში ცოტა ხნის წინ უკანასკნელი ლიანდაგი აყარეს?

თუ აქაურებს პატივს სდებდა და სადილზე დაეწვეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ქედმაღლობაში არ ჩამოერთვათ და ბოროტი ენებისთვის სალაპარაკო არ მიეცა. აქ გაიცნო ძაღლივით ერთგული ნელიკო, რომელიც, ცოტაოდენი სითბოსა და იმ დიდების ფასად, რაც გუნდის ხელმძღვანელთან სიახლოვემ მოუტანა, სახლის ყოველდღიური, მოსაწყენი საქმეებისგან ათავისუფლებდა მარტოხელა მამაკაცს.

როდის ამოიზარდა ეშმაკი სოკოსავით წინა რიგებში, ზედ ფორტეპიანოსთან? რატომ იცინოდა ასე ხმამაღლა მის ყოველ ხუმრობაზე და სად მალავდა კუდსა და რქებს? ყველაფერს თავისი დრო ჰქონია.

გუშინდელი დღესავით ახსოვს „ხანუმას" რომ დგამდნენ. რეჟისორი თვითონ იყო, მთავარ როლებს კი ის და ნელიკო თამაშობდნენ. ნელიკოს საცეკვაო ნომერიც ჰქონდა. მთელი დარბაზი იცინოდა, ტაშს უკრავდა, ეკას გარდა. ეს კარგად ახსოვს. მაშინაც წინა რიგებში იჯდა. სათვალის უკან გაყინული მზერით სადღაც შორს იყურებოდა. მაშინდელი სურათები ახლაც ჰკიდია შემოსასვლელში, საპატიო დაფაზე.

სად გეჩქარებათ? ჭერი აბლაბუდას დაუფარავს, ობობები გამალებით ქსოვენ ბადეებს, რა მესაქმება? გაზაფხულია, ვწერ.

ჭორები დაირხა, ავსული გუნდის ხელმძღვანელის სულის დაპატრონებას ცდილობს და ცეკვის სტუდიაში სიარული დაიწყოო. ეს ამბავი სენსაციად იქცა. ქორეოგრაფმა ექიმს დაურეკა და დიდხანს ელაპარაკა, იმან კი ჯინაზე მთელი დარბაზის გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა, კუდიანმა ცეკვაში ახალგაზრდებს აჯობაო. დედაბერი ფრთაშესხმულივით დაფრინავდა, მიწაზე ფეხს არ აკარებდა. მოხერხებულ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, თავისი წარმატებებით არ ეტრაბახა. ერთი-ორჯერ საჩვენებელი გამოსვლაც მოაწყო.

ორი მდედრი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, მამრი კი განზე იდგა და ეს ამბავი არ ეხებოდა, ვიდრე ეშმაკი სადარბაზოში არ ჩაუსაფრდა და ერთ მიყრუებულ სკვერში არ შეიტყუა. ჯერ შორიდან მოუარა, საზღვარგარეთს გადაწვდა, იქ ასაკს მნიშვნელობა არა აქვსო, ხალხი ოთხმოცი წლისა იწყებს ცხოვრებასო. მართლაც, რამ უნდა შეუშალოს ორ მარტოხელა ადამიანს ხელი, მით უმეტეს, თუ თავზე არ აწვიმთ თავიანთ სახლებშიო. მერე თავისი ბინის ისტორია მოჰყვა, როგორ შეიერთა დიდი ხნის წინ მეზობლის მეორე ოთახი და მყუდრო ბუდე მოიწყო. სამწუხაროდ, აქამდე მარტო იყო, შეშლილობამდე, სიგიჟემდე მარტო, მაგრამ ახლა გამოჩნდა ადამიანი, რომელთანაც ბედნიერი იქნება. ზუსტად იცის, რომ იქნება. რატომ? იმიტომ, რომ... არ იცის სიტყვებით, როგორ გადმოსცეს... იმიტომ რომ, მის გვერდით ყველაფერი სხვანაირია. არ იცის, რანაირი, მაგრამ ისეთი არა, როგორც მანამდე, უფრო სწორად ახლა ყველაფერი კარგი, რაც ქვეყანაზე არსებობს და რაც ამდენი წლის განმავლობაში ბნელით იყო მოცული, სინათლეზე გამოვიდა და მტვერი გადაიფერთხა, ასეთი შეგრძნება ახალგაზრდობის, არა, იტყუება, ბავშვობის შემდეგ არ ჰქონია და სხვა და სხვა.

რაც მთავარია, ის ადამიანი ახლა გვერდით უზის.

სად გეჩქარებათ? მერე რა, რომ გაზაფხულია. აღდგომამდე ნასესხები დღეები დგება. მაშ, მისმინეთ.

კუდი გრძელზე გრძელი ჰქონია და რქები წამახული, ეშმაკს! ჯერ მოხუცთა სახლის დირექტორმა დაიბარა და, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ჰკითხა, რამე ხომ არ მოხდაო? რა უნდა მომხდარიყო? დირექტორამდე ხმები მივიდა, თითქოს... თვითონაც არ სჯერა ამ ყველაფრის, თითქოს მან ერთ-ერთ მოხუცზე იძალადა და შიდსი შეჰყარა! სასაცილოა, არა? რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ რამე ხომ არ აწყენინა იმ მოხუცს? არა, რა თქმა უნდა. ასეც იცოდა. საქმე დახურულია, გამოძიება დამთავრებული, – გულიანად იცინის დირექტორი და ხელს ართმევს.

სადილზე უარს იტყოდა, მაგრამ დამნაშავესავით ხომ არ ამოიძუებს კუდს და დედაბერს დაუთმობს ასპარეზს. მას კი მისი აქედან გაგდება უნდა, ხმებს ავრცელებს, თითქოს გუნდის ხელმძღვანელმა გააუპატიურა, სადაც დაინახავს დუუმორეული ილანძღება, მარტო მას კი არა, მოხუცთა სახლის სხვა ბებიებსაც ცუდ დღეში აგდებს, საკმარისია, რომელიმე მათგანი რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდეს. ნელიკოს ყველაზე მეტად ერჩის, მაგრამ პირდაპირ არაფერს ეუბნება, სხვებზე იყრის ჯავრს. მოხუცთა სახლი ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ჯიბრზე, გუნდს სწორედ იმ დღეებში უნდა ემუშავა ყველაზე მეტი კონცერტისთვის, რომელზეც მოხუცთა სახლის დაფინანსების ბედი გადაწყდებოდა. ეს კარგად იცოდნენ „მაღალმა სართულებმა“ და მათთან დაახლოებულმა პირებმა.

ექიმის ვიწრო კაბინეტში, წამლების კარადის თავზე გამოხუნებული პლაკატია გაკრული. ყველა შემომსვლელს თვალში ხვდება. ექიმი გამალებული ფუსფუსებს, მაგიდის უჯრებში ცნობილი ხალხის სამადლობელ წერილებს ეძებს:

– ეს ერთი კინომსახიობი ქალისგანაა, სახელსა და გვარს ვერ გაგიმხელთ, ახლა ძალიან მოხუცია და ხელმოკლედ ცხოვრობს. თავის დროზე ვარსკვლავი იყო, – მერე, ლაპარაკში შემ-

თხვევით გვიმხელს კიდეც სახელს, – ერთ დღეს დამირეკა და წამლები მთხოვა. აქ მოსვლა ერიდებოდა და სახლში ვესტუმრე. ამის შემდეგ მომწერა ეს წერილი, რომელსაც ჩემს არქივში ვინახავ და როგორც ისტორიულ დოკუმენტს, ისე ვუფრთხილდები. დიახ, ორმოცდაათი წლის შემდეგ, როცა აღარც ადრესატი იქნება ცოცხალი, აღარც – ავტორი. – სხვა წერილებს გვერდს უვლის, იქნებ ისინი არც არსებობს? უჯრებიდან მთელს თავის არქივს ალაგებს და მაგიდაზე მსუქან საქაღალდეებს ახვავებს – პაციენტების ლექსებსა და წერილებს, უმრავლესობა მოხუცთა სახლის ბებია-ბაბუების კალამს ეკუთვნის. აქ არის გულუბრყვილო სასიყვარულო წერილები, რითმიანი ლექსები, ოდები სულისა და ხორცის მკურნალს და სხვა და სხვა.

– წიგნის გამოცემაზე არ გიფიქრიათ? – ვეკითხები მე, – ბევრი გამომცემელი დაინტერესდება ასეთი... ორიგინალური ნაწარმოებებით, – მოვაჯექი ბედაურს და მივაჭენებ. მერე რა, რომ გამომცემლები ჩვენს დროში მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვით შოულობენ ფულს და აქა-იქ, მრავალფეროვნებისთვის, დიდების ზენიტში მყოფი მწერლების წიგნებზე წაუცდებათ ხოლმე ხელი. საკუთარი იდეით აღფრთოვანებული ვპირდები, რომ თავად მოვკიდებ ხელს კრებულის მომზადებას, მერე კი ენას ვიკბენ. საბედნიეროდ, ექიმი მეტად თავმდაბალია სახოტბო ლექსების სააშკარაოზე გამოსატანად, თუმცა ვატყობ, ამ პერსპექტივას მაინც ვერ უყურებს გულგრილად, ამიტომ პირში წყალს ვიგუბებ. ჭონე დასახული მიზნისაკენ ზიგზაგების გარეშე მიდის და ექიმსაც კალაპოტში აბრუნებს:

– ხო, იმ ისტორიაზე რაც ვიცოდი, უკვე მოგიყევით. რაც იმ კაცისგან უარი მიიღო, ეკას ფსიქიკა შეერყა, ხედავთ იმ პლაკატს? – კარადისკენ გვითითებს, – შიდსის დღისადმი მიძღვნილი პლაკატია. ერთხელ, ვიდრე ეს ამბები დაიწყებოდა, მკითხა, შიდსი რას ნიშნავსო. ავუხსენი. მერე კი აიკვიატა, შიდსი მჭირსო. საიდან უნდა დამართოდა შიდსი? საიდან და

გამაუპატიურესო, ყველამ იცით, ვინცო. მოკლედ, ურევდა. მგონი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ იმ კაცს ყველა ჩამოშორებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სისულელე იყო, მაგრამ მაშინ...

არაფერი უნდა იცოდეს იმ კუდიანზე, მაგრამ დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს, სიკვდილს არ აცდიდა, თავად მოუღებდა ბოლოს.

პარლამენტარი და კიდევ რომელიღაც კომიტეტის თამჯდომარე წინა რიგებში დასხეს, მესამე სართულის ექვსი, საგანგებოდ გამოწყობილი ბებია კი – დარბაზის ბოლოში. სამაგიეროდ, იმ დღეს სამზარეულოში ქათმის ბულიონი და სოიოს კატლეტები მზადდებოდა, ყვავილებიანი პლასტმასის თასები კი მანდარინით აევსოთ. იმ დღისთვის საგანგებოდ ამოაწყვეს მოხუცებმა ნაფტალინში ჩაწყობილი საგარეო პალტოები, კაბები და შარვლები, ყველაზე ფეთხუმებსაც კი დაკემსილი წინდები და შალის ნაჭრით გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვათ. ყველაზე თვალისმომჭრელად კი მაინც ორი ქალი გამოწყობილიყო, ერთი – ჭრელ კაბასა და მწვანე შალში, მეორე კი – მთლად თეთრებში.

იმ დღეს მოხუცთა სახლის არსებობის ბედი წყდებოდა და კონცერტი თავიანთი საუკეთესო ქმნილებით – „ხანუმათი" გახსნეს. ჭრელკაბიანი განსაკუთრებით ბრწყინავდა მაჭანკლის როლში – ერთი-ორმა დანამდვილებით გაიგონა, როგორ გადაულაპარაკეს სტუმრებმა ექიმს, ასეთ რამეს თეატრში ვერ ნახავო. თეთრკაბიანმა ჩვეულებრივზე ამაღელვებლად წაიკითხა ორი ლექსი, არავისთან უჩხუბია და, საერთოდ, საანაქებოდ ეჭირა თავი. მომღერალთა გუნდმა ბოლო ნომერი შეასრულა ხალხური, ნეტარი სიმღერების რეპერტუარიდან და ის იყო მაყურებლები წამოიშალნენ, თეთრკაბიანი სცენაზე დაბრუნდა. ვის დარჩა მიკროფონი ჩართული? კუდაბზიკა წამყვანს, ტელევიზიიდან რომ მოიწვიეს. რატომ გამოსცა მანამდე უხეირო აპარატურამ ასეთი მკაფიო, მაღალი ბგერები,

როდესაც თეთრკაბიანმა მიკროფონი ჩაბლუჯა? რატომ იდგა ისევ ფორტეპიანოსთან გუნდის ხელმძღვანელი და მოლოცვებს იღებდა?

კუდი გრძელზე გრძელი ჰქონია და რქები წამახული, ეშმაკს, რომელმაც სუსტი, ბებრული ხელის მტევანი კანკალით გაიშვირა მისკენ და თქვა: – ამ ცეკვას საყვარელ კაცს ვუძღვნი! მერე კი ველური, უსახელო როკვა დაიწყო სცენაზე. ვალპურგელ კუდიანებს ეცოდინებათ, რას ცეკვავდა იმ დღეს, როდესაც მოხუცთა სახლის დაფინანსების ბედი წყდებოდა. ალბათ თავისი კუდი თუ გაებლანდა ფეხებში, ან სცენის ხალიჩას წამოკრა ფეხი. დაეცა და აღარც განძრეულა.

მერე რა, რომ სასწრაფოს ექიმებმა ტყუილად უშხაპუნეს წამლები და პულსი უსინჯეს, მერე რა, რომ საკაცეზე დადეს, მწვანე პლედი გადააფარეს და ჯანდაბისკენ გააქანეს. სხვამ თუ არავინ, მან ხომ მაინც დანამდვილებით იცოდა, რომ ეშმაკები არ კვდებიან.

სად გეჩქარებათ? ამ აღდგომასაც იწვიმებს. მაშ, მისმინეთ.

– რატომ ჩამოაქვეითეს? არ ვიცი, – მხრებს იჩეჩავს ექიმი, – დირექტორმა გადაწყვიტა ასე.

რატომ ჩამოაქვეითეს? იმიტომ, რომ ეშმაკები არ კვდებიან და მოხუცთა სახლის დირექცია იძულებული გახდა, სათითაოდ ყველასთვის გამოკვლევა ჩაეტარებინა და სისხლის ანალიზი აეღო – მოხუცებს შიდსით სიკვდილის ეშინოდათ და უსადილოდ დარჩენის საფრთხეც ვერ აიძულებდათ მის დაკრულზე სიმღერასა და ცეკვას. გუნდი რომ შეენარჩუნებინათ, ახალი ხელმძღვანელი მოიწვიეს, მგონი ოფიცერთა სახლიდან.

სადილზეც უარს იტყოდა, მაგრამ ხომ უნდა დაემტკიცებინა ამ ბებრებისათვის რომ არავითარი შიდსი არ სჭირდა და ყველაფერი ავსულის ოინების გამო მოხდა. მერე რა, რომ ამ სახლის იქით გზა არ აქვს? რომ ტრამვაი აღარ დადის და ქა-

ლაქში ცოტა ხნის წინ უკანასკნელი ლიანდაგი აყარეს?
თავიდან მოსწყდნენ ეს ლაწირაკები!

სად გეჩქარებათ? ცოტა ხნის წინ ხომ მტკიცედ გადავწყვიტე, ხელი მომეკიდა დეტექტივის ან სასიყვარულო ისტორიის წერისათვის, ფარატინა ჟურნალებში დასაბეჭდად, მილიონიანი ტირაჟით რომ გამოდის და ხელიდან ხელში გადადის. მშვენიერი, ამაღელვებელი ამბებისათვის Happy End-ით. ფულს ვიშოვნიდი და სახელს მოვიხვეჭდი. მაშ, მისმინეთ.

რა ბრალი მიუძღვოდა მზეთუნახავ ექიმს, თუ 1 დეკემბერს ახალთახალი, პრიალა პლაკატი წამლების კარადაზე ააკრა, მერე კი პირველივე შემოსულ პაციენტს დაუფიქრებლად ეხუმრა, მომაკვდინებელი ვირუსია და ჰაერითაც კი გადადისო. მაგრამ ამ უწყინარ საიდუმლოს საფლავში ჩაიტანს, მსახიობი ქალის წერილისგან განსხვავებით, ისტორიულ დოკუმენტად გახდომა რომ უნერია.

დიდი, იტალიური ეზოა, სამი მხრიდან სახლებით, მეოთხე მხარეს კი დაბალი, ნახევრად დანგრეული, ნაცრისფერი კედლით შემოზღუდული. სხვა მსგავსი ეზოებისგან ამ ადგილს რაღაცნაირი ღატაკური უდაბურება გამოარჩევს. არ ისმის მეზობლების ხმაური, არ ფენია სარეცხი. სამივე სართულის ფანჯრები და აივნებიც კი გადარეცხილია და უპატრონო გეგონება. მხოლოდ ორი რამ იქცევს ყურადღებას – გაკრიალებული მეტალოპლასტმასის ფანჯრები პირველ სართულზე, რომლებიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის გახუნებულ ხის დარაბებთან და აივნების რიკულებთან და უზარმაზარი, ძველი შავი კადილაკი. ასეთი მანქანა არასოდეს მინახავს. ფანჯრის მინას საჩვენებელს თითს ვუსმევ და სალონში ვიხედები. სალონი ორადაა გატიხრული, სავარძლები კი ისეთი ფართო, რომ შიგ ალბათ ძველი დროის გოლიათები თუ სხდებოდნენ.

მისამართი ექიმმა მოგვცა. ეზოში სიცოცხლის ნიშანწყალს

ვეძებთ. მხოლოდ ახალ ფანჯრებში ანთია შუქი და ტელევიზორის ხმა ისმის. ფარდიდან ვიღაც ქალი იხედება. ჭონეს მუცლის დანახვაზე მშვიდდება და კარს აღებს:

– ვის ეძებთ?

ვუხსნით, ვინ ვართ და რა გვინდა. თუ შეუძლია, გაიხსენოს ქალი, რომელიც აქ ათიოდე წლის წინ ცხოვრობდა და მოხუცთა სახლში გარდაიცვალა. ქალს სახე ემანჭება და ხელებს გულზე იკრეფს:

– მოგცლიათ ერთი! ბებერი ჯაშუში! მთელი სიცოცხლე ოთხ კედელში გამოკეტილმა გაატარა და მეზობლების პოლიციაში დაბეზღებით ერთობოდა. რამდენი რამ ხდება უჩვეულო ამ ქვეყანაზე, აი, ის კაცი, კომუნისტების დროს 20 წელი ჯურღმულებში რომ გაატარა. ახლახან წიგნი გამოსცა... აი, ვის ცხოვრებაზე შეიძლება ფილმის გადაღება! სად ცხოვრობდა? მესამე სართულზე, კუთხის ბინაში, – კუთხის ბინის უფარდო ფანჯრები ჩარაზულია, მინები მრავალი წლის წვიმების კვალს დაუფარავს.

– ისე, ვინ გითხრათ, რომ სცენაზე მოკვდა? ტყუილია, ჩემო კარგებო, მატარებელში დაემართა გულის შეტევა, სოფელში, ნათესავებთან მიემგზავრებოდა.

იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ამ დიდ, შეშლილ სამყაროში ადამიანებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, მის მინიატურულ მოდელებს ქმნიან. იქნებ ამიტომ, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად მირჩევნია ჩემს პლანეტაზე მარტოდმარტო ცხოვრება, საკუთარი შეშლილობა სხვებს რომ დავუმალო.

სად გეჩქარებათ? როდესაც სარკეში ვიხედები საკუთარი, განუმეორებელი, სრულყოფილი მე-თი დასატკბობად, განა იქიდან ის ადამიანი არ მიყურებს, რომელსაც არ ერთი ჩანაფიქრი, არც ერთი პროექტი არ განუხორციელებია, მეტიც – ობობასავით გახვეულა საკუთარი წარმოსახვის ბადეში და მერე რა, რომ ხანდახან თავი მწერალი ჰგონია? რომ ხანდა-

ხან უსირცხვილოდ ცრუობს? განა დაუსრულებლად არ იღებს ნდობის, სიყვარულის, მეგობრობის კრედიტებს და ვალს იშ-ვიათად აბრუნებს? მერე რა, რომ კბილის პასტა გათავდა და შამპუნიც აღარ არის? სამაგიეროდ, სახლის დაბზარული კედ-ლებიდან გაზაფხული შემოდის და ზამთარსა და სიგარეტის კვამლს ანიავებს. მე ვწერ და გიძღვნით

ჩემს ორსავე ნატალიას
ჭონეს, გოგისა და ნიკოლოზს
სიყვარულით
რატი რატიანი

კრებული „შიშველი მეფე"
გამომცემლობა „ლოგოს-პრესი", 2009

ნინო ტეფნაძე

კოქტო, მინკუსი

ნაქირავებში ვიყავი. იმ ერთ ოთახში, რომელშიც ვცხოვრობდი, იდგა მოზრდილი წიგნის კარადა, ტელევიზორი, კომპიუტერი, მაგიდა, საწოლი და რამდენიმე სკამი. თბილისში 7 წლის წინ ჩამოვედი სასწავლებლად და თან ჩამოვიტანე კონკრეტული გეგმა – წარმატებით დამემთავრებინა ბაკალავრიატი, ჩამებარებინა მაგისტრატურაში (ამავე პერიოდში ფულიან კაცს უნდა გავყოლოდი ცოლად), ბოლოს კი კათედრაზე დავრჩენილიყავი (ეს იყო მარჯვე პასუხი კითხვაზე: რას ჩააცივდი ამ ფილოლოგიურს, მასწავლებელი უნდა გამოხვიდე?). კათედრაზე დავრჩები – ეს მითიური ფრაზა უკვე იმდენჯერ მქონდა წარმოთქმული, რომ მისი მნიშვნელობა ბუნდოვნად მესმოდა. ისევე, როგორც ჩემს მშობლებს, რომლებიც ქუთაისში იყვნენ და მშვიდად ელოდნენ, როდის დავიპყრობდი სამეცნიერო მწვერვალებს. თავიდან მეც მჯეროდა, რომ დიდი საქმეები უნდა მეკეთებინა. მხოლოდ 2 წლის წვალების შემდეგ მივხვდი, რომ აღმოჩენებისათვის საკმაოდ უნიჭო ვიყავი. სამაგიეროდ, საუკეთესოდ ვიზუთხავდი სახელებსა და ტერმინებს. მშობლებისთვის არ მითქვამს, რომ მაგისტრატურაში აღარ ჩამიბარებია და რომ თბილისში მეცნიერება კი არა, სარფიანად გათხოვების იმედი მაკავებდა. საქმე მოვნახე: ვამზადებდი მოსწავლეებს ქართულში, თანმიმდევრულად და განურჩევლად ვაძულებდი მათ ლიტერატურასა და გრამატიკას, აღებულ ფულს კი გაურკვეველი მიზნებისათვის ვინახავდი.

ჩემი ოცნების მამაკაცი თავიდან სიმპატიურიც იყო, ჭკვი-

ანიც და გემოვნებიანიც. გარდა ამისა, დაჯილდოებული იყო იუმორის გრძნობითა და საკუთარი ბინით ვაკეში (ვერაზე, საბურთალოზე..), ჰყავდა კარგი მანქანა, უყვარდა კითხვა და კლასიკური მუსიკა. წლებთან ერთად მან ჯერ იუმორის გრძნობა დაკარგა (ნუ იხუმრებს ბევრს, სერიოზულიც რომ იყოს, რა დაშავდება), მერე – სანდომიანი შეხედულება (სულაც არაა აუცილებელი, კაცი სიმპატიური იყოს), ბოლო წლებში აღარ ჰყავდა მანქანა (ფეხით თუ ივლის, მერე რა, სამაგიეროდ, სულ ფორმაში იქნება), აღარც საკუთარი ბინა ჰქონდა (ცხოვრობდეს მშობლებთან, მთავარია, თბილისში ცხოვრობდეს), ბოლოს კი კითხვასაც შეეშვა (წიგნის ჭია თუ არ იქნება, ძალიანაც კარგი). ასე რომ, ნელ-ნელა იდეალური კაცისაგან საშუალო სტატისტიკური თბილისელი ბიჭი მივიღე. პრობლემა ის იყო, რომ ასეთიც კი არავინ ჩანდა ჰორიზონტზე. სასოწარკვეთამ შემიპყრო. ან უნდა გავთხოვილიყავი, ან სახლში დამარცხებული და განადგურებული დავბრუნებულიყავი (როგორია იმის აღიარება, რომ კათედრაზე არ დარჩენილხარ). რაკი თბილისში ისეთი ახლობლები არ მყავდა, ჩემთვის ბიჭი რომ მოეძებნათ (ქუთაისში ასეთები ბლომად იყვნენ, მაგრამ მე ქუთაისელი ბიჭები არ მაინტერესებდა), გადავწყვიტე, თავად მემოქმედა.

განვახორციელე პირველივე სულელური იდეა, რომელიც მომივიდა. ჩემი თავი შევფუთე, როგორც პროდუქტი, დაახლოებით წარმოვიდგინე, ვისთვის ვიყავი განკუთვნილი და გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე:

„ვარ სასიამოვნო გარეგნობის 25 წლის ქალიშვილი (ეს ბოლო სიტყვა ორაზროვანია, ცხადია), 167სმ, 55 კგ (წონა ცოტა მოვიტყუე, 60 კილო ვიყავი), უმაღლესი განათლებით. სამეგობროდ გავიცნობ 25-35 წლის სერიოზულ მამაკაცს. ეკა-1984".

როგორც კი ეს ნაბიჯი გადავდგი, მაშინვე ვინანე. ვიცოდი, რომ შეცდომა იყო, ვიცოდი, რომ ასე წესიერი კაცის პოვნის შანსი თითქმის არ მქონდა, მაგრამ გაზეთის შემდეგი ნომერი

მაინც ვიყიდე და გულის ფანცქალით გადავშალე ბოლო გვერდებზე. მერწყული1966 საუკუნო სიყვარულს მპირდებოდა, ქვრივი111 ამბობდა, რომ მის შვილებს მოსიყვარულე დედა სჭირდებოდათ. იყო ერთი-ორი გარყვნილი შემოთავაზებაც. სულ ბოლოში კი ეწერა:

„ეკ-ნა, მე 23 წლის ვარ და შენი გაცნობა მინდა. სულ არ მადარდებს, ქალიშვილი ხარ თუ – არა, კოქტო."

ძალიან დავიბენი. ჯერ ერთი, ეს ვიღაც კოქტო 23 წლის იყო, ჩემს განცხადებაში კი გარკვევით ეწერა, რომ 25-35 წლის კაცს ვეძებდი. უცნაური იყო ის ტონიც, რომელიც მის სიტყვებში ვიგრძენი. გარდა ამისა, მტკიცედ მწამდა, რომ ტიპები, რომელთაც გოგოს ქალიშვილობა არ ადარდებთ, არც ასეთ განცხადებებს კითხულობენ. ამაზე ფიქრს შევეშვი და ყურადღება მის საგაზეთო სახელს მივაქციე. დავასკვენი – ჟან კოქტო უყვარს. სახელი და გვარი, ჟან კოქტო, წლების განმავლობაში დაზუთხულ სახელთაგან ამოვქექე, თუმცა დაზუსტებით არც ვიცოდი, ვინ იყო და რას წარმოადგენდა. ყველა ადამიანის თავში არსებობს სახელებისა და გვარების მოზრდილი კოლექცია, მაგრამ ამ კოლექციიდან ბევრს ვერაფერს გამოიყენებ, იმიტომ, რომ ამ სახელებისა და გვარების მფლობელთა შესახებ შეიძლება წარმოდგენაც არ გქონდეს. ასე მაგალითად, გამიგია, რომ ვინმე შვაინშტაიგერს ჰქვია ბასტიან (ისიც ვიცი, რომ ფეხბურთელია, მაგრამ ჩემთვის უცნობია, სად თამაშობს), ვიცი, რომ ვინმე ჰომეინს ერქვა აიათოლა (ამ შემთხვევაში პროფესიას დაზუსტებით ვერ ვიტყვი), ვინმე გარიბალდის კი – ჯუზეპე (ისევე, როგორც ვერდის. ისიც იტალიელია). ხანდახან მხოლოდ გვარები მახსოვს – არ ვიცი, რა ერქვა საიათნოვას (ისიც არ ვიცი, ვინმემ თუ იცის), ხანდახან – მხოლოდ სახელები: არ ვიცი, რა გვარი იყო მუჰამედი (ჰქონდა კი გვარი). საერთოდაც, მე ძალიან ბევრი რამ არ ვიცი: შარშან გავიგე, რომ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი, ასტრიდ ლინდგრენი, ქალი ყოფილა.

მოკლედ, გვარს – კოქტო, მარტივად მოვარგე სახელი ჟან

და გუგლში ჩავწერე, რათა გამოხმაურების ავტორზე წინასწარი შთაბეჭდილება შემექმნა. დავადგინე, რომ ჟან კოქტო ყოფილა ფრანგი მწერალი (ეგრეც ვიცოდი), მის შემოქმედებაში კი თითქმის ყველა მიმდინარეობის ნიშნები შეიმჩნევა, მათ შორის დადაიზმის, ფუტურიზმისა და სიურეალიზმის. ამ ჩამონათვალმა კიდევ ერთი უსარგებლო სახელი და გვარი გამახსენა – ვინმე ცარა, რომელსაც ერქვა ტრისტან და დადაისტურ ამბებში იყო გახვეული. როგორც ხვდებით, ყველაფერზე ვიცი ცოტ-ცოტა, რაღა თქმა უნდა, ზერელედ (ამ დროს ლექტორები ამბობენ ხოლმე, რომ სტუდენტს ფართო თვალსაწიერი აქვს). ლიტერატურაში ვერკვევი იმდენად, რომ ვინმე ლიტერატურათმცოდნის საუბარი ასე თუ ისე გავიგო, მაგრამ არა იმდენად, რომ ვინმეს რამეზე ვეკამათო. რაც შეეხება კოქტოს, გარეთ რომ გახვიდე და 100 კაცი გამოკითხო, ალბათ, მათგან 15 გეტყვის, რომ მას ერქვა ჟან, მაგრამ მხოლოდ ერთი-ორს ექნება წაკითხული მისი ნაწარმოებები, ან – მაგდენსაც არა.

პასუხზე დავიწყე ფიქრი. მინდოდა, ნაკლებად ბანალური ყოფილიყო. ახლა ხომ ზოგადად აღარ ვწერდი, მივმართავდი კონკრეტულ ბიჭს, რომელიც უფრო პატარა იყო, ვიდრე მე მინდოდა და ცოტა ახირებულიც, რადგან უყვარდა დადაისტ-სიურეალისტი კოქტო.

ბოლოს დავწერე:

„გამარჯობა, კოქტო. ჩემზე პატარა ხარ, მაგრამ არა უშავს. თუ სურვილი გაქვს, შევხვდეთ და ფრანგულ ლიტერატურაზეც ვისაუბროთ. ეკა-1984".

წავიკითხე და მომეწონა. ტექსტში იგრძნობოდა, რომ მისი საყვარელი მწერლის შესახებ მეც შემეძლო მეთქვა რაღაც. საკმაოდ გამბედავიც ვჩანდი. ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი მის პასუხს.

შემდეგ ნომერში მისი გამოხმაურება არ ყოფილა. სამაგიეროდ, ალიკა007 ბოდლერზე საუბარს მთავაზობდა და პაემანს სასტუმროსთან მითქვამდა.

პასუხი ორი კვირის მერე მივიღე:

„შევხვდეთ, ოლონდ ლიტერატურაზე საუბარი არ გვინდა. სიტყვაზე დაგიჯერებ, რომ ჭკვიანი ხარ. ჩემს ნომერს რედაქციაში დავტოვებ. კოქტო".

ისევ დავიბენი, თუ ლიტერატურა არ უყვარს, აბა ჟან კოქტო საიდანღა მოიტანა-მეთქი. მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი იყო. მისი ნომერი გავიგე და შეხვედრა მეორე დღეს დავთქვით. მზადება დავიწყე: ჩავეწერე სალონში, შევარჩიე კაბა და ფეხსაცმელები. შევუხამე კაბას ჩანთა და პომადა. მეზობელს ვეთხოვე საყურეები და ერთხელაც გადავავლე თვალი კოქტოს შესახებ ინფორმაციას (ყოველი შემთხვევისათვის). მეორე დღის მოლოდინში დავიძინე.

შეხვედრაზე განზრახ დავაგვიანე. შეძლებისდაგვარად მომხიბლავი ვიყავი. მაგრამ ის ჯერ არ იყო მოსული. შემეძლო, მობილურზე დამერეკა, მაგრამ თავი შევიკავე. უკვე საკმაოდ გაბრაზებული ვიყავი, როცა გამოჩნდა. ეცვა შავი ქურთუკი, კედები და გახუნებული ჯინსი. ჰქონდა საშუალოზე გრძელი თმა, რომელიც დროდადრო შუბლზე ეყრებოდა. ყურში – ნაუშნიკები, პირში – საღეჭი რეზინა და, რაც მთავარია, ძალიან სიმპატიური იყო. მოვიდა ჩემთან და მკითხა, – შენ ხარ ეკა?

– კი, მე ვარ.

– არა მგონია, შენ 55 კილოზე მეტი იქნები.

ეს ისე თქვა, თითქოს ამ ადგილას, ჩემ გვერდით სრულიად შემთხვევით მოხვდა. სხვას ამას არ მოვუთმენდი, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, რომ ვერ გავბრაზდი.

– ნამდვილად მე ვარ.

– მე კოქტო მქვია.

– დრო ხომ არაა, ნამდვილი სახელი მითხრა? – ვკითხე ღიმილით.

– მართლა კოქტო მქვია, შენ რაც გინდა, ის იფიქრე.

ამჯერად გამოუსწორებლად დავიბენი და მთელი საღამო ვეღარ მოვეგე გონს. იმ შეხვედრიდან ბევრი არაფერი მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ეს:

1) მე თვითონ დავპატიჟე კაფეში. მას ფული არ ჰქონდა.

2) მითხრა, რომ ჟან კოქტოს შესახებ ისედაც ყველაფერი იცოდა და საშუალება არ მომცა, რაიმე მეთქვა.

3) იყო ძალიან რთული მოსაუბრე. ცინიკური, მაგრამ უზომოდ ჭკვიანი. ჩემგან განსხვავებით, რაზეც საუბრობდა, ყველაფერი კარგად ესმოდა.

4) არ მოეწონა ჩემი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და მითხრა, რომ მის ჩაცმას, ფეხშიშველა მოვსულიყავი, ჯობდა.

სულ ბოლოს სიტყვა ქალიშვილობაზე გადამიკრა და მითხრა, რომ ამით არ უნდა ვამაყობდე (მსგავსი რამ ჩემთვის არასდროს უთქვამთ).

მოკლედ, პაემანმა საშინლად ჩაიარა. ვერაფრით გავაოცე. მასზე შთაბეჭდილება არც ჩემს მოჩვენებით ნაკითხობას მოუხდენია, არც გარეგნობას და არც – მანერებს. საერთოდ არ შეუმჩნევია ნათხოვარი საყურეები და არც ერთი თბილი სიტყვა არ უთქვამს. ბოლოს მეც შევწყვიტე ბრძოლა შთაბეჭდილების მოსახდენად და ბოლო ათი წუთის განმავლობაში ჩუმად ვსვამდი ყავას. საკუთარ თავზე ბევრი არ ულაპარაკია, გავიგე, რომ მართლა კოქტო ერქვა (გვარი არ გამანდო), გაზეთებს იშვიათად კითხულობდა და მხოლოდ მოწყენილობის გამო გამომეხმაურა. მითხრა, რომ თბილისში ცხოვრობს, მაგრამ აქვს სოფელიც, რომელსაც შინდარა ჰქვია. არსად სწავლობს, ვერ იტანს მხატვრულ ლიტერატურას (ამან კიდევ ერთხელ გამაოგნა, რადგან მე ვინც ვახსენე, ყველა მწერალზე რაღაც მაინც იცოდა) და ელექტრონულ მუსიკას უსმენს. მოკლედ, ჩვენ სხვადასხვა პლანეტებიდან ვიყავით. შეხვედრის ბოლოს მითხრა, რომ შემეხმიანებოდა. ალბათ, ზრდილობის გამო. კაფედან გამოსვლისთანავე დავცილდით. სანამ ქუჩის კუთხეში შევუხვევდი, თავი მივაბრუნე და ერთხელაც შევხედე – მიდიოდა თავისუფლად, ოდნავ მოხრილი. გავიფიქრე, რომ ვეღარასოდეს ვნახავდი და საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ, მიუხედავად უხეშობისა, ძალიან მომეწონა.

სახლში დავბრუნდი თუ არა, დავწექი და დაძინება ვცადე.

ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა. ჩავფლავდი.

მეორე დღიდან ჩვეულებრივად გაგრძელდა ყველაფერი: მოსწავლეები, საღამოს გადაცემები, ყავა მეზობლის გოგოსთან ერთად, კვირაში ერთი ზარი მშობლებთან და აუტანელი მოწყენილობა.

ერთი თვის მერე კი მესიჯი მომივიდა:

„ეკ-ნა,

კოქტო ძალიან ღელავს და შიშობს, რომ თავისი საუბრით გაწყენინათ, გაგანერვიულათ და მისთ.

კ-ს იმედი აქვს, რომ თქვენ ხელს არ ჩაიქნევთ მასთან ურთიერთობაზე და მზადაა, ისაუბროს თქვენთან თუნდაც ფრანგ. ლიტ-რაზე.

პატ-ით,

კოქტო“.

ჟრუანტელმა დამიარა. პატარა გოგოსავით აღტაცებულმა პასუხი სასწრაფოდ მივწერე:

„კოქტო, არაფერი მწყენია. ძალიან გამიხარდა შენი წერილი. თუ შენ ასე გინდა, ხელს არ ჩავიქნევ“.

მერე მისი წერილი ათჯერ მაინც გადავიკითხე. რა უცნაურად წერდა, შემოკლებებით. განსაკუთრებით კი ამან გამაკვირვა – და მისთანანი. ამ ბიჭს ყველაფერი სახელივით უცნაური ჰქონდა.

მალევე შევხვდი. ამჯერად გაცილებით თავაზიანი იყო. ყურადღებით მისმენდა, მაგრამ საკუთარ თავზე ისევ არაფერს მიყვებოდა. ჩემი დაჟინებული თხოვნით, პირადობის მოწმობა მაჩვენა, სადაც სახელის გრაფაში მართლაც კოქტო ეწერა. გვარის გრაფაზე კი თითი დააფარა და მე სულ ერთი წამით წარმოვიდგინე, რომ მისი გვარი იყო ჟან. გამეცინა. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღვფრთოვანდი მისი ცოდნით. ლიტერატურაში ხომ ძალიან კარგად ერკვეოდა, მაგრამ კარგად ესმოდა ბიოლოგიაც, გეოგრაფიაც, ისტორიაც და კვანტური მექანიკაც. მითხრა, რომ აღტაცებულია პლანკით. მაქს პლანკით? – ვკითხე მე (ეს სახელი უსარგებლო სახელებისა

და გვარების დასტიდან საჩქაროდ ამოვქექე). გაუკვირდა და შეთქმულივით გამილიმა, თითქოს მხოლოდ მე და მან ვიცოდით, რა ერქვა პლანკს. იმ საღამოს მაკოცა და მიხვდა, რომ ეს იყო ჩემთვის პირველი კოცნა. მიმაცილა სახლამდე და მითხრა, რომ მომწერდა.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ მიყვარდა. სამაგიეროდ, არ ვიცოდი, ვინ იყო, რას საქმიანობდა, სად ცხოვრობდა... მოკლედ, არ ვიცოდი ის წვრილმანები და არცთუ წვრილმანები, რომლებიც, წესით, ყავისა და მეზობლის გოგოს თანხლებით უნდა განმეხილა. ამიტომ არავისთვის არაფერი მითქვამს. გადავწყვიტე, უფრო ხშირად მენახა და ერთხელ ისიც ვთხოვე, შენი მეგობრები გამაცანი-მეთქი.

შემდეგ შეხვედრაზე მეგობარი მოიყვანა.

– ეკა, – ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე.

– მინკუსი, – მითხრა მან.

გამეცინა. ვერ წარმოვიდგინე, რომ ამ მაღალ, ჭორფლიან ბიჭს ეს სასაცილო, უაზრო სახელი ერქვა. ისე, საიდანღაც მეცნობოდა ეს სიტყვა – მინკუსი.

ეწყინა.

– მართლა მინკუსი ჰქვია. ბაბუის პატივსაცემად დაარქვეს, – ამიხსნა კოქტომ.

– სასაცილოა, კოქტო და მინკუსი.. – ვთქვი მე.

– სულაც არა, – მომიგეს ერთხმად.

– ჩვენს კიდევ ერთ მეგობარს ჰუხი ჰქვია, – დაამატა მინკუსმა.

მინკუსიც საკმაოდ სიმპატიური და განათლებული იყო. გარდა ამისა, მასაც არ უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ის და კოქტო ერთად მუშაობდნენ.

– მაინც რას საქმიანობთ? – ვიკითხე იმ იმედით, რომ ეს ნითური ბიჭი მაინც გამცემდა ნორმალურ პასუხს.

– ჩვენ, ასე ვთქვათ, სამეურვეო ტიხტიხით ვართ დაკავებულნი, – მიპასუხა და გადაიხარხარა.

მივხვდი, დამცინოდა და აღარაფერი მიკითხავს.

სულ რაღაც 1 თვეში (განცხადების გამოქვეყნებიდან) მე ძალიან შევიცვალე. აღარ ვიცვამდი მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს, ვცდილობდი, რაღაც საკითხებში ზედაპირული ცოდნა გამეღრმავებინა და ბოლოს ელექტრონული მუსიკის მოსმენაც კი დავიწყე.

გარდა ამისა, ვუთხარი, რომ მიყვარდა. გაეღიმა და მითხრა, ეგ არაფერიო.

ვიცოდი, დიდ გაუგებრობაში ვიყავი – მისი წერილებიცა და უამრავი უცხო სახელიც, წამდაუწუმ რომ ახსენებდა, თავგზას მიბნევდა.

წერილებს ძალიან უცნაურს მწერდა:

მაგალითად, ასეთს:

„ეკ-ნა, ერთდროულად განვიცდი მონატრებას, სიცივეს, შიმშილს და მისთ., რ-თაგან მონატრება დომინანტურია.

კოქტო".

ერთხელ მითხრა, ჩემი ოცნების ქალაქი ტიხუანაა. ინტერნეტში მოვძებნე და აღმოჩნდა, რომ ტიხუანა არის ქალაქი მექსიკაში და მსოფლიოს ათასობით ქალაქისაგან არაფრით გამოირჩევა. ამ უცნაურ ბიჭს კი მაინცდამაინც იქ სურდა ცხოვრება.

რაც მთავარია, ყველა უცნაური სახელი, რომელსაც მისგან ვიგებდი, უკვე არსებობდა ჩემს სახელთა კოლექციაში, ოღონდ ვერაფრით ვიხსენებდი – საიდან. კოლექციაში იყო შინდარა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იყო ეს სოფელი და რატომ მეცნობოდა ასე აუტანლად. იყო მინკუსიც, თუმცა კი მე მხოლოდ ერთადერთ მინკუსს ვიცნობდი, სახელი ჰუხიც მეცნობოდა, ამათ მეგობარს რომ ერქვა. თვით ისეთი უაზრო სიტყვათშეთანხმებაც კი, როგორიცაა „სამეურვეო ტიხტიხი", სადღაც გამეგო და ამას ჭკუიდან გადავყავდი. ვხვდებოდი, როგორ ემსგავსებოდა ყველაფერი აბსურდს (ალბათ, ჟან კოქტო აბსურდულ ნაწარმოებებს წერდა), მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო, რადგან ეს უცნაური ბიჭი უკვე ძალიან მიყვარდა. იმდენად, რომ ერთხელ ჩემთან დარჩენის უფლება

მივეცი და სულ არ მიფიქრია, რას იტყოდნენ ამაზე ქუთაისში. ამის შემდეგ ღამღამობით ხშირად რჩებოდა ჩემთან, მაგრამ დილით ადრევე მიდიოდა, რათა თავისი საიდუმლო ცხოვრებით დაკავებულიყო.

მე კი ვიჯექი და მისგან დატოვებულ თავსატეხებს ვხსნიდი. თავში მხოლოდ მინკუსი, ტიხტიხი, ჰუხი და მსგავსი საშინელებები მიტრიალებდა. ვცდილობდი, გამეხსენებინა, სად მომესმინა, მენახა ან წამეკითხა ეს სახელები მანამდე.

2 თვე ვხვდებოდით და ოდნავადაც ვერ გავიცანი, უბრალოდ, ვგრძნობდი:

1) ეს ის ბიჭი არ იყო, ვისაც მე ვეძებდი;

2) ეს ბიჭი მე ცოლად არ მომიყვანდა;

3) ამ ბიჭს ფული საერთოდ არ ჰქონდა.

მაგრამ მიყვარდა და ეს სავსებით საკმარისი იყო, რომ მშობლებისათვის გადაჭრით განმეცხადებინა – მე თბილისში ვრჩებოდი.

მერე ყველაფერი დასრულდა. უეცრად, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

ერთ დილას წავიდა და დამიტოვა წერილი, რომელშიც ეწერა:

„ეკ-ნა, მივდივარ ჩრდ.-დას. მექსიკაში, ქ. ტიხუანაში საცხოვრებლად. მჯერა, იქ კარგად ვიქნები. შენ არ იდარდო. კოქტო“.

არ მიფიქრია იმაზე, მართლა წავიდა თუ მომატყუა (ორივე ერთნაირად მოსალოდნელი იყო), უბრალოდ, დავემხე საწოლზე და ავტირდი. ერთი თვე გარეთ არ გამოვსულვარ, კარი არ გამიღია მოსწავლეებისა და მეზობლებისათვის და არ მიპასუხია მშობლების ზარებისათვის. ბოლოს მათ თავად ჩამომაკითხეს და მეც უბრძოლველად დავთანხმდი ქუთაისში დაბრუნებაზე. სახლი უნდა დამეცალა. ქირის გადასახდელად დანაზოგიდან უნდა ამეღო ფული. უჯრაში ჩავიხედე და იქ აღარაფერი იყო. მაშინვე ამომიტივტივდა თავში: „მივდივარ ჩრდ.-დას. მექსიკაში, ქ. ტიხუანაში“. ესე იგი, მართლა წავიდა.

თავი უარესად ვიგრძენი. გაცილებით უარესად, ვიდრე ოდესმე მიგრძვნია.

ალბათ, ასე ცხოვრობს, გოგოებს ატყუებს, ერთობა, მერე კი ფული მიაქვს, – გავიფიქრე და ისევ ცრემლები მომადგა, ამჯერად უმწეობის გამო, – ქურდია, ეგეც და მისი „ინტელექტუალი" მეგობრებიც. ამიტომაც მიმალავდნენ ვინაობას. მე კიდევ, სულელი, რა ადვილად ვენდე.

ნამდვილად უნდა წავსულიყავი აქედან. ჩავაბარგე მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, მხატვრული ლიტერატურა და ის წიგნებიც, რომლებიც ნებისმიერ ფილოლოგს უნდა ჰქონდეს. მერე სულ ზედა თაროზე ჩაწყობილი ენციკლოპედიის ტომების ჩამოღება დავიწყე და გავოგნდი:

მეექვსე ტომი – ყუაზე საძიებლად წაწერილი იყო სიტყვები: კოქტო, მინკუსი;

მეცხრე ტომი – სამეურვეო ტიხტიხი (სწორედ ეს ორი სიტყვა);

მეათე ტომი – ტიხუანა, შინდარა;

მეთერთმეტე ტომი – შინდი, ჰუხი.

აქამდე როგორ ვერ მივხვდი. ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, მეცნობოდა, მე ხომ მთელი ბავშვობა საშინაო დავალებებს ენციკლოპედიის ტომებიდან ვწერდი. ეს ყველაფერს ხსნიდა, მათ შორის, იმ უცნაურ შემოკლებებსაც, წერილებში რომ მხვდებოდა. ახლაღა მივხვდი, კოქტომაც და მინკუსმაც, ალბათ, ჰუხმაც (რა თქმა უნდა, ეს მათი ნამდვილი სახელები არ იყო) სწორედ ამ ტომების კითხვით გაიგეს უამრავი გვარი, უამრავი სახელი და, საერთოდ, უამრავი რამ. სახელებიც ასე დაირქვეს. ერთმანეთი იპოვეს ენციკლოპედიის თაყვანისმცემლებმა და, ალბათ, ახლა ყველანი ტიხუანაში არიან.

სევდიანად გამეღიმა. როგორ მასულელებდნენ და, ალბათ, რამდენს ხალისობდნენ ამაზე.

ცოტა ხანს ამაზე ვიფიქრე, მერე კი მეცხრე ტომი სულ ბოლო გვერდზე, „ტიხტიხზე" გადავშალე:

„ტიხტიხი – გამრავლების პერიოდში ფრინველთა ურთიერ-

თობის ფორმა, რასაც გამოხატავს მათი თავისებური ქცევა: ფრენა, განსაკუთრებული პოზის მიღება, ზოგჯერ ცრუ ბუდეების აგება (ეს ფრაზა გულზე მომხვდა). ყველაფერი ეს ხელს უწყობს შეწყვილებისათვის მზადყოფნას. პოლიანდრიის (ეს არ ვიცოდი, რა იყო) იშვიათ შემთხვევაში ტიხტიხებენ დედლები, უმრავლეს შემთხვევაში კი – მამლები თავიანთი დედლების ახლოს".

ხო, ეგრე იყო. კოქტო ნამდვილად ტიხტიხით იყო დაკავებული.

ქუთაისში ჩავედი, მაგრამ მალევე დავბრუნდი თბილისში – გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. დედას ვუთხარი, რომ მინდოდა, კიდევ ერთხელ მეცადა ბედი და მაინც დავრჩენილიყავი კათედრაზე. ფეხმძიმობაზე სიტყვაც არ დამცდენია. ამჯერად უამრავი წიგნიდან თან მხოლოდ ენციკლოპედიის მეექვსე ტომი წამოვიღე.

გუშინ ექოსკოპიაზე მითხრეს, რომ ბიჭია. გადავწყვიტე, უანი დავარქვა.

„ლიტერატურული პორტალი", 2009

ძირითადი ინსტინქტი ანუ ტყუპთა უტყუარი პრინციპი

მეცამეტე კორპუსის პირველ სადარბაზოში სამოცს გადაცილებული, ტანდაბალი, გალეული კაცი შემოვიდა კარალიოკებით სავსე კალათით ხელში და მორიდებით გაულიმა ლიფტთან ატუზულ, აწოწილ ბიჭს, ცალი ფეხი ორ, ერთმანეთზე დაწყობილ ცემენტის ტომარაზე არხეინად რომ შემოედო, ხელში კი აბსოლუტურად მრგვალი დიდი ქვა ეჭირა.

– აბა, კარალიოკები!.. კარალევსკი კარალიოკები!.. ოქროს კარალიოკები! – ყოჩაღად დასჭექა მოსულმა და კალათა ძირს დაუშვა.

– არაყიც ხომ არ გაქვს? – საქმიანად ჰკითხა ბიჭმა მოსულს.

– რა არაყი? – საშინლად დაიბნა კარალიოკების გამყიდველი.

– კარალიოკის არაყი. გავსინჯე ერთხელ და ძალიან მაგარი რამე იყო! – ბიჭმა შარვლის ჯიბიდან ოცთეთრიანი ამოიღო და მეკარალიოკეს გაუწოდა, – მომე რა, ერთი ცალი, ოღონდ დიდი და კარგი ამირჩიე.

კარალიოკების გამყიდველმა კალათიდან ყველაზე დიდი კარალიოკი ამოიღო და ბიჭს გაუწოდა, ფულზე კი ხელის გასავსავებით კატეგორიული უარი განაცხადა. ბიჭმა ქვა ცემენტის ტომარაზე ჩამოდო, კარალიოკი პერანგის კალთაზე შეიწმინდა და ჩაკბიჩა. ამასობაში ლიფტიც ჩამოდგა. ბიჭმა კარალიოკი პირით დაიკავა და ცემენტის ორი ტომრიდან ერთს, მასზე დადებულქვიანად კაბინაში ისე მარდად შეუძახა, რომ ქვა არც შერხეულა; შემდეგ წელში გასწორდა, ცემენტიანი ხე-

ლი მტვრიან შარვალზე შეიხოცა და კარალიოკს დაუბრუნდა.

– ლიფტი არ გაგექცეს! – უთხრა მეკარალიოკემ ბიჭს.

– მგელი კი არ არის, შე კაცო!.. თუ კაბინაში სიმძიმეა, დილამდე ასე კარლია იდგება... – ბიჭმა კიდევ რაღაცის თქმა დაიპირა, მაგრამ შარვლის ჯიბეში მობილური აუწკრიალდა. ბიჭმა ნიშნისმოგებით გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

– ტელეფონი რეკავს! – შეახსენა კარალიოკების გამყიდველმა.

– გაჩერდება! – არხეინად უპასუხა ბიჭმა, – ხელოსნები მიზვანოკებენ. ვერ იტანენ, როცა ეზოში ჩავდივარ. ეშინიათ აქაურებთან ჩხუბი არ მომივიდეს – ბაბუაჩემმა ჩააბარა ჩემი თავი, მიმიხედეთო.

– რავარი ხალხი ცხოვრობს ამ სადარბაზოში? – იკითხა მეკარალიოკემ, კიდევ ერთი კარალიოკი ამოიღო კალათიდან, საკუთარი პიჯაკის კალთათი გააპრიალა და ბიჭს გაუწოდა.

– მეშვიდეზე ვაკეთებთ რემონტს, იქ პაგალოვნა ყველა ნაბოზვარია! – მშვიდად ამცნო ბიჭმა, – მეექვსეზეც ნაბოზვრები ცხოვრებენ... არ იხმაუროთ და არ აკაკუნოთო. უხმაუროდ რემონტი კი არადა, ბავშვი არ კეთდება-მეთქი... ათ საათამდე ჩქამი არ გავიგოთო. იმათი ძაღლი, როცა მოშივდება, ყეფით რომ იკლებს მთელ სადარბაზოს, ის არაფერი... ვერც აჭმევენ და არც იშორებენ ეგ შობელძაღლები!..

– გმადლობთ! – თქვა კარალიოკების გამყიდველმა.

– მადლობა იქით უნდა გითხრა და აქეთ მეუბნები? – გაოცდა ბიჭი.

– დრო რომ დაკარგე და დამაკვალიანე, იმის მადლობას გეუბნები.

– თუ ასეა, ბინის კარზე როცა დარეკავ, კალათა მაღლა ასწიე, გლაზოკში რომ გამოჩნდეს, თორემ არ გაგიღებენ... ის ეგონებით, რა ქვია მაგას... – ენა დაება ბიჭს.

– მათხოვარი?

– არა კაცო!

– აბა, ქურდი და ყაჩაღი?

– არა, ინკასატორი, დენის კაცი! – როგორც იქნა იპოვა გამოსავალი ბიჭმა, – ან, გაზის... თუმცა, გაზი ამ კორპუსში არ არის... მეთორმეტეზე, დერმატინიან კარს მოერიდე, გიჟი ქალი ცხოვრობს იქ, თერთმეტი კატა ყავს...

– ესე იგი, მეთერთმეტეზე – დერმატინიანი კარი!

– არა, მეთორმეტეზეა დერმატინიანი კარი, ოღონდ თერთმეტი კატა ყავს და გიჟ-მართას ეძახიან! – შეუსწორა ბიჭმა, – მეათეზე, ოროთახიანში ყოფილი ფეხბურთელი ცხოვრობს და იმისთვის მიმაქვს ეს ქვა!

– ქვა რათ უნდა, თანაც ასეთი მრგვალი? – გაოცდა კარალიოკების გამყიდველი.

– როდინისთვის უნდა და თან ფეხბურთიც უნდა ითამაშოს! – გაიხუმრა ბიჭმა, – ვანის ვენტილაციის ტრუბა უნდა გავუწმინდო. სახურავზე ავალ, ქვას შპაკატს გამოვაბამ და იქიდან ჩავუშვებ ტრუბაში. ვენტილაციის ბლოკები ცალკეა ჟეშტით გადახურული, სამერცხლულები რომ გინახავს სოფლის სახლების სახურავზე, ისეთით. ჩიტები იკეთებენ ბუდეებს იმ სახურავებქვეშ და ის გაჭედავდა, ტრუბაში ჩავარდებოდა რომელიმე... ფულს იძლევა ტრუბის გაწმენდასა და ჟესტის თავსახურის შეკეთებაში. სეტკაც უნდა გადავაკრა ზევიდან, კიდევ რომ არ ჩაცვივდეს ბუდეები... ჩემმა ხელოსანმა, რეიკები გადავაჭედოთ ერთმანეთსო... ზოგჯერ ისეთ რაღაცას დაებრეხვებს, გაგიჟდება კაცი – რეიკები რომ ჩაუშვა, სახურავი ხომ უნდა მოხსნა?.. მეხუთეზე გოგო ცხოვრობს, ანტიკაა პირდაპირ, მაგრამ შენ ეგ არ გაინტერესებს...

– არ მაინტერესებს, – დაეთანხმა კარალიოკების გამყიდველი.

– სახლიდან არ გამოდის, დედა ყავს მწოლიარე ავადმყოფი და იმას უვლის, მაგას შემოვევლე!.. იმათ გვერდში, ოროთახიანელებმა კიდევ ორჯერ ჩაუშვეს დაბლა, ანუ მეოთხეზე წყალი და ჩვენ მოგვადგნენ, წყალწაღებულებთან რემონტი გაგვიკეთეთო. ორმოც ლარს მოგცემთო, თან მასალები თქვენს ხაზეინს მოპარეთო. არადა, მარტო ხელობა, კაკ მინიმუმ,

ორასი ლარისა იყო, მასალაზე რომ არაფერი ვთქვათ... მეთოთხმეტეზე, ერთოთახიანშიც კარგი გოგო ცხოვრობს, მაგრამ რათ გინდა?

– რა იყო, რო?

– საქმრო ყავს... შეიძლება ახლაც სახურავზე ზის ძმაკაცებთან ერთად... გოგოს ყარაულობენ, რომ არ მოიტაცონ, თან მუსიკებს უსმენენ და არ შეგეშინდეს... სერენადებს აწყობენ, ოღონდ ქვემოდან ზემოთ კი არა, ზემოდან ქვემოთ... იმ გოგოს კრეტინ მშობლებს კიდევ გონიათ, რომ მართლა მუსიკის მოსასმენად არიან იქ. ალბათ, გოგოსაც უნდა და სიამოვნებს და იმიტომ არ უიასნებს მშობლებს, შენ რას იტყვი?

– ალბათ, – დაეთანხმა კარალიოკების გამყიდველი.

– სადაც ფსამენ, იქვე უსმენენ მუსიკას, გაგიჟდება კაცი!.. ისე კი, გარეთ, ეზოში რომ დადგე და იქიდან იყვირო ქვემოდან ზემოთ, ვისაც უნდა კარალიოკი, თავისით ჩამოვა.

– მასე დაბალსართულიანებში ვაკეთებ. ასეთებში კიდევ ზემო სართულებიდან ჩამოსვლა ეზარებათ. თუ ჩამოვიდნენ, ლიფტის ფულის დაქვითვას ითხოვენ და...

– ჰო, მართლა, მერვეზე სოფლელებმა იყიდეს ბინა, რემონტი გვინდაო. ნახევარ ფასად მოინდომეს ყველაფერი. ქალაქელებს ეგენი ვერ მოატყუებდნენ და ისევ ჩვენთან სცადეს, ხო აზრზე ხარ!.. დამწვრები არიან ეგ უპატრონოები!.. ვზროსლი ქალებიც არ გაინტერესებს, ან ქვრივები?

– ქვრივებიც არიან?

– სამი... არა, ოთხი, მაგრამ მეოთხე ჩიყვიანია... – აქ ბიჭმა თვალები დახუჭა და რაღაცა დაიანგარიშა გუნებაში, – არა, ხუთნი ყოფილან. ერთი ყოფილი ქვრივია, მესამეზე, ოროთახიანში... მინისტრის მდივანი ყოფილა, სიგარეტსაც ეწევა. სარეცხი დაესვარა ერთხელ და ჩვენ დაგვაბრალა... მაგის ახალი ქმარი კიდევ ერთი მუტრუკი ვინმეა, იმავე მინისტრის ბიუში ტელახრანიტელი. ერთხელ ქუჩის ჩხუბში მაგრა უცემიათ, მაგის მერე ცოტა ვერ არის, დევნის მანია აქვს... ორმეტრიანია ის უპატრონო და ერთხელაც არ მინახავს ნასვამი. იყიდის ორ-

ლიტრიან კოკას და მოაკონწიალებს დიდის ამბით სახლში. ისე მაინც წამოიღე, შე დალოცვილო, ლუდი, სხვების დასანახად – არ შვრება!.. მურთაზიკოს ეძახის ცოლი, მარტო კოკა-კოლის სამოცი ლარი ქონია მაღაზიაში ვალი... ტუჩებში კოცნიან ერთმანეთს სახალხოდ. ცოლ-შვილი მიუტოვებია იმ შტერს, წინა ცოლი კიდევ მაგარი ანტიკა ყოლია... ქვრივის ბიჭი ამერიკაშია და იქიდან შემოუთვლია დედამისისთვის, გაანებე თავი სახალხოდ ზასავსო... მეოთხე დღეა ბიჭთანაა ამერიკაში ის ქვრივი...

კარალიოკების გამყიდველმა კალათა აიღო და ისევ ძირს დადგა.

– ბავშვებისთვის ყიდულობენ უფრო მეტად კარალიოკებს...

– ბავშვებიც არიან, მეოთხეზე, ტყუპები, ერთოთახიანში... ყველაფერს აოხრებენ, შპალერი სულ გაუფუჭებიათ, სამზარეულოში ხანძარიც გაუჩენიათ... იყვნენ იმათი მშობლებიც, ნორმალურად იხდიან, მაგრამ კრედიტითო, ნაწილ-ნაწილ მოგცემთ ნახევარი წლის განმავლობაშიო... წავედი, თორემ საქმე ფუჭდება... წამოდი შენც...

– გარედან ვიყვირებ! – გადაწყვიტა მეკარალიოკემ, – დავუკლებ ლიფტის ფულს!

– ლიფტი ქვევით უფასოა, არ შეგაცდინონ! – დაარიგა ბიჭმა.

– გმადლობთ!

– რის მადლობას მიხდი, თუ ღმერთი გწამს, კარალიოკი რომ მაჩუქე იმისი?

– რომ დამაკვალიანე, – აუხსნა კარალიოკების გამყიდველმა.

– ისედაც უნდა ვაკვალიანებდეთ ერთმანეთს, სოფლიდანა ვართ მეც და შენც, რაც არ უნდა იყოს... კარალიოკის არაყი რომ გქონოდა, კარგი იქნებოდა, გაუხარდებოდათ ხელოსნებს... – აღნიშნა ბიჭმა.

* * *

მეცამეტე კორპუსის სახურავზე, პირველი სადარბაზოს ლიფტის შახტას დაშენებულ კოშკთან თინეიჯერები მთელ

ხმაზე ჩართული მოგნიტოფონიდან მძიმე როკს უსმენდნენ. ნიავქარს მუსიკა დაუზარლად გადაჰქონდა სხვა კორპუსების სახურავებისკენ, ტყუპისცალებივით რომ გავდნენ მათ ნომერ მეცამეტე თანამოძმეს.

მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკში კი მეოთხესართულელი ცხრა წლის ტყუპი ძმები, გიო და აჩი ჩაკეტილიყვნენ. ორივეს ხელში მეთორმეტესართულელი გიჟი მართას თეთრი, შავლაქებიანი, აბსოლუტურად ერთმანეთის მსგავსი კნუტი ეჭირა.

ტყუპები კი ერთმანეთს არც ისე ძალიან გავდნენ, მიუხედავად ამისა, მშობლებს მათთვის თმები ერთნაირად შეეჭრათ და ერთნაირადვე შეემოსათ. გიო აჩიზე უფრო მოძრავი იყო, უტეხმზერიანი, ტყუპისცალზე ოდნავ მეტად გამოკვეთოდა ნიკაპი. აჩის სევდიანი მზერა ჰქონდა და ცოტათი ენასაც უკიდებდა.

– ჩემმა კნუტმა შენი კნუტის ტკივილი რომ ვერ იგრძნოს? – ჰკითხა აჩიმ გიოს.

– ეს იმას ნიშნავდეს იქნება, რომ ტყუპები ერთმანეთის მიმართ ტელეპატები არ ყოფილან ახლო მანძილიდანაც კი და სულ ტყუილი ყოფილა გუშინწინდელ დოკუმენტურ ფილმში რაც ილაყბეს, – ოღონდ ძალიან ყურადღებით დააკვირდი, შეიძლება მსუბუქად შეშფოთდეს. მე ახლა ქვევით ჩავალ, იმ ძაღლის გარაჟის უკან დავიმალები...

– ვინ ძაღლის?

– პოლიციელზე ვამბობ. ჰოდა, ზუსტად სამის ნახევარზე ჩემს კნუტს ვუჩხვლეტ. თუ კნავილი ატეხა, ამ დარტყმულებს მუსიკები აქვთ მაინც ჩართული და შენი ვერაფერს გაიგებს. შენი თუ აწრიალდა, ესე იგი, თეორია მართლდება, გაიგე?

– გავიგე! – ამოიოხრა აჩიმ და სარკმლიდან ლიფტის მეორე კოშკთან შეკრებილ ხმაურიან კომპანიას გახედა, – პოლიციელის გარაჟთან რატომ უნდა უჩხვლიტო, ძაღლი რომ არის და კატებს ძაღლების ეშინიათ, იმიტომ?

– არა, იმიტომ, რომ მახათი და ხელთათმანები იქ მაქვს და-

მალული – ძაღლის გარაჟს არავინ ეკარება და ვერც ვერავინ ნახავდა... მახათით უნდა ვუჩხვლიტო, ხელთათმანები კიდევ იმისთვის მინდა, რომ არ დამკაწროს, თან პირს ავუკრავ, გაიგე?.. ახლა კი საათები შევამოწმოთ!

გიომ ჯიბიდან ქალის ოქროს საათი ამოიღო და ლიფტის ელექტროძრავაზე შემოდებულ ძველებურ მაღვიძარას შეხედა.

– დედამ რომ გაიგოს, ჩემი ოქროს საათი გამოიტანეს სახლიდანო, გადაირევა! – თქვა აჩიმ, – ეს საათი მამიკოს უყიდია დედიკოსთვის, როცა ცოლად მოუყვანია...

– მეტი საათი ჩვენ არ გვქონდა და გუგულიანს ხომ არ ჩამოვხსნიდი კედლიდან?.. ნუ გეშინია, საათს არაფერი მოუვა!

– ესენი სრულყოფილი ტყუპები არ არიან! – განაცხადა უცებ აჩიმ კნუტებზე. – სრულყოფილი მაშინ იქნებოდნენ, მარტო ორნი რომ გაჩენილიყვნენ, ამათ კიდევ ყავდათ და-ძმა... როცა ტყუპისცალები ბევრნი არიან, ტელეპატიის ინსტიქტი იფანტება და სუსტდება, რადგან უფრო ბევრ და-ძმაზე ნაწილდება!

– ვაი შენს პატრონს უბედურს, ამათ და-ძმები ხომ ვიღაცამ მოუწამლა?! – გაბრაზდა გიო, – ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან!.. მაღვიძარაზე ზარს სამის ოცდარვა წუთზე დაგიყენებ, როცა დარეკავს, გამორთავ და მოემზადები... გაიგე?

– გავიგე! – ნაღვლიანად უპასუხა აჩიმ.

* * *

მეცამეტე კორპუსის სახურავზე, წელის სიმაღლეზე ამოჭრილ, პირველი სადარბაზოს სავენტილაციო მილების ორი ბლოკიდან ერთ-ერთთან მეათესართულელი ხელჯოხიანი ყოფილი ფეხბურთელი და ხელოსნების თანაშემწე ბიჭი იდგნენ. ყოფილმა ფეხბურთელმა სავენტილაციო მილების ბლოკის გვერდზე გადახრილ თუნუქის სახურავს ხელჯოხი მიუკაკუნა, შემდეგ დაიხარა, თავი სახურავსა და მილებს შორის შეყო და მაშინვე გამოსწია.

– ფუჰ, რა სუნები ამოდის, ამის დედაც!.. – შეიგინა მან.

– აბა რა იქნება! – მაშინვე შეაგება ბიჭმა, – ამ სახურავსაც ისე დავაზაკლიოპკებ, ქარი კი არა, ტაიფუნი ვერაფერს უზამს.

ყოფილმა ფეხბურთელმა სუნთქვა შეიგუბა და ისევ შერგო სახურავსქვეშ თავი.

– ბუდეა იქ! – თქვა მან, როცა სახურავქვეშიდან გამოძვრა.

ბიჭმაც შეიგუბა სუნთქვა, სახურავქვეშ დურთა თავი და კარგა ხანს შეყოვნდა.

– ორი კვერცხი დევს ბუდეში, ცისფერია ორივე! – ამცნო მან ყოფილ ფეხბურთელს.

– აბა სხვადასხვა ფერის ხომ არ იქნება! – გაეცინა ყოფილ ფეხბურთელს, – იმისი არ იყოს, თეთრკანიან ცოლ-ქმარს ტყუპები რომ გაუჩნდებათ, ერთი თეთრი და მეორე ზანგი. მამა კიდევ იტყვის, ასეც ვიცოდი, ჩემს ცოლს კუხნაშიც სადილები დღეგამოშვებით, როცა ხასიათზე ვერ არის, მაშინ ეხრუკება ხოლმე, მეორე ბავშვის გაჩენის დროსაც წაუხდა ალბათ ხასიათიო!

ბიჭმა ნაძალადევად გაიცინა – აშკარა იყო, რომ იუმორს ვერ ჩაწვდა.

– ხომ შეიძლება გუგულსაც ჩაედო სხვის ბუდეში ერთი კვერცხი? – შენიშნა მან.

– ამოვა რო გუგული ამ სიმაღლეზე? – დაეჭვდა ყოფილი ფეხბურთელი, – მალადეც, კარგი დიხანია გაქვს. რაც შენ ბუდეში იქექებოდი, თუ არ ჩაგისუნთქია, ყოჩაღ ძმაო... სიგარეტს უნდა დაანებო თავი... სეტკის წამოღება რომ დამავიწყდა?

– ეგ არაფერი! – დაამშვიდა ბიჭმა. – ჩამოვალ და ამოვიტან.

– არ უნდა ვარემონტებდე ამას მარტო მე, მაგრამ სხვას ყველას ფეხებზე კიდია!..

ყოფილმა ფეხბურთელმა სავენტილაციო ბლოკს შემოუარა, ერთი მწარედ შეიგინა და გადააფურთხა.

– რა იყო, პატივცემულო? – იკითხა ბიჭმა.

– რამდენი მოუფსიათ, მე აქ მომფსმელის დედაც!.. – ისევ შეიგინა ყოფილმა ფეხბურთელმა და კარტის თამაშით გართულ, ლიფტის კოშკთან ფეხმორთხმით მსხდომ ბიჭ ბუჭებისკენ გაიხედა. ისინი დაიძაბნენ, მაგრამ შეპასუხება ვერ გაბედეს.

– ეს არის ჩემი, – ერთ-ერთი მილის ბოლოზე მიუთითა ყოფილმა ფეხბურთელმა.

– თქვენი ხომ მეათე სართულია, ჰოდა, ოთხჯერ სამ-ნახევარი რომ ვიანგარიშოთ თითო სართულზე და კიდევ ერთი სახურავს ზემოდან რასაც ვხედავთ, ხომ არის თხუთმეტი?.. ზნაჩიტ, ეყოფა ეს შპაკატი, თვრამეტზე მეტია, გავზომე წელან... ჰოდა, გამოვაბამ ახლა შპაკატს ქვას და ქე ჩოვუშვებ ტრუბაში კოხტად...

– კარგად გამოაბი, ემანდ არ მოძვრეს, თორემ ჩაიტანს ჩემს ვანაში ყველაფერს!

– არ მოძვრება... ამ სახურავსაც ისე დავაზაკლიოპკებ, ტაიფუნი ვერ გაანძრევს! – თქვენ მანამდე ვანაში სავენტილაციო ხვრელს რეშოტკა მოხსენით, რომ ტრუბაში გაჭედილი ბუდის თივა-ბულახი ჩამოცვივდეს.

– არის, უფროსო! – გაეხუმრა ყოფილი ფეხბურთელი ბიჭს.

– ერთი რაღაცა მინდა გკითხოთ... მართლა ფეხბურთელი იყავით?

– მართლა.

– მერე ფეხზე რა მოგივიდათ, ფეხბურთის დროს რამე?

– არა, ჩხუბში.

– ვაა!.. ისიც ხომ ქუჩის ჩხუბში... აი, ის, მურთაზიკო...

– ეგ რა შუაშია? – მურთაზისთან შედარება იწყინა ყოფილმა ფეხბურთელმა.

– აუ, როგორ ვუყვარდი ჩემს ფეხბურთის ტრეინერს!.. მაგრამ... ობოლი ვარ და ლუკმა პური რომ მეშოვა, აგერ ქე ვმუშაობ ახლა!

– ობოლი ხარ? – შეიცოდა ყოფილმა ფეხბურთელმა ბიჭი.

– აბა კარალიოკები, კარალევსკი კარალიოკები, ოქრო კა-

რალიოკები! – მუსიკებს შორის პაუზის დროს ამოიტანა ნიავქარმა მეკარალიოკის ხმა.

– სახლში რომ ჩახვალთ, რეშოტკის მოხნა არ დაგავიწყდეთ ვანაში, თან სეტკაც მომიმზადეთ წამოსაღებად, – შეახსენა ბიჭმა ყოფილ ფეხბურთელს, – ყველაფერს რომ მოვრჩები, ზარს გამოვუშვებ თქვენთან, ამოდით და ჩაიბარეთ!

– ზაკლიოპკების კეთებას რომ დაიწყებ, ეცადე, ბუდე არ დაზიანდეს. კვერცხები ამოიღე, საქმეს რომ მორჩები, ისევ ჩააბრუნე... ამ ნაბიჭვრებმა თუ შეგაწუხეს, ერთი დამიზვანოკე და მერე მე ვიცი! – დაარიგა ყოფილმა ფეხბურთელმა ბიჭი.

– ფეხები არავინ მომჭამოს! – ყოჩაღად წარმოთქვა ბიჭმა, მაშინვე შეცბა და ყოფილ ფეხბურთელს გაშეშებულ ფეხზე მორიდებით დახედა.

– თუ იცი, რა გითხრა... – შეყოყმანდა ყოფილი ფეხბურთელი, – მოდი რა, სეტკა ყველა ტრუბაზე გადაჭიმე. ჯანდაბას მაგათი თავი. არ უნდა ვუკეთებდე, მაგრამ, როგორც იტყვიან, მადლი ქენი, ქვა ქვას დადე, გაივლი და დაგხვდებაო...

– ყველას? – ჩაეკითხა ბიჭი.

– ჰო, რა იყო, დამატებით ხომ არ უნდა გადაგიხადო?

– როგორ გეკადრებათ! – იწყინა ბიჭმა, – დედას გეფიცებით, თუ ავიღო!

– ჰოდა, გადაჭიმე, ყველას ეყოფა!..

* * *

ან უკვე გარდაცვლილი მინისტრის დაცვის ყოფილი ნევრი, რომელსაც მეორე ცოლად იმავ მინისტრის მდივანი ყავდა, ზალაში დივანზე იჯდა და ავეჯს ათვალიერებდა. სამზარეულო და საძინებელი უკვე გაეჩხრიკა, მაგრამ ვერაფრით მიეგნო თავისი შავი, მინისტრის ნაჩუქარი პისტოლეტისთვის, რომელიც ახლანდელმა ცოლმა გადაუმალა ამერიკაში თავის შვილთან გამგზავრების წინ.

იმ დღეს ტელეფონმა ზედიზედ ორჯერ დარეკა და მურთაზს ორივეჯერ არავინ უპასუხა. შეიძლება მტრები ურეკავ-

დნენ – ისინი, ვინც კორუფციისთვის დაპატიმრებული მინისტრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ვერ აიძულეს ვერც შანტაჟითა და ვერც იმ სპეცრაზმელების მოგზავნით, ქუჩაში ორჯერ რომ სცემეს. მართალია, მინისტრი ინფარქტით ოთხი თვის წინ გარდაცვლილიყო, მაგრამ მისი მოადგილე, ვინც ის ჩაუშვა და ვისაც მურთაზის ცოცხლად ყოფნა არ აწყობდა, ჯერ კიდევ საღ სალამათი გახლდათ. გარდა ამისა, მურთაზი ახლანდელ მინისტრზე ბევრ ისეთ ინფორმაციას ფლობდა, რომლის მიხედვითაც მისი დაჭერაც შეიძლებოდა... ან, შეიძლება მურთაზს ყოფილი ცოლი ურეკავდა...

– ეხ, ვიოლეტა, ვიოლეტა, სად გადამალე ჩემი სათამაშო! – თავისი ამჟამინდელი ცოლის მიმართ ჩაილაპარაკა მურთაზმა, – შეგეშინდა არა, თავი არ მოიკლასო?

მურთაზმა ტელეფონის აპარატს შეხედა. ჩემს ყოფილ ცოლთან დავრეკავ და არაფერს ვუპასუხებ; თუ ის რეკავდა ჩემთან, მიხვდება, რომ მე მივხვდი, ის რომ რეკავდა და მეორეჯერაც რომ დავრეკავ, გამომელაპარაკებაო, გადაწყვიტა...

– აბა კარალიოკები!.. ოქრო კარალიოკები!.. – მოისმა ფანჯრიდან.

მურთაზი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

– ეი, ვაჟკაც! – დაუძახა მან ეზოში ჩამოსულ გიოს, იღლიაში რაღაც ფუთა რომ ამოეჩარა, – შენ რომელი ხარ, აჩი თუ მეორე?

– გიო! – უპასუხა გიომ, ბოქვენი მოიქავა და გადააწიტა.

– მიდი რა, ვაჟკაცურად, მაღაზიაში გადადი და ორლიტრიანი კოკა წამომიღე. ფულს მერე ჩამოიტანს მურთაზი-თქო და მოგცემენ! – სთხოვა მურთაზმა გიოს.

გიომ ჯიბიდან ოქროს საათი ამოაცურა მალულად, დახედა და რაღაც გამოთვალა.

– კარალიოკებიც ხომ არ გინდათ, ბატონო, თაფლივით გემრიელი! – მიმართა მეკარალიოკემ მურთაზს.

– ბავშვს გამოატანეთ ოთხი კილო, – თავისდა მოულოდნელად დათანხმდა ის, – ფულსაც ბავშვი ჩამოგიტანთ!

– არის უფროსო! – გახალისდა კარალიოკების გამყიდველი და პიჯაკის ჯიბიდან ცელოფნის პარკი ამოიღო, – საუკეთესოებს აგირჩევთ!

„ვითომ მაღაზიაში მივდივარ, გარაჟების უკან გადავძვრები, ვუჩხვლეტ კნუტს, მოვისტუმრებ საქმეს და მაღაზიაში მერე შევალ. მურთაზიკოს კი ვეტყვი, რიგი იყო-მეთქი, რას გაიგებს!.. ანდა, შევალ მაღაზიაში და სკოჩსაც გამოვართმევ მურთაზიკოს ხარჯზე, რომ ამ კნუტს პირი ავუწებო!“ – გადაწყვიტა გიომ, ბოქვენი მოიქავა და წასვლის წინ კარალიოკების გამყიდველს საქმიანად მიუგდო: – თქვენ კი, სანამ გარაჟებიდან... გარაჟები რა იყო, მაღაზიიდან დავბრუნდებოდე, კარალიოკები აწონილი დამახვედრეთ!.. თქვენ კიდევ ფული მოამზადეთ, ძია მურთაზ!

– ეს არსად დაიკარგება! – გიოს მისამართით შენიშნა თავისთვის მურთაზმა.

* * *

მეცამეტე კორპუსის სახურავზე პირველი სადარბაზოს სავენტილაციო მილების ორი ბლოკიდან ერთ-ერთს ორი თინეიჯერი მისდგომოდა და აშარდავდა. კიდევ ორი ხელოსნების შეგირდს ამოსდგომოდა აქეთ-იქიდან.

– ეს ქვა რათ გინდა, თავში უნდა იხალო? – ჰკითხა შავ, გამოხუნებულ, ჩეგევარამიხატულ მაისურიანმა თინეიჯერმა, მეტსახელად „ჩეგევარამ“, ბიჭს.

– უკან უნდა შეიტენოს! – შეაგება მიმშარდველთაგან ერთმა, ულალწვერიანმა და ბიჭს თვალი ჩაუკრა: – შეგეტევა?.. ამ ტრუბის ოდენა ნახვრეტი გაქვს?

– სტოპ! – უყვირა უცებ ჩეგევარამ მომშარდველებს. – ტრუხაზე არ მოფსათ, გაჩერდით!.. იმ კოჭლის ტრუბაში ჩააფსით!

– აქამდე სად იყავი?! – უსაყვედურა ულალწვერიანმა და შარდვა შეწყვიტა, – ჩავაფსათ და ქვაც მივაყოლოთ!

– რაღა დროისაა, მე უკვე მოვრჩი! – ამოიოხრა მეორე, ხუ-

ჭუჭთმიანმა და ბიჭს თვალი ჩაუკრა: – ამან რომ არ გვითხრას რომელია იმ კოჭლის ტრუბა?

– გვეტყვის, რა პრობლემაა! – თქვა ულალწვერიანმა და იმანაც ბიჭს თვალი ჩაუკრა: – არ გვეტყვის და თვითონ მაგას შევტენით!

ბიჭი შეყოყმანდა და ყოფილი ფეხბურთელის მილისკენ თვალი რომ არ გაქცეოდა, ცისკენ აიხედა.

– ჩქარა-მეთქი, ბიჭო! – წაისისინა ულალწვერიანმა.

– აი, ეს არის! – ალალბედზე მიანიშნა ბიჭმა ერთ-ერთი მილის ბოლოს.

სწორედ ამ დროს, მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკიდან აჩის განწირული ყვირილი მოისმა – ის, ჯერ კიდევ მაღვიძარას დარეკვამდე, კნუტს გაეკაწრა.

– რა ხდება, ჩემი კარგი!.. – შეშფოთდა ჩეგევარა, – ვინ ყვირის მანდ?

– წამო, დავხედოთ! – გადაწყვიტა ხუჭუჭამ.

ბიჭმა შვებით ამოისუნთქა.

– ჯერ ჩავაფსათ, შუა გზაზე შემაწყვეტინეთ და ბარემ მოვრჩები! – თქვა ულალწვერიანმა.

მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკიდან მაღვიძარას ზარის ხმამ გამოაღწია.

თინეიჯერები გაოცდნენ და ბიჭს ისე გადახედეს, თითქოს ის ვალდებული იყო სცოდნოდა, როგორ აღმოჩნდა ლიფტის კოშკში მაღვიძარა.

– რა ხდება, ჩემი კაი! – ყველაზე უფრო ულალწვერიანი გაოცდა და პირველიც ის დაიძრა მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკისკენ.

მარტო დარჩენილმა ბიჭმა ჯიბიდან ტელეფონი ამოაცურა, მაგრამ ამასობაში ჩეგევარამ მისკენ მოიხედა და ხელით ანიშნა, მათ გაჰყოლოდა...

* * *

სააბაზანოში საშინელი გრუხუნი გაისმა.

მურთაზი, რომელიც თავის ყოფილ ცოლთან დარეკვას აპი-

რებდა, ადგილზევე შეხტა და ხელი იმ ადგილზე გაიკრა, სადაც წინათ, კარგ დროში, როცა მინისტრის დაცვის უფროსი გახლდათ, იარაღი ჰქონდა ჩამოკიდებული, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ხმა აფეთქებისა არ იყო. წამოდგა და სააბაზანოსკენ გაემართა.

სავენტელაციო ხვრელიდან გადმოვარდნილ ბურთივით მრგვალ ქვას ბევრი რამე მოესწრო: უნიტაზის ბაკი ნამსხვრევებად ექცია, შემდეგ უნიტაზის პლასტმასის თავსახურიც გაებზარა, იატაკზე გადმოგორებულიყო და მის დაქანებას დამორჩილებული ტრაპის თავზე გაჩერებულიყო. ბაკის მილიდან წყალი შადრევანივით ასხამდა და ტრაპთან, ქვის ირგვლივ გროვდებოდა.

მურთაზს, მრგვალი ქვის დანახვაზე, თვითონაც დაუმრგვალდა თვალები.

„ხომ არ გავგიჟდი და ეს ქვა, ქვა კი არა, ზღაპრული კალაბოკი ხომ არ არის?! – ეჭვმა გაჰკრა მას, – ნეტა ვიოლეტა მაინც იყოს სახლში... რა დროს ამერიკა იყო!..“

ზალაში ტელეფონმა დარეკა. მურთაზი შეხტა, შემდეგ უნიტაზისკენ ნელა დაიძრა. უნიტაზს უკან ზარდახშის მაგვარი, გაბზარული ხის ყუთი ეგდო, იქიდან კი დოლარების სქელ შეკვრას გამოეყო თავი. დოლარებიანი ზარდახშის გამოჩენაზე უფრო მურთაზი იმან გააკვირვა, რომ ის აბსოლუტურად მშრალი გადარჩენილიყო.

„სავენტილაციო ხვრელიდან ჩამოაგდებდა ქვა!“ – მიხვდა მურთაზი და სცადა ზარდახშა ისე აეღო, რომ თვითონაც არ დასველებულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა.

ზარდახშაში ფულის გარდა პატარა ტომსიკაც იდო. მურთაზს გულმა უგრძნო, რომ ტომსიკაში ბრილიანტის თვლები იქნებოდა და არც შემცდარა. ეჭვგარეშე იყო, რომ ფულიცა და ძვირფასეულობაც აწგარდაცვლილი მინისტრისა იყო, რომელსაც ძვირფასეულობა ჯერ კიდევ სიკვდილამდე თავისი მდივანისთვის მიებარებინა.

„ხარბი იყო, ცხონებული! – მინისტრზე გაიფიქრა მურთაზ-

მა, ახლანდელი ცოლის მისამართით კი მწარედ გაეღიმა: – ამას მიმალავდი, ვიოლეტა, შე ქალო?!.. მინისტრმა შესანახად მოგცა, შენ კი მისი სიკვდილის შემდეგ შეიტყაპუნე, არა?!..“

ტელეფონის ზარი არ წყდებოდა.

მურთაზმა ფული და ბრილიანტებიანი ტომსიკა ისევ ზარდახშაში ჩატენა, ზარდახშა სარეცხ მანქანაზე შემოდო, სააბაზანოდან გავიდა და ყურმილი აიღო.

– ალლო! – გაჭიმა მან, მაგრამ არავინ უპასუხა.

– ალლო! – გაიმეორა მურთაზმა, – ვიცი რომ შენა ხარ!.. მოვალ მე!.. შენთან მოვალ!.. ვიცი, სახლში არ შემოგიშვებო, იტყვი, მაგრამ მე მაინც მოვალ!..

მურთაზმა ყურმილი დაკიდა და სააბაზანოში დაბრუნდა. კარზე ზარის ხმა გაისმა. მურთაზმა ტრაპს ხუფი ახადა, შიგ წყალი შეუფერხებლად რომ ჩასულიყო, ზარდახშით ხელში შემოსასვლელი კარისკენ გაემართა და საჭვრეტულში გაიხედა.

გარეთ გიო იდგა გაჩხაპნილი სახით, იღლიის ქვეშ რაღაც ფუთა ამოეჩარა, ხელში კი ცელოფნის პარკით კარალიოკები ეკავა. მურთაზმა ზარდახშა ტანსაცმლის საკიდს ზემოთ თაროზე შემოდო, კარი გააღო და გიოს პარკი გამოართვა.

– ზუსტად ოთხი კილოა, ხელმეორედ ავაწონინე! – საქმიანად უთხრა გიომ.

– მალადეც! – შეაქო მურთაზმა, კარალიოკებს ზევიდან დადებული „კოკა-კოლას“ ბოთლი ამოიღო, პარკი კი გიოს დაუბრუნა: – შენ და გიომ მიირთვით!

– გიო მე ვარ! – გაიფხორა გიო.

– მაშინ შენ და შენმა ძმამ!

– კარალიოკების ფული?.. სამი და სამოცი მინდაო...

– ჰო, მართლა!.. – გაახსენდა მურთაზს, – შემოდი, ახლავე მოგიტან ფულს!

მურთაზმა თაროზე შემოდებულ ზარდახშას შეხედა და ზალისკენ გაემართა.

გიომ კარალიოკების პარკი გარეთ დადო, იღლიისქვეშ ამოჩრილი ფუთა ორივე ხელით დაიჭირა, კარი გამოიარა და

შემოსასვლელში ტანსაცმლის საკიდის გვერდით სარკეში ჩაიხედა. შემდეგ ფუთას ცალი ხელი უშვა და სარკის წინ ბოქვენის მოფხანაში გაივარჯიშა. ფუთა ამოძრავდა და გიოს კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

– კნუტო, გაჩერდი! – მკაცრად წარმოთქვა გიომ. ამის თქმა იყო და სააბაზანოში ბრაგვანის ხმაც გაისმა.

– ძია მურთაზ, ვანაში თაროდან რაღაც დიდი გადმოვარდა! – დაიძახა გიომ.

სააბაზანოდან კნუტის ისტერიული ჩხავილი მოისმა. მურთაზი მაშინვე სააბაზანოს კართან გაჩნდა და ფრთხილად გამოაღო. იქიდან თინეიჯერების მიერ სავენტილაციო მილში ჩაშვებული აჩის კნუტი გამოვარდა და შემოსასვლელი კარებისკენ ტყვიასავით გავარდა. გზად სააბაზანოსკენ მომავალ გიოს წამოედო ფეხებში. გიო დაეცა და ფუთა გაუვარდა ხელიდან. ფუთა გაიხსნა, იქიდან სკოტჩით პირანებილი კნუტი ამოძვრა და თავის ტყუპისცალს უკან მიჰყვა.

– რა უნდოდა თქვენთან კნუტს? – ჰკითხა მასპინძელს გაოცებულმა გიომ.

– სავენტილაციო ტრუბით ჩამოუშვა, ეტყობა, ვიღაცამ! – რომ არ შეშინებოდა ტკბილი ღიმილით აუხსნა მურთაზმა ბავშვს.

– არადა, ჩემმა კნუტმა იგრძნო... იგრძნო, წინასწარ იგრძნო, რომ მისი ტყუპისცალი მოფრინავდა ზემოდან... მოდი და ამის შემდეგ თქვი, ტყუპური ტელეპატია არ არისო!

– როგორი? – გაოცდა მურთაზი.

– ტყუპური! – დინჯად გაიმეორა გიომ და უცებ შეშფოთდა: – კი მაგრამ, ვინ ჩამოუშვა კნუტი ზემოდან?.. აჩი სად არის?

– არ ვიცი! – რატომღაც დამნაშავის ტონით უპასუხა მურთაზმა.

– შეიძლება ისიც, როგორც მე, კნუტმა დაკაწრა და აჩიმაც, რომ დაესაჯა, თავის კნუტს ტრუბაში გადაუძახა. იმენნა ამ ბინის ტრუბაში ჩააგდო, სადაც მე შემოვედი. რა იცოდა აჩიმ, რომ მე აქ აღმოვჩნდებოდი?!.. ეს დიადი მომენტია!..

– რა მომენტი?

– როცა ტყუპური ტელეპატიური ინსტიქტი ორმაგად ამოქმედდა! – საზეიმო ტონით წარმოთქვა გიომ და ჭერისკენ აფშეკილი თითით კერპივით გახევდა.

– რა მოგივიდა? – შეშფოთდა მურთაზი, – კიდევ რამე მოფრინავს ზემოდან?

– საკუთარ შინაგან ინსტიქტს, ანუ ხმას ვაყურადებ! – განაცხადა გიომ.

– მერე, რაო ინსტიქტმა?

– აჩის რაღაცა უჭირსო!.. ბოიშვილი ვიყო, გული მიგრძნობს, რომ რაღაცა უჭირს! – იყვირა გიომ და გარეთ გავარდა.

– მოიცა! – მიადევნა მურთაზმა და ბავშვს უკან გაეკიდა. შუა გზიდან მობრუნდა, თაროდან ზარდახშა აიღო, ჯიბეში ჩაიტენა და ისევ გარეთ გავარდა. გარეთ გასული პარკს წამოედო. პარკი გასკდა, კარალიოკები ზღაპრული კალაბოკებივით მხიარულად დაგორდნენ კიბეების საფეხურებზე, კარი კი ორპირმა მიაჯახუნა...

* * *

მეთოთხმეტესართულელი ანანო, ვისი ჩეგევარას ფანატი თაყვანისმცემელიც თავის ძმაკაცებთან ერთად სახლის სახურავზე აბირჟავებდა, უკვე მესამედ რეკავდა მურთაზისთან – იმ დღეს ძალიან მონატრებოდა და მისი ხმის გაგონება სურდა.

ყურმილს არავინ იღებდა და ის-ის იყო, ანანოს ტელეფონი უნდა გაეთიშა, რომ სადენის მეორე ბოლოს გამოეპასუხნენ.

– ალლო! – გაჭიმა ნაცნობმა ხმამ.

ანანოს გული აუჩქროლდა.

– ალლო! – გაიმეორა ნაცნობმა ხმამ. – ვიცი, რომ შენა ხარ!.. მოვალ მე!.. შენთან მოვალ!.. ვიცი, სახლში არ შემოგიშვებო, იტყვი, მაგრამ მე მაინც მოვალ!..

ანანომ ტელეფონი გათიშა და გაოცებისაგან ერთ ადგილას გაშეშდა.

– ჩემთან მოდის? – დაეკითხა ის საკუთარ თავს. – აუ, ჩემი, ჩემთან მოდის!..

* * *

მურთაზმა მეცამეტედან მეთოთხმეტე სართულზე ამავალი კიბეები ორ-ორი საფეხურის გამოტოვებით აირბინა. ის-ის იყო, ბოლო სართულის ბაქანზე უნდა შეედგა ფეხი, რომ შარვალი, ჯიბეში ძლივს ჩატეული ზარდახშისაგან დაჭიმული თეძოებზე რომ შემოტკეცოდა, საჯდომზე ხმაურით გაერღვა და ლურჯზოლებიანი საცვალი გამოუჩნდა.

თავისი ბინის კართან ანანო იდგა და მურთაზს უცნაურად შესცქეროდა.

– მე ისა... – დაიბნა მურთაზი.

– მოხვედით? – ჰკითხა მას ხმააკანკალებულმა ანანომ.

სახურავიდან ქალის ყვირილის ხმამ ჩამოაღწია.

– რა ხდება მანდ, კრიშაზე? – იკითხა მურთაზმა.

– გიჟი მართა ბიჭებს დასდევს, ჩემს კნუტებს რატომ აწამებდითო!

– გიოც იქით წავიდა? – შეშფოთდა მურთაზი.

– არა, ჩემთანაა ბინაში... მე შევაგდე ძალით... აჩიც იქ არის!

– აჩი ვინ არის? – დაიბნა მურთაზი.

– გიოს ძმა.

– ძალიან კარგი! – თქვა მურთაზმა, – ძალიან კი კივის ის გიჟი ქალი!

– მასე იცის, ხუმრობაც კია ასეთი, „მართაო, ისტერიკა დაიმართაო“! – დაამშვიდა ანანომ, უცებ სითამამის მარაგი ამოეწურა და ერთიანად წამოწითლდა.

მურთაზმა ჯიბიდან ზარდახშა ამოიღო, გვერდულად წავიდა და ანანოს გასცდა.

– შინ შედით, ტყუპებს მიხედეთ!.. გავარკვევ ერთი, რა ხდება ზემოთ!

– კარგით! – დაეთანხმა ანანო, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა.

– შედით! – არ უნდოდა მურთაზს, მისი გამორღვეული შარვალი ეხილათ.

– შევალ! – დაჰპირდა ანანო, მაგრამ დანაპირების შესრულებას არ ჩქარობდა.

მურთაზი ისევ გვერდულად აუყვა სახურავისკენ ამავალ კიბეებს.

– არ ახვიდეთ, ძალიან გთხოვთ! – დაადევნა ანანომ, – თავპირიც უმტვრევიათ, რა თქვენი საქმეა!

– მართალი ხართ! – შუა გზიდან მობრუნდა მურთაზი, – ნემსი და ძაფი გექნებათ. ბინის კარი ჩამეკეტა, არადა, შარვალიც გამერღვა!

– მაშინ პატრულსაც გამოუძახეთ, რა!.. – სთხოვა ანანომ. – ვერავინ ბედავს ამას, ჩვენი მეზობელი პოლიციელიც კი არ იღებს ხმას, რომ ის ლაწირაკები პატრულს ჩავახუტოთ და ერთხელ და სამუდამოდ მოშორდნენ სახურავს!.. თუმცა არა, მე თვითონ გამოვუძახებ!

– არ გვინდა პატრული! – წაილუღლუღა მურთაზმა.

* * *

მეცამეტე კორპუსის სახურავზე თმებგაწეწილი გიჟი მართა ყოფილი ფეხბურთელისთვის წართმეული ხელჯოხით თინეიჯერ ბიჭებს დასდევდა.

– რა უყავით ჩემს კნუტებს, თქვე ბოზიშვილებო! – გაჰკიოდა ის, – დარჩენილი ორიც მოკალით არა, სადისტებო!

– მე ვარ, მე... ვერ მიცანით, ქალბატონო მართა?!.. – უაზროდ გაჰყვიროდა მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკში ჩაკეტილი და სარკმლიდან თავგამოყოფილი ყოფილი ფეხბურთელი, – თქვენ კი, თქვე ნაბიჭვრებო, აქეთ წამოდით!..

თინეიჯერებმა როგორც იქნა იაზრეს, რომ გიჟი მართათი გართობა და მასთან კატა-თაგვობანას თამაში არც თუ ისე უსაფრთხო საქმე იყო და მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკისკენ ყველანი ერთად გაიქცნენ.

პირველ კოშკში ჩაკეტილი ხელოსნების შეგირდი ბიჭი კი

ჩუმად იყო, რადგან გაჭირვებოდა და კოშკს შიგნით შარდავდა, ჯიბეში კი მობილური უწკრიალებდა.

* * *

ანანოს სააბაზანოში ჩაკეტილი მურთაზი აბაზანაზე ჩამომჯდარიყო და შარვალს კერავდა, თან სარეცხ მანქანაზე შემოდებულ ზარდახშას მიშტერებოდა.

„ეხ ვიოლეტა, შენი დედა!“.. – დრო და დრო გაიფიქრებდა მურთაზი. ვერ გადაეწყვიტა, თავისი მეორე ცოლისგან სამუდამოდ წამოსვლის წინ ზარდახშაში წერილი ჩაედო მითითებით, რომ განძი მისი ნამდვილი პატრონისთვის დაებრუნებინა, შემდეგ რამე ნაჭერში გაეხვია, სკოტჩით გადაეწებებინა და ანანოსთვის დაეტოვებინა, რომ მას მერე მისი, უკვე ყოფილი მეუღლისთვის გადაეცა, როცა ამერიკიდან დაბრუნდებოდა, თუ ფოსტაში წასულიყო და იქიდან გამოეგზავნა ბანდეროლის სახით ყოფილი მინისტრის ოჯახისთვის...

„მინისტრის ოჯახს გავუგზავნი!.. – გადაწყვიტა მან ბოლოს, – ვიოლეტამ იმიტომ კი არ გადამალა ჩემი შავი პისტოლეტი, რომ ჩემზე ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ მისი მითვისება უნდოდა... სამახსოვროდ უნდოდა დარჩენოდა, როგორც მინისტრის ნივთი!..“

სააბაზანოს კარზე ანანომ დააკაკუნა.

– მოვიდა უკვე, ბატონო მურთაზ, პატრული, ჩაიხუტებენ იმ ლაწირაკებს, შანსი არ არის! – დაიძახა ანანომ.

პატრულის ხსენებაზე მურთაზი ანერვიულდა. გაკერილი შარვალი ნაჩქარევად ამოიცვა, უნიტაზზე შედგა, ზარდახშა უნიტაზის ბაკზე ჩამოდო, სავენტილაციო ხვრელის პლასტმასის ცხაური ხელით მოსინჯა და მის მოსახსნელად მოემზადა...

* * *

მეცამეტე კორპუსის სახურავზე გააფთრებული გიჟი მართა და საკმაოდ დაღლილი ჩეგევარა დარჩენილიყვნენ. ჩეგევარას ხელში სადღაც სასწაულებრივ ნაპოვნი აგურის ნახევა-

რი ეჭირა, დრო და დრო შეჩერდებოდა და გიჟს მოუღერებდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ვერ შეაშინებდა, შეტრიალდებოდა და სირბილს აგრძელებდა.

– დააგდე, დააგდე-მეთქი, შე კახპის გაგდებულო! – გაჰკიოდა ჩეგევარას დადევნებული მართა, – შენ მომიწამლე არა კნუტები, შე ნაბიჭვარო!

ჩეგევარას აგურის დაგდება ვერ გაებედა, ეშინოდა, რომ გიჟი ისევ მის წინააღმდეგ გამოიყენებდა; სახურავიდან რომ გადაეგდო, გამვლელს მოხვდებოდა.

ქვევიდან საპატრულო მანქანის სირენის ხმა ამოიტანა ნიავქარმა, მაგრამ ის მეორე სადარბაზოს ლიფტის კოშკში ჩაკეტილებს არც გაუგიათ. იქ ყოფილი ფეხბურთელი და თინეიჯერები ჩხუბობდნენ და გარეთ დარჩენილი ჩეგევარასთვის კარის გასაღებად ვერ იცლიდნენ. კუთხეში მიყუჟული ყოფილი ფეხბურთელი ყოჩაღად იგერიებდა სამი თინეიჯერის შემოტევას და მძიმე საპასუხო დარტყმებს წარმატებით ახორციელებდა – ერთისთვის წარბი, მეორისთვის კი ტუჩი გაეხეთქა.

– თქვენ უნდა მომერიოთ, თქვე ნაბიჭვრებო?! – რიტორიკულად კითხულობდა ყოფილი ფეხბურთელი. ხედავდა, რომ თინეიჯერები დაიღალნენ, მალე წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ ექნებოდათ და საკუთარი გამარჯვებით წინასწარ ტკბებოდა, – თქვენისთანა ბოზიშვილებმა გამიფუჭეს ფეხი უკან მოპარვით... ახლა კი, მე თქვენი დედები უნდა ვიხმარო!..

პირველი სადარბაზოს ლიფტის კოშკში ჩაკეტილი ბიჭი კარებს გადაფოფროდა და ხელოსნებს გიჟი მართასა და მეორე კოშკში ჩაკეტილი მოჩხუბრების დასაშოშმინებლად გარეთ გასვლას არ ანებებდა.

– სად იქაჩებით, რომ იქაჩებით, თქვე ჩემისანებო?! – ეუბნებოდა ბიჭი ხელოსნებს, – თქვენს სოფელში ხომ არ გგონიათ თავი?.. ესენი იჩხუბებენ და ისევ შერიგდებიან, ჩვენ კი მტრებად უნდა დავრჩეთ!

ჩეგევარას არაქათი გამოსცლოდა, აგური თუ მოვიშორე თავიდან, იქნებ შემეშვას გიჟი მართაო, გაიფიქრა, სავენტი-

ლაციო ბლოკთან მიირბინა და აგური ალალბედზე ერთ-ერთ მილში ჩაუშვა.

– ფსიო, მირ! – იყვირა მან, – გადავაგდე უკვე აგური, აღარა მაქვს!

...მილი, რომელშიც ჩეგევარამ აგურის ნახევარი ჩაუშვა, მისი შეყვარებულის, მეთოთხმეტესართულელი ანანოს აბაზანიდან ამოდიოდა, სადაც, სავენტილაციო ხვრელში მურთაზს თავისი ზარდახშა გადაემალა დროებით...

* * *

მეცამეტე კორპუსის პირველი სადარბაზოს ლიფტთან მუხლებზე დაჩოქილი კარალიოკების გამყიდველი კიბეების შორისიდან ჩამოცვენილ დახეთქილ კარალიოკებს კრეფდა და ლამის ატირებულიყო.

უცებ ლიფტის კარები გაიღო, იქიდან მურთაზი გამოვიდა, რომელმაც ჯერ არც უწყოდა, თუ რა ბედი ეწია, მისი აზრით საიმედოდ გადამალულ ზარდახშას.

– ამ კარალიოკების ფული არ გადაგიხდია, შე უღმერთო, შენა!.. ლიფტის საფასურს გიკლებთ და მაინც არ იხდით?!.. – მთელი ხმით აყვარდა კარალიოკების გამყიდველი და მურთაზს, გასასვლელისკენ რომ მიიძურწებოდა, წინ გადაუდგა.

– მე ისა... არა მაქვს ფული, ბინის კარი ჩამეკეტა და... თან წასვლა მინდა აქედან სამუდამოდ!.. – ბავშვივით დაიბნა მურთაზი.

– ფული-მეთქი, თორემ ახლავე მივალ პატრულთან!.. აქვე არიან, გარეთ! – კბილებიდან გამოსცრა კარალიოკების გამყიდველმა, ორი დახეთქილი კარალიოკი ქვებივით დაიჭირა ხელში და შეტევაზე გადასასვლელად მოემზადა.

„მოგზავნილს გავს ეს მეკარალიოკე, პროვოკაციას მიწყობენ!.. პროვოკაცია იყო ტრუბაში ქვის ჩაგდებაც და იქიდან შკატულკის გამოვარდნაც!.. თითქოს ციდან გამოიჩეკაო, სინამდვილეში დაგეგმილი იყო ყველაფერი, მე რას გამომაპარებ!.. ვიოლეტაც მოგზავნილია!.. – გაიფიქრა მურთაზმა. –

კიდევ კარგი შკატულკა თან არ წამოვიღე. შენ მოპარე მინისტრსო, დამაბრალებდნენ, ან კიდევ წილში გაყავდიო!.. ეძებონ რამდენიც უნდათ, ჩემს ფეხებს მიაგნებენ!.. ყველაფერი იმისთვის კეთდება, როგორც ანანო იტყვის ხოლმე, პატრულს რომ „ჩამახუტონ", ამის დედა კი ვატირე!.. მხოლოდ ის ვერ გაითვალისწინეს, რომ მე ხარბი არა ვარ და შეიძლება შკატულკა თან არ წამომეღო!.."

მეკარალიოკე, მოგზავნილს ნაკლებად, მაგრამ თავისი უფლებების დასაცავად ყველაფერზე წამსვლელს კი ნამდვილად გავდა და მურთაზიც მიხვდა, რომ აქედან პატრულთან „ჩაუხუტებლად" ვერ გააღწევდა, რომლის მანქანაც მეცამეტე კორპუსის პირველ სადარბაზოსთან ციმციმაჩართული იდგა...

„ლიტერატურა"
იანვარი, N8. 2009

ბესო ხვედელიძე

ყვითელი ზოლი

„თითქოს ეს ყველაფერი უკვე ბევრჯერ მოხდა და სულ მეორდება...“ – ფიქრობდა დავითი და ავტობუსის ფანჯრიდან გადამხმარ ველს გაჰყურებდა. ხედი რომ მოიბეზრა, ავტობუსის სალონი მოათვალიერა და მზერა ორ ვეებერთელა დედაკაცზე შეაჩერა.

ჭრელთავსაფრიან დედაკაცებს სქელ ფეხებთან დასკდომამდე დატენილი ბოხჩები ეწყოთ, ავტობუსის ყოველ შერყევაზე ერთმანეთს თანთალა მკლავებით ეხეთქებოდნენ და უაზროდ ხითხითებდნენ – მეტი ავტობუსში არავინ იყო.

დავითი თავის მომცრო ზურგჩანთას დასწვდა და მუხლებზე ფრთხილად დაიდო. ცოტა ხანს დაფიქრებით დაჰყურებდა, მერე ისევ ფანჯარაში გაიხედა და ველზე მობალახე ღრუბლების ჩრდილებს დააკვირდა.

„მოიცა, დედამიწა ბრუნავს, თუ ღრუბლები მიდიან?“ – შეეკითხა იქვე თავს. ვიდრე პასუხს გაიხსენებდა, ავტობუსმა დაამუხრუჭა და კარები ხმაურით გახსნა.

დედაკაცები კვლავაც უაზრო ხითხითით წამოლაგდნენ, ვიწრო კარებში გაჭირვებით ჩაბობღდნენ და სალონს მხოლოდ მძღოლი და დავითიღა შერჩნენ.

„ორივენიცა!“ – იპოვნა კითხვაზე პასუხი დავითმა და ავტობუსიც ისევ ძველებურად აჯაყჯაყდა ქვაღორღიან ვაკეზე.

***

– თქვენ საით მიბრძანდებით, ბატონო? – გამოხედა დავითს მართკუთხა სარკიდან უზომოდ მსუქანმა მძღოლმა და დავითმა ახლაღა შეამჩნია, რომ მძღოლი ძალიან ელამი იყო.

„როგორ დაყავს მანქანა?“ – შიშით გადააცქერდა გზისპირა თხრილს დავითი და პასუხიც იქვე მისცა საჭეს ჩაფრენილ მძღოლს.

– სოფელ ლუჩაევოში. ბონდარენკო გენადისთან!

ამის თქმა იყო და, მძღოლმა ავტობუსი ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, დავითს ცოტა დააკლდა, სკამიდან ზურგჩანთიანად რომ არ გადმოვარდა.

მძღოლმა თავი ძალიან ნელა მოატრიალა და ერთადერთ მგზავრს ელამი მზერით გამოხედა.

– სოფელ ლუჩაევოში? – იკითხა წარბშეკრულმა და ამ კითხვაში დავითმა მაშინვე გაკვირვება დაიჭირა.

– დიახ. სოფელ ლუჩაევოში. ბონდარენკო გენადისთან! – გაიმეორა დავითმა თამამად, – ხომ არ იცნობთ შემთხვევით? არც კი ვიცი, სად უნდა ჩამოვხტე...

ელამი მძღოლი დავითს კიდევ რამდენიმე ხანს მდუმარედ შემოსცქეროდა. დავითი ვერაფრით მიხვდა, კერძოდ რომელი თვალით შემოჰყურებდა მძღოლი, ამიტომ განზე გაიხედა და მორიდებით ჩაახველა.

– ყვითელი ზოლის სულ პირველი სოფელია ლუჩაევო... – მოესმა უცებ, – სამ კილომეტრშია გზაჯვარედინიდან... მაგ ზოლში იშვიათად თუ ჩავა ვინმე...

– მე აუცილებელი საქმე მაქვს, – თქვა დავითმა მტკიცედ.

მძღოლი საჭისკენ გატრიალდა და ავტობუსი ადგილიდან დაძრა.

ცოტა ხანში დავითმა თვალი მძღოლის სარკისკენ გააპარა და დაინახა, რომ მძღოლი სიელმის გამო რიგ რიგობით ხუჭავდა თვალებს და ისე მიჰყავდა ავტობუსი.

***

– სწრაფად თუ ივლით, ნახევარ საათში იქნებით... – გაიშვირა ძალიან მსხვილი საჩვენებელი თითი მძღოლმა მარჯვნივ მიმავალი გზისკენ, – ბონდარენკო გენადის სახლი ადრე სოფლის ბოლოში იყო... ახლაც იქ იქნება... ფეხებს ხომ არ გამოიბამდა... თუმცა...

დავითი სწრაფად წამოდგა სკამიდან, ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო და მძღოლს ბილეთი გაუწოდა:

– სახლში იქნება, ალბათ...

მძღოლმა უცნაურად გამოხედა დავითს. დავითი ამჯერადაც ვერ მიხვდა, რომელი თვალით შემოჰყურებდა მძღოლი და ისევ დაიძაბა.

– საერთოდ არ გცოდნიათ თქვენ სოფელი ლუჩაევო... – დასკვნასავით გამოუვიდა მძღოლს და ბილეთი გამოართვა. მერე ავტობუსის კარები ღილაკზე თითის დაჭერით შეხსნა და ისევ საჭისკენ გატრიალდა.

– რას ქვია „სახლში იქნება ალბათ?..“ სახლში მანდაურები არიან თუ არიან, თორემ მე კი დავრიხინებ აგერ აღმა-დაღმა უსახლკაროსავით...

– კარგად ბრძანდებოდეთ! – ცივად მოუჭრა მძღოლს დავითმა და ავტობუსიდან ჩახტა. ავტობუსმაც თითქოს პასუხად გემრიელად მიაბოლქვა და ხმაურით წახრიგინდა ოღროჩოღრო გზაზე.

დავითმა დაბნეულმა გაიხედა მარჯვნივ.

სოფლის გზაზე არავინ ჩანდა. შორს გადამწვანებული სოფელი ლუჩაევო ილანდებოდა. ძირითადად ერთსართულიანი და ჭუჭყისგან გაჭაღარავებული სახლები ერთმანეთისგან კაი დაშორებით იდგა.

ღრუბლები უკვე ძალიან სწრაფად სერავდნენ ცას.

***

მესერისთვის ერთ ადგილას მაღალი ჟანგიანი კარი დაეტანებინათ. კარის მიდამოებში არც ზარის ღილაკი ჩანდა და არც რაიმე – დასაკაკუნებელი.

– ბატონო გენადი! – დავითი შეეცადა, რაც შეიძლება ხმამაღლა ეყვირა. თან უკან დაიხია და მესერს მიღმა გაშლილ ეზოს გახედა.

ეზო ხეებით იყო დაჩრდილული.

ყვირილზე არავინ გამოეპასუხა, მხოლოდ სადღაც ეზოს სიღრმეში აყეფდნენ ძაღლები.

– ნწ-ნწ-ნწ... – მოესმა ამ დროს უკნიდან და მოულოდნელობისგან შემხტარი სწრაფად გატრიალდა.

მის წინ საოცრად მაღალი დედაბერი იდგა და უკბილო ღრძილებით ზემოდან დაჰღიმოდა.

– გამარჯობა, – თქვა დედაბრის სიმაღლით სახტად დარჩენილმა დავითმა და მაშინღა შეამჩნია, რომ დედაბერი დაკორძილი ხელით რაღაცაზე უთითებდა.

დავითმა ხელს მზერა გააყოლა და იქვე მიგდებული საკმაოდ მოზრდილი ქვა დაინახა.

– ტუკ-ტუკ-ტუკ... – დაიჩიფჩიფა დედაბერმა, დაკორძილი ხელი კარისკენ გაიშვირა, მერე გატრიალდა და თავისი გზით წაჩოჩიალდა.

გაკვირვებულმა დავითმა იქამდე უყურა დედაბერს, ვიდრე ის თვალს არ მიეფარა. მერე ქვას დახედა, აიღო და შეათვალიერა. ქვას აქერცლილობაზე ეტყობოდა, რომ კარზე დასაბრახუნებლად იყენებდნენ.

დავითი კარს მიუახლოვდა და ქვა მოიმარჯვა.

***

მესამე დაბრახუნების შემდეგ ისევ აყეფდნენ ეზოს სიღრმეში ძაღლები. ისეთ ხმაზე ყეფდნენ, ტანით აშკარად დიდები უნდა ყოფილიყვნენ. მერე სხვა ხმაც მოისმა – თითქოს ვიღაც ძაღლებს უცაცხანებდა. ცოტა ხანში დავითმა ნაბიჯების ხმა გაიგონა, რომელიც კართან შეწყდა.

– რომელი ხარ? – იკითხეს ძალიან ბოხი ხმით.

– გამარჯობა! მე ბონდარენკო გენადი მინდოდა... – თამამად გაეპასუხა დავითი.

– რომელი ხარ-მეთქი?! – გაიმეორეს მკაცრად.

დავითი დაიბნა, თუმცაღა ძალა მოიკრიბა და ქვა განზე გადააგდო.

– მე თბილისიდან ვარ ჩამოსული... ჟურნალისტი. ინტერვიუზე გამომაგზავნეს... ბატონ ბონდარენკო გენადის კოორდინატები მისი ჯარის მეგობარმა გია ქირიამ გადმოგვცა...

– რაზე-რაზე? – იკითხა ისევ ბოხმა ხმამ.

– ინტერვიუზე... – გაუბედავად დასცდა დავითს და მესერს მიღმა მაშინვე გულიანი ხარხარი ატყდა.

ხარხარი კაი ხანს გაგრძელდა, მერე უცებ მიწყდა და ურდულის შეხსნის ხმა გაისმა. ჟანგიანი კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე არაადამიანური სიმაღლისა და გაბარიტების შავმოსასხამიანი მამაკაცი აღიმართა.

მასთან შედარებით კართან მდგომი დავითი თითისტოლა ჩანდა.

– წესით ორნი უნდა ვყოფილიყავით, – თავის მართლებასავით გამოუვიდა კაცის სიმაღლით დამფრთხალ დავითს, – მაგრამ ფოტოგრაფი გრიპით ჩაწვა და ვეღარ გამოემგზავრა... ძლივს მოგაგენით!

– გაგიმართლა, რომ ძაღლები დაბმულებია... – თქვა შავმოსასხამიანმა ახმახმა და განზე გადგა, – შემოდი!.. არ ცნობენ არავის უცხოს. ფლეთენ ეგრევე ადგილზე. შემოდი-მეთქი!

დავითს ბევრი არ უყოყმანია და ეზოში შეაბიჯა. მის უკან კარი ხმაურით მიიკეტა და ისიც ოდნავ შეხტა, თუმცაღა შეეცადა, არაფერი შემჩნეოდა.

ეზოს მოკირწყლული ბილიკი შუაზე ჰყოფდა და პირდაპირ ეზოს ბოლოში მდგარი, შავად შეღებილი ორსართულიანი სახლისკენ მიემართებოდა.

– სახლისკენ მიბრძანდი! – გაიშვირა ხელი ახმახმა სახლისკენ და დავითიც გაუბედავად დაადგა ბილიკს.

***

– ბატონო გენადი! – შესძახა სახლთან მისულმა დავითმა მეორე სართულის გამოღებულ ფანჯარას.

პასუხად ფანჯრიდან ფრთების ტყლაშუნით უზარმაზარი ბუ გამოფრინდა, კიდევ უფრო შეშინებულ დავითს ფრთა გამოსდო, კინაღამ წააქცია, შემდეგ თავზე გადაუფრინა და დაჩრდილულ ეზოს შეერია.

დავითმა შემცბარმა ახედა ღია ფანჯარას და ფანჯარაში გადმოყუდებულ ისევ იმ შავმოსასხამიან ახმახს მოჰკრა თვალი.

„როგორ მომასწრო...“ – ერთი კი გაიფიქრა გაოცებულმა და ამ დროს ახმახმა ზემოდან ხელი დაუქნია.

– ამო-ამო... – ჩამოსძახა იქვე და დავითმაც პირველი სართულის სანახევროდ ღია კარში ყოყმანის შემდეგ შეაბიჯა.

***

სახლში ფიჭვის ხის სურნელი იდგა. მეორე სართულზე ორი კიბე ადიოდა. დავითმა ორივე კიბეს რიგრიგობით ახედა. მერე დაფიქრდა და მარჯვენას აუყვა.

კიბე ხმამაღლა ჭრიალებდა და ეს ხმა უსიამოდ დაუდიოდა სხეულში. კიბე რომ აათავა, გრძელ დერეფანში აღმოჩნდა.

– ბატონო გენადი! – დაიძახა დავითმა გაუბედავად.

– აქეთ, აქეთ! – მოესმა ახმახის ხმა დერეფნის ბოლოდან და ისიც ხმის მიმართულებით წავიდა.

იატაკი ისევ ჭრიალებდა. მარცხენა მხარეს, ბოლოში ხის კარები ღია იყო და დავითმაც იქ შეაბიჯა.

***

დიდ ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა.

დავითმა ფრთხილად მოათვალიერა ოთახი და ბოლოსღა მოჰკრა თვალი ოთახის კუთხეში, შავ როიალთან მჯდარ შავმოსასხამიან ახმახს.

– დაჯექ! – თქვა ახმახმა და ჟღრიალა აკორდი აიღო.

დავითი იქვე მდგარ სკამს მიუახლოვდა და ფრთხილად დაეშვა. ახმახმა იგივე აკორდი აიღო და სტუმარს გამოხედა.

– ესე იგი – ინტერვიუ...

– დიახ... ბატონ გენადისთან... უკეთესი იქნებოდა დიდი საგაზეთო პუბლიკაცია გამეკეთებინა გაგრძელებებით... ასეთ უნიკალურ მასალას სად ნახავს კაცი... – დავითი ჩანთის გახსნას შეეცადა, მაგრამ ახმახის კიდევ ერთხელ აღებულმა იგივე აკორდმა შეაჩერა.

დავითმა ჩანთა იატაკზე დაუშვა. შემდეგ თავი ასწია, ახმახისთვის თვალი რომ გაესწორებინა, მაგრამ ვერაფრით შეძლო და გაუბედავად ალუღლუღდა:

– უახლოეს ნომერში ვაპირებთ გავუშვათ... მსოფლიო კატაკლიზმების ეპოქაში ძალიან აქტუალური თემაა... არავის უნდოდა წამოსვლა, ისეთებს ყვებიან... ჭორია თუ მართალი, ვერ გაიგებს კაცი... არადა, რადიაციის ამხელა მასშტაბებია... როგორც ამბობენ მუტაცია აქ კაი ხანია დაიწყო...

ახმახმა ხელი ჩაიქნია და იქვე მდგარ სავარძელში ჩაესვენა.

– კაი ხანია აქ არავის ჩამოუდგამს ფეხი... იურა!! – დაიგრგვინა უცებ ახმახმა და დავითის გასაკვირად ცოტა ხანში ოთახში ზუსტად ამ ახმახის კოპიო და მასავით გამოწყობილი მეორე ახმახი შემოვიდა.

დავითს გააჟრჟოლა.

– ვიღას ვახსოვართ და ვჭირდებით ასეთები... – გამოხედა პირველმა ახმახმა დავითს და შემდეგ მეორეს მიუტრიალდა, – ბიჭებს უთხარი, მაგიდა გამოიტანონ და ეზოში გაშალონ! ქალებს დაუძახეთ ყველას. და წესიერად ჩაიცვან! უცხო სტუმარი გვყავს!

– არის, უფროსო! – სამხედროსავით მიიტანა ხელისგული საფეთქელთან მეორე ახმახმა და ოთახიდან ლამის მხედრული ნაბიჯით გავიდა.

– ბონდარენკო გენადის ჯარის მეგობარი გია ქირია როგორაა? – გახედა დავითს პირველმა ახმახმა.

– დიდი მოკითხვა დამაბარა ბონდარენკო გენადისთან...

ცხოვრობს თავისთვის... თბილისის იპოდრომზე ცხენებს უვლის...

ახმახი ისევ წამოდგა, კარადიდან მწვანე მაუდგადაკრული ფოტოალბომი გამოიღო, გადაფურცლა და ერთ-ერთ ფოტოს დააცქერდა.

მერე დავითისკენ მოტრიალდა და ალბომი გაუწოდა.

დავითმა ალბომი ფრთხილად ჩამოართვა და ფოტოს დახედა. ფოტოსურათიდან სამი პირტიტველა სამხედროფორმიანი ბიჭი იყურებოდა.

– ეგაა? – დაეკითხა ახმახი დავითს ზემოდან.

– უიჰ! აგერ ბატონი გია ქირია! რა ახალგაზრდაა ამ ფოტოზე! – შესძახა დავითმა და ახმახს ახედა.

ახმახი თბილად იღიმებოდა.

– და ბატონი გენადი როდის იქნება? – ვეღარ მოითმინა დავითმა.

ახმახმა ალბომი ჩამოართვა, ისევ კარადაში დააბრუნდა და სტუმარს მოუტრიალდა.

– მე ვარ ბონდარენკო გენადი.

***

დილით დავითი ზურგზე ხელის შეხებამ გამოაღვიძა. აქერცლილ კედელს თვალისფშვნეტით ააცქერდა და შეეცადა გაეხსენებინა, სად იყო. ვერაფრით რომ ვერ შეძლო, უბრალოდ ამოიოხრა და სახით კედლისკენ მწოლი მკვეთრად გადმოტრიალდა.

საწოლთან, დაბალ სკამზე ბონდარენკო გენადი იჯდა და დავითს მშვიდი ღიმილით შემოჰყურებდა. დავითი მასპინძლის დანახვაზე მაშინვე მოეგო გონს და საწოლში სწრაფად წამოჯდა.

– რა ხდება? – იკითხა ნამთვრალევი ხმით და მწირად გაწყობილ ოთახს დაბინდული მზერა მოავლო.

– სამასვალები მოვიდნენ, – მშვიდად გაეპასუხა ბონდარენკო გენადი და დაბალი სკამიდან წამოდგა.

– ვინ მოვიდა? – ძაღლის ტანივით შეიბერტყა თავი დავითმა.

– სატვირთო მანქანები!.. როგორც დავთქვით გუშინ! გასვლის დროა უკვე! – შეუძახა დავითს ბონდარენკო გენადიმ, მის საბანს ბოლოში მოავლო ხელი და საწოლს ბოლომდე გადახადა. მოულოდნელობისგან დავითმა ფეხები მაშინვე მუხლებში მოკეცა.

ბონდარენკო გენადის კაი ხანს ღიმილით ეჭირა საბნის ბოლო.

– ჰე! გელოდებით! – თქვა მერე, საბანს ხელი შეუშვა და კარისკენ გატრიალდა.

***

„სამასვალების" საბარგულებზე ტყუპებივით ერთმანეთის მსგავსი, ერთნაირად ძალიან მაღალი, წვეროსანი და შავმოსასხამიანი კაცები იდგნენ.

დავითი ბანცალით მიუახლოვდა ერთ-ერთ სატვირთოს. ვიღაცამ ზემოდან უზარმაზარი ხელისგული გადმოუწოდა.

ის ხელს ჩაეჭიდა და უცებ აღმოჩნდა ერთნაირი კაცების გვერდით. რაც მაშინვე თვალში ეცა, ის იყო, რომ ხელში ყველას ალესილი ნაჯახი ეჭირა.

– ეს შენი უნდა იყოს! – ხარხარით მიაჩეჩეს კუთხეში მიყუდებული მომცრო ნაჯახი და მანაც ვერაფრის კითხვა ვერ მოასწრო, მორჩილად ჩამოართვა ბასრად ალესილი იარაღი და წონასწორობის დასაცავად მეორე ხელით საბარგულის კიდეს მოეჭიდა.

– ყველა ადგილზეა?! – იღრიალა პირველი „სამასვალის" საბარგულიდან რომელიღაც ახმახმა.

– ყველანი ვართ, გენა! – ერთდროულად გაეღრიალნენ სამივე სატვირთოდან.

პირველი სატვირთოდან ერთ-ერთმა მძღოლის კაბინას ნაჯახის ყუით სამჯერ ჩაუკაკუნა და მანქანაც არახრახდა.

წინა ორი სატვირთო ნელა გაუყვა სოფლის შარაგზას. მე-

სამე კვალში მიჰყვა მათ და მანქანათა მწკრივმა დაბურული ტყისკენ აიღო გეზი.

***

ტყეში ჯერ კიდევ ბნელოდა. აქა-იქ თუ გამოკრთებოდა ბაცი შუქი. დავითი სატვირთოს რყევის რიტმში ირწეოდა და ცდილობდა წინა საღამო გაეხსენებინა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა – გონებაში ფრაგმენტულად უსხლტოდა წინა საღამოს ნაფლეთები და ძალიან ნამთვრალევი მათ ერთმანეთთან ვერაფრით აკავშირებდა.

ამ ნაფლეთებში აშკარად ხედავდა ბონდარენკო გენადის ეზოს შუაგულში მდგარ გრძელ, მართკუთხა მაგიდას და ზედ გაწყობილ სქელ თეფშებს.

თეფშებზე კომბოსტოს თეთრი მწნილი, მოხარშული კარტოფილი და დაგლეჯილი პური იყო განაწილებული; იქვე ყურმომტვრეული ჭიქები და ათლიტრიანი ბოცით არაყი იდგა.

ვიღაც ბონდარენკო გენადის მსგავსი, ანდა სულაც თავად მასპინძელი, გამოთქმით ამბობდა მშვიდობის სადღეგრძელოს.

იყო ამ ნაფლეთებში ძროხების შორიდან მოღწეული ზმუილიც და მერე ღამურების სისინა ნავარდი.

იყო ასევე ბევრი ძალიან მაღალი და ერთნაირი სახის წვეროსანი ახმახი, იყვნენ გაჭრილი ვაშლებივით ერთმანეთის მსგავსი ვეებერთელა ქალები საგარეო კაბებითა და ღრმად ამოჭრილი გულისპირებით.

არყის სხვანაირი გემოც იყო, და აკორდეონის შმაგი წელვაც, და ადგილზე როკვაც ფართო ხელისგულების სქელ ქუსლებზე ტყაპუნის თანხლებით.

***

სატვირთოები დინჯად მიირწეოდნენ ტყის ბინდიან გზაზე. დილის სინათლე ნელ-ნელა მატულობდა.

მერე მწკრივმა უცებ მარცხნივ გადაუხვია და მანქანები

რიჟრაჟის გრილი მზით განათებულ მოლზე შეჩერდნენ. წვეროსნები უცებ ჩამოხტნენ საბარგულებიდან და ხმაურით შეესივნენ ტყეს. დაბნეული დავითი საბარგულს შერჩა. მერე თავის ნაჯახს დახედა და ნელა ჩაფოფხდა ძირს. ირგვლივ აღარავინ იყო.

„რა დროს შეშა იყო...“ – გაუელვა უცებ გონებაში და ტყისკენ ნაბიჯის წადგმას აპირებდა, რომ ადგილზე გახევდა.

ტყიდან შავმოსასხამიან ახმახთაგან ერთ-ერთი გამოვიდა – ცალი ხელით დიდ ნაჯახს მოაქნევდა, მხარზე კი უზარმაზარი, ლამის საკუთარი სიმაღლის წითელქუდიანი სოკო ჰქონდა გადებული.

ახმახმა სახტად დარჩენილ დავითს წარბშეკრულმა გამოხედა, და ვიდრე სოკოს სატვირთოს საბარგულზე ააგდებდა, გაღიზიანებულმა შემოჰყვირა:

– რას დამდგარხარ უსაქმოდ?! მოგვეხმარე!

ვიდრე ტყეში შემავალ ერთ-ერთ ბილიკს დაადგებოდა, დავითმა კიდევ რამდენიმე ნაჯახიან და მხარზე უზარმაზარ სოკოგადებულ ახმახს მოჰკრა თვალი.

სოკოები ზორბა სოფლელებმაც სატვირთოთა საბარგულებზე აყარეს და მაშინვე ტყეში შებრუნდნენ.

***

ტყე უკვე დილის სინათლით იყო გაჯერებული.

დავითმა მალევე მოჰკრა თვალი თავისზე მაღალ ლურჯქუდა სოკოს. ახლოს მისულმა ჯერ მარცხენა ხელი ჩამოუსვა სქელ ფეხზე, მერე ნაჯახი მოიმარჯვა და სოკოს ძირში ფრთხილად შემოჰკრა.

სოკო ძალიან ადვილად გადაიჭრა და მოსალოდნელზე გაცილებით მსუბუქი აღმოჩნდა. დავითმა იოლად აიტაცა მოჭრილი სოკო, სხვებივით მხარზე გაიდო და ტყიდან ამაყი სახით გამოვიდა.

წვეროსნებს სანახევროდ უკვე შეევსოთ სოკოთი სატვირთოების საბარგულები.

„კინოში ვარ რა...“ – გაიფიქრა დავითმა, თუმცა იქვე გაახსენდა, რომ არანაირი კინო ეს არ იყო და შემდეგი სოკოს მოსაჭრელად ისევ ტყისკენ გაეშურა.

***

ეზოში სამი დიდი კოცონი გიზგიზებდა. სამივეზე უზარმაზარი, წყლით სავსე ქვაბები იდგა. ზუსტად ერთნაირი, ვეებერთელა ქალების ნაწილი კოცონს შეშას უკეთებდა, მეორე ნაწილი კი სუფრას აწყობდა.

იქვე სატვირთოებიდან ჩამოცლილი დიდი სოკოების მთა აზიდულიყო. სოფლის ერთნაირი კაცები ნაჯახით ჩეხავდნენ სოკოს და დანაწევრებულებს წყლიან ქვაბებში ყრიდნენ.

დავითი კუნძზე იჯდა, ნიკაპი ნაჯახის ყუაზე ჩამოედო და ამ ყველაფერს მოღლილი სახით ადევნებდა თვალს.

ქვაბები რომ წამოთუხთუხდნენ, წვეროსნებმა ნახარში წყალი მიწას მოასხეს, ერთხელ მოხარშული სოკოთი სავსე ქვაბები ახალი წყლით აავსეს და ისევ ააგიზგიზეს კოცონები.

ეს ყველაფერი სამჯერ განმეორდა.

– რა ხდება, ბატონო გენადი? – ჰკითხა დავითმა იქვე მდგარ ბონდარენკო გენადის.

– სამჯერ უნდა ადუღდეს და წყალიც სამჯერ გამოეცვალოს...

– რიტუალია?

– არა. რა რიტუალი... მძიმე მეტალები და რადიაცია რომ გაუვიდეს...

– გაუვა რო?

– არ გაუვა და გაიზრდები ჩვენსავით დიდი ბიჭი... – გაეცინა ბონდარენკო გენადის, – შენი წილია ეგ, თორემ ჩვენ კი ხედავ, სხვანაირის ჭამამ რაც დაგვმართა...

მესამეჯერ მოხარშვის შემდეგ სამი სატვირთოთი მოზიდული სამი უზარმაზარი ქვაბი სოკო ისე დაპატარავდა, რომ ერთ მოზრდილ ტაფაზე დაეტია და ისე შეინვა.

***

მზერაგაორებულმა დავითმა შუაღამის ცას ახედა. შუაგულში გამოკიდებული ორი სავსე მთვარე მიდამოს ფოსფორისფრად ანათებდა.

დავითი სუფრიდან ძლივს წამოდგა და ფეხსალაგისკენ ბარბაცით დაიძრა. ფეხი რომ არ დასცდენოდა გზად ხელით ხეებსა და ბუჩქებს იხმარდა.

მიწას ხრაშახრუში გაუდიოდა.

უცებ გვერდიდან რაღაც ხმა მოესმა. დავითი შეჩერდა და ძალიან დაელმებულმა ფრთხილად გაიხედა განზე.

მეზობლის ეზოს მხრიდან ღობეს ორი უზარმაზარი დედალი ღორი მოსდგომოდა. ღორებს ზურგზე ქათმის ფრთები ჰქონდათ ამოზრდილი.

ეს დაინახა თუ არა, ღობეზე გადაყუდებულ დავითს მაშინვე გული აერია.

– აჰათ, ღორებო, ჭამეთ! – დააყოლა იქვე ხრიალით.

ღორებმაც თითქოს გაიგონესო, იქით წაგოგმანდნენ და კუჭიდან ამონთხლეული სითხე თვალისდახამებაში შესვლიპეს.

ამ ყველაფერს ცოტა ხანი გაშტერებული შეჰყურებდა დავითი. მერე ხელი ჩაიქნია და ფეხსალაგისკენ გაბრუნდა.

***

ფეხსალაგი გადაღრეცილი იყო. შიგნით ძლივს შემდგარმა უცებ მოითავა საქმე და უკან გამოვიდა.

სავსე მთვარეს ისევ ორად ხედავდა. მერე გაორებული მზერა ინსტიქტურად მთვარეებით გაშუქებული მეზობლის ეზოსკენ გაექცა, მაგრამ ღორები აღარსად იყვნენ.

ღობესთან მიბარბაცებულმა ზედ მკლავები ჩამოაწყო და მეზობლის კარმიდამო ყურადღებით მოათვალიერა.

– ღორებო! – დაიძახა ფრთხილად, მაგრამ ღორები მაინც არ ჩანდნენ.

„შედენეს, ალბათ...“ – გაიფიქრა დავითმა, და ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, ზემოდან რაღაც ხმა ჩამოესმა.

ვიდრე აიხედავდა, დავითს უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა და ცივმა ოფლმა დაასხა. შემდეგ ძალიან ფრთხილად ასწია თავი და ცოტაღა დააკლდა, რომ ღობიანად არ აყირავდა.

მის თავზე, მიახლოებით ათი მეტრის სიმაღლეზე, ორი უზარმაზარი დედალი ღორი ფარფატებდა. ბეჭებიდან ამოზრდილ ქათმის ფრთებს ორივენი სწრაფ-სწრაფად იქნევდნენ, ამით ჰაერში თავს იმაგრებდნენ და თვალები მთვარისფრად უელავდათ.

„მეჩვენება, ან გავგიჟდი...“ – მოასწრო წაბუტბუტება დავითმა, ერთიანად აკანკალებული ღობეს მოშორდა და მიწაზე დაჯდა.

***

მზერაგაორებული ღორებს თვალს არ აშორებდა და ციებიანივით ცახცახებდა.

ღორები ნარნარით არტყამდნენ წრეს დავითს და დაბალ ხმაზე ღრუტუნებდნენ. მერე უცებ ჰაერში ერთნაირად შეიკუნტრუშეს, თითქოს მადლობის ნიშნად რაღაც ჩამოიღრუტუნეს და სამხრეთისკენ გაფრინდნენ.

ეს იყო და სოფელში ძაღლების ყმუილი ატყდა.

დავითმა თვალი მთელი ძალით დახუჭა და ყურებზე ხელისგულები აიფარა. კაი ხანს ასე იჯდა. ნანახისგან გაბრუებულს თვალებში მანათობელი რგოლები დაუდიოდა.

მერე ყურებიდან ხელისგულები ჩამოუშვა და თვალი გაახილა.

ძაღლები მიწყნარებულიყვნენ. სუფრასთან ისევ ხმაურობდნენ. მეზობლის ეზოში მხოლოდ ერთი დედალი ღორი დაღრუტუნებდა და ბეჭებიდან არანაირი ქათმის ფრთები არ ჰქონდა ამოზრდილი.

ერთიანად გამოფხიზლებულმა დავითმა ცას ახედა და უკვე მხოლოდ ერთი სავსე მთვარე დაინახა.

„იყო თუ არ იყო?.. თუ იყო – ცუდადაა საქმე... თუ არ იყო – მით უმეტეს...“ – ამოიხვნეშა დავითმა, წამოდგა და სუფრისკენ უკვე გამართული ნაბიჯით წავიდა.

***

ბონდარენკო გენადი არყის ჭიქით ხელში იდგა და მარცხენა მხარზე უზარმაზარი ბუ აჯდა.

– სტუმარი ღვთისააო...

– სტუმარი ღვთისააო! – დუდუნით ეთანხმებოდნენ ბონდარენკო გენადის მისი მსგავსი შავმოსასხამიანი ახმახები.

დავითი სუფრასთან იჯდა და მესერის მიღმა მდგარ სამ „სამასვალს“ მოწყენილი გაჰყურებდა.

„რა ჰქვია ახლა ასეთ ცხოვრებას...“ – ფიქრობდა დავითი, – „თუმცა მე რომ სხვაგან ვარ და სხვანაირად, უკეთ ვარ ვითომ?..“

***

სოფლის მეორე გასავლელში საგზაო მიმართულების მაჩვენებელი ფირნიში ერჭო. ფირნიშზე კირილიცათი, დიდი შავი ასოებით ეწერა:

ЧЕРНОБЫЛЬ – 18 км

კრებული „თხუთმეტი-თხუთმეტი“
გამომცემლობა „სიესტა“, 2009